

მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1973

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

თბილისი-1973 ТБИЛИСИ



პატნე



ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1973

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора).
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
Отвественный секретарь Э. Вашакидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.XII.73; შეკვ. 2062; ანაწყოების ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 19.60; საარტიცხოვ-საგამომცემლო
თაბახი 18.68; უე 01204; ტირაჟი 1200
ფასი 1 მან.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

*
საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

მ. თეთვაძე, შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების განვითარების ისტორიიდან	7
თ. ოთხმეზური, ოსმალური გადასახადები ქართლში	18
რ. მატრეველი, სოციალური ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ფეოდალურ საქართველოში	34
მ. ბაბაშვილი, დასავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში	53
ი. ჯალალანი, ქუთუთის მონეტების მიმოქცევა VIII—X სს. საქართველოში	69
მ. საბინაშვილი, ი. ბაბოშვიდი, ალგეთის ფიალა	81
ტ. მუზინიშვილი, აღრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები ქვემო ქართლში	99

ცნობები და შენიშვნები

ბ. ლუქაშა, უმუშევრობის ლიკვიდაციის პროცესი აფხაზეთში და მისი თავისებურებანი	110
თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სახეობის რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში	117
ნ. შრუშაძე, ზომორფული მონეტები საქართველოს ადრეკრისტიანულ ტაძრებში	127
ბ. ალასანი, აზერბაიჯანი „ჯიჰან-ნუმას“ რუკებზე	135
რ. კიკნაძე, XIII საუკუნის შორეუ ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან	141
ვ. მაჭარაძე, ბ. ხუნდაძე, კოპერნიკის ძეგლის ისტორიიდან ტორუნში	151
ი. არსენიშვილი, კრიველის სამი მადონას შესახებ	154
ბ. ფიფია, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ. მათი წარსული და პერსპექტივები	161

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. ბაბაშვილი, სპიროს გრიონისი, შუასაუკუნეობრივი ელინიზმის დაცემა მცირე აზიაში და ისლამიზაციის პროცესი XI—XV საუკუნეებში	171
რ. გომრელაშვილი, მათე ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში	176
ბ. თომოშვილი, ერთი კრიტიკული წერილის გამო	178
ს. ჩხარტიშვილი, ი. ჩიქავა, მ. კანტერე, საქართველოს მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის გახვითარების ისტორია სოციალისტური საზოგადოების შექმნის პერიოდში	185

ძრონიკა და ინფორმაცია

სიკოლოზ სტურუას დაბადების 60 წლისთავი	191
ქ. თომოშვიდი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სესია	193
ვ. ითონიშვილი, ჯ. სონღულაშვილი, ერწო-თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1972 წელს	197
მ. ბაბუნია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1972 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებო-სადმი მიძღვნილი საანგარიშო სესია	200
ბ. ჩიქოძე, სამეცნიერო სესია მეცხეთაში	206
საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომების III რესპუბლიკური კონკურსი	209
გ. გომეჯიშვილი, (ნეკროლოგი)	210
ნ. ნიკოლაიშვილი, (ნეკროლოგი)	212

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Ш. ТЕТВАДЗЕ, Из истории развития ленинских принципов внутрипартийной демократии	7
Т. ОТХМЕЗУРИ, Османские налоги в Картли	18
Р. МЕТРЕВЕЛИ, Некоторые вопросы истории социальных взаимоотношений в феодальной Грузии	34
М. ГАБАШВИЛИ, Города Западной Грузии в XI—XII вв.	53
И. ДЖАЛАГАНИЯ, Обращение куфических монет в Грузии в VIII—X вв.	69
М. САГИНАШВИЛИ, И. ГАГОШИДЗЕ, Алгетская фиала	81
Т. ЧУБИНИШВИЛИ, Памятники раннеземледельческой культуры в Квемо Картли	99

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. ЛЕЖАВА, Процесс ликвидации безработицы в Абхазии и его особенности	110
Т. КАУХЧИШВИЛИ, Античный мир эпохи Руставели в историографии	117
Н. УРУШАДЗЕ, Зооморфные мотивы раннехристианских храмов Грузии	127
Г. АЛАСАНИЯ, Азербайджан на картах «Джихан-нума»	135
Р. КИКНАДЗЕ, Из хронологии истории Грузии второй половины XIII в.	141
В. МАЧАРАДЗЕ, Г. ХУНДАДЗЕ, Из истории памятника Копернику в Торуне	151
И. АРСЕНИШВИЛИ, О трех мадоннах Крипелли	154
Г. ПИПИЯ, Советско-германские отношения. Их прошлое и перспективы	161

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. ГАБАШВИЛИ, Спирос Врионис, Падение средневекового эллинизма в Малой Азии и процесс исламизации в XI—XV вв.	171
Р. ГОГОЛАШВИЛИ, М. М. Алексишвили, Рабство в античных странах	176
Г. ТОГОШВИЛИ, По поводу одной критической статьи	178
С. ЧХАРТИШВИЛИ, И. ЧИКАВА, М. Я. Кантере, История развития культурно-технического уровня рабочего класса Грузии в период построения социалистического общества	185

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

70-летие со дня рождения Н. Стуруа	191
К. ТОПУРИДЗЕ, XXII научная сессия Института истории, археологии и этнографии имени И. А. Джавахишвили	193
В. ИТОНИШВИЛИ, Дж. СОНГУЛАШВИЛИ, Этнографическая экспедиция 1972 г. в Эрцо-Тианети	197
М. ГАБУНИЯ, Отчетная сессия, посвященная археолого-полевым исследованиям 1972 г. Института истории, археологии и этнографии Академии наук Грузинской ССР	200
Г. ЧИКОИДЗЕ, Научная сессия в Мestia	206
Третий республиканский конкурс трудов молодых научных работников в области общественных наук	209
Г. Гобеджишвили, (некролог)	210
Н. Николайшвили, (некролог)	212

შოთა თეთვაძე

შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების განვითარების ისტორიიდან (1928—1929 წწ.)

ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა პარტიული მშენებლობის დარგში კომუნისტური პარტიის, მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მდიდარი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება. ამ საკითხის დამუშავებას აქვს დიდი პოლიტიკური და თეორიული მნიშვნელობა. ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები ცდილობენ უარყონ კომუნისტური პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მოღვაწეობაში შინაპარტიული დემოკრატია და კოლექტიური ხელმძღვანელობა, დაამახინჯონ პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპები.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისათვის მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლა საშუალებას გვაძლევს სათანადო პასუხი გავცეთ ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებს. ეს საკითხი აქტუალურია აგრეთვე იმიტაც, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ფორმები და მეთოდები შინაპარტიული დემოკრატიისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების განხორციელებისათვის მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ამიტომ ამ ფორმებისა და მეთოდების გათვალისწინება, მისი შევსება პარტიული მშენებლობის თანამედროვე პრაქტიკით, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზულ დახმარებას გაუწევს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია პარტიისა და საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის ახალი ეტაპი იყო. რთული პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები კომუნისტური პარტიის როლის შემდგომ ამაღლებას მოითხოვდა. პარტიის ორგანიზატორული როლი, მშრომელ მასებზე მისი გავლენა უშუალოდაა დამოკიდებული იმაზე თუ როგორ აქტიურად მოქმედებს კომუნისტი, რამდენად მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს ცხოვრებაში პარტიის პოლიტიკას. ამიტომ სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე გადასვლამ პარტიისა და მისი ძირეული ორგანიზაციების წინაშე პარტიული მშენებლობის პრაქტიკის დარგში დიდი და სერიოზული ამოცანები დააყენა. ახალ პირობებში პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხებზე, პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურმა პრინციპმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საკავშირო კ(ბ) XIV ყრილობის მუშაობაში. „პარტიის ხელმძღვანელობა, — მიუთითებდა ყრილობაზე ი. ბ. სტალინი, — უკოლეგიოდ არ შეიძლება. სისულელეა ამაზე ოცნება ილიჩის შემდეგ... კოლეგიალური მუშაობა, კოლეგიალური ხელმძღვანელობა, ერთიანობა პარტიაში, ერთიანობა ცენტრალური კომიტეტის

ორგანოებში უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პირობით — აი რა გვესაჭიროება ახლა“¹.

შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გრანდიოზული გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. იმისათვის, რომ ამაღლებულიყო მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო თვით პარტიის შემდგომი აქტივიზაცია, შინაპარტიული დემოკრატიის გაშლა, სოციალისტური მშენებლობის საკითხების განხილვაში ფართო პარტიული მასების ჩაბმა. შინაპარტიული დემოკრატიის თანამიმდევრული გატარება ნიშნავდა პარტიულ მუშაობაში ადმინისტრირებისა და ბიუროკრატიაში ელემენტების აღმოფხვრას, კომუნისტთა აქტივობის ამაღლებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, კომუნისტთა წინადადებებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას, მასების მხრივ კონტროლის გაძლიერებას ხელმძღვანელისადმი, ძირეულ ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონის გაუმჯობესებას, კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას, ახალი კადრების მომზადებასა და დაწინაურებას. მშრომელ მასებთან კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

ასრულებდნენ რა პარტიის XIV ყრილობის დირექტივებს შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების შესახებ, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩატარეს სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად პარტიული მასების მობილიზაციისა და ტროცკისტულ-ზინოვიევიური ბლოკის ვანადგურებისათვის. პარტიული ორგანიზაციები განუხრელად ახორციელებდნენ რა შინაპარტიული დემოკრატიის ლენინურ პრინციპებს იბრძოდნენ იმისათვის, რომ აემაღლებინათ პარტიული მასების აქტივობა. ჩაებათ ისინი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობაში, თანამიმდევრულად გაეტარებინათ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი.

პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი განუხრელად იცავდა კოლექტიურობის ლენინურ პრინციპს, შემდგომ სრულყოფდა პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას შინაპარტიული დემოკრატიის მოთხოვნების შესაბამისად. ცენტრალურ კომიტეტში დემოკრატიული საწყისების განმტკიცება ნათლად გამოვლინდა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მნიშვნელოვანი გაფართოებით, პარტიის უმაღლესი ორგანოების (ყრილობა, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და სამდივნო) რეგულარული და გეგმიური მუშაობით. კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ პლენუმების, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებთან არსებული კოლეგიების, მუდმივი თათბირების, სხვადასხვა გაფართოებული თათბირების მოწვევა, მასებთან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკთა პირადი შეხვედრები და ა. შ.

1926—1929 წლებში ჩატარდა საქართველოს კპ(ბ) V და VI ყრილობა. ცენტრალური კომიტეტის 15 პლენუმი. ყრილობებისა და პლენუმების ჩატარებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ყრილობების დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე მოხსენებათა თეზისების შესამუშავებლად ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 428.

კომისიები. მათ მიერ შემუშავებულ თეზისებს რესპუბლიკური გაზეთები წინასწარ აქვეყნებდნენ, რაც საშუალებას იძლეოდა პარტიის რიგით წევრებს გამოეთქვათ მათ შესახებ თავიანთი აზრი.

სისტემატურად ტარდებოდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამდივნოს სხდომები. საქართველოს კპ(ბ) IV და VI ყრილობებს შუა პერიოდში (1925 წლის დეკემბერი — 1929 წლის ივლისი) ჩატარდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 163 სხდომა და სამდივნოს 222 სხდომა. პრეზიდიუმი და სამდივნო კოლექტიურად წყვეტდნენ სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს. მათი დადგენილებები წინასწარ მზადდებოდა ცენტრალური კომიტეტის კოლეგიებისა და სპეციალურად შექმნილი კომისიების მიერ. კომისიებს ხელმძღვანელობდნენ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები. ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებები კოლექტიურად იყო შემუშავებული, ისინი ობიექტურად აფასებდნენ არსებულ მდგომარეობას და პარტიულ ორგანიზაციებს შემდგომი მუშაობისათვის სწორ მიმართულებას აძლევდნენ.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის განუხრევი გაფართოება და განახლება მიმდინარეობდა მასში ახალი წევრების შეყვანით. თუ საქართველოს კპ(ბ) V ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის 78 წევრი და 40 კანდიდატი, საკონტროლო კომისიის 27 წევრი და 24 კანდიდატი, VI ყრილობამ უკვე ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩია 86 წევრი და 43 კანდიდატი, ხოლო ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში 165 წევრი და 35 კანდიდატი. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ პარტიის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნდათ პარტიული და საბჭოთა მშენებლობის დიდი გამოცდილება. ეს პარტიას საშუალებას აძლევდა სწორად და ოპერატიულად გადაეწყვიტა რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანები. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გაფართოება აგრეთვე მიზნად ისახავდა მოემზადებინა ახალი პარტიული კადრები, რომლებიც მკიდროდ იქნებოდნენ დაკავშირებულნი პარტიულ მასებთან.

პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა ზემდგომი პარტიული ორგანოების მუშაობის კვარტალური გეგმების წინასწარმა გამოქვეყნებამ. 1927 წლიდან დაწყებული რესპუბლიკის პრესაში ქვეყნდებოდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სამდივნოს, განყოფილებებისა და პარტიული კომიტეტების კვარტალური გეგმები. პარტიული მასა გულდასმით ეცნობოდა ამ გეგმებს, სწავლობდა მათ და რიგ შემთხვევაში შეჰქონდა თავისი წინადადებები და შესწორებები.

ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტების გეგმებში დიდი ყურადღება ექცეოდა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. 1926 წლის 15 მარტს საკავშირო კპ(ბ) ორგბიუროს სხდომაზე ი. ბ. სტალინმა მონაწილეობა მიიღო ორგბიუროს მუშაობის 1926 წლის მარტი-აგვისტოს გეგმის განხილვაში. ი. ბ. სტალინმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა შესრულების შემოწმების ორგანიზაციაზე და მიუთითა: „გეგმაში ხშირად მეორდება სიტყვა „შემოწმება“. ეს არის მთელი გეგმის ცენტრი. მე ასე მესმის, რომ გეგმის ცენტრი მდგომარეობს იმაში, რომ ღირებულების მიცემიდან გადავიდეთ ამ ღირებულების შესრულების შემოწმებაზე. ჩვენ იმდენი ღირებულება გვაქვს, რამდენიც ვნებათ. წერენ, გადაწერენ, ხელახლა გადაწერენ, უგ-

ზაენიან, შემდეგ კი ივიწყებენ ღირექტივების შესახებ. ღირექტივებს ხელახლა იმეორებენ, შემდეგ მაუღს ქვეშ ამოღებენ და ა. შ. ღირექტივების ის ნაწილი სრულდება, რომელიც რაიმენაირად ემსგავსება მათი შესრულების გემოვნებას, ხოლო სხვა დანარჩენი გადაიღება... ამგვარ მოქმედებას, რომ წერტილი დაესვას საჭიროა სიტყვებიდან და ღირექტივებიდან გადავიდეთ საქმეზე...²

პარტიის XIV ყრილობის დადგენილებათა განხორციელების შედეგად ამაღლდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებლობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობაზე, პარტიული ხელმძღვანელობა გახდა უფრო კონკრეტული და საქმიანი, გაძლიერდა მისი უშუალო კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან. საქართველოს კომპარტიის IV და V ყრილობებს შუა პერიოდში (1925 წლის დეკემბერი — 1927 წლის ნოემბერი) ცენტრალურმა კომიტეტმა 105-ჯერ მოაწყო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საფუძვლიანი შემოწმება, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრები ძირეული პარტიული ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით 119-ჯერ მიავილინეს მაზრებში.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები ადგილებზე ხვდებოდნენ მშრომელებს, ესაუბრებოდნენ მათ, იწერდნენ საჭირობოტო საკითხებს და ღებულობდნენ ზომებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ამ მუშაობის შედეგად კიდევ უფრო გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა ადგილებზე პარტიული მუშაობა, უფრო მრავალმხრივი და უფრო შინაარსიანი გახდა პარტიულ ორგანიზაციებთან ცენტრალური კომიტეტის ურთიერთობის ფორმები.

ასეთივე მეთოდებს იყენებდნენ საკავშირო ორგანოები მოკავშირე რესპუბლიკებისადმი ხელმძღვანელობაში. 1926—1929 წლებში საქართველოში სხვადასხვა დროს იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი: მ. ი. კალინინი, გ. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. ბუდიონი, ა. ს. ენუქიძე და სხვ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის მშრომელებთან მათ შეხვედრებსა და საუბრებს. 1926 წლის ივნისის დასაწყისში საქართველოში ჩამოვიდა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ბ. სტალინი. მან დიდი ყურადღებით დაათვალიერა ზემო აჭკალის პიდროელექტროსადგური, სამთავისი კომუნა. ესაუბრა ზაპესის მშენებლებს და სამთავისელ გლეხებს. მ ივნისს ი. ბ. სტალინი თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა კრებაზე გამოვიდა მოხსენებით „ინგლისის გაფიცვისა და პოლონეთის ამბების შესახებ“.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმად სწვდებოდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობასა და ცხოვრებას. მათ მოღვაწეობას წარმართავდა პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მუშათა და გლეხთა კავშირის განსამტკიცებლად. 1926—1929 წლებში ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკთა მონაწილეობით ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველმხრივ შეისწავლა და მოისმინა საკითხი: საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გორის, ზუგდიდის, ოზურგეთის, რაჭის, სენაკის, ქუთაისის სამაზრო, სამტრედიის, ხაშურის, ჭიათურის, ტყიბულის რაიონული და სხვა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. მოხსენებათა ირგვლივ მიღებული დად-

² «Известия ЦК ВКП (б)», 1926, № 16—17, გვ. 1.

გენილებები წარმოადგენდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული მუშაობის კონკრეტულ პროგრამას. მათში მოცემული იყო ღრმა ანალიზი ამა თუ იმ ორგანიზაციის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ, მითითებული იყო სიძნელეთა დაძლევისა და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები.

შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის, ბიუროკრატიზმის, მასებისაგან მოწყვეტისა და სხვა მისთანათა გამო საქართველოს კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1926—1929 წლებში თანამდებობებიდან გაანთავისუფლა რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1928 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის ღრმად შესწავლა. 1928 წლის 3 სექტემბერს საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანის მოხსენებისა და საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის კ. პშენიციანის თანამოხსენების საფუძველზე საკავშირო კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს კ(ბ) მუშაობის შესახებ“, რომელშიც დასახული იყო სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გზები და ამოცანები.

საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს კომპარტიის მუშაობის შემოწმების შედეგები განიხილა და მოიწონა საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1928 წლის 25—29 სექტემბერს გაიმართა. პლენუმის მონაწილეებმა ყოველმხრივ განიხილეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. კამათში მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა, მათი გამოსვლები კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო. პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს დაავალა შეემუშაებინა საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების კონკრეტული გეგმა, უზრუნველყო მათი შესრულების მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება. პლენუმმა აღნიშნული დადგენილების წარმატებით განხორციელების მიზნით საჭიროდ მიიჩნია ცენტრალური კომიტეტის წევრთა ადგილებზე ხანგრძლივი ვადით მივლინება.

საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტი შინაპარტიული დემოკრატიის გაშლის პროცესში დიდ ყურადღებას აქცევდა პარტიულ ინფორმაციას, მის შინაარსობრივ გაუმჯობესებას.

მრავალმხრივი იყო პარტიული ინფორმაციის ფორმები. ინფორმაცია ხელს უწყობდა რიგით კომუნისტების მობილიზებასა და აქტივიზაციას. პარტიული ინფორმაცია ხორციელდებოდა საკავშირო კ(ბ) ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა ფართო განხილვაში მთელი პარტიული მასის აქტიური მონაწილეობის გზით. ადგილებზე მათ გასაცნობად იგზავნებოდა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრები, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ხელმძღვანელ ორგანოთა პასუხისმგებელი მუშაკები. საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სტენოგრამები, პრეზიდიუმისა და სამდივნოს ოქმები, აქ დამტკიცებული ყველა პრაქტიკული წინადადება და

ცირკულარი ეგზავნებოდათ პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტებს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და პრეზიდიუმის ბევრი დადგენილება ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მთლიანად ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ პრესაში. მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის V და VI ყრილობების სტენოგრაფიული ანგარიშები, ცენტრალური კომიტეტში ჩატარებული ცალკეული თათბირების მასალები, პარტიული კომიტეტების მუშაობის ანგარიშები და სხვ. 1927 წლის ივნისში გამოვიდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო „მოამბე“, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა პარტიულ კომიტეტებს, უჯრედებს, ძირეულ პარტიულ აქტივსა და ყველა კომუნისტს.

შინაპარტიული დემოკრატიის გაშლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საოლქო კომიტეტების მუშაობის ანგარიშების მოსმენას ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში. კერძოდ, ცენტრალური კომიტეტი თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშით გაპოდიოდა საოლქო, სამაზრო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე, ხოლო სამაზრო და რაიონული კომიტეტები პარტიული უჯრედების კრებებზე, ასე მავალითად, 1927 წლის ოქტომბერში თბილისის VIII პარტიულმა კონფერენციამ მოისმინა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, რომლის შესახებაც მოხსენებით გამოვიდა ი. ე. რუძუტაკი.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1927 წლის შეზღოღომაზე პარტიული კონფერენციების წინ საოლქო, სამაზრო და თბილისის რაიონულმა კომიტეტებმა დაიწყეს სისტემატური ანგარიშების გაკეთება რაიონულ კონფერენციებზე, ჯგუფურ პარტიულ კრებებზე, ხოლო ცენტრალურმა კომიტეტმა საოლქო და სამაზრო პარტიულ კონფერენციებზე.

პარტიული კომიტეტების ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა ძირეულ პარტიულ მასას საშუალებას აძლევდა დაწვრილებით გაცნობოდა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაობას და სწორად გაეგო ტროცკისტული ოპოზიციის არსი. ამასთან ერთად იგი მიზნად ისახავდა პარტიულ მუშაობაში კომუნისტთა ფართოდ ჩაბმასა და მათი აქტივობის ზრდას.

კომუნისტთა აქტივობის ამაღლებასა და პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების მტკიცე განხორციელებამ. 1926—1929 წლებში პარტიული კომიტეტები, იბრძოდნენ რა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების პრინციპების შემდგომი განმტკიცებისათვის, მუდმივ კონტროლს უწევდნენ შინაპარტიული დემოკრატიის ამ მეტად მნიშვნელოვანი მოთხოვნის განუხრელად გატარებას. პარტიული კონფერენციები და პარტიული უჯრედების საანგარიშო-საარჩევნო კრებები ტარდებოდა ორგანიზებულად, რიგით კომუნისტთა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, კონფერენციებისა და უჯრედების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებაში ფართოდ იყო ჩაბმული ძირეული პარტიული აქტივი.

1926 წლის 15 დეკემბრიდან 1927 წლის 15 იანვრამდე ჩატარდა საქართველოს კპ(ბ) მორიგი საოლქო და სამაზრო პარტიული კონფერენციები. კონფერენციების ჩატარებისათვის მზადება დაიწყო დეკემბრის პირველ რიცხვებში. პარტიულმა კომიტეტებმა განსაზღვრეს ჩატარების დრო, განსახილველი საკითხები, წარმომადგენლობითი ნორმა და არჩევნების წესი. პარტიული

კომიტეტების ჩატარებულ მუშაობას ფართოდ აშუქებდა ადგილობრივი პრესა. პარტიული კომიტეტების პასუხისმგებელმა მუშაკებმა პრესის ფურცლებზე გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება. ზოგიერთმა პარტიულმა კომიტეტმა კონფერენციამდე გამოაქვეყნა მუშაობის ანგარიში და დელეგატებს დაურია. მთელი მოსამზადებელი მუშაობა ისე იყო დაყენებული, რომ კონფერენციების ჩატარებამდე პარტიული მასა ყოველმხრივ გაეცნო პარტიული კომიტეტების მუშაობას.

საოლქო, სამაზრო და თბილისის რაიონულ პარტიულ კონფერენციებს გადამწყვეტი ხმით დაესწრო 2541 დელეგატი, მათ შორის მუშა იყო 1163, გლეხი — 490, მოსამსახურე — 831 და სხვები — 9. პარტიულ კონფერენციაზე განხილული საკითხების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 864 დელეგატმა. მათი გამოსვლები კონკრეტული, საქმიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო. არჩევნების დროს პარტიული კომიტეტების წევრთა შემადგენლობა 32,9 პროცენტით გაფართოვდა, ხოლო 55,4 პროცენტით განახლდა³.

1927 წლის შემდეგ პარტიული კომიტეტების შემადგენლობის გაფართოება ნაწილობრივ შენედა, რადგან მათ მეტისმეტად გაბერვას შეეძლო გამოეწვია უარყოფითი მოვლენები, პერსონალური პასუხისმგებლობის შესუსტება და სხვ. პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში ხარისხობრივი გაუმჯობესება მიმდინარეობდა მუშათა ხვედრითი წონის ზრდისა და ახალგაზრდა კადრების შევსების გზით. 1928 წელს სამაზრო პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში მუშათა რაოდენობა 38,2 პროცენტს უდრიდა, რაიკომების შემადგენლობაში კი — 78,5 პროცენტს. პარტიული კომიტეტების შემადგენლობის 55,1 პროცენტი პირველად იყო არჩეული.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, სამაზრო კომიტეტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ აგრეთვე უჩრედების ბიუროების საანგარიშო საარჩევნო კამპანიას. პარტიული კომიტეტები უჩრედების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ იდეურ დონეზე ჩატარების მიზნით იწვევდნენ პარტიული აქტივის კრებებს, პარტიული კომიტეტების წევრთა, მუშგლეხკორთა, უჩრედის მდივანთა თათბირებს. 1926—1929 წლებში ჩატარდა ძირეული პარტიული უჩრედების 8 საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. 1928 წლიდან აიკრძალა ბიუროსა და პარტიული კომიტეტის წევრად ასარჩევი კანდიდატურის წინასწარი წამოყენება წინასაარჩევნო კრებაზე ან აქტივის თათბირზე, აგრეთვე, ზმის მიცემა — სიის მიხედვით. გამოცდილებამ აჩვენა, რომ კრებებზე წინასწარ შერჩეული სიები ხელს უშლიდა კომუნისტთა აქტივობის ზრდას და მათ ყოველგვარ ინიციატივას ართმევდა მონაწილეობა მიიღო ფაქტიურად უკვე წინასწარ გადაწყვეტილი საკითხის განხილვაში. თითოეულ კომუნისტს უფლება ჰქონდა აცილება მიეცა ბიუროს ამ პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში ასარჩევი ყოველი კანდიდატურისათვის და წამოეყენებინა ახალი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტთა აქტივობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არჩევითი ორგანოს მოღვაწეობისადმი კონტროლის ახალ ფორმას — თვითშემოწმებელ კომისიებს, რომლებიც თვით პარტიული მასის ინიციატივით დაინერგა. თვითშემოწმებითი კომისია იქმნებოდა საანგარიშო პერიოდში პარტიული ბიუროს ან პარტიული კომიტეტის მუ-

³ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2254, ფურც. 90.

შაობის ყოველმხრივი შემოწმების, მისი ობიექტური შეფასებისა და კრებისათვის თანამოხსენების მომზადებისათვის. ამ კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა რიგით კომუნისტთა ფართო მასა.

პარტიული მშენებლობის პრაქტიკაში პირველად შემოიღეს უჯრედის ბიუროს ანგარიშის ირგვლივ რეზოლუციის (დადგენილების) შემუშავებისათვის სპეციალური კომისიების შექმნა. თუ ადრე, კრების დაწყებამდე, რეზოლუციას წინასწარ მხოლოდ ბიუროს წევრები ადგენდნენ, ახლა მას კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით იმუშავებდა კომისია, რომელსაც კრების მსვლელობის დროს ირჩევდნენ.

პარტიული მასების აქტივობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარებული საანგარიშო-საარჩევნო კრებების ანალიზი. თბილისის პარტიულ უჯრედებში 1926 წლის შემოდგომაზე ჩატარებული არჩევნების დროს თითოეულ უჯრედში კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კომუნისტმა, საშუალოდ შევიდა 25 შეკითხვა, უჯრედების მდივანთა შემადგენლობა 26,9 პროცენტით განახლდა. უჯრედთა ბიუროს შემადგენლობაში მუშები 64,2 პროცენტს შეადგენდნენ⁴.

1927 წლის შემოდგომაზე საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს თბილისის მთელ რიგ უჯრედებში კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრე კომუნისტთა ნახევარზე მეტმა. ბიუროს შემადგენლობა განაჯლდა 57,7 პროცენტით, მდივნებისა — 41,4 პროცენტით. მუშები ბიუროს შემადგენლობაში იყო 70 პროცენტი, ხოლო მდივნების შემადგენლობაში — 69,4 პროცენტი.

საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში 1927 წლის შემოდგომაზე პარტიული უჯრედების საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების შემდეგ ბიუროების შემადგენლობა 54,8 პროცენტით განახლდა, მათში 40 პროცენტს მუშები, ხოლო 40,7 პროცენტს გლეხები შეადგენდნენ⁵. აჭარაში უჯრედების საანგარიშო-საარჩევნო კრებებს კომუნისტთა 80—90 პროცენტი დაესწრო. ბიუროს შემადგენლობაში არჩეულთა შორის მუშები იყვნენ 52,7 პროცენტი, გლეხები — 31,7 და მოსამსახურეები — 15,6 პროცენტი⁶.

მთელ საქართველოში უჯრედთა ბიუროების 1928 წლის შემოდგომის გადარჩევის დროს კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრე კომუნისტთა 30—75 პროცენტმა. უჯრედთა მდივნების შემადგენლობა 54 პროცენტით განახლდა. ბიუროს წევრთა შემადგენლობაში მუშები 49,1 პროცენტს, ხოლო მდივნების შემადგენლობაში 34,7 პროცენტს უდრიდა⁷.

პარტიულ უჯრედებში ფართოდ გაიშალა შინაპარტიული მუშაობა. უჯრედები ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ კომუნისტებს, იდეურად აწრთობდნენ და რაზმავდნენ მათ საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებაზე დადებითი გავლენა მოახდინა უჯრედის მდივნის მოადგილის ინსტიტუტის შემოღებამ, პარტიული კრების თავმჯდომარისა და მდივნის მორიგეობითი წესის გაუქმებამ და არჩევნის სისტემაზე გადასვლამ.

⁴ „მასალები საქ. კპ (ბ) ტფილისის კომიტეტის ანგარიშისათვის. 1925 წ. დეკემბერი — 1926 წ. ოქტომბერი“, თბ., 1927, გვ. 45—47.

⁵ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2352, ფურც. 23.

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 30 დეკემბერი.

⁷ ტკ-ის ანგარიშის მასალები საქართველოს კპ(ბ) VI ყრილობისათვის. თბ., 1929, გვ. 81.

კოლექტიური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის, პარტიული მასების აქტივობის ამაღლების, ძირეული პარტიული აქტივის აღზრდისა და დაწინაურების ეფექტურ ფორმას საუკრებლო კომისიები წარმოადგენდნენ. 1927 წელს თბილისის პარტიულ უკრებებში მოქმედებდა 139 უკრების კომისია. მათში ჩაბმულ კომუნისტთა საერთო რაოდენობიდან 68 პროცენტი იყო მუშა*. 1926 წლიდან დაიწყო საამქროს უკრებებთან მუდმივი და დროებითი კომისიების შექმნა. საკომისიო მუშაობა საამქროს უკრებების განმტკიცებისა და რიგით კომუნისტთა პარტიულ მუშაობაში ჩაბმის მოქნილი საშუალება იყო. მუშაობა დაფუძნებული იყო ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპზე, შინაპარტიული დემოკრატიის გაშლასზე. რეგულარულად ტარდებოდა პარტიული კომიტეტების პლენუმები და პარტიული აქტივის კრებები, რომლებზეც იხილებოდა პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის საკითხები. საგრძობლად გაუმჯობესდა შინაპარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები და ძისი დონე. ზოგადი ცირკულარების ნაცვლად დაინერგა ხელმძღვანელობის ახალი ფორმები — თითოეული ორგანიზაციისადმი განსაკუთრებული მიდგომა, მათთან უშუალო კავშირი და კონკრეტული დახმარების გაყევა. პარტიული კომიტეტები ცალკეული საკითხების შესწავლის მიზნით გამოყოფდნენ დროებით კომისიებს. პარტიულ კომიტეტებთან არსებობდა აგრეთვე საორგანიზაციო, პროპაგანდისა და ავტოციის და ქალთა შორის მუშაობის მუდმივი თათბირები, რომლებიც პარტიულ კომიტეტებს დიდ დახმარებას უწევდნენ საკითხების წინასწარ მომზადებასა და გახშილვაში, აჩქარებდნენ გადაუდებელი საკითხების ოპერატიულ გადაწყვეტას, ხელს უწყობდნენ პარტიულ უკრებებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებას.

შინაპარტიული დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საკავშირო კპ(ბ) XV ყრილობის დადგენილებები. ყრილობამ, კურსი აიღო რა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასაკენ, მიუთითა სოციალისტურ მშენებლობაში პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლების აუცილებლობაზე.

1928 წლის 3 ივნისს საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა პარტიის ყველა წევრსა და მშრომელს, რათა აქტიურად ებრძოლათ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, თვითკრიტიკის გაშლისათვის. ცენტრალურ ლოზუნგად იყო აღიარებული თვითკრიტიკის ლოზუნგი, კრიტიკა ზევით დან ქვევით და ქვევიდან ზევით პიროვნების განურჩევლად.

საქართველოს კპ(ბ) ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 ივნისის მიმართვის განხორციელების მიზნით ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის ბიუროკრატიზმის, ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და კრიტიკის დამახინჯების წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში პარტიული დემოკრატიის პრინციპებს, ახორციელებდა მასების მხრივ კრიტიკის მიმართ სწორი რეაგირების კონტროლს სამეურნეო და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მიერ. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობის ან უგულვებელყოფის პატარა ფაქტივ კი პარტიული ორგანიზაციების მსჯელობისა და მკაცრი გაკიცხვის საგანი ხდებოდა. ცენტრალური კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული კომიტეტები სისტემა-

* ჟურნ. „სოცლისკომუნისტი“, 1927, № 12, გვ. 58.

ტურად განიხილავდნენ ძირეულ ორგანიზაციებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის საკითხებს. 1928—1929 წლებში ცენტრალურმა კომიტეტმა ამხილა ბოროტმოქმედებანი, პროტექციონიზმი, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობის ფაქტები ბათუმის საბაჟოს მუშაობაში, ახალციხის, ხაშურის, თბილისის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და სხვ. პარტიულ ორგანიზაციებში.

პარტიული დემოკრატიის განვითარება და მის საფუძველზე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ამაღლება, შეგნებული პარტიული დისციპლინის განმტკიცება წარმოადგენს ერთიან პროცესს. პარტიული დისციპლინა შედის როგორც ცენტრალიზმის, ისე დემოკრატიის შინაარსის ცნებაში. ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ დისციპლინის გარეშე არ შეიძლება იყოს არც პროლეტარიატის პარტია და არც რევოლუციური მოძრაობა. „ვინც ოდნავ ასუსტებს პროლეტარიატის პარტიის რკინისებურ დისციპლინას (განსაკუთრებით მისი დიქტატურის დროს), — წერდა ვ. ი. ლენინი, — ის ფაქტიურად ენმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ“⁹.

პარტიული დისციპლინა, როგორც ცენტრალიზმის მნიშვნელოვანი ელემენტი მდგომარეობს პარტიის წევრის მიერ არსებული ნორმებისა და პრინციპების სავალდებულო დაცვაში, პარტიის პროგრამისა და წესდების მოთხოვნებისადმი დამორჩილებაში, პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აქტიურ მუშაობაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, განუხრელად ახორციელებდნენ რა შინაპარტიულ დემოკრატიას, ყოველმხრივ ავითარებდნენ კომუნისტთა ინიციატივასა და თვითშემოქმედებას. 1926—1929 წლებში პარტიული კომიტეტები და უჭრედები სისტემატურად იხილავდნენ პარტიული დისციპლინის საკითხებს. პარტიული დისციპლინის განმტკიცების მიზნით ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრები ადილობრივ ორგანიზაციებში გამოდიოდნენ საუბრებით, მოხსენებებით, პარტიულ მასებს განუმარტავდნენ საკონტროლო კომისიის დანიშნულებასა და ამოცანებს.

შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება მიმდინარეობდა ადგილობრივი ტროცკისტული ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ადგილობრივი ოპოზიცია აშკარად ილაშქრებდა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, პარტიას ბრალს დებდა იმაში, რომ თითქოს იგი ვერ ახორციელებდა სწორ პოლიტიკას, რომ იგი თითქოს ნერგავდა პარტიაში ბიუროკრატიზმს და მიჰქონდა რა იერიში პარტიული კომიტეტების წინააღმდეგ, მათ ცილს წამებდა შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევაში. ტროცკისტულ ოპოზიციას შინაპარტიული დემოკრატია ესმოდა არა როგორც ფართო პარტიული მასების აქტიური მონაწილეობა პარტიული ცხოვრების საკითხების განხილვასა და განხორციელებაში, არამედ როგორც პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში სხვადასხვა ანტიპარტიული ჯგუფებისა და ფრაქციების თავისუფლება. შინაპარტიული დემოკრატიის ბრძოლის აღმით ოპოზიცია ფაქტიურად ახალი პარტიის, ლენინიზმისათვის უცხო პარტიის შექმნისათვის იბრძოდა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ გაღრმავებულიყო მასებთან პარტიის კავშირი, გაფართოებულიყო და განმტკიცებულიყო მშრომელთა საზოგადოებრივ ორგა-

⁹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 36.

ნიშაცებში უპარტიო მუშათა და გლეხთა აქტივი, რათა იგი გადაექციათ მტკიცე დასაყრდენ ბაზად სოციალისტური შეტევის შემდგომი გაშლისათვის. ამ მიზნით მტკიცედ დამკვიდრდა მასებში პოლიტიკური მუშაობის ეფექტური ფორმები და მეთოდები: რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაკთა გამოსვლები უპარტიო მუშათა და გლეხთა კონფერენციებზე, მათი პირადი შეხვედრები და საუბრები, ინდივიდუალური და ჯგუფური აგიტაცია, უპარტიოთა ფართო ჩაბმა საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, ღია პარტიული კრებები, ღარიბთა კრებები, დაზვის მუშათა პარტიული თათბირები, ქალთა სადელეგატო კრებები და სხვ. ყველა ეს ფორმა ხელს უწყობდა უპარტიო მასებთან კომუნისტური პარტიის კავშირის განმტკიცებას, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, მშრომელთა დარაზმვას პარტიის ღირებულებების წარმატებით შესასრულებლად.

ამრიგად, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა შინაპარტიული დემოკრატიის გაშლისა და განმტკიცების საკითხი მთელი სიმწვავეით და პრინციპულობით დააყენეს. საქართველოს კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა მტკიცედ ყოფილიყო გატარებული ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ცხოვრების ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი გამოცდილება დააგროვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ მშენებლობაში, პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი თვალისჩინივით იცავს და ავითარებს ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ლენინურ ტრადიციებს. სკკპ XXIV ყრილობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შინაპარტიული და საბჭოთა დემოკრატიის განვითარების, სახელმწიფო მმართველობის სრულყოფის, თვით პარტიის განმტკიცების საქმეში. პარტიის XXIV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების მტკიცედ დაცვის, კომუნისტთა აქტივობის ამაღლების საკითხებს. ყრილობამ რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ხაზგასმით აღნიშნა, რომ „... დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის განუხრელად დაცვა კვლავაც უნდა იყოს პარტიის ცხოვრების აუცილებელი კანონი, როგორც მისი სიმტკიცისა და ქმედობაუნარიანობის გადამწყვეტი პირობა“¹⁰.

¹⁰ „სკკპ XXIV ყრილობის მასალები“, თბ., 1971, გვ. 261.

თავარ ოთხეუზური

ოსმალური გადასახადები ქართლში (1728—1735 წწ)

საგადასახადო სისტემა, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფლება საუკუნეთა მანძილზე ნერგავდა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, ძირფესვიანად განსხვავდებოდა დაპყრობილი ქვეყნების საგადასახადო სისტემებისაგან. ოსმალეთის ხელისუფლების მიერ დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებში არაერთი ოსმალური გადასახადი იქნა შემოღებული. ჯერ კიდევ XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ოსმალთა ხელისუფალთა მიერ ფისკალური მიზნით შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“¹ უხვადაა წარმოდგენილი ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. ესენია: ისფენჯი, ბეჭრე, მურახხასიე, თაფუ, დეშთიბანი, ბენაკი, აგრეთვე გამოსაღები საქონელზე, ფუტკარზე, ვენახზე, ხილზე, ბოსტანზე, თივაზე, კაკალზე, წისქვილზე და სხვ.²

„დავთარში“ დამოწმებული რიგი გადასახადებისა დასახელებულია აგრეთვე XVIII ს-ის ქართულ დოკუმენტურ მასალებშიც. მაგრამ აქვე გვხვდება ისეთი გადასახადებიც, რომელიც „დავთარში“ არ არის მოხსენიებული. ასეთია, მაგალითად, „მირი“, „სალიანი“.

სამცხე-საათაბაგო მთელ საქართველოში ერთადერთი კუთხე იყო, სადაც დამყარდა ოსმალური საგადასახადო სისტემა, ამიტომ „დავთარში“ დასახელებული გადასახადები მთლიანად ოსმალურია. ოსმალეთის მთავრობა აქ ყოველნაირად ცდილობდა ადგილობრივი ქართული წესების გაუქმებას და მის ადგილზე ოსმალური ფეოდალური წყობილებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის (საფაშოს) შემოღებას.

„დავთარში“ დასახელებული ოსმალური გადასახადების გარდა, ქართულ დოკუმენტურ მასალებში ხშირადაა მოხსენიებული ოსმალური გადასახადები, რომლითაც შეიძლება გაირკვეს, ამა თუ იმ პერიოდში დამოკიდებულების რა ფორმა არსებობდა საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებსა და ოსმალეთს შორის.

XVIII ს. მეორე მეოთხედში, ოსმალთა დროს, ქართლი მეტად მძიმე პირობებში აღმოჩნდა. 1723 წლიდან აქ დამყარდა ოსმალთა, რომელიც 1735 წ. ყიზილბაშობამ შეცვალა.

ოსმალთა დროს მოხდა ქართლის აღწერა. ვახუშტის თქმით, ქართლის აღწერის შემდეგ ოსმალებმა მათ „დასდვეს ხარკი კაცს სულზედ დრაჰმანი,

¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკლევა, კომენტარები დაურთო ს. ჯიქიაშვილმა, თბ., წ. I, 1947, თურქული ტექსტი, წ. II, 1941, თარგმანი, წ. III, 1958, კომენტარები.

² იხ. ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით, თსუ-ს შრომები, თბ., 1960, ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II.

ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, კამეჩსა და ცხენზე ექვსი შაური, მოსავალსა და ზედა ხუთის თავი ხილითურთ და ამის გამო იქმნა კირი დიდი“³.

ოსმალთა მიერ ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე სულთანი აჰმედ III (1703—1730) ყოველნაირად ცდილობდა ქვეყნის წარჩინებულთა გადმობირებას და ქართლის ტერიტორიებს ურიგებდა მათ. ასე მაგ., 1728 წ. დათარიღებული საბუთით ოსმალეთის ხონთქარი გივი ამილახორს სამემკვიდრეოდ უბოძებს მაშინდელ სოფელ ცხინვალს⁴. ასევე, ოსმალები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ბაგრატიონთა სახლის ავტორიტეტი ქართლის მოსახლეობაში და ქართლის გამგებლობა ვახტანგის ძეს ბაქარს დააქისრეს. ოსმალებმა ბაქარს ჭურთლუყისა და ოჯაკლიყის წესით უბოძეს თბილისის ვილაიეთი⁵. ამგვარი ღონისძიებით ოსმალეთის ხელისუფლება იმაგრებდა თავის პოზიციებს დაპყრობილ ქვეყანაში.

ქართლის დაპყრობასთან ერთად ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობდა ოსმალური სამოხელეო წყობის დამკვიდრებას და ოსმალ მოხელეების მეშვეობით ქვეყანაში თავისი პოზიციების განმტკიცებას. თურქული დოკუმენტური წყაროების მიხედვით აშკარაა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება ქართლში ამკვიდრებდა ოსმალურ სასამართლო დაწესებულებებს. კერძოდ, ქართლში არსებობას იწყებდა შარიათის სამი სასამართლო საყადო: თბილისის, გორის და თრიალეთის. საამისო დოკუმენტების მცირე ნაწილი გამოსცა პროფ. ს. ჯიქიაშვილმა;

აკად. ა. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში არაერთი საყურადღებო წყაროა დაცული თურქულ ენაზე. ეს დოკუმენტები ასახავენ ქართლში ოსმალობის შემოღების საინტერესო მომენტებს. თურქულ დოკუმენტებში საუბარია ქართლში თიმარებისა და ზიამეთების შემოღების ცდებზე, ჯიზიას გადასახადზე, ოსმალური სამოხელეო ინსტიტუტების შემოღებაზე და სხვ. ამ დოკუმენტებიდან აშკარაა, თუ როგორ ინტენსიურად ცდილობდა ოსმალეთის ხელისუფლება დაერღვია ქართული სამამულო მიწისმფლობელობის ფორმები და ცხოვრების ყველა სფეროში დაენერგა ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა⁷.

ოსმალ მოხელეები დაპყრობილ ტერიტორიებზე ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ, რათა პოლიტიკურ უფლებობასთან ერთად ეკონომიკურადაც შეევიწროვებინათ ქართველი გლეხობა, მორალურად გაეტეხათ და ამ გზით აეძულებინათ ისინი უარეყოთ ქართველობა. ამ მიზანს ემსახურებოდა მთელი სისტემა ოსმალური გადასახადებისა.

³ ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, „ქართლის ცხოვრება“, დ. ჩუბინოვის გამოც., ნაწ. II, პეტერბურგი, 1854, გვ. 88.

⁴ ს. ჯიქია, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 116, თბ., 1965, გვ. 243—247.

⁵ ს. ჯიქია, სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971, გვ. 278—282.

⁶ ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII ს. I ნახ-ის ქართლში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, I, 1969, თბ., გვ. 165—188; С. Джикья, Турецкий судебный документ XVIII в. сб., Письменные памятники Востока, Историко-филологические исследования, 1969, М., 1972, гв. 142—144.

⁷ იხ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქული ფონდის ხელნაწერები № 249, 252, 9/4, 11/12 და სხვ.

როგორც ცნობილია, სამცხე-საათაბაგოს აღწერისა და მიწების რეესტრებში გატარების შემდეგ, მის უზენაეს მესაკუთრედ ოსმალეთის სულთანი ხდებოდა. სამცხე-საათაბაგოს მიწების ოსმალეთის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება იმას ნიშნავდა, რომ ამ მხარეში ოსმალური საგადასახადო სისტემა შემოდიოდა, რომლის მისედვითაც რენტა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვევა. ქართველი გლეხისათვის ეს უჩვეულო, მიმე და აუტანელი გადასახადი აპარტახებდა და ანიავებდა მის შეურნეობას. XVIII ს. II მეოთხედში აღმ. საქართველოში არსებული ოსმალობის დროს კი ქართველ გლეხს ბეგარა და სამსახური მებატონისადმი უცვლელი დარჩა. ასე რომ, მას უკვე ორი ექსპლუატატორი ჰყავდა: ადგილობრივი ფეოდალი და უცხო მოხელე⁸. გლეხი იძულებული ხდებოდა თავი მიეწებებინა მეურნეობისათვის და საღმე გ. დახვეწილიყო, მიემართა კლასობრივი ბრძოლის ყოველნაირი ფორმებისათვის. ეს კიდევ, თავის წხრივ, უდიდეს გამანადგურებელ გავლენას ახდენდა მეურნეობის წარმოება-განვითარებაზე.

ქართველი გლეხი დაბევრილი იყო სამეფო, სამოხელეო, საეკლესიო და საბატონო გადასახადებით. უცხო დამპყრობლის ბატონობის ხანაში ამას ემატებოდა დამპყრობლის სასარგებლოდ გადასახადის გადახდა. ქართული ფეოდალური გადასახადები თავისთავად მრავალფეროვანი იყო. მაგ., საბატონოში შედიოდა ღალა, კულუხი, ულაყი, შესაწევარი, სამასპინძლო, ძღვენი და სხვ. საეკლესიო გადასახადები გულისხმობდა საკანონოს, სახუცოს და სხვ. სამოხელეოში შედიოდა სამოურავო, სანაცვლო. სამამსახლისო და სხვა მრავალი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ამ ქართულ ფეოდალურ მრავალრიცხოვან გადასახადთა და ვალდებულებათა გვერდით არსებული აღმოსავლური, კერძოდ, ოსმალური გადასახადები, რომლებიც დამოწმებულია ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში და რომლებიც ასახავენ აღმ. საქართველოში XVIII ს. II მეოთხედში ოსმალობას და მის თავისებურებებს ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზე. ეს საბუთები საგულისხმო ცნობებს იძლევა როგორც საქართველოში „ოსმალობის“ დასახასიათებლად, ასევე თვით ოსმალური ფეოდალური საზოგადოების შესასწავლადაც⁹.

ოსმალთა ფაშამ „განჰყო ქართლი, სომხით-საბარათიანო მისცა ერასტის ყაფლანიშვილს, მცხეთის ზეითი ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივს ამილახორს, მუხრანი და საერისთაონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხვათა რა იგი უხმდათ, არამედ შურითა ურთიერთათა ქართველთა იყო უფროსესი ჭირნი და ართმიდიან და ძარცვიდიან ოსმალნი შესმენითა მათითა“¹⁰.

ოსმალთა ხელისუფლების მიერ ქართლის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისთანავე აღწერილ იქნა მთელი ქვეყანა. მათ შეადგინეს „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ — (Defteri mufassali Vilayeti Tiflis), რომელიც ამჟამად ინახება თურქეთის არქივსაცავებში (№ 897/418 და

⁸ ნ. ბერძენიშვილი, XVII ს. საქართველოს ისტორიიდან, „საქ. ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1965, გვ. 155.

⁹ ვ. გაბაშვილი, XVIII ს. მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თსუ შრომები, № 91, თბ., 1960, გვ. 306.

¹⁰ ვახუშტი, ისტორია, გვ. 89.

900/831).¹¹. ამ წყაროს უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვს XVIII ს. II მეოთხედის ქართლის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად. მასში რეალურადაა წარმოდგენილი ყველა ის ოსმალური გადასახადები, რომლებიც ოსმალეთის ხელისუფლებას შემოჰქონდა ქართლში, და რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ ფეოდალურ გადასახადებთან ერთად აღბეჭდილია იმდროინდელ ქართულ დოკუმენტურ მასალებში. სამწუხაროდ, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება ამ დოკუმენტზე, რომელშიც დეტალურადაა ჩამოთვლილი ახჩებში დაანგარიშებული ყველა ოსმალური გადასახადი, რომელიც ედო ქართლის მოსახლეობას.

ოსმალობის (და აგრეთვე „ყიზილბაშობის“) დროს XVIII ს. II მეოთხედის ქართულ საბუთებში ვხვდებით იმდროინდელ აღმოსავლურ გადასახადებს: მირი, ბაპრა, ისფენჯი, სალიანი, სურსათი, მალუჯათი და სხვ. აქ ჩამოთვლილია ყველა ის ოსმალური გადასახადი, რომელიც ოსმალეთის ყველა სამფლობელოში (მის აზიურ და ევროპულ ნაწილში) იყო გაგრცელებული და რომელთა უმრავლესობა დამოწმებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“¹².

დოკუმენტურ მასალებში გვხვდება „მირი“. „მირი“ თვით ოსმალეთში ნიშნავდა არა გადასახადს, არამედ სახელმწიფო მიწების კატეგორიას. ქართლში ოსმალობის დამყარების შემდეგ ქართველი ფეოდალის მიწები ოფიციალურად სულთნის საკუთრებად „ერაზი მირიედ“ ცხადდებოდა, და ქართლის ესა თუ ის ფეოდალი მოვალე იყო ყმა-მამულის მფლობელობის უფლება სულთნისაგან მიედო. ეს კი ქმნიდა პირობებს ქვეყნის გაოსმალებისათვის და ამ ოფიციალურად სულთნის საკუთრებად გამოცხადებულ მიწებზე, „მირზე“, ოსმალეთის სასარგებლოდ იკრიფებოდა გადასახადი მირის სახელწოდებით¹³. „მირის“ გადახდა იყო პირობა ყმა-მამულის შენარჩუნებისა. ვინც „მირს“ არ გადაიხდიდა, იგი კარგავდა მამულით სარგებლობის უფლებას. ოსმალურ გადასახადებს შორის ქართულ დოკუმენტურ მასალებში ყველაზე მეტად ცნობები მირის შესახებაა დაცული. ჩანს, იგი ყველაზე მეტად აწუხებდა და მძიმე გადასახადად აწვა ქართველ გლეხობას.

„მირის“ შემოსავლის შესახებ იმდროინდელ ქართულ დოკუმენტებში ვკითხულობთ: „ვეზირი უსუფ-ფაშა გიბრძანებ მაჩაბელო დავით | შენი და შენის ბიძაშვილის ფარსადანის სახლ-კარი, მამულები, თეიმურაზს სკჳერია, ცოტა რამ თეთრიც მოუცია. ის გლეხები დაუყიდა, ამდენი ხანი უჭამია. ის თეთრი ორ სამ იმდენათ შექმნილა. არას გემართლება. სადაც შენი მამული იყოს. ყველა შენთვის გვიბოძებია. მ ი რ ს ა და ს ა ლ ი ა ნ ს ა ც, რაც შემოგხუდებოდეს, შენ გამოიღებდე, მაჩაბელს ხელი აღარ აქვს. ამილახვარო ბატონო გიო, ქრცხინვალის მოხელეებო, ეს მამულები, რაც ამათი სამკვიდრო იყოს, დააქერინე, ნურავის შეაცილებთ“¹⁴.

1734 წლით დათარიღებული მირის მიზარების ბარათში ვკითხულობთ: „მამებარა მე, სეით უსეინას წრევენდელი მირისა, მუხრან-ბატონს ორმოცი

¹¹ ს. ჭ ი ქ ი ა, მაწევანი და ატენი თურქულ საბუთებში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, II, თბ., 1972, გვ. 210.

¹² ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVIII ს. II მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, გვ. 311—312.

¹³ იქვე, გვ. 312.

¹⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 201.

თუმანი ეწერა, იმის ანგარიშში ქვეთარაძე დავითისგან, სტეფანაშვილი ბერი-საგან, გოგიასშვილი ტეტეისგან ხუთი თუმანი“¹⁵.

ამავე წლის საბუთში ნათქვამია: „ჩვენო დიღო იმედო თუმანისშვილებო წრეგანდელის თქვენის მირის ანგარიშიდამ, შვიდი თუმანი ამ ალასი უზბაშის თაბუნს მიეცათ. ანგარიშში გვაეტარებთ“¹⁶.

ქართულ დოკუმენტურ მასალებში მირის შესახებ გვხვდება მთელი რიგი საგადასახადო ნუსხები, სადაც აღბეჭდილია თითოეული მამულისათვის განკუთვნილი მირის გამოსაღების რაოდენობა¹⁷. შიდა ქართლთან ერთად მირის გადასახადით დაბეგრილი რომ იყო საყაფლანიშვილოც, ამას მოწმობს „ყაფლანიშვილების სამირო სოფლების ნუსხა“, რომლის მიხედვითაც 79-მდე სოცველია მირით დაბეგრილი და იხდის 1293 ყურუმს¹⁸.

საინტერესო ცნობებია დატული ქართლში ოსმალობის დროინდელი მირის გადასახადის შესახებ საამ და სხვა მაღალაშვილების მიერ სახლთუხუცეს ამილბარ მაღალაძისადმი მიცემულ პირობის წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ „ესე წიგნი დავდევიტ და მოგეციტ ჩვენ, მაღალაშვილებმა საამ, ერასტიმ, სააკამა და მამუკამა და გიორგის ობოლმა, ფირანის ობოლმა ბარამ და იასეს შვილმა უსუფამ თქვენ, სახლთუხუცეს ამილბარს და მდივანს სოლომონს; ასრე, ნიაბი და ჩოჩეთი დავთარდრისაგან თქვენ აველოთ და რვის თუმნისა და თორმეტის ყურუმის თამასუჭი მიგეცათ. ახლა ჩვენც ეს პირობა და წიგნი მოგეციტ, რომე რაც ნიაბთა და ჩოჩეთს ყმა იყოს, იმათი სპენჯი, ღალა, კულუხი, საბალახე, საქერიო, თავის გასამტეხლო, თუ რაც ჯარიმა იყოს ან გამოსავალი, ყუალა აიღევიტ და თუ ამით გარდასწყდა მირის თეთრი, ხომე კარგი არის და თუ არ აუხდეს და ვის როგორი მამული და ზეარი და ხოდაბუნი გეჭონდეს, ისე გამოვილოთ და ეს მირის თეთრი ავაყენოთ და, თუ მორჩეს რამე და სასწოროოდ გავიყოთ“¹⁹.

ზემოთმოტანილ საბუთში, როგორც ვნახეთ, ქართული გადასახადების — ღალას, კულუხის, საბალახოს და სხვათა გვერდით, დასახელებულია ოსმალური გადასახადი მირი, სპენჯი. ამ და ამის მსგავსი სხვა ცნობებიდან, რომელიც არცთუ ისე ცოტაა ქართულ დოკუმენტურ მასალებში, ნათლად ჩანს, თუ როგორ იბეგრებოდა ქართველი გლეხი როგორც „საკუთარი“ ბატონის, ისე უცხო დამპყრობლის გადასახადებებითაც. ნათლად ჩანს, თუ როგორ ხდებოდა ქართველი გლეხი ორმაგი ექსპლუატაციის მსხვერპლი. ეს კი უკიდურესად ამძიმებდა მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობას. ქართული გადასახადები შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში²⁰.

¹⁵ საქართველოს სიძველენი, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, თბ., 1910, გვ. 445.

¹⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Qd — № 7655, იხ. აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Hd № 4180.

¹⁷ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), მასალები შერჩეა და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 37—42.

¹⁸ გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 128.

¹⁹ დოკუმენტები..., I, გვ. 223—229.

²⁰ ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში XVIII ს. დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1952, გვ. 337—379. იხ. აგრეთვე, ნ. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები XV III ს-ში (1701—1761 წ.), თსუ შრომები, გვ. 55, 1954, ტ. 63, 1956.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ქართულ საბუთებში დამოწმებული „სპენჯი“, რაც იმასვე ნიშნავს, რასაც ცნობილი ოსმალური გადასახადი „ისფენჯი“. ასე მაგალითად, 1733 წ. ქაიხოსრო ორბელიანის პირობის წიგნში დასახელებულია ოსმალური გადასახადები სპენჯი, სალიანი, ბაპრა, ხარაჯა.

„ქ. ესე წიგნი მოგვეც მე, ქაიხოსრომ თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს ელისბარს და ვახტანგს, ასე რომე ქარატაკს თქვენი მეხრე ტუსიაშვილი რომ არის, ხარაჯას ვარდა, არც ვთხოო სალიანი, არც ბარა, არც სპენჯი, ერთის ხარაჯის მეტი იმას არა გამოსაღები არა ეთხოვბოდეს, თქვენ იმსახურეთ“²¹.

1732 წ. საბუთში ვკითხულობთ: „ქ. მამებარა მე იბრეიმ ბაირადლარს ასანას ძმებისა ისფენჯი თამამათ“²².

1728 წ. „ავიღევით ჩვენ დავითაშვილებმა ამილახორის ბატონის გივისგან ოცდაათი თუმანი თეთრი. ამის გირაოდ ჩემი წილი ზვარი და ხოდაბუნი და რაც ჩემი წილი ყმა არის... თქვენის თეთრის სარგებელში ჭამეთ და მოიხმარეთ. ამ წესითა სახასოს კაცს კულუხი გამოართვით და რაც ბეგარა ესევას თავისი ბეგარა პური თუ საკლავი ის უნდა მოგართვან, სპენჯი უნდა მოგართვან, შეძლებულობაზე იმსახურებდეთ...“²³

აქ დასახელებული სპენჯი, ბაპრა დამოწმებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“²⁴. „დავთრის“ მიხედვით არამუსლიმანი, ამ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობა, ცხდიდა კომლობრივ გადასახადს, ე. წ. „ისფენჯს“ 25 ახჩას რაოდენობით, იმ დროს, როდესაც მუსლიმან მოსახლეობაზე შეწერილი გადასახადი, ე. წ. „ბენაქი“ მხოლოდ 18—22 ახჩას უდრიდა. „დავთრის“ სხვადასხვა ადგილას მუსლიმანის ყოველ სახელს გაკეთებული ჰქონდა სპეციალური ნიშანი, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ეს პირი მუსლიმანი იყო და ამიტომ საგადასახადო შეღავათით სარგებლობდა²⁵. „ისფენჯის“ გადასახადისაგან მუსლიმანიც არ თავისუფლდებოდა. „ისფენჯის“ გადასახადი იმ დროის მიხედვით მძიმე ტვირთს წარმოადგენდა განსაკუთრებით იმ მოსახლეობისათვის, რომელიც თავდადებულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად და გადარტყეხული იყო მომთაბარეთა ურდოების ხანგრძლივი თავდასხმებით²⁶.

„გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში“ ისფენჯის გადასახადის შესახებ ნათქვამია: „ვინაიდან გურჯისტანის ვილაიეთი ქვიანი ადგილია და მიწა (იქ) მცირეა, ამიტომ, ძველი დავთრის თანახმად, თითოეულ კაცზე იმ ადგილებითურთ, რომელსაც ის ძველი დროიდანვე ჰფლობს, დაწესებულ იქნა გამოსაღები ისფენჯი ოცდახუთ-ოცდახუთი ახჩა. (ამ ისფენჯის) გადახდის შემდეგ მათი მიწებიდან ჩიფთის გამოსაღები, სანახევრო გამოსაღები და დანუმიის გამოსაღები არ აიღება“²⁷.

²¹ საქართველოს სიძველენი, II, გვ. 369.

²² ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Sd—N 1984.

²³ იქვე, ფ. Hd — N 11242.

²⁴ ისფენჯი და სხვა ოსმალური გადასახადები შესწავლილი აქვს ნ. შენგელიას (ნ. შენგელიას ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი“ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ. 277—304).

²⁵ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 227, 262, 274, 358, 365.

²⁶ ს. ჯიქია, თურქების მიერ შიტაცებული ქართველთა მკვიდრი მიწა-წყლის შესახებ, ვახ. „კომუნისტი“, 29. 1, 1946.

²⁷ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 1.

მაშასადამე, სამხრ. საქართველოში ჩიფთის, სანახევროსა და დანუმის გამოსაღებთა სანაცვლო ყოფილა სწორედ ისფენჯის გადასახადი. თუ არამუსლიმანი რეია იხდიდა ისფენჯს, ის თავისუფალი უნდა ყოფილიყო ჩიფთის, სანახევროსა და დანუმის გადასახადებისაგან. ოსმალეთის კანუნ-ნამეებში ხაზგასმულია, რომ ხარაჯა მუვაზაფს — ისფენჯის უწოდებენ²⁸. ოსმალეთის იმპერიის განაპირა პროვინციის ერთ-ერთ კანუნ-ნამეში ნათქვამია, რომ ისფენჯი დადებულია ყოველ მოხარაჯეზე²⁹.

ოსმალური კანუნ-ნამედან აშკარად ჩანს, რომ ისფენჯის გადასახადი გადახდებოდა იმპერიის ქრისტიან მოსახლეობას ყოველწლიურად 25—25 ახჩის ოდენობით. ამავე გადასახადს სხვადასხვა რაოდენობით 6-დან 22 ახჩამდე იხდიდა მუსლიმანი რეია. მუსლიმანი მიწისმფლობელის გადასახადს „რესმი ჩიფთ“, „რესმი ბენაქ“, „რესმი ჯაბა-ბენაქ“, „რუსმი დანუმი“ ეწოდებოდა, ხოლო ქრისტიანის მიწაზე დაწესებულ გადასახადს „ისფენჯი“ ეწოდებოდა³⁰. ქრისტიანი მოსახლეობა რომ ოსმალეთის იმპერიაში უფრო მეტი და მძიმე გადასახადებით იბეგრებოდა, ვიდრე მუსლიმანი, ეს აშკარად ჩანს ისფენჯის გადასახადიდანაც. ისფენჯის მაგალითზე აშკარაა ოსმალთა ხელისუფალთა საგადასახადო პოლიტიკა დაპყრობილი ქრისტიანული მოსახლეობის მიმართ. ოსმალური საგადასახადო სისტემა, როცა მას საქმე ჰქონდა ქრისტიან მიწისმფლობელთან, მხედველობაში არ იღებდა არც მიწის ნაკვეთის სიდიდეს და არც მიწის ნაყოფიერებას, მაშინ როდესაც მუსლიმან მიწისმფლობელებზე დაწესებული ბენაქის გადასახადი ითვალისწინებდა როგორც ერთს, ისე მეორესაც³¹. „ისფენჯის“ გადამხდელ ქრისტიან მოსახლეობაზე არ ვრცელდებოდა შეღავათები. ისფენჯის და სალიანის გადახდა, „ჩვეულებრივ ევალებოდა ოსმალეთის ქრისტიანულ მოსახლეობას ანდა გაწერილი იყო ისეთ სამფლობელოებზე, რომლებიც ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობით სარგებლობდნენ. ასეთი სამფლობელოს მთელი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ აქ არ არსებობდა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ყველაზე დამახასიათებელი მხარე — სანჯაყების სისტემა“³². ამრიგად, ისფენჯის და სალიანის შესწავლას მნიშვნელობა აქვს თვითონ „ოსმალეთის“ ნამდვილი ბუნებისა და ხასიათის გამოსარკვევად 1724—35 წწ. საქართველოში³³.

თვით ოსმალეთში რეია იხდიდა ბენაქს, მუჯერრედის და ჩიფთ ახჩეს. „ბენაქი დაქორწინებულ მუსლიმანზე იყო დაწესებული, მუჯერრედი დაქორწინებულზე, ჩიფთ ახჩესი კი მეურნეობის მწარმოებელზე დაწესებულ გამოსაღებს ნიშნავდა“³⁴.

²⁸ Milli Tetebbüler mecmuasi, I, სტამბოლი, 1913, გვ. 109.

²⁹ O. L. Barkan, XV—XVI Asirlarda Osmanlı İmparatorlugunda zirai ekonomimin hukuki ve mali esasları, Birinci cilt, İslambül, 1943, გვ. 174.

³⁰ ნ. შ. ე. გ. ე. ლ. ი., გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს. ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნ. II, თბ., 1962, გვ. 131.

³¹ იქვე.

³² ვ. გაბაშვილი, XVIII ს. II მეოთხედის ქართული დოკ. მასალები, გვ. 313.

³³ იქვე.

³⁴ იქვე.

ქართულ დოკუმენტურ საბუთში მოხსენიებული ხარაჯა, ისფენჯი, ბეჭრე ოსმალებს ჯერ კიდევ XVI ს. მეორე ნახევრიდან აქვთ დაწესებული ქართულ ტერიტორიებზე, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოში. იგი კანუნ-ნამეთიცი არის რეგლამენტაციამნილი. ოსმალური კანონმდებლობით მიწის მფლობელობის ერთ-ერთი პირობაა „ბეჭრესა და გამოსაღების გადახდა“³⁵. „გურჯისტანის კანუნ-ნამეს“ მიხედვით, „თუ ვინმე გარეშე რეაიათი მოვა და თათუს საფუძველზე სიფაპის მიწებს დახნავს და დათესავს, მაშინ დაწესებული ბეჭრეს გადასახადის შემდეგ აიღება ორი დონუმი უკეთესი ადგილიდან ერთი ახჩა“³⁶. ამავე კანუნ-ნამეს მესამე თავში ბეჭრეს შესახებ ნათქვამია: „ბეჭრეს აღება ვენახებიდან და ბაღებიდან იმ სახით, როგორც ეს ჩაწერილია, შეესაბამება კანონს“³⁷. ბეჭრეს გადასახადი „დავთრის“ თითქმის ყოველ გვერდზეა აღნიშნული. „დავთრიდან“ ჩანს, რომ ბეჭრე ნატურალური გადასახადია. იგი შეიძლება ფულადაც გადახდილიყო. „დავთარში“ ვკითხულობთ: „შემოღებული საბოსტნე, ხეები და საბოსტნე მიწა მეპმედ ჩავუშის ხელში (მყოფი), ან სამეფო კარის ჩავუშის მუსას მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით ბეჭრეს ნაცვლად წელიწადში 10 ახჩას გაიღებს“³⁸.

როგორც ცნობილია, ხარაჯა ოსმალებში ორი სახისა იყო: ხარაჯა მუკასემე და ხარაჯა მუეჯაფთ. ერთი გულისხმობდა პროდუქტების გაღებას მიწის ნაკვეთის ფართობის მიხედვით და მეორე შემთხვევაში კი პროდუქტული გადასახადის სიდიდე დამოკიდებული იყო მოწეული ქირანახულის რაოდენობაზე. ბეჭრე სწორედ მოსავლის საერთო რაოდენობის მიხედვით დაწესებულ გამოსაღებს განეკუთვნებოდა. ბეჭრეს შესახებ უამრავი ცნობებია მოყვანილი „დავთარში“. იქ ნათქვამია: „მიწა დედისიმედისა, ყანა 6 ნაკვეთი და ჩაირი 1 ნაკვეთი. აწ ზენდან აღარბის მეპმედის მფლობელობაში (მყოფი) სასამართლოს განაჩენის თანახმად იძლევა ბეჭრეს და გამოსაღებს“³⁹.

„დავთარსა“ და XVIII ს. ქართულ დოკუმენტებში დამოწმებული ბაჰრა პროდუქტული გადასახადია და იგი შინაარსობრივად არაფრით არ განსხვავდება ყიზილბაშური მალუჯათისგან. შინაარსი ამ გადასახადებისა უცვლელი რჩება. ბეჭრეს სინონიმად იხმარებოდა აგრეთვე „ხარაჯაც“. ხარაჯაც მიწის-მფლობელობის აღმოსავლურ ფორმასთან იყო დაკავშირებული და სწორედ ოსმალობის დროინდელ ქართულ საბუთებში იხსენიება.

XVIII ს. II მეოთხედის ქართულ დოკუმენტებში დატულია ცნობები უშრის გადასახადის შესახებაც. იგი ფართოდ გავრცელებული გადასახადია მთელი ოსმალეთის იმპერიაში. მუსლიმანური კანონმდებლობით ამ გადასახადს „უშრის“ სახელწოდებით მხოლოდ მუსლიმანი იხდიდა. იგივე გადასახადი იმავე ოდენობით უნდა გადაეხადა ქრისტიანსაც, მაგრამ მას სხვა სახელი ერქვა. „კანუნ-ნამეს“ მიხედვით „ხარაჯა მუკასემე მოსავლიდან აღებული უშრია“, მხოლოდ ქრისტიანებზე დაწესებული⁴⁰. ჩანს, რომ მუსულმანებზე დაწესებული გადასახადი „უშრი“ ქრისტიანებს „ხარაჯა მუკასემეს“ სახით გადახდებოდა.

³⁵ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, I, გვ. 1.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე, გვ. 2.

³⁸ იქვე, გვ. 36.

³⁹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 44.

⁴⁰ Uzunçarsili — Kanunı Osmanı Mefhumı defteri Hakani, Bir kaçsöz, Belleten, 1951, cilt XV, sayı 59, გვ. 384.

ოსმალურ კანუნ-ნამეებში მითითებულია, რომ „ხორბლეულისა და სხვა პროდუქტებისაგან ორი სახის უშირი აიღება: ერთს უშირი დივანიეს ეძახიან და სიფაჰები იღებენ, მეორეს — უშირი მალიქანეს და მიწის პატრონები და ვაკუუმები იღებენ“⁴¹. მამასაღამე, უშირის ერთ სახეობას ეწოდებოდა უშირი დივანიე, რომელსაც თიმარისა და ზეამეთების მფლობელები იღებდნენ, და მეორე სახეობას ეწოდებოდა უშირი მალიქანე, რომლის აკრეფის უფლება ჰქონდათ მიწის კერძო მესაკუთრეებსა და საგაკუფო მიწების პატრონებს.

უშირი მიწის ყოველგვარი მოსავლის მეათედის გადახდას გულისხმობდა. ამიტომ ოსმალურ წყაროებში იგი ზოგჯერ ონდალიკის (მეათედის) სახითაც გვხვდება. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში იგი ონდალუხის სახითაა წარმოდგენილი. ო. ბარკანის მიერ გამოცემული ოსმალური კანუნ-ნამეების ანალიზიდან აშკარად ჩანს, თუ როგორი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო უშირი და რა მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მას ოსმალურ საგადასახადო სისტემაში⁴². მართალია, უშირი ოსმალური კანონმდებლობის მეათედის ოდენობით იკრიფებოდა, მაგრამ რეალურად იგი უმეტეს შემთხვევაში მოსავლის ნახევარს შეადგენდა. უშირი ძირითადად ნატურის სახით გაიღებოდა, მაგრამ არ იყო გამორიცხული იგი ფულადი სახითაც გადაეხადათ. წყაროებში არაერთგზისაა მითითებული, რომ „ხორბლიდან — ხორბალი და ქერიდან ქერი აიღება“⁴³.

უშირი საუკუნეების მანძილზე მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელ საზოგადოებას და მისი გაუქმება მხოლოდ XX ს. 20-იან წლებში გახდა შესაძლებელი. უშირი, ისე როგორც სხვა გადასახადები ოსმალეთში ილთიზამის წესით იკრიფებოდა: ცალკეული პირები სახელმწიფოსაგან ყიდულობდნენ უშირის აკრეფის უფლებას მთელ ვილაიეთზე. შემდეგ ამ უფლებას თვითონ ყიდდნენ გაცილებით ზედმეტ ფასებში სანჯაყებისა და ნაჰიეების მიხედვით⁴⁴. უშირის შესყიდვა უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა შემოდგომაზე ან გაზაფხულზე. უშირის აკრეფის უფლების ამგვარი გაცემა ფეოდალ-სიფაჰიების მდგომარეობით, კერძოდ, მათი განუწყვეტლივ ლაშქრობებში ყოფნით იყო გამოწვეული. უშირს რეალურად ზოგჯერ განმეორებითაც ახდევინებდნენ, რის შესახებაც მიუთითებს არზრუმის ვილაიეთის კანონთა კრებული⁴⁵. ყველა კანუნ-ნამეში, სადაც კი ლაპარაკია უშირის შესახებ, საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ რეალურად ვალდებულია მასზე მიწერილი უშირი თავის სიფაჰის თვითონვე მიუტანოს და დაუბინაოს⁴⁶.

„დავთარში“ არაერთი სახის გადასახადია დასახელებული, რომელიც უშირის სახელწოდებით აიღებოდა. გურჯისტანის ვილაიეთზე გაწერილი უშირი გულისხმობდა მოსავლის ერთ მეათედს. დავთარში ნათქვამია: „მიწა სამამულე უნდს ფეჰლივანის ძის, ჰუსეინ აბიდანის ძისა და მუსტაფა აბიდანის ძის

⁴¹ ნ. შენგელია, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს. ოსმალეთში, გვ. 124 (იგი მიუთითებს O. Barkan-ის დასახელებულ ნაშრომსაც).

⁴² ნ. შენგელია, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს. ოსმალეთში, გვ. 124.

⁴³ O. L. Barkan, დასახ. ნაშრ., გვ. 131; ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., თსუ შრ., 91, გვ. 279.

⁴⁴ ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 239.

⁴⁵ O. Barkan, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

⁴⁶ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, თურქული ტექსტი, გვ. 1, ქართული თარგმანი, წ. II, გვ. 2.

ნფლობელობაში (მყოფი), აწ უსუფის ძმის ისმაილის მფლობელობაშია, თანახმად ძველი დავთრისა იძლევა უშურს⁴⁷.

როგორც კანუნ-ნამეებიდან ჩანს, უშურის აღება ლეწვის დროს ხდებოდა და მისი რაოდენობაც მაშინ დგინდებოდა: „რეიას მოსავალზე უშურის აღება უნდა ხდებოდეს ლეწვის დროს. იმწამსვე, დაუყოვნებლივ უნდა გამოირჩეოს დამთავრებული კალო“⁴⁸.

XVIII ს. II მეოთხედში ქართლში ოსმალობის დროს მთელი მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტები აღწერილ იქნა ოსმალთა ხელისუფალთა მიერ და დაბეგრულ იქნა უშურის გადასახადით. იგი გაწერილი იყო დაპყრობილი ქრისტიანული მოსახლეობის სოფლის მეურნეობის ყველა სახეობაზე⁴⁹. ოსმალთა დროინდელ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „ბატონის ალავერდი-მირზისა და ვეჭილის ალიყული-ბეგის დიდად იმედათ მოსაჩენელო მდივანო გორჯასპი და ერთობით თუმანიანო | თქვენი მამულის მირი ოცი თუმანია, ონდალუხი ორი თუმანი, ეს თეთრი გარიგეთ. თუ გინდათ სურსათი ჩამოიტანეთ გორს“⁵⁰.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ონდალუხის გადახდა შეიძლება როგორც ფულადი სახით, ასევე ნატურითაც.

ქართულ დოკუმენტურ მასალებში გვხვდება ისეთი გადასახადები, რომლებიც არაა დამოწმებული „დავთარში“. ერთ-ერთი ასეთთაგანია „სალიანი“, რომელიც წლიურ გადასახადს ნიშნავდა. მოვიტანთ ერთ საბუთს, 1724—35 წწ. დათარიღებულს: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ჭავახისშვილო როინ! მანდ ნიკოლოზ რომ ატენის ომში მოკლეს, მისი მამულის ვარდა რაც მანდ მამული, სახლა, გლეხი გასყიდულა, რატიშვილი რომ იმერეთს არის, ხუთი სახლი და კიდევ მისი ძმა რომ ვახტანგს გაჰყოლია, ოთხი სახლი და კიდევ ამირბარს უყიდია ხუთი კვანბლი კაცი, ერთიც შენი ძმას რომ გაუყიდია, ეს თხუთმეტი კონბლი კაცისათვის ჩვენთვის ხელი აუმართე და ხარჯში და სალიანში როგორც უწინვე ყოფილა, ეგრევე საჭავახიანთ მამულში გაურთე. შენ გებარებოდეს და მათი ახლანდელი პატრონები, თეთრი ვისთვისაც მიუციათ, იმასვე გამაართვან და ჩვენგან დიდისა და მრავალის წყალობის მოიმედე იყავით“⁵¹.

კოჩიბეი გორიჯელის მეორე რისალეში. რომელიც XVII ს-ის 40-იანი წლების ოსმალეთის იმპერიის მდგომარეობას ასახავს, სალიანი წლიურ გადასახადად არის მოხსენიებული.

ოსმალეთის ხელისუფლება იმპერიის ყველა ვილაიეთში არ აწესებდა სალიანის გადასახადს. სალიანის დაწესება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ დამოკიდებულების როგორი პოლიტიკური ფორმა არსებობდა ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ცალკეულ ვილაიეთს შორის. ოსმალეთის შიდა პროვინციები, სადაც იმთავითვე არსებობდა ოსმალური სოციალ-პოლიტიკური სისტემა, დამკვიდრებული იყო თიმარებისა და ზიამეთების ინსტიტუტები და ქვეყანა მთლიანად ოსმალურ ყაიდაზე იყო ორგანიზებული, სალიანის გადასა-

⁴⁷ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, თურქული ტექსტო, გვ. 425, წ. II, ქართ. ტექსტი, გვ. 423; იხ. აგრეთვე გვ. 48, 188, 317, 321, 403, 424, 410, 444, 447, 499.

⁴⁸ იქვე, წ. I, გვ. 1, წ. II, გვ. 2.

⁴⁹ ნ. შ. ე. ნ. გ. ე. ლ. ი. ა, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს. ოსმალეთში, გვ. 125.

⁵⁰ საქ. სიძველენი, ტ. III, გვ. 448.

⁵¹ დოკუმენტები..., ტ. I, გვ. 207, იხ. აგრეთვე, საქ. სიძველენი, II, გვ. 369.

ხადს არ იხდიდნენ. ასეთ პროვინციებს არასალიანელ ეიალეთებს ანუ სალიანეს არმქონე ეიალეთებს უწოდებდნენ. აინი ალის დავთრის მიხედვით, XVII ს-ის დამდევისათვის მთელი ოსმალეთის იმპერიის 32 ეიალეთიდან 23 სალიანის არმქონე ეიალეთი იყო⁵².

მეორე საღის ეიალეთებს სალიანის მქონე ეიალეთები ეწოდებოდა. ასეთი ტიპის ეიალეთებში ოსმალური თიშარებისა და ზიამეთების სისტემა არ იყო დამკვიდრებული. ესენი ერთგვარი ნახევრად დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ და ხარკის სახით ყოველწლიური შემოსავლის ნაწილს უხდიდნენ ხაზინას. ასეთი ეიალეთების განმგებლები დამოუკიდებლად მართავდნენ ქვეყანას, თვითონ კრეფდნენ გადასახადებს, ხოლო გადასახადებს გარკვეულ ნაწილს ყოველწლიურად გზავნიდნენ ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინაში. ამიტომ ასეთ ეიალეთებს „სალიანელი“ ეწოდებოდა, რაც ყოველწლიურს ნიშნავს. „სალიანი“ ფაქტიურად ხარკს წარმოადგენდა⁵³.

სალიანის მქონე ეიალეთებში ადგილობრივი სოციალ-პოლიტიკური სისტემა ძირითადად ხელუხლებელი რჩებოდა. მაგრამ აქ ეიალეთის განმგებლობის უფლება ოფიციალურად ოსმალ სულთნისაგან უნდა მიეღოთ. სალიანის მქონე ეიალეთები რეალურად ნახევრად დამოუკიდებელნი იყვნენ. სალიანის მქონე ეიალეთებად გამოცხადებული იყო ძირითადად ის ქვეყნები, სადაც ოსმალთა ხელისუფლებას სუსტად ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ადგილობრივი ხელისუფლება მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობდა. სალიანის მქონე ეიალეთები ძირითადად იმპერიის განაპირა ტერიტორიებზე მდებარეობდა. ასეთი ეიალეთების განმგებელთ ვეალებოდათ ხარკის სახით ადგილობრივი მოსახლეობისაგან აეკრიფათ გარკვეული კატეგორიების ოსმალური გადასახადები და ოსმალეთის იმპერიის ხაზინაში გაეგზავნათ. ამ გადასახადების აკრეფა და ოსმალთა ხელისუფლებისათვის ჩაბარება იყო სწორედ პოლიტიკური დამოკიდებულების ყველაზე მსუბუქი ფორმა. სწორედ ასეთი სალიანის მქონე პროვინციას წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიისათვის ქართლი XVIII ს-ის II მეოთხედში.

„სალიანის“ არსებობა „ოსმალობის“ დროინდელ აღმ. საქართველოში მოწმობს, რომ „ოსმალთა“ ამ დროს სრულიადაც არ ვრცელდებოდა საზოგადოებრივ წყობილებისა და აგრარული ურთიერთობის ყველა სფეროზე... „სალიანი“, უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა იმით, რომ სწორედ ეს გადასახადი ასახავდა ოსმალეთზე დამოკიდებული ქვეყნის თავისებურებებს. ამ მხრივ საგულისხმო ფაქტია, ამ გადასახადის არ არსებობა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ეს კი აიხსნება იმით, რომ ოსმალებს სამცხე-საათაბაგო არ მიაჩნდათ „სალიანელ“ ქვეყნად და ყოველწლიურად ცდილობდნენ აქ ადგილობრივი წესების გაუქმებას, მათს ადგილზე კი ოსმალური ფეოდალური წყობილების და პოლიტიკური ორგანიზაციის (საფაშოს) შემოღებას⁵⁴.

„ოსმალობის“ დროს აღმ. საქართველო განიხილებოდა, როგორც „სალიანელი“ ქვეყანა, განსხვავებით სამცხე-საათაბაგოსაგან. სამცხე-საათაბაგოში

⁵² M. B e l i n, Türkiye İktisadî Tarihi Hakkında Tetkikler, Türkçeye çeviren zıya, İstanbul, 1931, გვ. 239.

⁵³ მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგეობა XVI საუკუნეში, „მახლ. აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1953, გვ. 93.

⁵⁴ ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVIII ს. II მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, გვ. 315—316.

გაოსმალების პროცესს ხანგრძლივი დრო დასჭირდა. აქ წარმოიქმნა ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშო, საფაშოსთვის აუცილებელი იყო სანჯაყების არსებობა, რაც მოხდებოდა ადგილობრივი მიწისმფლობელობის ფორმების გაუქმების შედეგად. აქ ოჯაკლიკების და იურტლუკების გვერდით თიმარებიც და ზეამეთებიც გაჩნდა. ხოლო აღმ. საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ფეოდალური სისტემა, ადგილობრივი მიწისმფლობელობა ხელუხლებელი დარჩა. აქ შემოდებულ იქნა მხოლოდ ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა. „ქართლის ადმინისტრაციული დაყოფის მთავარ ნიშნად აღებული იყო სათავადოების პოლიტიკური საზღვრები, რაც ცხადია, სათავადოს ოსმალურ სანჯაყად ვერ გადააქცევდა. ამიტომ ადრეულ ხანაში არ შეიძლებოდა შექმნილიყო არც ოსმალური საფაშო, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა აღწერილი იყო ოსმალ მოხელეების მიერ“⁵⁵.

1738 წ. საბუთში ვკითხულობთ: „მოვიდა თუმანიანთ სურსათის სალიანი რუისიდამ, ახალდაბიდამ და გარეჯვირდამ პური, ლიტრა ორასი“⁵⁶. სალიანი მოხსენიებულია ამ პერიოდის სხვა საბუთებშიც⁵⁷.

ზემოთმოტანილ საბუთებში დასახელებული სალიანი შესაძლებლობას იძლევა ღვადადინოთ ოსმალური გადასახადების შემოღების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური პირობები ერთი მხრივ, და ავხსნათ სალიანის მოუხსენებლობის მიზეზი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, მეორე მხრივ.

XVIII ს. ოსმალობის დროინდელ საბუთებში მირთან, ისფენჯისთან, ბეჰრესა და სალიანთან ერთად მოხსენიებულია სხვა ოსმალური და ქართული ფეოდალური გადასახადები. მოხსენიებულია სურსათი, სამასპინძლო და სხვ. ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია: „ქ. ჩვენ, დავით და ოთარმა და იორამ ანგარიში გავსწმინდეთ წლევანდელის მირის სურსათისა და ბრინჯის თეთრისა და თუ რამე სხვა დანახარჯი იყოს, ამაების ანგარიში გავსწმინდეთ. დღეს აქამდის რაც ერთმანეთში ზარალი მოგვივიდა თუ სარგებელი, ყველა ჩავაროინეთ, ყველამ გაიარა. აღარც მირი, არც სურსათი, არც ბრინჯის ფასი, არც სამასპინძლო, აღარა დარჩომილა რა, დღეს იქით რაც სამსახური მოვიდეს, ჩვენ ჩვენი მამულის ზიანი და სარგებელი გავსწიოთ, თუ ერთმანეთის მოიტაცონ რამე, პასუხი გავცეთ. არის ამისი მოწამე ეშიკ ალას აბაში სულხან“⁵⁸.

ამ საბუთში დამოწმებული სურსათი ოსმალური სახის გადასახადია, მაგრამ XVIII ს. II ნახევარში იგი ქართულ ფეოდალურ გადასახადად იქცა. ეს ფეოდალური გადასახადი ლაშქრის სურსათ-სანოვაგით (ფურაყით) მომარაგებისათვის იყო დაწესებული. სურსათი პროდუქტებისაგან აღებული გადასახადი იყო⁵⁹. სურსათის გადასახადი მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელ საზოგადოებას. განსაკუთრებით უჭირდა მოსახლეობას მისი გადახდა მოუსავლიანობისა და გვალვის დროს. XVIII საუკუნემდე „სურსათის“ მაგივრად იხმარებოდა „ულუფა“. „ულუფა“ მონღოლთა ბატონობის დროს იყო შემოდებული საქართველოში. მაგრამ XV—XVIII სს-ში იგი ქართულ სამეფო და ფეოდალურ გადასახადთა რიგში მოექცა. ძველი მნიშვნელობა კი სათათრო ულუფამ შეი-

⁵⁵ ე. გაბაშელი, XVIII ს. II მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, გვ. 316.

⁵⁶ საქ. სიძველენი, III, გვ. 448.

⁵⁷ იქვე, გვ. 369; დოკუმენტები..., I, გვ. 201 და სხვ.

⁵⁸ დოკუმენტები..., I, გვ. 259.

⁵⁹ M. Belin, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

ნარჩუნა. „სათათრო ულუფა“, უეჭველია, დამპყრობელი ქვეყნის ლაშქრის დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით კი მეციხოვნე ჯარის შესანახად გროვდებოდა“⁶⁰. ლაშქრობასთან დაკავშირებით „დასტურლამალი“ ცალკე იხსენიებს ულუფას გადასახადს და ახდენს მის რეგლამენტაციას: „ქსნის ხეველთ აქუს ულუფა, როდესაც ბატონი სალაშქროდ წაბრძანდება კვირაში ხარი — ა, ცხუარი — ბ, მარილი ლიტრი — ა, ღვინო საპალნე — ბ, ფქვილი საპალნე — ბ; ასევე არაგვის ერისთვის კაცებსა აქუსთ. აგრეთვე ავალისშვილის კაცებს აქუსთ“⁶¹.

აი, რას ვკითხულობთ კოჩიბეი გორიჯელის მეორე რისალეში სურსათის გადასახადის შესახებ: „ეს გადასახადი (სურსათი) გაიწერება რეაიაზე ომის დროს. სურსათი გაიღება ქერის, ხორბლის, ფქვილის, შემის სახით იმ ზომით, რა ზომითაცაა იგი განსაზღვრული, და რაიას თვითონ მიაქვს იგი დანიშნულ ადგილზე. სანამ არ იქნება შეკრებილი საჭირო რაოდენობა, აკრეფა იწარმოებს დღე და დამე... თუ ომი არ არის, რაიასგან სურსათის გადახდევინება არ შეიძლება“⁶².

კოჩიბეი გორიჯელის მიხედვით სურსათი ლაშქრობასთან დაკავშირებული გადასახადია, ქართულ საბუთებში მოხსენიებული სურსათი ოსმალთა-ყიზილბაშობის დროს განეკუთვნება და იგი დამპყრობლის შესანახად უნდა ყოფილიყო. 1737 წ. დათარიღებულ მიბარების წერილში სურსათის შესახებ ნათქვამია: „მამებარა მე ზაზა და ასან ალი-ბეგს უზბაშს სურსათის რვა ხარვირი თამამათ, მარიამობის რვას. შვიდის ხარვირის ყაბზის სეფხანის სურსათისა“⁶³. სხვა საბუთებშიცაა დაცული ცნობები სურსათის შესახებ⁶⁴. საბუთებიდან ჩანს, რომ ქართველი გლეხობა სურსათს სხვა ოსმალურ გადასახადებთან ერთად იხდიდა. ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია: „ჩვენ ჩვენი სოფლის მირიც მიგვიცია და სუსატიცა“⁶⁵.

გარკვეული კონკრეტული საჭიროებისათვის იყო შემოღებული „ნუზ-ლის“ გადასახადი. იგი გაიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულადი სახითაც. ეს გადასახადი ოსმალეთის ხელისუფლების მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე იყო გაწერილი და მისი რაოდენობა ქვეყნის სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისთან ერთად, სხვა გადასახადების მსგავსად, იზრდებოდა. იგი „სურსათის“ მსგავსი გადასახადი იყო. „ნუზლთან“ ერთად წყაროებში გვხვდება „ზაპირეს“ გადასახადი, რომელიც თურქულად ნიშნავს პროვიანტს, სურსათს, სანოვაგეს, ხორავს. მას ოსმალეთში ზოგჯერ ეწოდებოდა „ნუზულ ზაპირესი“. ეს გადასახადი გადახდებოდა იმ ადგილის მოსახლეობას, სადაც გაჩერება მოუხდებოდა ლაშქარს. მოსახლეობა ვალდებული იყო ლაშქარი მოემარაგებინა და უზრუნველყო პროვიანტით, სანამ ის ამ ადგილებში იდგა. გაიწერება კიდევ გადასახადი, რომელსაც ეწოდება ნუზული ზაპირესი — 5 ჭილა ქერის ოდენობით, 1 ჭილა ფქვილი — ყოველი სახლიდან. თუ 200 სახლია, მაშინ მთელი 1 000

⁶⁰ ე. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958, გვ. 255.

⁶¹ დასტურლამალი, უმიკაშვილის რედაქციით, თბ., 1886, გვ. 85.

⁶² А. С. Т в е р и т и н о в а, Второй трактат Кочибей, «Ученые записки ин-та Востоковедения», VI, М.-Л., 1953, гв. 245.

⁶³ საქ. სიძველენი, გვ. 446.

⁶⁴ იქვე, გვ. 448.

⁶⁵ დოკუმენტები..., I, გვ. :46.

ქილა ქერი და 200 ქილა ფქვილი (გაიღება). თუ ფადიშაჰი დგას მტრის ქვეყნისაკენ რომელიმე სიმაგრესთან, მაშინ რაიებს მიაქვთ ყველა ესენი აქ აქლემებით და აბარებენ⁶⁶.

ოსმალების სასარგებლოდ დაწესებული ჩანს აგრეთვე „საური“. ქართულ საბუთებში დამოწმებული „საური“ კარგად არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში⁶⁷. იგი ხარკს ნიშნავს და დამპყრობლის, ამ შემთხვევაში ოსმალეთის სასარგებლოდ იკრიფებოდა. ასე მაგალითად, ერთ ქართულ საბუთში, რომელიც 1726 წ. დათარიღებული⁶⁸, საურის შესახებ ნათქვამია: „ჩვენ მეფეთ მეფემ პატრონმან ვახტანგ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ერთობილთ საყდრიონთ რუისის მღვთაების ყმათა: ესე რომე მოვიდა ჩვენს წინაშე მრთველ ეფისკოპოზი ნიკოლოზ ორბელიანი და თქუენ რუისის მღვთაების ყმათათვის საურის სითარხნეს დაგვეყა. ჩვენცა წყალობა უყავით და საუკუნოდ საური ვაბატივეთ და პურისა და ღვინის ოჩხარს შეაწერდნენ ხოლმე და გლახს დიადი ძალა დამართებოდა და გაღარიბებულყვენენ. ისიც ვაბატივეთ“⁶⁹.

ქართულ დოკუმენტურ მასალებში მრავლადაა აღბეჭდილი ჯარიმები. ჯარიმებისადმი სპეციალური თავებია მიძღვნილი გურჯისტანის კანუნიანამეში. გათვალისწინებულია მრავალი სახის ჯარიმა. ქართულ დოკუმენტებში დამოწმებული ჯარიმები ფულადი სახითაა წარმოდგენილი. „... თუ პირზე აგეშალო, ასის ყურუმის ჯარიმა ფაშას მიეცეთ, ვიყო მე ელიზბარ“⁷⁰, ვკითხულობთ ერთ საბუთში. ან „... სადიანბეგოსა და საიასაულოს გამღები მე ვიყო, თუ ამაში მე გედაო, ან სხვა ჩემი ნათესავი, ორასის ყურუმის ბედნიერის ვეზირის მოთაბალში ჯარიმა მიეცე, არც ამისი მოწამე შუბაში მამადა თუმანიშვილი ასანა“⁷¹.

ოსმალური გადასახადების სიმძიმე თანაბრად აწვებოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენას. „სათათრო სათხოვრისაგან“ შეწუხებული და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი მებატონე იძულებული ხდებოდა ჩალის ფასად გაეყიდა თავისი ყმა-მამული. ამ მხრივ საინტერესოა „ნასყიდობის წიგნი“, მიცემული ლევან მაჩაბლის მიერ გივი ამილახორისადმი 1725 წ. 7 ივლისს, რომლითაც ლევან მაჩაბელი, სათათრო გამოსაღებისაგან ძლიერ შეწუხებული, იძულებულია გივი ამილახორს მიყიდოს თავისი საკუთარი ყმა: „... ესე უთუო და უთუცაო, დრო დაუდებელი, მიზეზ-შემოუღებელი და ყოვლის ჩხუბისა და ილათისგან გამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაეწერეთ და მოგეცით ჩვენ, მაჩაბელმა, ალხაზისშვილმან ლევან და ძმამან ჩემმან დავით და შვილმან ჩემმან ალხაზ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველივე თქვენ, ამილახორს ბატონსა გივსა, ძმასა თქვენსა ეშიკ-

⁶⁶ А. С. Твeритинова, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

⁶⁷ ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958.

⁶⁸ ნ. შენგელიას გამოთქმული აქეს ეჭვი ამ საბუთის თარიღის სისწორის შესახებ, რადგან თვითონ ამ საბუთში მოხსენიებული წყალობის წიგნის მომცემი „მეფეთ მეფე პატრონი ვახტანგ“ ამ დროს საქართველოში არ იყო. იგი ორი წლის წასული იყო რუსეთში, ამიტომ ეს საბუთი უფრო ადრინდელი უნდა იყოს, არა უგვიანეს 1724 წლისა (ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, გადასახადები და საგადასახადო სისტემა, გვ. 126).

⁶⁹ დოკუმენტები..., გვ. 221.

⁷⁰ იქვე, გვ. 237.

⁷¹ იქვე, გვ. 240.

აღას ბაშს ბატონს იოთამს, შვილთა თქვენსა ანდუყაფარს, ბიძაშვილთა თქვენთა იესეს, დემეტრეს, ბარძიმს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე — ასე რომე დაგვეჭირა და სათათრო სათხოვრისაგან დიად ძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვდირი ყმა, ჩემს ბარათში ნარგები და ბარათიც თქვენ მოგართვიო“⁷².

ქართველი გლეხობა იძულებული ხდებოდა კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებისთვის მიემართა. „დავთარწი“ დამოწმებულია უამრავი ცნობები გლეხთა მასიური აყრა-გაქცევისა. „დავთარწი“ მიხედვით, 300-მდე სოფელი „ცარიელია რეაიასგან“⁷³. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი ფეოდალები იძულებული იყვნენ ყოველგვარი ღონისძიებით ქართლიდან აყრილ-გაეცეული გლეხები ისევ უკან დაებრუნებინათ. ქართული საბუთებიდან ჩანს, რომ გლეხთა აყრა-გაქცევის მასიური ხასიათი მიუღია. გლეხობის უკან დაბრუნებით არასაკლებ დაინტერესებული იყვნენ ოსმალთა მოხელეები. ისაყფაშას 1732—35 წწ. დათარიღებულ ბრძანებაში ნათქვამია: „ქ. ვეზირი ისაყფაშა ვიკადრებ ჩვენ მაგიერად მუხრანის ბატონის-შვილს მამუქას. ასე უნებთ: მერმე შენის აწნაურიშვილის რატიშვილის სოფელი ხანდაკი და ან სხვა სოფელი აყრილი იყოს, ვისცა მამულში იყოს, ყველა მოაგროვე და ნურავის ვაცარცვინებ და, სადაც შენ გინდოდეს, იქ დააყენე თუ წაართვა ვინმე, მწვედ გარდავა: დევიანებ“⁷⁴.

ასევე ისაყფაშა 1732—35 წ. დათარიღებულ გივი ამილახორისადმი მიწერილ წერილში წერს: „მერმე ამ თუმანიშვილის გლეხი, სადაც იყოს აყრილი კაცი. თქვენ კაცი გაგზავნეთ, მუბაშირად აუყარეთ და ისევ თავის მამულში მოაყვანინეთ. ნურა კაცი თავის მემკვიდრე გლეხს ნუ დაუჭერენ, თვარემ პასუხს ვერ მოგვეცემენ. ისევ თავის სამკვიდრო მამულში ხნას და თესონ, სხვაგან რატომ ან ხვინ ან დგანან“⁷⁵.

ვახუშტი ბაგრატიონი ოსმალთა დროინდელ ქართლის შესახებ აღნიშნავდა, რომ „აღარ დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლსა და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხითსაც თვინიერ სიმაგრეთა“⁷⁶.

ქართლის გლეხობა მართო აყრა-გაქცევით არ გამოხატავდა თავის პროტესტს. იგი აქტიურადც იბრძოდა უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ. „ხან სამილახორო იყო აჯანყებული, ხან ქსნის ხეობა, ხან სამაჩაბლო, ხან არაგვი, ხოლო კახეთის მეფე კონსტანტინე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა კიდევაც“⁷⁷.

1732 წ. ოსმალთა სულთნის მიერ ქართლის ერისთავებისადმი გაცემული დოკუმენტის მიხედვით⁷⁸ აშკარაა ოსმალთა ხელისუფალთა ზრახვები და პრეტენზიები ქართული ტერიტორიების მიმართ საერთოდ და ქართველი თავადების მიმართ კერძოდ. ოსმალთა ხელისუფალი ამ დოკუმენტის მიხედვით ქარ-

⁷² დოკუმენტბა... გვ. 215—216.

⁷³ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 31.

⁷⁴ საქ. სიძველენი, ტ. III, გვ. 419.

⁷⁵ იქვე, გვ. 418—419.

⁷⁶ ვახუშტი, ისტორია, გვ. 92.

⁷⁷ ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 182.

⁷⁸ ს. ქიქია, XVIII ს. ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრომები, ტ. 99, აღმ. სერია, III, თბ., 1962.

თველი თავადებისაგან ითხოვს ერთგულ სამსახურსა და მორჩილებას. ფირმანიდან ჩანს, რომ ქართველი თავადები ნომინალურად იყვნენ „ერთგულნი“ ოსმალ სულთნისა და მხოლოდ გარკვეული პირობის შესრულებით კმაყოფილდებოდნენ. ისინი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში მზად იყვნენ აჯანყებისათვის.

ამრიგად, XVIII ს. II მეოთხედის მასალები მოწმობენ, რომ ოსმალობას მთლიანად ფეხი ვერ მოუკიდებია ქართლში. აქ ოსმალური გადასახადები არსებობს ქართული ფეოდალური გადასახადების გვერდით. ქართველი მებატონეები სარგებლობდნენ თავიანთი უფლებებით და ოსმალეთის მთავრობასთან მათ მხოლოდ გადასახადებისა და ვალდებულებების გადახდა აკავშირებთ. მაგრამ XVIII ს. II მეოთხედის ქართლში ოსმალებმა მაინც შექმნეს საშიში პრეცედენტი, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ შეიძლებოდა ისეთივე შედეგები მოჰყოლოდა, როგორც ეს სამცხე-საათაბაგოში მოხდა XVI ს-ის მეორე ნახევარში.

როინ მებრეველი

სოციალური ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ფეოდალურ საქართველოში

(იური ანდრიას ძის აჩანებება)

მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებული შინაკლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებულს, ამავე დროს მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ეტაპს წარმოადგენს თამარ მეფის ყოფილი ქმრის იური ანდრიას ძის შემოსვლა საქართველოში და მისი მცდელობა საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებისათვის, უფრო სწორად თავისი უფლებების აღდგენისათვის. ეს გარეგნული მიზეზი იყო ამ ბრძოლისა, სინამდვილეში კი იგი უფრო ღრმად იყო ფესვებგადგმული სოციალურ ურთიერთობათა, კერძოდ მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებულ მწვავე კლასობრივი ბრძოლის ქსელში. ეს მოვლენა რომ მხოლოდ იური უფლისწულის ნება-სურვილით არ მომხდარა და მასში ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალები ასრულებდნენ წამყვან როლს ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სადავო არ არის¹.

დიდგვარიანების მიმართ წარმოებულ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკას ზურგს უმაგრებდა სამეფო კარის მომხრე ფეოდალთა დიდი არმია, მაგრამ ამასთანავე იყვნენ, რიგი ფეოდალებისა, რომლებიც თავისი უფლებების გაზრდა-გაფართოებაზე ფიქრობდნენ, და ამ მიზნის მისაღწევად არავითარ ზეგნსა და ძალას არ იშურებდნენ. საქართველოს მეფე-ქალის თამარის სახლობის საკითხი რომ დადგა, აშკარა გახდა ის მწვავე ბრძოლა, რომელიც დიდგვარიან ფეოდალთა სხვადასხვა დასებს შორის არსებობდა. ამჯერად ეს ბრძოლა თითოეული ამ დასისათვის თამარის ქმრად სასურველი კანდიდატის მოძებნას გადაეჯაჭვა. ეს გზა, ბუნებრივია, საქართველოს მეფესა და სამეფო კარზე გავლენის გაზრდის რეალურ შანსად ისახებოდა. „შეიყარნეს შემჭირნენი და ზრახვა ყვეს ძებნა წაღმართისა და მოყვანა ქმრისა“². „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან განსხვავებით „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ გვაუწყებს, რომ „აღივსებოდა რა კრება (საეკლესიო კრების დასრულებაზეა ლაპარაკი — რ. მ.), შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოახსენეს მამათა, რათა ზოგად ილუაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისთჳს“³. ე. ი. თამარის სახლობის საკითხს საეკლესიო კრების მონაწილეებთან ერთად იხილავენ „ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი“. ამ დარბაზობის დროს წინადა-

¹ იხ. ივ. ჯაფარიძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, 1965, II, გვ. 260; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, და სხვ.; საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 199; ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს), თბ., 1956, გვ. 67—170; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 110—144.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 35.

³ ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 119.

დებანი ალბათ არაერთი იქნებოდა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც იქცევს ქართლისა და თბილისის ამირას აბულასანის მიერ წამოყენებული მოსაზრება, თამარისათვის რუსი უფლისწულის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის იურის (იგივე გიორგის) შერთვის შესახებ: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნილი გარდამოაზუნეწა ბიძისა, სავალათად (იგულისხმება ვსევოლოდი — რ. შ.) სახელწოდებულისაგან და არს იგი ყიფჩაყთა მეფისა სევენჯისა ქალაქსა“⁴.

ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისადმი მიძღვნილ დარბაზობაზე (დარბაზის სხდომაზე) აბულასანის გამოსვლა შემთხვევითი არ შეიძლება და ყოფილიყო. ამ დროისათვის (დაახლოებით 1185 წ. დამლევით⁵) მას ალბათ ჰქონდა ასეთი უფლება. ე. ი. აბულასანი სამეფო სადარბაზოს სრულუფლებიანი და თანაც გავლენიანი წევრი იყო⁶.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აბულასანის პიროვნებით დაინტერესდნენ და სხვადასხვა დროს ამ საკითხს თავისი გამოკვლევები უძღვნეს ა. ხახანაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ს. ერემიანმა, ი. ცინცაძემ, შ. მესხიამ და სხვ. ამ მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების, აგრეთვე აბულასანის წარმომავლობის შესახებ ფართო მსჯელობის საშუალება, სტატიის მოცულობის რედაქციის მიერ დადგენილი შეზღუდულობის გამო, ჩვენ ამჯერად არ გავაჩნია. მართებულად კი მიგვაჩნია ის დასკვნა, რომ აბულასანი თბილისში მოქალაქეთა პრივილეგირებული ზედაფენიდან დიდვაჭრებისა და ფინანსისტების წრიდან გამოსული მოხელეა.

აბულასანი თავისი წინადადებით დიდგვაროვან ფეოდალთა და მოქალაქეთა ზედა ფენის ერთი ნაწილის სურვილს გამოხატავდა. მისმა ასეთმა თამამმა წინადადებამ დიდი გავლენა იქონია დარბაზზე. თუნდაც ის ფაქტი, რომ დარბაზმა ისეთი რთული და სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ, როგორც საქართველოს მეფე-ქალის, თამარის სახლობის, მისი საქმროს კანდიდატურის გადაწყვეტის საკითხი იყო, მიიღო სწორედ აბულასანის წინადადება, რომელიც ბევრზედ მეტყველებს. ამ წინადადებას, ბუნებრივია, მხარს უჭერდა ბევრი დიდგვარიანი ფეოდალი, თუმცა. როგორც ჩანს მოწინააღმდეგენიც ჰყოლია მას (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით).

აბლა განვიხილოთ თუ რატომ შეჩერდა დარბაზის წევრთა უმრავლესობა აბულასანის წინადადებაზე. იყო თუ არა წინასწარ შემზადებული ეს წინადადება და რამ განაპირობა სწორედ რუს უფლისწულზე გეზის აღება.

იური (გიორგი) უფლისწული როსტოვ-სუზდალის დიდი მთავრის (თამარის პირველი ისტორიკოსი მას „ანდრია დიდი რუს-მთავარი“-ს სახელით იხსენიებს) ანდრიას შვილია. იური ანდრიას ძე 1172—75 წწ. ნოვგოროდის მთავა-

⁴ ისტორიანი და აზმანი შარაყანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36.

⁵ ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 258. (აქ აანალიზებს რა სხვადასხვა შეხედულებებს განსვენებული მეცნიერი დაასკვნის — „პირველი ქმრის შერთვა შეიძლება დაახლოებით 1185 წლის დამლევს მომხდარიყო“).

⁶ პროფ. ს. ირემიანი ალბათ სცდებოდა, როცა აბულასანს საქართველოს სამეფოს დარბაზის წევრად მხოლოდ გიორგი რუსის ჩამოყვანის შემდგომ მიიჩნევდა (С. П. Еремьян, Юрий Богояльский по армянским и грузинским источникам, Научные труды АГУ, XXIII, 1946, გვ. 403). შტრ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 110,

რი იყო. 1175 წ. მთავრობიდან გადაყენებული და ექსორიაქმნილი ჩრდილო კავკასიაში გადახვეწილა. ქართველ დიდვაჭართა მიერ ყივჩაყეთში აღმოჩენილი რუსი უფლისწული საქართველოს დიდგვარიან ფეოდალთა ერთი ნაწილისა და მოქალაქეთა ზედაფენისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო, რადგან „Новгородский князь, власть которого была в значительной мере ограничена и подчинена „вече“ (где господствовали крупные купцы и бояре), казался в Грузии походящим кандидатом как для родовой ой знати, выступившей против централизованной царской власти, так и для верхушки тбилисских горожан“⁷. ამის გარდა, ბუნებრივია, დარბაზის წევრებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ იური ანდრიას ძე დიდგვარიანი ფეოდალი, ქრისტიანი იყო რჩულით, თანაც მართლმადიდებელი. ამ მხარემ საკითხის გადაჭრაში ალბათ არსებითი როლი შეასრულა. თუმცა დიდებულებისთვის, როცა ისინი უპირატესობას იურის კანდიდატურას აძლევდნენ, ალბათ უფრო საინტერესო იყო ის გარემოება (გარდა ზემოთქმულისა), რომ იგი გადმოხვეწილი იყო, ექსორიაქმნილი, და თავისი დასაყრდენი ძალებიც საქართველოს სამეფოს მაღალ წრეებში უნდა ეძებნა. ეს კი დიდებულთა გარკვეულ ნაწილს უქმნიდა შანსს ახალ ვითარებაში თავის გამოჩენისა და გავლენის სფეროთა გაფართოებისათვის.

იური ანდრიას ძე, რომელიც იმ ხანად ყივჩაყეთში იმყოფებოდა საქართველოს, კერძოდ თბილისის დიდვაჭრებისათვის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. არ არის გამორიცხული, რომ მისი თამარისათვის ქმრად შერთვის საკითხზე რაიმე წინასწარი მოლაპარაკებაც ყოფილიყო გამართული იურისთან. ამას გვაფიქრებინებს, ჯერ ერთი ის გარემოება, რომ აბულასანმა ასე თამამად, საკმაოდ კატეგორიული ფორმით დააყენა ეს საკითხი დარბაზის სხდომაზე, სადაც ხაზი გაუსვა, რომ „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა...“ და სხვ. ე. ი. თავის საკუთარ ცოდნაზე („მე ვიცი“) ააგო მის მიერ გაკეთებული განცხადება. საფიქრებელია, რომ მას იურისგან უკვე გარკვეული დასტურიც ჰქონდა მიღებული. მეორე — თვით სასიძოს ასეთი სწრაფი, ვადაზე ადრე ჩამოყვანა ზანქან ზორაბაბელის მიერ „მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა, წამოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნითა მოყმე სახე კეკლუცი, სრული ანაგებითა და მკვრეტთაგან საჩენი გუარისშვილად“⁸, სწორედ ზემოთქმულს (იური უფლისწულის ამ საკითხის ირგვლივ საქმის კურსში ყოფნას) ადასტურებს. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით „პატრიარქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა — მოახსენეს თამარს, და მათგან ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი“⁹. აქ ჩამოთვლილ საეკლესიო (მიქაელ პატრიარქი ორივე ისტორიკოსს უფლისწულის

⁷ Ш. А. Месхия, Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений (X—XVIII) Тб., 1958, გვ. 20.

⁸ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37. პროფ. ი. ცინცაძე სასიძოს სწრაფად ჩამოყვანას ყივჩაყეთამდე გზის საკმაოდ მოწესრიგებულობის შედეგად მიიჩნევს (იხ. მისი ძიებანი, გვ. 102). ჩვენი აზრით კი ამ აქციის ასეთი სწრაფი შესრულება იური ანდრიას ძის აღნიშნული საქმისათვის მზადყოფნის გამო უნდა მომხდარიყო. უფლისწული, როგორც ჩანს, ელოდა ასეთი მიწვევის საკითხზე მოიქმელების ჩასვლას და მანაც დაუყოვნებლივ გამოსწია საქართველოსაკენ.

⁹ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37; შდრ. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, „შეკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიარქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი და აცნობეს თამარს და აწუვედეს ქორწინებასა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 119).

მოწვევის მომხრედ ჰყავთ გამოყვანილი, არც ეს იყო შემთხვევითი, რომ დარბაზი აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საეკლესიო კრების შემდგომ, ამასთანავე ამ კრების მონაწილეთა საერო პირებით შევსების შემდეგ შეიკრიბა) და საერო პირების პოზიცია გარკვეულია.

ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ თვით საქართველოს მეფე ჩანს ამ საქმის წინააღმდეგი. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გადმოგვცემს თამარის პასუხს შეთავაზებულ წინადადებაზე: „კაცნო, ვითარ ღირს (არს) შეუტყობელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოთა ქცევა და საქმე, არცა მკედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცაღეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიღრუჟე მისი“¹⁰.

რუსი უფლისწულის ჩამოყვანის წინააღმდეგი ჩანს დიდებულთა ერთი ნაწილი, რომლებიც „ვიეთნიმე დაღონებულობით“ გამოიყურებიან ნებადაურთავი ქორწილის დანიშვნის შემდეგ. საინტერესოა თამარის მეორე ისტორიკოსის პოზიციაც. იგი ხაზს უსვამს, რომ თამარის სახლობის საკითხი დარბაზმა „ესე ვერა კეთილად განავეს“¹¹. იგი უკმაყოფილოა სასიძოს ჩამოსაყვანად გაგზავნილი მოციქულის დონისა (ამ პირველი ისტორიკოსის მიხედვით თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელია მხედველობაში) — „რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს“¹². ამასთანავე „არც მისსა მეცნიერ იყვნეს. რომელსა იგი მოიყვანებდეს“¹³. ისტორიკოსი გვარიანობასა და შესახედაობას ვერ უწუნებს ჩამოყვანილ იური ანდრიას ძეს თუმცა მაინც აღნიშნავს — „რამეთუ არარას მეცნიერ იყვნეს ჩვეულებისათჳს მისისა“¹⁴.

როგორც ჩანს, გარკვეული წინააღმდეგობანი იმთავითვე გაჩნდა იური ანდრიას ძის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დასებს შორის, მაგრამ პირველნი მეტად აქტიურნი ჩანან და დაჟინებით მოითხოვენ საქმის ბოლომდე მიყვანას: „აწუვედეს ქორწინებასა და სწრაფობდეს ამის პირისათჳს“¹⁵. თამარის უარზე „იგინი წინააღმდეგობოდეს უშვილობასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტეინვიდეს, წინამძღუარსა სპათასა ითხოვდნენ და ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა... ესეოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს“¹⁶. ასეთი მცდელობის შემდეგ იური ანდრიას ძის მომხრეთა დასმა ვაიმარჯვა და თამარი „აიძულეს ქმნად... და ვითარ იყო ბუდრი... ეგრეთ იქმნა ქორწილი“¹⁷.

ამრიგად, იური უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანა და თამარ მეფის ქმრად ხელდასხმა ქვეყნის მმართველი სოციალური წრეების გარკვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფის გეგმით იყო ხორცშესხმული და მათ კლასობრივ ინტერესებს შეესაბამებოდა. ბუნებრივია სხვადასხვა სოციალური წრეების

¹⁰ ცოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129.

¹¹ იქვე, გვ. 119.

¹² იქვე, გვ. 11.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე. ზანქან ზორაბაბელის გიორგი უფლისწულთან გაგზავნის მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია აქვს მოცემული ფ. პოლდაკს. იხ. Felix Heildeck, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara (verfassungsgeschichtliches und rechtsphilosophisches), Leipzig, 1906, გვ. 60. ამ საკითხზე იხ. რ. მეტრეველი, გერმანელი მეცნიერი — საქართველოს ისტორიის მკვლევარი, ცისკარი, 1973, № 5, გვ. გვ. 116—123.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე, გვ. 120.

¹⁷ ისტორიანი და აზმანი შარაენდელთან, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37.

წარმომადგენლები თავისებურად ფიქრობდნენ ამ ახალი იარაღის (იური ანდრიას ძის საქართველოს სამეფო სასახლეში შესვლა) საკუთარი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოყენებას. ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ რუსი უფლისწული თავის მხრივ უპირველესად ყურადღებას მიაქცევდა და მზრუნველობას არ მოაკლებდა აბულასანს, რომლისგანაც ესოდენ დავალებული იყო. ეს ასეც მოხდა. აბულასანის აღზევება სწორედ იურის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში მოხდა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქორწინება 1185 წლის დამლევის უნდა მომხდარიყო, გაძევება კი ორი — ორნახევარი წლის შემდეგ, ე. ი. 1187—88 წლებში). აღნიშნულ საკითხში (აბულასანის დაწინაურება იური უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანასთან დაკავშირებით) მკვლევრები ს. ერემიანი, ი. ცინცაძე, ვ. ბერიძე და სხვები არსებითად ერთი აზრისანი არიან, მაგრამ თვით ეს პროცესი (დაწინაურების დრო) სხვადასხვაგვარად აქვთ მოცემული. მაგ. პროფ. ს. ერემიანი მიიჩნევს, რომ აბულასანი სახელმწიფო დარბაზის წევრი და მეჭურჭლეთუხუცესი იური ანდრიას ძის ჩამოსვლის შემდეგ გახდა¹⁸. პროფ. ი. ცინცაძე არსებითად იმ აზრის არის, რომ აბულასანი რუსი უფლისწულის საქართველოში ყოფნის დროს დაწინაურდა — ამ დროს მიიღო მეჭურჭლეთუხუცესობა და ერისთავთ-ერისთაობა¹⁹. აბულასანის აღზევების პერიოდად პ. ინგოროყვა 1189—1190 წწ. ასახელებს²⁰.

რაც შეეხება მოსაზრებას, აბულასანის სახელმწიფო დარბაზის წევრად იური უფლისწულის ჩამოსვლის შემდეგ შეყვანის შესახებ არ უნდა იყოს სწორი, რადგან, როგორც ზემოთაც ვუჩვენეთ, აბულასანი სახელმწიფო დარბაზის წევრია იურის ჩამოყვანამდე.

თუ განვიხილავთ მეჭურჭლეთუხუცესობის საკითხს. იურის ჩამოსვლის დროისათვის საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა კახაბერ ვარდანისძეს უკავია (ამ უკანასკნელს ეს თანამდებობა ყუთლუ-არსლანის დამარცხების შემდეგ ებოძა (1184—1185 წწ.)²¹, და რაგინდ მოწადინებული არ უნდა ყოფილიყო რუსი უფლისწული, თავისი თავგამოდებული მომხრისათვის ამ „ხელის“ მიცემა მას არ შეეძლო. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მეფე-ქმარმა“ თავისი წვლილი შეიტანა ქართლისა და თბილისის ამირას (აბულასანი) ქართლის ერისთავთ-ერისთავად და რუსთავისა და „შვიდთა მთიულეთთა“ პატრონად ქცევის საქმეში. პროფ. შ. მესხია მიიჩნევს, რომ აბულასანის მიერ ამ თანამდებობის მიღების შემდგომ არის გაკეთებული „ლურჯი მონასტრის წარწერა, თანაც რამდენიმე ხნით აღრე, ვიდრე ანდრია მოციქულის ხატის წარწერაა გაკეთებული²².

განვიხილოთ თვით „ლურჯი მონასტრის“ წარწერა: „... გარნა სახელით ოდენ ქრისტიანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლით უშიში ღმრთისა ბრძანებათა, უღირსი ბასილი, ქართლისა მთავარეპისკოპოს ყოფილო, ძე კეთილ-ნათესავისა იობისი, უნდოთა ამათ მცირეთა ნივთთა მიერ, გულსმოდგინებით მსასოებელი შენი, ცეებრსა ამას გიმკობ საყდარსართულსა სამსხემსა ამას კედარსა შინა..., ხოლო ვაშენე ნაცვალ-საგებლად ჩემთვის და საყუარელი საძმი-

¹⁸ С. Т. Еремян, Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам, научные труды АГУ, XXIII, 1945, гл. 404.

¹⁹ ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 126, 147.

²⁰ პ. ინგოროყვა, რუსთველანას ეპილოგი, თბულებათა კრებული, ტ. I, გვ. 651.

²¹ ისტორიანი და აზნანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33.

²² შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 132.

სა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა, ქართლისა ამირთა-ამირისა, რუსთავისა და შუდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათჳს, და უპირმზოვისსა ძმისა ჩემისა შვილისა დავითისათჳს, ვიდრემდის დაუდგრომელსა ამას და წარმდინარესა სოფელსა შინა...“²³

აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ წარწერის წაკითხვის საფუძველზე ასკვნის, რომ „ლურჯი მონასტრის“ წარწერაში მოხსენიებული აბულასანი იყო ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ამირა, რუსთავის და შვიდთა მთეულეთთა პატრონი²⁴.

აბულასანის კარიერის შემდგომი ზრდის მაუწყებელია „ლურჯი მონასტრის“ ანდრია მოციქულის ხატის წარწერა: „ყოვლად წმიდაო მოციქულო ქრისტეს ღმრთისაო ანდრია, შეიწირე მცირედი ესე მსახურებაი ჩემგან ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცესისა აბულასანისაგან, იობის ძისა“²⁵.

ამდენად, თუკი ჩვენ დავუშვებთ, რომ ქრონოლოგიურად „ლურჯი მონასტრის“ წარწერა წინ უსწრებდა ანდრია მოციქულის ხატის წარწერას, აბულასანის კარიერის განვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ქართლისა და თბილისის ამირა — ქართლის ერისთავთ-ერისთავი — რუსთავისა და „შვიდთა მთეულეთთა“ პატრონი (ამასთანავე თბილისის გამგებლობა — ამირთ-ამირობა მას შენარჩუნებული აქვს) — მეჭურჭლეთუხუცესი. ამ უკანასკნელი თანამდებობის მიღების შემდეგ, აბულასანი ალბათ თბილისის ამირთ-ამირას თანამდებობაზე აღარ დარჩებოდა. რაკი გიორგი უფლისწული ეგრერიგად მწყალობელი იყო აბულასანისა უნდა ვივარაუდოთ, რომ მეჭურჭლეთუხუცესის, ეს მეტად მაღალი თანამდებობა თამარის ქმარყოფილის საქართველოდან განდევნამდე, ე. ი. 1185—88 წწ. უნდა მიეღო მას.

ამრიგად, მოქალაქეთა ზედა ფენების მიერ წარმოებული ბრძოლის შედეგად, მათი ლიდერი აბულასანი არა მხოლოდ სახელმწიფო დარბაზის წევრი გახდა, არამედ სამეფო კარის ერთ-ერთ პირველ კაცად იქცა. ბუნებრივია, იგი, როგორც სამეფო დარბაზში, ასევე სამეფო კარზე თავისი დასაყრდენი ფენის ინტერესების გამომხატველი და დამცველი იქნებოდა. აღნიშნულმა დიდვაჭარფინანსისტთა ფენებმა თავიანთი უფლებებისა და მდგომარეობის მოპოვებისა-

²³ პ. ინგოროყვა, რუსთველიანის ეპილოგი, თბზ. კრებ. I, გვ. 651. შტრ. ვ. ბერძენი, თბილისის „ლურჯი მონასტრი“, Ars Georgica, II, 1948, გვ. 96—97. აღნიშნულა განხილვის შესახებ იხ. Brosset, Voyage, Rapp., V, გვ. 4—5; П. Иоселиани, Описание древностей гор. Тифлиса, გვ. 35; Д. Бакрадзе, Кавказ в древн. памятниках христианства, გვ. 91—92; Е. Такайшвили, Археологические экск., IV, გვ. 149—150; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. I, გვ. 179, 213; ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI), თბ., 1956, გვ. 137; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეებში თბილისში, თბ., 1962, გვ. 131 და შემდეგ.

²⁴ წარწერის ამგვარ წაკითხვას იზიარებდნენ: პ. იოსელიანი, პ. ინგოროყვა, ი. ცინცაძე, ვ. ბერიძე, ე. თაყაიშვილი (იხ. წინა სქოლოში ნაჩვენები ამ ავტორთა შესაბამისი გამოკვლევები)

²⁵ Е. Такайшвили, Археологич. экск., II, 1905, გვ. 70. შტრ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანის ეპილოგი, თბზ. კრებ., I, გვ. 651. მეცნიერებს ეჭვი არ შეუტანიათ იმის გამო, რომ ხატის წარწერაში მოხსენიებული აბულასანი არის თამარის ისტორიკოსისა და „ლურჯი მონასტრის“ წარწერაში აღნიშნული აბულასანი იობის ძე. ამასთანავე ე. თაყაიშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მეჭურჭლეთუხუცესობა აბულასანს გვიან ჰქონდა მიღებული (იხ. Е. Такайшвили, დასახ. ნაშრ., გვ. 71).

თვის ბრძოლაში იარაღად სხვა მცდელობასთან ერთად, რუსი უფლისწული იური ანდრიას ძე გამოიყენეს.

ჩვენ ამ საკითხზე შევჩერდით იმიტომ, რომ შემდგომში იური ანდრიას ძის აჯანყების მიმდინარეობისას ყურადღება მივაქციოთ ზემო ხაზგასმული სოციალური ფენის როლზე თამარისა და საერთოდ სამეფო კარის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში.

მიეყვით საკითხთა ისტორიულ მსვლელობას. თამარის ორივე ისტორიკოსი ერთხმად აღიარებს, რომ იური უფლისწულს ცუდი თვისებები აღმოაჩნდა, რის შესახებ თამარს დარბაზისათვის მოუხსენებია, რომელსაც მიუღია გადაწყვეტილება იური ანდრიას ძის ექსორიაქმნის — გაქეგების შესახებ საქართველოდან — „წარიყვანეს ექსორია-ქმნად, ვარნა აურაცხელითა ლაართა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა“²⁶. საქართველოდან განდევნილ რუს უფლისწულს ერთხანს კონსტანტინოპოლისათვის შეუფარებია თავი²⁷. აღნიშნული ფაქტი ქორწინებიდან ორი — ორნახევარი წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო²⁸. თუკი თამარისა და იური ანდრიას ძის ქორწინებას 1185 წლისათვის ვივარაუდებთ, მაშინ ყოფილი „მეფე-ქმრის“ გაქეგება 1187—88 წწ. უნდა მომხდარიყო.

ისტორიკოსთა მიერ ერთხმად დამოწმებულ იურის ცუდ ყოფაქცევაში ეჭვის შეტანა ძალზედ ძნელია, მაგრამ იყო კი მხოლოდ ეს ფაქტი სამეფო ოჯახის დანგრევისა და უფლისწულის საქართველოდან ექსორიაქმნის მიზეზი? ან რას ნიშნავს, რომ ის ძლიერი დასი, რომელიც იურის უჭერდა მხარს ახლა ჩუმად არის. მართლა ასე იყო ეს თუ მემპტიანენი (რომლებიც უთუოდ თამარ მეფის მომხრეთა რიგებში არიან) შეგნებულად არაფერს ამბობენ იმ წინააღმდეგობათა შესახებ (თუკი ასეთი იყო), რომელსაც ადგილი ჰქონდა დარბაზის სხდომაზე ამ საკითხის გადაწყვეტისას.

სამწუხაროდ აქ დასმულ საკითხებზე პირდაპირი პასუხის გასაცემად ჩვენ არ მოგვეპოვება ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები. ვფიქრობთ, რომ ის სოციალური-შინაკლასობრივი შეხლა-შემოხლა, რომელსაც განვითარებული ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე ჰქონდა ადგილი საქართველოს სახელმწიფოში, იური ანდრიას ძის ჩამოყვანის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან თვითმეუღლენი თამარი და იური ანდრიას ძე რიგ საკითხებში არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის თანამოაზრენი. იური უფლისწული საქართველოში ჩამოსვლისთანავე ბოეჭკა აბულასანის დასის გავლენის ქვეშ და მისი ბევრი მოქმედებაც სწორედ ამ ბანაკის ნება-სურვილს შეესაბამებოდა. ბუნებრივია, არც მოწინააღმდეგეთა დასი იქნებოდა გულსხელდაკრეფილი ამ პერიოდში. განსაკუთრებით მას შემდეგ რაც დიდვაჭარ-ფინანსისტების აღზევებაში იურის როლი აშკარად გამოიკვეთებოდა, საპირისპირო ძალებიც თავის მხრივ ალბათ გარკვეული მოქმედებით უპასუხებდნენ მათ. დროთა მსვლელობას გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა თვით თამარისთვის, რომელიც უფრო მეტად დარწმუნდებოდა სხვადასხვა დასთა ჭიდილის მართებულებად-უმართებულობაში, ერთ-ერთი მათგანის (ამ შემთხვევაში აბულასანის დასის) მკვეთრად გამოასახულ ცენტრიდანულ

²⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 41.

²⁷ იქვე.

²⁸ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 41. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 120.

პოლიტიკაში, აქვე გვინდა მივაქციოთ ყურადღება თამარის მეორე ისტორიკოსის იმ მინიშნებას, რომ „... ბრძენმან თამარ იძია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა“²⁹ და შევნიშნოთ, რომ აქ მხოლოდ ავადმყოფის განკურნებაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. მით უმეტეს, რომ თამარი საარწმუნო „მონაზონთა პირითაც“ მრავალგზის ცდილა მის მობრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს თვით საქართველოს მეფემ „პირის-პირ იწყო მსილებად მისდა“³⁰, მაგრამ როგორც მემათიანე აღნიშნავს „უფროს განძვინდებოდა რუსი, ვითარცა ღმრთისაგან საფარველ-მოდურცილი“³¹.

ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვვარაუდობთ ორასროვნებას თამარის მეორე ისტორიკოსის სიტყვებში (ე. ი. გარდა ავადმყოფობის ან ცუდი ყოფაქცევის განკურნებისა, ვფიქრობთ, უფრო სხვა სენისაგანაც — მეფისა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებისაგან ხელის აღებაზე), რომ თავისი აზრის გაგრძელებად მემათიანე ასკვნის: „არა თუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძკრესთა მიმართ იწყო და შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა ამოგდებითა ტანჯნა“³². აქ რა თქმა უნდა, მხოლოდ ცოლქმრული ურთიერთობის გამწვავება და ამის შედეგად აღმოცენებული მოვლენები არ უნდა დავინახოთ, არამედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესის — სხვადასხვა ერთმანეთის საპირისპირო დასის ურთიერთშებრძობება, თანაც ცოლ-ქმარი დასთა შორის არიან გაყოფილი (ერთ მხარესაა თამარი, ხოლო მეორე მხარეს იური). სწორად მიგვაჩინია პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ იურისა და თამარს შორის წამოჭრილი კონფლიქტი, რასაც საქართველოდან რუსი უფლისწულის გაძევება მოჰყვა, გაცილებით უფრო ღრმა საფუძვლის მქონეა, ვიდრე ამას თამარ მეფის ისტორიკოსები გადმოგვცემენ³³. თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ ისტორიკოსების თხზულებებშიაც შეიძლება იურის რეალურ მოქმედებასთან დაკავშირებული გარკვეული შტრიხის პოვნა. თამარ მეფის ისტორიკოსები საქართველოს მეფე-ქალის აპოლოგეტები, მისი პოლიტიკის აშკარა მომხრეები არიან და თავიანთ თხზულებებში ყოველმხრივ ამართლებენ თამარის მოქმედებას. თვით რუსი უფლისწულის გაძევება, მემათიანეთა მიხედვით, დარბაზის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ხდება („ვანირთა და დიდებულთა... ერთხმა ყვეს“)³⁴. როგორც ირკვევა, ორი-ორნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს სამეფო კარზე ძალთა თანაფარდობა იმდენად შეიცვალა, რომ იური ანდრიას ძის ექსორიაქმნა უკვე დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა (მოვიგონოთ, რომ თავის დროზე თამარმა ვერ შესძლო ქართლის კათალიკოსის მიჭაელის გადაყენება, ასევე ის ფაქტი, რომ მისგან ნებადაურთავად გადაწყდა მისივე საქმროს საკითხი და ქორწილიც), თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლად მშვიდობიანად ამ საკითხის მოგვარება ვერ გადაწყდებოდა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ იური უფლისწულის მომხრეთა დასის ლიდერი აბულასანი თავისი თანამდებობრივი რანგით ამაღლებულია (იგი უკვე მეჭურჭლეთუხუცესია) და მას ალბათ ამჯერად უფრო ძლიერად შეეძლო რუსი უფლისწულისა-

²⁹ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 121.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² იქვე.

³³ ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI), თბ., 1956, გვ. 127.

³⁴ ისტორიანი და აზმანი შარაენდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 41.

თვის მხარის დაჭერა, ამას კი ჩვენ ვერ ვხედავთ. აქ ხომ არ არის საფიქრებელი ის გარემოება, რომ აღზევებული აბულასანი სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენების გაანალიზების შემდეგ, იური ანდრიას ძის აქციებს სხვადასხვა საკითხების გადაჭრის საქმეში, ასევე მის პოლიტიკურ წონას დაცემულად თვლიდა და რაკი იგი ველარ ხედავდა მასში რეალურ ძალას, გადაუდგა კიდევ რუს უფლისწულს, ყოველი შემთხვევისათვის მის დასაცავად არავითარი ღონე არ უნმარია. მემბტიანეები სდუმან სხვა დიდებულთა მიერ იურის დაცვისათვის გატარებული აქციების შესახებაც.

ამდენად, იმ დასმა რომელსაც იური ანდრიას ძე ეყრდნობოდა ვერ შეინარჩუნა თავისი მაღალი, დაწინაურებული მდგომარეობა და მარცხი განიცადა. ეს ბუნებრივია, მასთან უფრო ძლიერი ფენის, ძლიერი მოწინააღმდეგის დაპირისპირების შედეგი იყო. იური ანდრიას ძის გაძევების შემდეგ სავარაუდებელია, რომ მის მომხრეებს სამეფო კარი და მასთან ერთად დაინტერესებული დიდგვარიანი ფეოდალები სათანადოდ გაუსწორდებოდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ აბულასანიც დაკარგავდა მეჭურჭლეთუხუცესის სახელს. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს თანამდებობა აბულასანმა იური ანდრიას ძის აჯანყების შემდგომ დაკარგა (პ. ინგოროყვა, ს. ერემიანი)³⁵, რაც ძნელდასაჯერებელი ფაქტია. რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით იურის გაძევება მისი მოწინააღმდეგე დასის ძალთა თანაფარდობის გადაძლევით მოხდა და ამას არსებითი შედეგებიც უნდა მოჰყოლოდა. ბუნებრივია, მოწინააღმდეგე დასის წარმომადგენლები დაპყარგავდნენ მოპოვებულ მიღწევებს.

თამარის პირველი ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ამისსა შემდგომად (იური ანდრიას ძის განდევნის შემდეგ — რ. მ.) უფროს და უფროს, უკეთ და უკეთ მთავრობასა და კელმწიფებასა ათქმევს ყოველსა პწირსა კელი საუფლო და მკლავი მაღალი, თანაშემწე და თანამძლე ბრძოლათა შინა, და არამსგავსებული ბედი და სუე პაპათა და მამათა მისთა“...³⁶

საგულისხმოა, რომ იური უფლისწულის საქართველოდან განდევნისა და აბულასანის გარკვეული მარცხის შემდგომ დასებს შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა. როგორც ჩანს, საქალაქო ზედაფენის წარმომადგენლები და მასზე მიმხრობილი სამეფისკარო პოლიტიკით უკმაყოფილო დიდგვაროვან ფეოდალთა ერთი ნაწილი თავიანთ საქმეს საბოლოოდ წაგებულად არ თვლიდა და კვლავ ცდილობდა დაკარგული მდგომარეობის მოპოვება-აღდგენას.

სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს იური ანდრიას ძის აჯანყება — მისი ბრძოლა საქართველოში კვლავ დამკვიდრებისათვის. რუსი უფლისწული ამჯერადაც, ისე როგორც თავის დროზე მისი საქართველოში ჩამოყვანისას, გამოყენებულ იქნა, როგორც იარაღი, საბაზი, რომლის საფარს-ამოფარებულნი აქტიურად იმოქმედებდნენ (ეს ასე მოხდა ორივე შემთხვევაში) დაინტერესებული სოციალური წრეები.

იური უფლისწულის საქართველოდან განდევნის შემდგომ (განსაკუთრებით თამარის დავით სოსლანზე დაქორწინების შემდგომ) საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა თანმიმდევრული და მტკიცე გახდა დიდგვაროვანი ფეო-

³⁵ ჩვენ ამ მეცნიერთა მოსაზრების შესახებ შეგნებულად არაფერს ვამბობთ, რადგან მასზე საგანგებოდ შეჩერდა პროფ. შ. მესხია და დასაბუთებულად უარყო მათი მტკიცებანი. იხ. შ. მ. ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 138—139.

³⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 42.

დალების მიმართ, რამაც თავის მხრივ გარკვეული საფუძველი შეუქმნა ფეოდალთა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ნაწილს მოქალაქეთა ზედადენებთან — დიდვაჭარ-ფინანსისტებთან ერთად ეფიქრათ რუსი უფლისწულის რესტავრაციაზე. საინტერესოა, რომ ისტორიული წყაროები აჯანყების ორგანიზატორთა შორის „მეჭურჭლეთ-უხუცესის ნაცვალს“ ასახელებენ³⁷. საფიქრებელია, რომ აჯანყების ორგანიზატორებსა და იური ანდრიას ძეს შორის გარკვეული წინასწარი შეთანხმება (ყოველი შემთხვევისათვის მოლაპარაკება) არსებობდა მეფისა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედების გაშლის გეგმის შესახებ. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იური ანდრიას ძე, რომელიც საქართველოდან ექსორიაქმნის შემდეგ კონსტანტინოპოლში იყო³⁸ უცებ კარნუ-ქალაქში აღმოჩნდა — „რუსი იგი ძნელბედი და სუე-უსუეო წამოსრულა კონსტანტინეპოლით და მოსრულა ქუეყნად ეზინცისად, კარნუ-ქალაქისად“³⁹. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამავე დროს ჩამოსულა კარნუ-ქალაქს მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი და შეხვედრია იური ანდრიას ძეს („და მას ჟამსა(!) ნაცვალი მეჭურჭლეთა უხუცესისა... კარნუ-ქალაქსა მისვლასა შინა შეიყარნეს რუსი და იგი ერთად“) ⁴⁰. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ კარნუ-ქალაქს შეხვედრა იური ანდრიას ძისა და მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლისა იყო არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ წინასწარ მოლაპარაკება-შეთანხმების შედეგი. დღეისათვის ჩვენს ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია მოსაზრება, რომ „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი“-ს თანამდებობა თბილისის ამირთამირას ეკავა. ეს აზრი თავის დროზე გამოთქმული აქვს პ. ინგოროყვას, ხოლო ამ უკანასკნელ ხანს დასაბუთებული დ. მუსხელიშვილს⁴¹. მანვე სწორად შენიშნა, რომ პ. ინგოროყვას მოსაზრება კარნუ-ქალაქს მოციქულად გაგზავნილი „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის“ აბულასანთან იგივეობის შესახებ, მცდარია⁴². დ. მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ ამ დროს (1190—91) აბულასანი უკვე მეჭურჭლეთუხუცესი იქნებოდა, რადგან მისი აზრით. სწორედ ამ წლებში მომხდარი აჯანყებების შემდეგ ჩამოართვეს მას ეს თანამდებობა⁴³. რაც შეეხება ამგვარ ვარაუდს, იგი შეიძლება არ იყოს მთლად სწორი, რადგან არ არის გამოორიცხული და უფრო მეტად ისიცაა სავარაუდებელი, რომ აბულასანს იური ანდრიას ძის განდევნის შემდგომ დიდხანს აღარ შეუწარჩუნებდნენ მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას. ადვილი შესაძლებელია, რომ ამით ნაწყენი აბულასანისა და მეფის მოწინააღმდეგე სხვა ფეოდალთა შემწეობით გაღვივდა სწორედ 1191 წლის აჯანყება.

მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის მოვალეობას მოცემულ შემთხვევაში შეადგენდა, იური უფლისწულისათვის გაეცნო საქართველოს სახელმწიფოში შექმნილი ვითარება, კერძოდ ის გარემოება, რომ დიდვაჭაროვან ფეოდალთა ერთი ნაწილი, ამავე დროს მოქალაქეთა ზედა ფენა მზად იყო საზეფო კარის

³⁷ ისტორიანი და აზმანი შარაქანდელთან, ქართლს ცხოვრება, II, გვ. 48.

³⁸ იქვე, გვ. 41.

³⁹ იქვე, გვ. 48.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირების ინსტრუქტუასათვის, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 214.

⁴² იქვე, გვ. 215.

⁴³ იქვე.

პოლიტიკის წინააღმდეგ გასალაშქრებლად და მისი სამეფო კარზე დაბრუნებისათვის საბრძოლველად. ამის შემდეგ მეკურკლეთუხუცესის ნაცვალს იური მოჰყავს საქართველოში. საინტერესოა მეკურკლეთუხუცესის ნაცვლის მემოტიანისეული დახასიათება: „... ნაცვალი მეკურკლეთა უხუცესისა, სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი, საქმის მოციქულად წარავლინა საქმისა რასათჳსმე...“⁴⁴. თამარის ისტორიკოსის მიერ მეკურკლეთუხუცესის ნაცვლის ასეთი („სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“) „შემკობა“ არ უნდა იყოს შემთხვევითი. იგი ცდილობს ამით გადმოსცეს თვით ამ პიროვნების ბუნება და მის მიერ ჩადენილი სახელმწიფოებრივი დანაშაულის სისასტიკე. ამასთანავე იგი ხაზს უსვამს, რომ ეს ნაცვალი „ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი“-ა. ე. ი. მეფეთაგან შეწყალებული, აღზევებულია. ამდენადაც შეიძლება ჩათვალოთ, რომ იგი იმ დასს წარმოადგენდა, რომელშიც აბულასანი და ზანქან ზორაბაბელი შედიოდნენ. ყურადსაღებია ისტორიკოსის ის სიტყვებიც, რომ „საქმის მოციქულად წარავლინა საქმისა რასათჳსმე“. როგორც ჩანს, მეკურკლეთუხუცესის ნაცვალი გარკვეულმა სოციალურმა ჯგუფმა (დასმა) გააგზავნა მოციქულად კარნუ-ქალაქს „საქმისა რასათჳსმე“. ეს „საქმისა რასათჳსმე“ სწორედ მოციქულისა და იურის მოლაპარაკების საქმეს გულისხმობს. ამდენად იური ანდრიას ძე გამოემართა საქართველოსკენ კვლავ გარკვეული სოციალური წრეების მოწვევით (წრეებს ვამბობთ იმიტომ, რომ შეუძლებელია ცენტრალისტური სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ესოდენ მასშტაბური აჯანყება, მხოლოდ მოქალაქეთა ზედა ფენების ბაზაზე მომზადებულიყო). აქ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. შ. მესხია, იურის განდევნითა და აბულასანის გადაყენებით წელში გატეხილი დასი ვერ შექმნიდა აჯანყებისათვის საჭირო ძალას⁴⁵. ეს მოძრაობა, ისევე როგორც რუსი უფლისწულის ჩამოყვანის დროს, ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალთა ინტერესებს დაემთხვა. თვით აჯანყებაში ძირითად ხელმძღვანელ ძალად დიდგვარიანი ფეოდალები გამოდიან.

საქართველოში ჩამოსულ იური ანდრიას ძეს „მიუღდეს იმიერნი, რათა რუსი სასახლესა შინა შეყვანილ ყონ“⁴⁶. თამარის მეორე ისტორიკოსი იურის ჩამოყვანას და აჯანყებას უფრო ძუნწად გადმოგვცემს: „ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩუეულობისა ურჯუკობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა კულად განსამეფებლად“⁴⁷.

სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი ეს აჯანყება, როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია მიჩნეული 1191 წელს უნდა მომხდარიყო. ვინ არიან აჯანყებულთა რიგებში? ვინ ჩაიღინა „საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთაგან უბოროტესი“?⁴⁸ თამარის პირველი ისტორიკოსი გარკვეული თანმიმდევრობით ჩამოთვლის მათ: გუზანი—კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი, ბოცო—

⁴⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება II, გვ. 48.

⁴⁵ შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 141; მისივე, შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან, მნათობი, 1970, № 1.

⁴⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

⁴⁷ ცხოვრება მიფთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 122.

⁴⁸ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

სამცხის სპასალარი, ვარდან დადიანი — მსახურთუხუცესი („ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობელად ქონებისა“)⁴⁹. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლისას ისტორიკოსი ვარდან დადიანს ბოლოს ასახელებს, იგი მაინც აჯანყებულთა ძირითად, ცენტრალურ ფიგურად უნდა მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, თავისი თანამდებობით იგი სხვა აჯანყებულ დიდგვარიან ფეოდალებზე მაღლა დგას (თავისთავად ესოდენ მაღალი ხელის — მსახურთუხუცესობის მატარებელი პირის მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა საგულისხმო მოვლენაა. აქ უთუოდ მეფესა და მსახურთუხუცესს შორის ურთიერთობის გამწვავებასთან უნდა გვქონდეს საქმე), ამასთანავე იგი თავისი მოქმედებით ყველაზე აქტიურია. სწორედ ვარდან დადიანმა მიიმხრო და „შეყარა“ სვანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკვერი და არგვეთი⁵⁰ და „აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყნისანი“⁵¹. უფრო მეტიც, ვარდანმა ქვეყნის ლაშქარი გაგზავნა გუზანთან, აქედან რუს უფლისწულთან ერთად შეერთებული ძალით შეამბოხენი გადავიდნენ სამცხეში, სადაც მათ დახვდათ ბოცო სამცხის სპასალარი სხვა მესხ აზნაურებთან ერთად „და ვინცა მისი მიმდგომი იყო“⁵².

აკად. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც თამარის წინააღმდეგ აჯანყებულებს ჩამოთვლის (ბოცო, ვარდან და სხვ.) მათ შორის ასახელებს ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელს⁵³. ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელის მონაწილეობა თამარისა და სამეფო კარის საწინააღმდეგო გამოსვლაში დღემდე ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით არ დასტურდება, პირიქით იგი საქართველოს მეფის ერთგულთა რიგებშია. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ასახელებს რა იური ანდრიას ძის მომხრეებს: გუზანის შემდგომ ჩერდება ბოცოზე „... აქით ბოცო, სამცხის სპასალარი და სისრულისადა აღმატებით შეწყალებული, სხვათა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ, თ ვ ნ ი ე რ ი ვ ა ნ ე ც ი ხ ი ს ჯ უ ა რ ე ლ ი ს ა, რომელსა ყ უ ა რ ყ უ ა რ ე ც ა ე წ ო დ ე ბ ი ს. ეს ე დ ა მ ა გ რ დ ა თ ვ ს ი თ უ რ თ მ ო კ ი დ უ ლ ი თ უ რ თ, ვ ი თ ა რ გ უ ა რ ე ყ ო დ ა ც ა მ ო მ გ ო ნ ე ბ ე ლ ს ა ს უ ლ ა ს ა ე რ თ გ უ ლ ო ბ ი ს ა ს ა, რომელ ბ ა დ უ ა შ ს ა ზ ე დ ა უ ე რ თ გ უ ლ ა ბ ა გ რ ა ტ ს“⁵⁴. სიტყვა „თვინიერ“ ძველ ქართულში ნიშნავს „უმისოდ“⁵⁵. ე. ი. ბოცო სამცხის სპასალარი აჯანყებაში ჩაერთო მესხ დიდებულებთან ერთად, მაგრამ ამ უკანასკნელთა შორის არ იყო ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელი. ის ფაქტი, რომ მისი მოქმედება შედარებულია სულა კალმახის ერისთავის ბაგრატ მეფისადმი (ბაგრატ IV) ერთგულებასთან, იგივეს მიგვანიშნებს. როგორც ცნობილია, ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ ბაგრატ IV მხარეზე იბრძოდა სულა კალმახის ერისთავი, რომელიც მიუხედავად მარცხისა ბოლომდე საქართველოს მეფის ერთგული დარჩა, მაშინ რო-

⁴⁹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე, გვ. 50.

⁵³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., II, 1965, გვ. 260.

⁵⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.

⁵⁵ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი IV, ავ. შაბნიძისა და ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 318.

ცა ზოგიერთმა სხვა დიდებულმა ფარ-ხმალი დაჰყარა და მტერს დანებდა⁵⁶. საქართველოს სამეფო კარისადმი ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელის ერთგულებაზე უნდა მიგვიითივებდეს ის ფაქტიც, რომ იგი შემდგომ პერიოდში (მხედველობაში გვაქვს აჯანყების შემდგომი პერიოდი — რ. მ.) აღზევებულია — ჯერ სამცხის ერისთავთ-ერისთავი და სპასალარია, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესის სახელის ფლობს⁵⁷. ამასთან მისი შვილებიც ერთგულად მსახურებენ საქართველოს მეფეს⁵⁸.

გამომდინარე აქედან ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელი არა აჯანყებულთა შორის მყოფი, არამედ ერთიანი ცენტრალიზებული საქართველოსა და მისი სამეფო კარის ერთგულებაში მყოფი პიროვნებაა.

საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ორ ტერმინზე: „მოკიდებული“ და „მიმდგომნი“. ორივე მათგანი მოიხსენიება თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ ერთი და იგივე მოვლენის გადმოცემისას. „ესე დამაგრდა (ივანე ციხისჯვარელი — რ. მ.) თვისითურთ მოკიდულითურთ“⁵⁹. „მიეგება ბოცო (გიორგი ანდრიას ძეს — რ. მ.) და ვინცა მისი მიმდგომი იყო“⁶⁰.

„მოკიდული“, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილმა გამოიკვლია, ფართო მოცულობის საზოგადოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელსაც წევრების თავისუფლება და ინტერესთა თანხმობა ახასიათებდა⁶¹. ივანე ციხისჯვარელის „მოკიდული“ მისი მომხრენი და თანამოაზრენი არიან. საფიქრებელია, რომ საერთო ინტერესებს გარდა მათ შორის გარკვეული სოციალური დამოკიდებულებაც იყოს — „მოკიდულნი“ რამდენადმე დამოკიდებულნიც იყო ივანეზე, მაგრამ მათ სწრაფვათა თანხმობის ნიადაგზე მეტ-ნაკლებად თავისუფალი ერთიანობა აუცილებელ მომენტად ჩანს. ასევეა „მიმდგომნიც“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი ბოცოს მიმდგომნი, მომხრეები არიან და მასთან ერთად გამოდიან. „მიმდგომსა“ და „მოკიდებულს“ შორის გარკვეული ნათესაობა უნდა არსებობდეს, თუმცა მათი გაიგივება არ იქნება მართებული რადგან ამის საშუალებას თვით მათიანე არ გვაძლევს. აქ ორთავე ეს ტერმინი მოიხსენიება ერთ და იგივე მომენტში. ბუნებრივია, ისტორიკოსი გარკვეულ სხვაობას ხედავდა მათ შორის და ამიტომაც სხვადასხვა სახელწოდებით მოგვცა არსებითად თითქოს ერთი და იგივე საკითხი. ვფიქრობთ სხვაობა მათ („მოკიდებულისა“ და „მიმდგომის“) განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს შესაბამის ობიექტთან (ამ შემთხვევაში ივანე ციხისჯვარელსა და ბოცოსთან). ეს თავისთავად მეტად საინტერესო საკითხია და ცალკე კვლევის საგანს შეადგენს. ამჟერად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ „მოკიდებულისა“ და „მიმდგომის“ ინსტიტუტების არსებობა ერთხელ კიდევ მკვეთრად უსვამს ხაზს XII საუკუნის საქართველოში არსებული შინაკლასობრივი ბრძოლის სიმწვავეს, ნათლად წარ-

⁵⁶ მათიანე ქართლისა: „... შვიპყრეს სულა (ბაღვაშებმა — რ. მ.), კალმახისა ერისთავი და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

⁵⁷ პ. ი. ნ. გ. ო. ო. ვ. ა., რუსთველიანას ეპილოგი, თბ., ტ. I, გვ. 663; იხ. ჟამთააღმწერელი, მესამეოცე მეფე ლაშა-გიორგი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165.

⁵⁸ ჟამთააღმწერელი, დასახ. თბ., გვ. 153.

⁵⁹ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 49.

⁶⁰ იქვე, გვ. 50.

⁶¹ ნ. ბ. ბ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., „მოკიდებულისათვის“, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 134.

მოაჩენს, რომ ფეოდალებს მეფისა თუ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოსვლის დროს ზურგს უმაგრებდა მომხრე თანამოაზრეთა არმია, რომელზედ დაყრდნობითაც ისინი ცდილობდნენ თავიანთი ზრახვების განხორციელებას. რა თქმა უნდა, მოკიდება-მიდგომამდე (თანამოაზრეთა შექმნა-მომხრობამდე) ფეოდალები დიდ მუშაობას ეწეოდნენ. ეს წინასწარგანზრახული საქმიანობაც და მისი შედეგიც უნდა შეფასდეს, როგორც ქვეყნის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება. ჩვენს შემთხვევაში ივანე ციხისჯვარელი მეფის მომხრე ჩანს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი ან კიდევ სხვა მსგავსი ფეოდალი მუდმივად ერთგული დარჩენილიყო საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა, რადგან ამის საფუძველს არ იძლევა თვით ფეოდალიზმის ბუნება, მისი საფუძველები, მისი შინაგანი სოციალურად წინააღმდეგობრივი ხასიათი, წოდებრიობის პრინციპი, მთელი სიმკვეთრით რომ გასდევს ფეოდალიზმს მისი არსებობის მთელ სიგრძეზე.

ამრიგად, ესა თუ ის ფეოდალი, როდესაც თავისი უფლებების დასაცავად ან გასაფართოებლად ხმას იმაღლებს მასთან ერთად მის მომხრეთა გარკვეული დასი გამოდის, რაც თავისთავად შინაკლასობრივი ბრძოლის გაღრმავებასა და სიმწვავეზე მიუთითებს.

აჯანყებაში, როგორც ჩანს, თითქმის მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთ საქართველოს საკმაო ნაწილია ჩაბმული. ამასთანავე მემატინანეთა მიხედვით აჯანყების მოთავენი საკმაოდ მაღალი რანგისა და დიდების მქონე პირები არიან. რომ არაფერი ვთქვათ ვარდან დადიანზე, რომელიც მსახურთუხუცესი და ამავე დროს დიდი მიწების („ლიხთ-აქეთ პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილებელად ქონებისა“)⁶² პატრონი იყო, სხვა ფეოდალებიც ასევე თავის დროზე დაწინაურებულნი სჩანან. კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი გუზანი „ძულთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყაალა პატრონისა“⁶³. ე. ი. იგი მეფისაგან შეწყალებული და ამაღლებულია. ასევეა ბოცო სამცხის სპასალარი „სისრულისადა ადმატებით შეწყალებული“⁶⁴. თამარის პირველი ისტორიკოსი გაკვირვებულია, რომ თამარს სწორედ ის დიდებულები განუდგნენ, „რომელნი თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და უგულსავედ წყალობითა იყვნენ“⁶⁵.

ბუნებრივია, დიდებულებს საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ ამოძრავებდათ ის გარემოება, რომ ძლიერ ცენტრალიზებულ სამეფო ხელისუფლებას ვერ ეგუებოდნენ და ხსნას იური ანდრიას ძის რესტავრაციაში ხედავდნენ. რაც შეეხება მოქალაქეთა ზედა ფენას, ისინი იურის განდევნის შემდეგ თავიანთ დაკარგულ პოზიციებს მისტიროდნენ და, რა თქმა უნდა, რუსი უფლისწულის დაბრუნება მათთვის ხელსაყრელი იყო⁶⁶.

აჯანყებულებმა, როგორც ირკვევა, იური გეგუთს გადაიყვანეს და იქ მეფედაც კი გამოაცხადეს. ამ ამბით გაკვირვებული და აღშფოთებული თამარის

⁶² ისტორიანი და აზმანი შარაენდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ თამარის მეორე ისტორიკოსს ამბოხების მიზეზები მარტივად აქვს გადმოცემული „ამას უამსა მცირედ რამე აღძრნეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩუეულობისა ურჯუეობისა და რუსი მოიყვანეს“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 122).

პირველი ისტორიკოსი კითხულობს: „ვინა ანუ ვისილა მოსაყდრე საყდარსა დაჯდა დავითიანსა?“⁶⁷.

თუ თამარის ისტორიკოსებს დაეუჯერებთ, საქართველოს სამეფო კარისათვის დიდგვაროვან ფეოდალთა ესოდენ ფართო მასშტაბის განდგომა მოულოდნელი უნდა ყოფილიყო („... თამარ... უსახურისა და უაზრავისა საქმისა განკვრეხულნი“⁶⁸ იყო). თამარმა შეკრიბა ერთგული დიდებულები „ჭერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით და სამცხით“⁶⁹. შესაძლოა საქართველოს მეფეს ეპვი ეპარებოდა მათ ერთგულებაში, რადგან ისტორიკოსი საგანგებოდ უსვამს ხაზს „მკვრნეთა საქმითა ჰყადრეს ფიცით (მოწვეულმა დიდებულებმა — რ. მ.) არა მათგან ნებადართულობა საქმისა“⁷⁰. ე. ი. დიდებულებს დასჭირდათ შეფიცვა თამარისათვის, რათა ამ უკანასკნელს მათი უტოლდელობა დაეჭერებინა აჯანყების მოწყობის საქმეში („შეაჯერეს უმათოდ ქმნილობა“).

თამარ მეფე თავიდანვე არ ყოფილა მოსურვე აჯანყებულებთან შეხებისა და რთული საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა განუზრახავს. ამ მიზნით მას საგანგებო მოციქულებიც კი გაუგზავნია აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად. „... თევდორე პატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა... და სხუთთა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა“⁷¹. მაგრამ, როგორც ჩანს მემბოხეები მყარად იდგნენ თავიანთ განზრახვაზე და მეფესთან მშვიდობიან შერიგებაზე არ დათანხმებულან⁷².

თამარ მეფის მცდელობა აჯანყებულებთან საქმის მშვიდობიანად მოგვარებისათვის არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა და ეს მხოლოდ საქართველოს მეფის დიდბუნებოვნებით, ან მისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით (ასეთი მას, შეიძლება ითქვას, დიდგვარიანების მიმართ არც ჰქონია) არ უნდა აგხსნათ. ალბათ თამარმა და საქართველოს სამეფო კარმა გაითვალისწინა მემბოხეთა სიმრავლე, თვით ამ გამოსვლის სერიოზულობა და ის ამბავიც, რომ იური ანდრიას ძე უკვე გეგუთში იჯდა და მათთან შეხება, აჯანყების ჩახშობა არც თუ ისე იოლი საქმე იქნებოდა. თამარის პირველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ დასავლეთ საქართველოში სამეფო კარის მომხრეებიდან ძალზე ცოტანი დარჩნენ — „ოდესმე თევდორე პატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი იგი ოდენ დარჩა მას უამსა ერთგულად ლიხთიმერი... გზავნიდის...“⁷³ თანაც საქართველოს სამეფო კარი იმ გარემოებასაც ითვალისწინებდა, რომ გამდგარი დიდგვარიანი ფეოდალები, რომელთაც მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი უდგა სათავეში კარგად იყვნენ მომზადებულები და აჯანყების მსვლელობის გეგმაც სათანადოდ ექნებოდათ დამუშავებული. საფიქრებელია, რომ ის პერიოდი, რომელიც მოლაპარაკებას დასჭირდა, თამარმა თავისი ძალების მობილიზებისათვის გამოიყენა.

როგორც ირკვევა, აჯანყებულები ორად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა („თუთ მეფე-საგონებელითურთ“) გადალახა ლიხის მთა, ააოხრა ქართლი და ნაჭარმაგევამდე და გორამდე მოვიდა, მეორე ნახევარმა „დადიანთა წინამძღომითა“

⁶⁷ ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 50.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ იქვე.

⁷² იქვე.

⁷³ იქვე.

(მხედველობაში ვარდან დადიანი უნდა იყოს — რ. შ.) გადაიარა რკინის-ჯვარი, ჩავიდა ციხის-ჯვარს, შემდეგ დაწვეს ქალაქი ოძრხე. აჯანყება თანდათან იზრდებოდა. ოძრხესთან შეყრილან ბოცო და მესხნი „ვინცა იყვნეს მიმდგომნი მათნი“⁷⁴. აჯანყებულებმა იციან იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფეს გასდგომია „ქურდვაჭრისა იქით. ... ყოველი სომხითი: ივანე ვარდანისძე, პატრონი გაგისა; მაყა, პატრონი კაიწონისა (კაენი თვთ ვარდანისი იყო), სხუანი მის ქუეყნისა აზნაურისშვილნი“⁷⁵. ბუნებრივია, რომ ასეთი ფართო მასშტაბის აჯანყებაში დიდ ადგილს მოსახლეობის დაბალი ფენებიც დაიჭერდნენ, უშუალო ბრძოლისთვის მათი ძალა იქნებოდა გამოყენებული. გამდგარი ფეოდალები იმხანად არსებულ უკმაყოფილებას „წვრილ ერში“ (ეს უკმაყოფილება ფეოდალურ წყობილებაში ყველგან და ყოველთვის არის ექსპლუატაციის სიმწვეავით გამოწვეული და არც თამარის ეპოქა შეადგენდა ამ მხრივ გამოწვევის) თავის სასარგებლოდ და საქართველოს მეფის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდნენ. თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მეამბოხეებს გადაუწყვეტიათ „პირველად აღება ჭავახეთისა, თმოგვსა და ახალქალაქისა, კუალად თრიალეთისა და სომხითისა“⁷⁶.

ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი გულხელდაკრეფილი არ დალოდება აჯანყებულთა მოქმედებას. საგანგებო ბრძანება მიეცა ამირ-სპასალარს — გამრეკელს, „ოთხთა მტარგრძელთა და სხუათა თორელთა, ზემოთა და ქუემოთა, წასვლა და მიგებება წინა ქუეყანასა ჭავახეთისასა და მუნვე ცნობა ძალისა მათისა“⁷⁷. თამარის ლაშქარს ერთგულად დარჩენილი მესხებიც შეუერთდნენ. მოწინააღმდეგენი მტკვრის სხვადასხვა მხარეს დაბანაკდნენ, ხოლო შებრძოლება მოხდა „ქიდსა ზედა“. მებრძოლები სიბნელემ გაჰყარა ერთმანეთს. როგორც ირკვევა, ჭერ კიდეც არ ჩანდა თუ ვის მხარეზე იხრებოდა გამარჯვების სასწორი. ბჭობა გაიმართა ორივე ბანაკში. მეამბოხეებს გადაუწყვეტიათ, რომ უკან დაეხიათ, ციხე-სიმაგრეში გამაგრებულ იყვნენ. სამეფო ლაშქარი დაედევნა მტერს. მეამბოხეები კვლავ შეეცადნენ გარიდებას. თმოგვსა და ერუშეთს შუა გაიმართა დიდი ომი, რომელშიაც „მიეცა ძლევა ბუმბერაზთა და მოყმეთა თამარისთა, და გაქცეულნი რომელნიმე დაიპყრნეს, დაჯოცეს და ტყუეყვეს“⁷⁸. თამარის მოლაშქრეების ზარალი მეტად უმნიშვნელო ყოფილა. ყოველი შემთხვევისთვის ისტორიკოსი ფაქტიურად არაფერს ამბობს ამაზე, პირიქით აღნიშნავს, რომ „ამათ (თამარის მოლაშქრეებს — რ. შ.) არა ევენო არცა სიკუდილითა, არც დაკოდითა, თვნიერ რომელ ივანე სარგისის ძე დაკოდეს“⁷⁹. ეს მეამბოხეთა ერთი ნახევარი იყო მხოლოდ დამარცხებული. საჭირო იყო შემდგომი მოქმედება. საგანგებო თათბირმა⁸⁰, რომელმაც შემდგომი მოქმედების გეგმა განიხილა დაადგინა, რომ ქართლში მყოფ მეამბოხეებზე მიეტანათ იერიში („დასხმა (ყვეს) ქართლს მყოფთა“). საქართველოს ლაშქარი გაემართა ქართლისაკენ, მაგრამ ბრძოლა აღარ დასჭირდათ. გაუგიათ თუ არა ქართლში მყოფ მეამბოხეებს თავიანთ მოლაშქრეთა ნაწილის დამარცხება („ამოწყუედა

⁷⁴ ისტორიანი და აზმანი შარაენდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 51.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე, გვ. 52.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ იქვე, გვ. 53.

და გაქცევა“) ჯავახეთში, თითონაც გაქცეულან („მსწრაფლ იკმეის გარდავლა“). ამდენად შინაკლასობრივი ბრძოლის ეს მეტად საინტერესო ფურცელი ფეოდალური საქართველოს ისტორიაში, დიდგვარიანებისა და მოქალაქეთა ზედა ფენის ინიციატივით აჯანყებულთა დამარცხებით დამთავრდა. მძიმე დღეში ჩავარდნენ ძლეული მემბოხეები, რადგან „თამარსა ზედა ესე უსახური საქმე იკადრეს“⁸¹. მძიმე განაჩენის მოლოდინში თავიანთი სრული მორჩილების ნიშნად „რომელნიმე მოვიდეს ყელ-საბელ მობმითა“⁸². ბევრმა პირდაპირ მისვლა და მორჩილების გამოცხადება ვერ გაბედა სასჯელის შიშით. მხოლოდ საგანგებო შუამავლობის შემდეგ (ამ შუამავლების პირით დიდებულები საქართველოს მეფის წინაშე ცოდვებს ინანიებდნენ და შენდობა-პატიებას ეაჩებოდნენ) გადმოვიდნენ ლიხთ-იმერიდან დიდებულები და თან გიორგი უფლისწულიც გადმოიყვანეს. გამარჯვებულ სამეფო კარს, ალბათ გარკვეული მოსაზრებით, დიდი სისასტიკე არ გამოუჩენია დამარცხებულ მემბოხეთა მიმართ. იური ანდრიას ძე სრულიად უვნებელი გაუშვიათ თამარის ბრძანებით. იგი, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს⁸³, კვლავ ბიზანტიაში უნდა წასულიყო. რაც შეეხება ამბოხების სხვა თავკაცებს არც ისინი სჩანან, ისე დასჯილი, როგორც ეს კანონით იყო გათვალისწინებული⁸⁴, თუმცა თანამდებობები კი ჩამოურთმევიათ. აჯანყების მეთაურის ივანე ვარდანისძისათვის მსახურთუხუცესობა წაურთმევიათ და საპატიო ხელი ივანე სარგისის ძისათვის უბოძებიათ⁸⁵. თამარის პირველი ისტორიკოსი ასახელებს სხვა „შეწყალებულებსაც“ — ერთგულების გამოჩენისათვის დაჯილდოებულებს. მათ შორის არის ზაქარია ვარამის ძე, რომელსაც უბოძეს „გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა“⁸⁶. სხვა ერთგული დიდებულებიც უხვად იქნენ დაჯილდოებული⁸⁷. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ ამირსპასალარობა ზაქარია მხარგრძელს ებოძა, თანაც მის სამფლობელოებს ქალაქი რუსთავიც მიუმატეს. მანდატურთუხუცესმა ჭიბერმა დამატებით მიიღო „ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“⁸⁸. სარგის ვარამის ძეს უბოძეს თმოგვი⁸⁹. დანარჩენებიც⁹⁰ „შეიწყალნეს თვითონეულნი თჳსითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა რომელნიმე მომატებითა“⁹¹.

თამარის ისტორიკოსებს სურთ მოგვაჩვენონ ყველაფერი ისე, რომ ამ ამბის შემდეგ ქვეყანაში მშვიდობა და სიხარული ჩამოვარდა („ერთბაშად ძოვდეს ლომი და ქარი. და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხუართა თანა“)⁹² რა თქმა უნდა, მძაფრი სოციალური ბრძოლა არ განელებულა ფეოდა-

⁸¹ ისტორიანი და აზმანი შარაუანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 54.

⁸² იქვე.

⁸³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 262.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ ისტორიანი და აზმანი შარაუანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 54.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ იქვე, გვ. 54—55.

⁸⁸ იქვე, გვ. 55.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ ესენია: წიქტულელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიბერის ძენი, მახატლის ძენი, თავნი კახეთისანი თორღასძენი და სხვ. (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55).

⁹¹ ისტორიანი და აზმანი შარაუანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55.

⁹² იქვე, გვ. 54—55.

ლურ სახელმწიფოში. თუნდაც ის ფაქტი, რომ სულ მალე გუზანმა თავისი ორგულობა სამეფო კარისა და ქვეყნის ცენტრალიზებული მართვა-გამგებლობის მიმართ კვლავ გამოამყვანა, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. ამ ფეოდალმა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა მრავალი ციხეები ჩამოაშორა საქართველოს⁹³ და „წარვიდა ქუეყანასა შაჰარმენისასა“. მას რამდენიმე სხვა ფეოდალიც მიემხრო. შაჰარმენისათვის ეს კარგი შენაძენი იყო და ასეთი მომენტის გამოყენება მისთვის სასარგებლო იქნებოდა. ამიტომ არ დააყოვნა და ლაშქარი გამოგზავნა გუზანის შვილითურთ. მიზანი ძირითადად „ციხეთა შინა თურქთა შეყენება“ და ამასთანავე გუზანის ცოლ-შვილს საქართველოდან წაყვანა იყო. მტრის ჯარი მრავალრიცხოვანი ყოფილა. დრო აღარ ითმენდა და მათ ქართველები მცირერიცხოვანი ლაშქრით შეებნენ ზაქარია ფანასკერტელის სარდლობით. ბრძოლა უთანასწორო და „დიდად დაჭირვებული... გადაიხადეს“. ქართველებმა გაიმარჯვეს და გუზანის ცოლ-შვილიც ხელთ იგდეს, ამასთან გუზანისაგან ლალათით გაცემული ციხეები კვლავ უკან დაიბრუნეს⁹⁴.

საინტერესოა თვით იური ანდრიას ძის ქვეყნის დასაკავებლად მეორედ გამოჩენის ფაქტი. ამჯერად ეს არანის მხრიდან მოხდა. კონსტანტინოპოლიდან წამოსული რუსი უფლისწული მივიდა ათაბაგთან და „მისგან აიღო არანის ქუეყნისა სამყოფი, შემსგავსებული სჯსა მისისა“⁹⁵.

აქ ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ იური პირველად კარნუ-ქალაქიდან გამოემართა, ხოლო მეორედ — არანიდან. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. პირველ შემთხვევაში, კარნუ-ქალაქელი საქართველოს სახელმწიფოს დასუსტებით დაინტერესებულები არიან, რადგან ისინი შევიწროებულად გრძნობდნენ თავს საქართველოს ლაშქრისაგან. ამ უკანასკნელმა არაერთგზის დაარბია კარნუ-ქალაქი და, როგორც ჩანს, ეს ქვეყანა ხარკსაც უხდიდა საქართველოს⁹⁶. ამდენად, კარნუ-ქალაქის მმართველი წრეები რუსი უფლისწულის ზრახვას, ბუნებრივია, ხელს შეუწყობდნენ. ამ მხრივ ასევე დამახასიათებელია ზემომოყვანილი ფაქტი იური ანდრიას ძის მეორედ შემოჭრისა საქართველოში არანიდან. არ არის გამორიცხული, რომ იგი თვით ათაბაგმა მიიწვია. ეს უკანასკნელი ალბათ ვარაუდობდა, რომ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე არსებობდა, რუსი უფლისწულის ქვეყნის საზღვართან ახლოს ყოფნა უფრო გააღრმავებდა. ყოველივე ამით კი თვით არანი მოითხოვდა ხელს. სხვაგვარად ახსნა იმ ფაქტისა, რომ რუსმა უფლისწულმა მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მიიღო ადგილსამყოფელი და საჭიროო ძალები არანში⁹⁷, ძნელი იქნება.

იური ანდრიას ძემ შეჰყარა განძისა და არანის ლაშქარი და შემოიჭრა საქართველოში — კამბეჩანის მხარეში, დაარბია ეს მხარე და ტყვე და ნადავლიც ბევრი „აიღო“⁹⁸. გაიგო რა ამის შესახებ ხორნაბუჯის პატრონმა საღირ მახატლის ძემ, მცირე ლაშქრით დაედევნა მოწინააღმდეგეს, შეებრძოლა თავგან-

⁹³ ისტორიანი და აზმანი შარავეანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55.

⁹⁴ იქვე, გვ. 55—56.

⁹⁵ იქვე, გვ. 61.

⁹⁶ ი. ც ი ნ ა ძ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI), თბ., 1956, გვ. 132.

⁹⁷ ისტორიანი და აზმანი შარავეანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 61.

⁹⁸ იქვე.

წირვით და დაამარცხა კიდევ. იური ანდრიას ძე სხვა გადარჩენილ მეზობლებთან ერთად გაიქცა და „გარდაიხუეწა“⁹⁹.

იურის მეორედ შემოსვლაზე ჩვენ იმიტომ შევჩერდით, რომ ესეც გარკვეულად დაკავშირებული იყო სამეფო კარსა და დიდგვარიანებს შორის არსებულ ბრძოლასთან. ამჟერად ამ ბრძოლაში გარეშე ელემენტი — არანი იღებს მონაწილეობას, მაგრამ თვით ამ გარეშე ქვეყნის მესვეურთა ინტერესები მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიანების ინტერესებს ეკვანძებოდა და ეს აძლევდა საშუალებას სხვა ძალებს საქართველოს წინააღმდეგ ხმის ამაღლებისათვის.

ამგვარად, დიდგვაროვან ფეოდალთა და მოქალაქეთა ზედა ფენის ინტერესებიდან გამომდინარე ცენტრალიზებული ხელისუფლებისა და სამეფოსკარო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული 1191 წლის აჯანყება მეტად საინტერესოა მისი თავისებურებით. ეს თავისებურება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ დიდგვარიანებმა ახალი ძალა (თუ შეიძლება ითქვას გარეშე ძალა) შემოიყვანეს თავიანთი მოქმედების გასამართლებლად, იური ანდრიას ძის სახით. ამასთან ეს აჯანყება არ შეიძლება ერთი რომელიმე თარიღით შემოვფარგლოთ, რადგან მწვავე და უკომპრომისო ბრძოლა ჯერ კიდევ იური უფლისწულის ყვიჩაყეთიდან ჩამოყვანიტა და თამარის სახლობის საკითხის გადაწყვეტით დაიწყო. აქ სხვადასხვა სოციალური წრეების ინტერესები ეჯახებოდნენ ერთმანეთს. შინაკლასობრივი ბრძოლის (მეფესა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის ბრძოლის) ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იური ანდრიას ძის განდევნა საქართველოდან (1187—1188 წწ.), რამაც მძიმე ლაზვარი ჩასცა ქართველ ფეოდალთა და მოქალაქეთა ერთ ნაწილს და სამეფო ხელისუფლების მიერ მტკიცე კურსის აღება ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ. 1191 წლის აჯანყებაც სწორედ ცენტრალიზებული სახელმწიფოს შერყევასა და ფეოდალთა გარკვეული ჯგუფის უფლებების გაფართოებას, ამავე დროს იურის განდევნით დაზარალებულ მოქალაქეთა ზედა ფენის, დიდვაჰარ-ფინანსისტების სამეფო ხელისუფლებაზე გავლენის აღდგენას ითვალისწინებდა.

საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ ფეოდალთა ერთი ნაწილის მიერ ორგანიზებული იური ანდრიას ძის შემოსვლები საქართველოში ხელახლა დასამკვიდრებლად ცალკეული მომენტები კი არ იყო ქვეყნის ისტორიიდან, არამედ მთელი პროცესი სოციალური (შინაკლასობრივი) ბრძოლებისა, ეგრერიგად რომ ახასიათებდა საქართველოს ფეოდალურ წყობილებას.

⁹⁹ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 61.

დასავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში

XI—XII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებთან შედარებით დასავლეთ საქართველოს ქალაქები ნაკლებ არის შესწავლილი. ეს გამოწვეულია წყაროებისა და მასალების უკიდურესი სიმცირით.

ასე მაგალითად, პროფ. შ. მესხია წიგნში, რომელიც ეხება ფეოდალური საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო წყობილებას, ძალიან ცოტას ამბობს XI—XII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქებზე. იგი ვრცლად განიხილავს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს. მკვლევარს ამის მიზეზად მოჰყავს სათანადო წყაროების უკმარისობა. მას მხოლოდ მოკლედ აქვს დახასიათებული ისეთი ქალაქები, როგორც იყო ქუთაისი, სოხუმი (ცხუმი), ნიკოფსია, ბიჭვინტა და სხვ.¹

დას. საქართველოს ქალაქები სამარშრუტო გზებთან მიმართებაშია შესწავლილი აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ. კვლევა-ძიების შედეგად მან დაადგინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების დამაკავშირებელი გზები და გადასასვლელები².

პროფ. ლ. ჭილაშვილი, რომელსაც XI—XII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების შესახებ ყველაზე ვრცელი და საფუძვლიანი კვლევა აქვს ჩატარებული, მხოლოდ გაკვრით ეხება დასავლეთ საქართველოს ქალაქებს და იმ სამარშრუტო გზებს, რომლებიც ქუთაისზე გადიოდნენ. მას აღნიშნული აქვს ქუთაისის სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობაც³. ლ. ჭილაშვილი ასახელებს აგრეთვე შავიზღვისპირეთის ქალაქებს: სოხუმს, ფოთსა და ხუფათს⁴.

პროფ. ზ. ანჩაბაძე წიგნში შუასაუკუნეობრივი აფხაზეთის ისტორიიდან (VI—XVII სს.) განიხილავს ქალაქებს და აღნიშნავს სოხუმის როგორც საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზღვაო ცენტრის მნიშვნელობას, ადგენს ქალაქის ტერიტორიულ საზღვრებს⁵ და მის ეკონომიურ როლს გენუის ახალშენებთან დაკავშირებით აფხაზეთის სანაპიროზე (XIII—XV სს)⁶.

ვლ. ჩაქვეტაძის მიერ მონოგრაფიულადაა შესწავლილი ქუთაისის პოლიტიკური ისტორია უძველესი დროიდან XV საუკუნემდე⁷. შეძლებისდაგვარად

¹ შ. ა. მესხია, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 14, 62—63.

² ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 33—34, 72.

³ ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1970, გვ. 128, 135.

⁴ იქვე, გვ. 128, 144.

⁵ ზ. ვ. ანჩაბაძე, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, გვ. 189—190.

⁶ იქვე, გვ. 243—249.

⁷ ვლ. ჩაქვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960.

გამოკვლეულია აგრეთვე მისი ეკონომიური ცხოვრება და სავაჭრო ურთიერთობანი უპირატესად დედაქალაქობის პერიოდში (1122 წლამდე)⁸. ვ. ჩაკვეტაძე ყურადღებას აქცევს ქუთაისის მდგომარეობას თბილისის საქართველოსთან შეერთების შემდეგაც⁹. მაგრამ ბევრი არაფერია ნათქვამი დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების შესახებ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ XI—XII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქების მდგომარეობა და მისი განვითარების განმსაზღვრელი პირობები დღემდე არ ყოფილა სპეციალური კვლევა-ძიების საგანი.

მასალების სიმცირე, რასაკვირველია, არ იძლევა დასავლეთ საქართველოს ქალაქებთან დაკავშირებული ყველა მოვლენის შესწავლისა და გაშუქების საშუალებას, მაგრამ ის რაც ჩვენს ხელთაა ერთგვარად მანიც გვიქმნის იმის შესაძლებლობას, რათა აღვადგინოთ დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ზოგიერთი მხარე.

წყაროებში დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან მხოლოდ ერთი ქალაქის შესახებ მოგვეპოვება ასე თუ ისე სრული ცნობები. ესაა ქუთაისი. დასახელებულია აგრეთვე სოხუმი, ფოთი, ხუფათი, ანაკოფია, ნიკოფსია.

აღნიშნულ ქალაქებთან დაკავშირებით მასალები ფრაგმენტული სახით გვხვდება და მიმოფანტულია როგორც თანამედროვე (XI—XII სს.), ისე გვიანდელ (XVI—XVIII სს.) წყაროებში (გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, „მატიანე ქართლისა“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი“, ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორია“...).

საქართველოს ქალაქებს შორის ქუთაისი ერთ-ერთი უძველესთაგანია. ესაა დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქი და გარკვეული წლების განმავლობაში ერთიანი საქართველოს დედაქალაქიც.

ქუთაისი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. აქ გადიოდა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. ქუთაისის საშუალებით დასავლეთ საქართველოს კუთხეები — რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი — შავი ზღვის ქალაქებთან იყვნენ დაკავშირებული¹⁰.

ქუთაისის შემოგარენს წყაროები ახასიათებენ როგორც „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“¹¹.

ქალაქი კარგად იყო გამაგრებული (ციხე, გალავანი).

აქ საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა X—XII საუკუნეებში. აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება ქუთაისის დედაქალაქობის პერიოდი (980—1122 წწ.), რამაც უდავოდ განსაზღვრა ქუთაისის შემდგომი დაწინაურება¹².

ქუთაისი ფაქტიურად წარმოადგენდა მთელი საქართველოს დედაქალაქს, ვინაიდან თბილისი ჯერ კიდევ მუსლიმანთა ხელში იყო.

⁸ ვლ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—117, 118, 123, 129, 156, 157—179.

⁹ იქვე, გვ. 161—162, 173—178.

¹⁰ ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

¹¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 327.

¹² ქუთაისის აფხაზთა ქართული სამეფოს დედაქალაქად გადაქცევა VIII ს-ის მეორე ნახევარში (ძველი ციხე-გოჯის — არქეოპოლისის მაგიერ) განაპირობა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ფაქტორებმა (დაწვრილებით იხ. ლ. კილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 68).

ქართული წყაროები ქუთაისის ქართველ მეფეთა სახლს, ანუ რეზიდენციას უწოდებენ („სახლად მათდა ქუთათისის“, „შემოვიდა სახლად თვსად ქუთათისის“ და სხვ.)¹³.

რაც უფრო ვითარდებოდა საქართველოს გაერთიანების პროცესი, მით უფრო იზრდებოდა ქუთაისის როლი და მნიშვნელობა. ქუთაისსა და მის სანახებში შენდება ტაძრები, სასახლეები და საერო დანიშნულების ნაგებობანი (ბაგრატიის ტაძარი, გელათი, გეგუთი, აბანოები, ხიდები, მოკირწყლული გზები, წყალსადენები).

ქუთაისის მნიშვნელობის ზრდით იყო გაპირობებული ის, რომ მის მახლობლად დავით აღმაშენებლის ინიციატივით დაარსდა სასწავლო-კულტურული ცენტრი — გელათის აკადემია. გელათს დავითის ისტორიკოსი „მეორე იერუსალემს“ და „სხვა ათინას“ უწოდებს¹⁴. გელათშივე დავით აღმაშენებელმა „აღაშენა ქსენონი“ (სასნეულო სახლი) „ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა“¹⁵.

ქუთაისის და კერძოდ გელათის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გელათი ქართველ მეფეთა ერთ-ერთ საძვალედ გადაიქცა: გელათში დაკრძალულია დავით აღმაშენებელი; წყაროების თანახმად, აქვე არიან დაკრძალული დემეტრე I, გიორგი III, თამარი, დავით სოსლანი, გიორგი ლაშა¹⁶. შიგ ქუთაისის საყდარში გიორგი I¹⁷.

„მატიანე ქართლისას“ გადმოცემით ქუთაისში ყოფილა სამეფო საჭურჭლეც. წყაროს ცნობით, გიორგი II-ის დროს მომხდარი არეულობის ჟამს ნიანია ქვაბულისძემ „წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე“¹⁸. 1122 წ. დავითმა საჭურჭლე ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა¹⁹.

ქუთაისში არსებობდა ზარათუხანაც, სადაც იჭრებოდა ქართული მონეტები (ბაგრატი IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი...). თ. ლომოურის აზრით, „საფიქრებელია, რომ ზარათუხანა სატახტო ქალაქში უნდა ყოფილიყო, ე. ი. დავითის მიერ თბილისის აღებამდე ქუთაისში, ხოლო ამ ამბის შემდეგ, 1122 წლიდან თბილისში“²⁰.

ქუთაისი, როგორც დედაქალაქი, სამეფო კარისა და დიდებულების ადგილსამყოფელი იყო. აქ მოქმედებდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები. პოლიტიკურ ცენტრს გარდა მას ეკონომიური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა. ქუთაისზე გამავალი საერთაშორისო-სავაჭრო გზები მისი ეკონომიური და კულტურული დაწინაურების ერთ-ერთი ფაქტორი იყო.

XI საუკუნის ქუთაისის შაჟი ზღვის ქალაქებთან და ნავსადგურებთან კავშირი კარგად ჩანს გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან“, რომელშიც მისი

¹³ მატიანე ქართლისა, გვ. 290, 304.

¹⁴ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 330—331.

¹⁵ იქვე, გვ. 331.

¹⁶ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 367, 369, 371.

¹⁷ მატიანე ქართლისა, გვ. 291.

¹⁸ იქვე, გვ. 316.

¹⁹ თბილისი დავითმა „... დაუმკურნა შვილთა თვსთა საჭურჭლედ და სახლად თვსად საუკუნოდ“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 342).

²⁰ თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1938, გვ. 299.

მოგზაურობა აღწერილი. „მოვიწიენით სამისონს, ქალაქსა ზღვს კიდისასა, და მუნ განვიცდენით საქედარნი ჩუენნი და ესრეთ ნავითა წარვემართენით ფოთს და მიერ საქედრითა ქუთათისს“²¹.

საინტერესოა ის ცნობაც, სადაც აღწერილია ბაგრატ მეფის საბერძნეთიდან დაბრუნება. ბაგრატ IV „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვს პირსა, ხუფათს... და შემოვიდა სახლად თვსად ქუთათისს“²².

ქუთათისზე გადიოდა ჩრდ. კავკასიისკენ მიმავალი გზა²³, აღმოსავლეთ საქართველოსთან და მცირე აზიასთან დამაკავშირებელი გზები²⁴.

ქუთათისიდან თბილისისაკენ (ლიხის მთით) მიემართებოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალი²⁵.

ლიხთ იმერეთს ამერეთთან აკავშირებდა პერანგას, კორტოხის, დედაბერას, რიკოთის, სურამის და „ციხის ძირის“ გადასასვლელები²⁶.

ამ გზებისა და გადასასვლელების საშუალებით ქუთათისი დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებთან (თბილისი, რუსთავი, დმანისი, ხუნანი, სამშვილდე და სხვ.), ხოლო აღმ. საქართველო მას აკავშირებდა ირანის მთავარ სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებთან — არღებილ-ზენჯანის და დვინ-თავრიზის მაგისტრალებით.

მახლობელ აღმოსავლეთს ქუთათისი უკავშირდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგისტრალებითაც (არტანუჯისა და არტაანის გზები და ტრაპიზონის გზის განტოტებანი)²⁷.

შავიზღვისპირეთის ქალაქების (ფოთი, სოხუმი, ანაკოფია...) მეშვეობით კავშირი მყარდებოდა ბიზანტიის იმპერიასთან.

ჩვენ მოგვეპოვება ქართული წყაროს ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვით პირდაპირი კავშირი დამყარებული ჰქონდა კონსტანტინოპოლთან. მაგ., ბაგრატს აფხაზთა მეფის ძეს კონსტანტინოპოლში „მისცა მეფემან ლაშქარი და გამოგზავნა ზღვით და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად“²⁸. ამგვარ ცნობებს თავის დროზე ყურადღება მიაქცია აკად. ივ. ჯავახიშვილმა და სხვათაშორის აღნიშნა, რომ „სამისონითგან ფოთში ნავით წასვლა ეხლაც ადვილი საქმე არ არის, მაშინ ხომ, ალბათ, მხოლოდ როცა დარი ხელს უწყობდა ადამიანს შეეძლო გაეებდნა ზღვით მგზავრობა, მაშინ აფხაზეთში ზღვით კონსტანტინეპოლითგან პირდაპირაც მიდიოდნენ თურმე“²⁹.

²¹ ათონის კრებული, თბილისი, 1901, გვ. 319.

²² მატიანე ქართლისა, გვ. 304.

²³ ე. ჩ ა კ ე ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

²⁴ იქვე.

²⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 33—34.

²⁶ იქვე, გვ. 34.

²⁷ ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან მაგისტრალს წარმოადგენდა არტანუჯის გზა. „არტანუჯიდან ერთი გზა ყველის ციხით და შემდეგ ოძრხე-კლდეკარის გასასვლელით ქუთათისს მოემართებოდა, მეორე კი არტაანისაკენ“, ლ. ქ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

²⁸ მატიანე ქართლისა, გვ. 261.

²⁹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II გვ. 72. ივ. ჯავახიშვილის ეს განმარტება იმიტომ საყურადღებოა, რომ შავ ზღვაზე, სადაც ნაოსნობა ნაკლებ ინტენსიური იყო, მგზავრობა მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და საზღვაო ტექნიკაც, ამიტომ, მაღალი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ იქ სადაც ზღვაოსნობა ინტენსიური იყო, ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთის ოკეანეზე, საზღვაო ტექნიკა იმდენად იყო განვითარებული, რომ მუსლიმანი მეზღვაურები თავიანთ ხომალდებით ზღვის ვრცელ სივრცეებს სერავენ. გავიხსენოთ სინდბადის ამბავი და თავგადასავალი.

როდესაც ბაგრატ III-ის თაოსნობით დამთავრდა ქუთაისის კათედრალის მშენებლობა (1003 წ.), მეფემ „აკურთხა ეკლესია ქუთათისა“. ამ საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ „... მახლობელნი ყოველი კელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოდღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუთა ყოველთა სახელმწიფოთანი“³⁰.

აღნიშნული ფაქტი ქუთაისის საერთაშორისო რეზონანსზე მეტყველებს. უცხო ქვეყნებთან ურთიერთობას გვიდასტურებს აქ ნაპოვნი ნუმიზმატიკური მასალაც³¹.

1122 წლის შემდგომაც, როცა თბილისი საქართველოს დედაქალაქად იქცა, ქუთაისს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. დავით აღმაშენებელი, გიორგი III და თამარი არაერთხელ გადასულან ქუთაისში და იქიდან უმართავთ სახელმწიფო.

ქუთაისი ყოველთვის სამეფო ქალაქი იყო, ხოლო წყაროები საქართველოს მეფეებს ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც თბილისისა და ქუთაისის ტახტის მპყრობელებს³².

ქუთაისს წყაროები უკავშირებენ სამოქალაქოს. ამდენადვე არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს ქუთაისისა და სამოქალაქოს ურთიერთდამოკიდებულებამ.

წერილობით წყაროებში სამოქალაქოს გამო ნათქვამია: ბაგრატ III „მოვიდა ქუთათისს, და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი“³³.

1080 წელს დიდთურქობის ყამს „... არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“³⁴.

გიორგი III-ეს „აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით“³⁵.

აჯანყებულ იური ბოგოლუბსკის მიემხრო „ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი“³⁶.

ქართული წყაროების „სამოქალაქომ“ კარგა ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „სამოქალაქო“ ქუთაისის სანახებს უნდა გულისხმობდეს³⁷. ამასვე აღნიშნავდა აკად. კ. კეკელიძე³⁸. განსხვავებული აზრისაა აკად. ს. ჯანაშია. მას სამოქალაქო მუხირეზისის (მუხირისის) ძველ ქართულ სახელწოდებად მიაჩნდა და მასში იმერეთისა და სამეგრელოს (კერძოდ, აბაშა-მარტვილის) ნაწილს გულისხმობდა³⁹.

³⁰ მატიაზე ქართლისა, გვ. 281.

³¹ И. А. Д ж а л а г а н и я, Два клада сельджукских монет, СА, 1958, № 2, გვ. 213.

³² ვ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

³³ მატიაზე ქართლისა, გვ. 299.

³⁴ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 319.

³⁵ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიაზე, გვ. 367.

³⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, II, თბილისი, 1959, გვ. 49.

³⁷ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 51, 55.

³⁸ История и восхождение венценосцев, Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. К е к е л и д з е, Тб., 1954, глава XXIV, გვ. 105, შენ. 6.

³⁹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ., ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 320.

ქუთაისის ისტორიის მკვლევარი ვ. ჩაკვეტაძე თვლის, რომ სამოქალაქო (აღრინდელი სახელწოდება მოხირისი) ქუთაისის ახლო-მახლო მდებარე ტერიტორიას, ანუ მის სანახებს ეწოდებოდა და არავითარ შემთხვევაში არ მოიცავდა თანამედროვე აბაშა-მარტვილის (გეგეჭკორის) რომელიმე ნაწილს. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად ვ. ჩაკვეტაძეს სხვადასხვა მასალებთან ერთად მოაქვს პროკოფი კესარიელის ერთი ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ არქეოპოლისი (ნოქალაქევი) ერთი დღის სავალზე მდებარეობდა მოხირისიდან⁴⁰.

მისივე აზრით „სამოქალაქოს“ სინონიმურ ცნებად უნდა მივიჩნიოთ „ქუე-ყანა ქუთათისისა“⁴¹.

როგორც ჩანს. „სამოქალაქო“ უფრო ფართო ცნების მომცველი იყო, ვიდრე ცალკე აღებული ქუთაისი⁴².

„სამოქალაქოში“ წარმოდგენილი იყო მთელი რიგი დასახლებული პუნქტები.

ქუთაისის სანახებში მდებარე მალაკი, გეგუთი, წყალტუბო, ვარდციხე, გელათი, კურსები, გოდოგანი და სხვ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქუთაისის ეკონომიურ ცხოვრებაში⁴³.

გელათთან ერთად ქუთაისთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა გეგუთიც. შ. მესხიას გეგუთი ქალაქის ტიპის დასახლებად მიაჩნია, და იქვე აღნიშნავს, რომ ამ ტიპის დასახლებანი აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში⁴⁴.

გეგუთი დაახლოებით 1156 წ. დააარსა გიორგი III-ემ⁴⁵ და ქართველ მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციას წარმოადგენდა. აქ ჩერდებოდნენ გიორგი III⁴⁶, თამარი („ხოლო მეფე თამარ ზამთრის დურს იყვის და ზაფხულის კოლას ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს: გეგუთს და ცხუმს“⁴⁷). ვახუშტი მას ზამთრის სადგურს უწოდებს („სად ერთვის რიონს ყვირილა, მის ჩრდილოთ და რიონს დასავლეთით არს გეგუთი სადგური ზამთარს მეფეთა“⁴⁸). გეგუთს, ვახუშტის თქმით. „ციხე დარბაზსაც“ ეძახდნენ⁴⁹.

⁴⁰ ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

⁴¹ იქვე, გვ. 116.

⁴² „სამოქალაქოს“ გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულა სხვა მოსაზრებებიც. ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტი ადრეულ საისტორიო წყაროებში დამოწმებული „სამოქალაქო“ მოსახლეობის იდენტურია და გულახსმობს მეფის დომენს (ქ. ჩხატარაიშვილი, ძველა ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან (შიდა ლაშქარი) მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 4, გვ. 131—129). ამას იზიარებს მ. კეკელიძე (მ. კეკელიძე, იმერეთის სამეფოში არსებული „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტის შესახებ, მაცნე, ივრე, 1972, № 3, გვ. 143, შენ. 6). გ. ცქიტიშვილის აზრით „სამოქალაქო“ ქუთაისთან ერთად მოიცავდა ქვემო იმერეთს (გ. ცქიტიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 223).

⁴³ ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

⁴⁴ Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 46.

⁴⁵ ვ. წილოსანი, გეგუთი, ციხე-დარბაზი, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1933, გვ. 458.

⁴⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 22.

⁴⁷ იქვე, გვ. 111.

⁴⁸ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი, 1941, გვ. 156.

⁴⁹ იქვე, გვ. 157.

გელათის და გეგუთის დაარსება XII ს-ში კარგად მოწმობს, თუ როგორ ყურადღებას აქცევდა მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების მნიშვნელობის ზრდასა და განმტკიცებას.

ყურადღება ექცეოდა აქაური ქალაქების ეკონომიურ განვითარებასაც.

ზემოთ, თავის ადგილზე უკვე ითქვა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია (ნ. ბერძენიშვილი, ლ. ჭილაშვილი) იმ გზების მნიშვნელობა, რომლითაც დასავლეთ საქართველოს ქალაქები და, კერძოდ, ქუთაისი აღმ. და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სავაჭრო მაგისტრალებს უკავშირდებოდა.

დასავლეთ საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ზღვისპირეთის ქალაქებიც.

ზღვისპირეთის ქალაქებს შორის სოხუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ქალაქია. ძველად მას სევასტოპოლედ რქმევია, ლეონტი მროველის თხზულების ჩანართებში წერია: „შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად⁵⁰ მოვიდეს, რომელსაც აწ ეწოდება ცხუმი“⁵¹.

ჯუანშერის თხზულებაშიც ცხუმი აფხაზეთის ქალაქია⁵².

საზოგადოდ, ძველ წყაროებში სოხუმი ქალაქად იწოდება („დაიბანაკა პიტოტას, ზღვს პირს, ქალაქსა, რომელსა ჰქვან ცხუმი“⁵³). ვახუშტიც სოხუმს ქალაქად იხსენიებს. მის დროს ის უკვე დაბაა⁵⁴.

შუა საუკუნეების სოხუმი ძირითადად მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე იყო გაშენებული. ვახუშტი შემდეგნაირად განსაზღვრავს სოხუმის ადგილმდებარეობას: „ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა, გამომდინარე კავკასისა, და მოერთვის ზღვას ჩრდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან“⁵⁵.

XI—XII სს. სოხუმი მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი ჩანს. ასე, მაგალითად, არქეოლოგთა აზრით, აქ უნდა არსებულებოდა კერამიკის საწარმოო ცენტრი⁵⁶.

სოხუმის საგარეო კონტაქტებზე მეტყველებს აქ ნაპოვნი უცხოური მონეტები⁵⁷.

⁵⁰ მეკლეარტა აზრით, სევასტოპოლისი (სებასტოპოლისი) იგივე ძველი დიოსკურიიაა, *М. П. И п а д з е, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, გვ. 242.*

⁵¹ ლეონტი მროველი, გვ. 42. მსგავსი ჩანართები ანღრია მოციქულას მოღვაწეობიდან არის აღებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ მოღვაწეობის ამასხეულა „ცხოვრება“ ძველქართულ წყაროთა რიგს განეკუთვნება. ამ წყაროთა შესახებ იხ. ივ. ჯაქეაშვილი, ანღრია მოციქულის და წ-და ნინოს მოღვაწეობა საქართველოში (ეგრნ. „მოამბე“, ტფ., 1900, № V, გან. II, გვ. 55—70, № VI, გვ. 18—50); მისივე, *Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии (Жур. Мин. нар. просв., СПб., 1901, № 1, გვ. 77—113).*

⁵² მურვან-ყრუს ლაშქრობის აღწერისას ჯუანშერს ნათქვამია აქვს „შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი და მოაღვა ციხესა ანაკოფასასა“ (ანა დეოფლანეველი ქართლას ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 149; „ქართლას ცხოვრების“ ახალ გამოცემაში განსხვავებული კონიექტურაა: „შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოაღვა ციხესა ანაკოფასასა“, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 235).

⁵³ ჯუანშერი, გვ. 238.

⁵⁴ ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 169, აბულყვლას მიხედვითაც სოხუმი „ქართველთა ქალაქია“ („მადინათ აღ-ქურჯ“). *Géographie d'Aboulféda, გვ. 33.*

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა (XI—XII სს.) თბილისი, 1956, გვ. 40.

⁵⁷ *Е. А. Пахомов, Мнeгные клады Азербайджана, вып. I, № 140; вып. II, № 440, Баку, 1926.*

სოხუმის მახლობლად მდ. ბესლეთზე აგებული ხიდი, ქართული ასომთავრული წარწერით, მიმანიშნებელია კეთილმოწყობილი გზებისა და მშენებლობის მაღალი დონის, აგრეთვე სოხუმის სავაჭრო-ეკონომიური კონტაქტებისა. სოხუმი კარგად იყო დაცული. აღნიშნული ქალაქის თავდაცვით ნაგებობებს განეკუთვნება ე. წ. „ბაგრატიის ციხე“⁵⁸.

კიდევ უფრო ცოტა ცნობები მოიპოვება ბიჭვინტის შესახებ. შ. მესხია მას ასახელებს, VIII—XII სს. წყაროების მიხედვით, დას. საქართველოს ქალაქებს შორის (ნიკოფსია, დიოსკურია (ცხუმი), ბიჭვინტა და სხვ.)⁵⁹. XII ს-ში ბიჭვინტა გარკვეული მნიშვნელობის ქალაქი ჩანს. დავით აღმაშენებელი, მისი ისტორიკოსის ცნობით, „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი“⁶⁰:

წერილობითი წყაროების მიხედვით ანაკოფია ეტყობა XI—XII სს. დას. საქართველოს შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

ჯუანშერი ანაკოფიას მოიხსენიებს როგორც ციხე-ქალაქს („მიწყუდეულ არს ციხე-ქალაქი ესე შემუსრვად“)⁶¹.

ვახუშტი აღწერს ქალაქს და შემდეგნაირად განსაზღვრავს მის მდებარეობას: „ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასიისა და მომრთველი ზღვისა ეგრეთვე ჩრდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვის კიდებზედ არს ქალაქი ანაკოფია“⁶².

ანაკოფია, ვახუშტის განმარტებით, ძველი („ეს აღაშენეს ბერძენთა“) და სახელოვანი ქალაქია. ანაკოფიას შესანიშნავი ბუნებრივი პირობები და მდებარეობა ჰქონდა. „იყო ქალაქი კეთილი, შევნიერი, ზღვასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღვასა შინა სვეტი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ აწ ოკერ არს“⁶³.

ეს ნაგვიანევი მაგრამ საინტერესო და საყურადღებო ცნობა ძველი ვითარების ანარეკლი უნდა იყოს. კერძოდ, არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ ვახუშტის მიხედვით ანაკოფიის მნიშვნელობა „უმეტეს განადიდეს“ ბაგრატიონებმა.

ანაკოფიის ციხეს არაერთგზის მოიხსენიებენ ძველი ავტორები — ჯუანშერი, „მატიანე ქართლისას“ ავტორი, თამარის ისტორიკოსი („მოადგა ციხესა ანაკოფისასა“⁶⁴, „ანაკოფიის ციხე“⁶⁵ და სხვ.). საგულისხმოა, რომ „მატიანე ქართლისა“, მას უწოდებს აფხაზეთის ციხეთა თავადს („... ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“)⁶⁶ ე. ი. ყველაზე მთავარსა და მნიშვნელოვანს მთელს დას. საქართველოში.

ანაკოფიის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ის XI—XII სს. საქართველო-ბიზანტიის ქიშპობის ობიექტს წარმოადგენდა (აღრე მის აღებას ცდილობდა მურვან ყრუ)⁶⁷.

⁵⁸ З. В. А н ч а б а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

⁵⁹ Ш. А. М е с х и я, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

⁶⁰ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 339.

⁶¹ ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 236.

⁶² ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 169.

⁶³ იქვე, გვ. 169.

⁶⁴ ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 235.

⁶⁵ ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 129.

⁶⁶ მატიანე ქართლისა, გვ. 317.

⁶⁷ ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 235.

გიორგი I-ის ძემ დემეტრემ ანაკოფია გადასცა ბიზანტიას, „და ამისა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა... მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია და მიერითგან წარუტდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქაჲამამდე“⁶⁸.

საბოლოოდ საქართველომ მაინც შესძლო ანაკოფიის დაბრუნება.

ამგვარად, ანაკოფია ჩვენთვის საინტერესო ხანაში შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სამეფო ქალაქი იყო. წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველი მეფეები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და შესაბამის ყურადღებასაც უთმობდნენ.

შავიზღვისპირეთის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ნიკოფსია. ნიკოფსიას ქალაქი ეწოდება ლეონტი მროველის თხზულების ერთ-ერთ ჩანართში და შემდეგნაირად არის განსაზღვრული მისი მდებარეობა: „ხოლო სიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმიდა სუმონ კანანელი“⁶⁹.

მართალია წერილობითი წყაროები ბევრს არაფერს არ ამბობენ ამ ქალაქის თაობაზე, მაგრამ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: საქართველოს ტერიტორიული საზღვრების აღნიშვნისას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე წყაროები არაერთგზის ასახელებენ ორ უმნიშვნელოვანეს პუნქტს — ნიკოფსიას შავ ზღვაზე და დარუბანდს კასპიის ზღვაზე. ე. ი. იღებენ ამ ორი ზღვის უკიდურეს დასავლეთით და უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე ქალაქებს⁷⁰.

XI—XII სს. ბათუმის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ვახუშტი მას მცირე ქალაქად წარმოადგენს. ასეთსავე მცირე ქალაქად მოიხსენიებს ის გონიოსაც (ანტიკური ხანის აფსარი). „და ამ ჩაქვის სამკრით ღის კოროხის მდინარე. ზღვის შესართავზედ და კოროხის ჩრდილოეთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი... და ბათომის პირისპირს, კოროხის სამკრეთის კიდზე, არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე“⁷¹.

შესაძლოა ჩვენთვის საინტერესო ხანაში ბათუმი და გონიო უკვე ქალაქის ტიპის დასახელებებს, ან მცირე ქალაქებს წარმოადგენდნენ. ყოველ შემთხვევაში ორივე ზემოდასახელებული ქალაქი ძველია. ანტიკურ ხანაში, ისინი მნიშვნელოვან (სტრატეგიული თუ სავაჭრო ეკონომიური თვალსაზრისით) ქალაქებად ითვლებოდნენ⁷².

ამგვარად, ქუთაისს გარდა, როგორც ვნახეთ, დასავლეთ საქართველოში არსებობდა ქალაქები — ს ო ხ უ მ ი, ა ნ ა კ ო ფ ი ა, ნ ი კ ო ფ ს ი ა, ბ ი ჯ ვ ი ნ ტ ა, ხ უ ფ ა თ ი, ფ ო თ ი.

ყველა ეს ქალაქი (ქუთაისს გარდა) შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. მაგრამ ისინი თავიანთი მასშტაბებითა და მნიშვნელობით ვერ შეედრებიან ანტიკური და ელინისტური ხანის ქალაქებს, რომლებიც თავის დროზე განუხ-

⁶⁸ შატერაძე ქართლსა, გვ. 295.

⁶⁹ ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, გვ. 43, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში კი ნათქვამია: სიმონ კანანელი „ქუეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. ციტირებულია ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს შიხელით: ქართული ერის ისტორია, ტ. II, გვ. 52.

⁷⁰ ისტორიანი და აზმანი შარაჯანდედანი, გვ. 94, 103; ანდერძი დავით აღმაშენებელსა (1125 წ.) ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 3; ე ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 168.

⁷¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 176.

⁷² М. П. И н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 191, 251.

რელი განვითარების გზაზე იდგნენ. ეს ხაზგასმითაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში⁷³.

ამას გარდა, როგორც ჩანს ადრეფეოდალური ხანის დასასრულს დას. საქართველოში ადგილი არა აქვს ე. წ. „ახალქალაქობის“ პერიოდს, რაც ასე დამახასიათებელი იყო ამავე პერიოდის აღმ. საქართველოს ქალაქებისათვის.

დას. საქართველოში ზოგიერთი ქალაქი გადაშენდა (ციხე-გოჯი (არქეოპოლისი), კლისურა, ვანი, ფიჭვნარი), ზოგიერთი მათგანი ქალაქის ტიპის დასახლებად იქცა (აფსარი, პიტიუნტი, ბათომი), ზოგიც კიდევ განაგრძობდა არსებობას (მაგ., ქუთაისი, სოხუმი (დიოსკურია), მაგრამ ქალაქების საერთო მდგომარეობა სულ სხვა სურათს გვიჩვენებს, ვიდრე ეს ანტიკურ ხანაში იყო⁷⁴.

XI—XII სს. საქართველოს ქალაქების შესწავლისას აშკარა ხდება, რომ აღმ. და დას. საქართველოში ერთნაირი ვითარება არ იყო ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების მხრივ.

თუ XI—XII სს-ში აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა მრავალი დაწინაურებული და განვითარებული ქალაქი, დას. საქართველოში, როგორც ვნახეთ, სულ რამდენიმე ქალაქი იყო, მათ შორის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ქუთაისი იყო.

დამახასიათებელია, რომ დას. საქართველოს ურბანისტული სინამდვილე ამ მხრივ ერთნაირი იყო აღმავლობა-განვითარების პერიოდშიც (X—XII სს.) და დაქვეითების პერიოდშიც (XVI—XVIII სს.). მიუხედავად აშკარად განსხვავებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური პირობებისა, მსგავსებას ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, აპირობებდა შავი ზღვის მდგომარეობა.

X—XII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქების შესწავლისას, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შავი ზღვის როლსა და მნიშვნელობას. საქმე ისაა, რომ შავ ზღვაზე შექმნილი მდგომარეობა (უკეთ შავი ზღვის კავშირების გარესამყაროსთან ინტენსიურობა) მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დას. საქართველოს ქალაქების მდგომარეობას ანტიკურ და ფეოდალურ ხანაში.

შავ ზღვაზე VIII—XI საუკუნეებში ბიზანტია ბატონობდა.

არაბი გეოგრაფები უკვე IX საუკუნიდან შავი ზღვის აღსანიშნავად ხმარობენ ტერმინ „ბაჰრ არ-რუმს“ (ბიზანტიის ზღვა“), რაც ადრე ხმელთაშუა ზღვის სახელწოდება იყო⁷⁵. აღ-ფერგანი, რომლის ნაშრომშიც პირველად გვხვდება ეს დასახელება, ხმელთაშუაზღვას უწოდებს „ბაჰრ ამ-შამს“ („სირიის ზღვა“)⁷⁶.

⁷³ მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პიტიუნტი, თუ ის ელინისტურ ხანაში, იმდროინდელი წერილობითი წყაროების თანახმად წარმოადგენს „დიდ პიტიუნტს“ (ეფესელი) და „უმდიდრეს ქალაქს“ (პლინიუსი, M. П. И н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 225) XI—XII სს. ის უკვე მცირე ქალაქია.

⁷⁴ ლ. ჭილაშვილს ამის ერთ-ერთ მიზეზად აღნიშნული აქვს ის, რომ „მოისპო ზღვისპირეთის კულტურული ცენტრები“ (ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, გვ. 84), მაგრამ ამ მოვლენას იგი მხოლოდ მურვან-ყრუს ლაშქრობის შედეგებს უკავშირებს (იქვე, გვ. 84, შენ. 53), მასევე აღნიშნული აქვს დას. საქართველოს გზის (და ზღვისპირეთის ქალაქების) ლოკალური მნიშვნელობა და ისიც, რომ „IX—X საუკუნეებში ტაო-კლარჯეთმა საგრძნობლად გაასწრო კოლხეთს“ (იქვე, გვ. 84).

⁷⁵ В. М. Б е й л и с, Сведения о Черном море в сочинениях арабских географов IX-X вв., Сб., Ближний и Средний восток, М., 1962, გვ. 22.

⁷⁶ იქვე, გვ. 23.

„ბაპრ არ-რუმ“ შავი ზღვის მნიშვნელობით დამოწმებულია იბნ ხორადბეჰის თხზულებაშიც⁷⁷.

ამავე ხანებში, ასტრონომ ალ-ბატანისგან მოყოლებული, არაბულ გეოგოაფიულ ლიტერატურაში პოპულარული ხდება შავი ზღვის ბერძნული სახელწოდება — პონტოსი⁷⁸.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ X ს-ის სპარსული გეოგრაფიული თხზულების „ჰოდუდ ალ-ალამის („ქვეყნიერების საზღვრები“) ანონიმური ავტორი შავ ზღვას „ქართველთა ზღვას“ უწოდებს („ბაპრ ალ-ჯურჰ“⁷⁹).

ეს თითქოს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართველები ნაოსნობისათვის იყენებდნენ შავი ზღვის სანაპიროების ქალაქებსა და ნავსადგურებს, მაგრამ არა ისე ინტენსიურად, როგორც ეს ანტიკურ ხანაში იყო.

შავი ზღვის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა არაბეთ-ბიზანტიის მეტოქეობის პერიოდში.

VIII საუკუნიდან დაწყებული არაბები განუყოფლად ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში⁸⁰. X ს-ში მათ შესაძლეს სიცილიისა და კრეტის ხელში ჩაგდება, რითაც დასაყრდენი გაიჩინეს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილშიც⁸¹. არაბთა სწრაფვა ზღვებზე ბატონობისაკენ ფართოდ აისახა იმდროინდელ არაბ გეოგრაფთა ლიტერატურაში. X—XII სს. არაბი გეოგრაფები ცხოველ ინტერესს იჩენენ ხმელთაშუა ზღვის მიმართ⁸². მაგრამ, როგორც ცნობილია, არაბებმა ვერ შეაღწიეს ვერც ხმელთაშუა ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ვერც მით უმეტეს, შავ ზღვაზე⁸³.

VIII—XI სს. შავ ზღვაზე განუყოფლად ბატონობდა ბიზანტია, ხმელთაშუა ზღვაზე კი მუსლიმები ბატონობდნენ. ბიზანტიელებისა და მუსლიმების სამხედრო ფლოტები ხშირად ესწმოდნენ ხოლმე ერთმანეთს თავს. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინების შედეგად გასაგები ხდება, თუ რით იყო გაპი-

⁷⁷ В. М. Бейлис, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე, ერთხანს შავ ზღვას ეწოდებოდა აგრეთვე „რუსთა ზღვა“ და „ხაზართა ზღვა“ (კასპის ზღვასთან ერთად), ოღონდ ეს სახელწოდებები ნაკლებ იყო გავრცელებული (В. В. Бартольд, Ислам на Черном море, Соч., т. VI, გვ. 659. კიდევ უფრო ნაკლებ იყო ცნობილი „ყირიმის ზღვა“ («Bahry Kirim») და „ტრაპიზონის ზღვა“ («Bahri-Trabuzunda»).

⁸⁰ ზღვებსა და სრუტეებზე ბატონობას უაღრესად დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ზღვების სანაპიროებზე მდებარე ქვეყნების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ზღვაოსნობასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმატება და ფლოტის გაძლიერება შეადგენდა. ე. როზენის თქმით, «В государствах, которые владели морским берегом, степень заботливости о флоте (есеннем и торговом) в большинстве случаев может служить мерилом государственной мудрости правителей», (Император Василий Болгаробойца, извлечения из летописи Яхьи Антиохийского, Издаль, перевел и объяснил, В. Р. Розен, СПб., 1883, გვ. 283).

⁸¹ А. А. Васильев, Византия и Арабы, СПб., 1900, გვ. 204, 206.

⁸² არაბები რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ფლოტს ჩანს ალ-მაკრიზის შეფასებიდან, რომელშიაც აღნიშნულია: ყველა ყოველნაირად ცდილობდა ფლოტში მოხვედრას, და რომ ფლოტის მსახურნი დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ (Василий Болгаробойца, გვ. 174).

⁸³ «К Черному морю не смогли на длительное время продвинуться ни персы при Сасанидах, несмотря на их многочисленные победы над Римом, ни позднее арабы» (В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 659). სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენ ხელთ არა გვაქვს მონიგმანის ნაშრომი, რომლის შინაარსი ეხება შავ ზღვაზე ერთი არაბული მარშრუტის აღწერილობას: E. Honigmann, Un itinéraire arabe à travers le Pont, Annuaire de l'institut philologique et historique orientale et slaves, IV, 1936.

რობებულნი დასავლეთ საქართველოს ქალაქების განვითარების ერთგვარი შეფერხება აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებთან შედარებით IX—X საუკუნეებში.

იმის გამო, რომ არაბები გაბატონდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, შავი ზღვა ჩაკეტილი აღმოჩნდა. შავი ზღვის ქალაქები გამოეთიშნენ იმდროინდელი მსოფლიო ვაჭრობის მთავარ ცენტრებს, რომელთა ურთიერთკავშირი ხმელთაშუა ზღვის და ინდოეთის ოკეანის მეშვეობით მყარდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ვაჭრობაში გაბატონებული მუსლიმანი ვაჭრები დაინტერესებული არ იყვნენ შავიზღვისპირეთში სავაჭრო ახალშენების დაარსებით⁸⁴. ამიტომ იყო, რომ შავი ზღვა ფაქტიურად დიდხანს „დაკეტილი ზღვა“ იყო — *mare clausum*.

ამან შავი ზღვის სანაპიროთა ქალაქები ისევე მოსწყვიტა მსოფლიო სავაჭრო ცენტრებს, როგორც გვიან, თურქეთის გაბატონებამ შავ ზღვაზე (XV ს.) გამოიწვია აქაური ქალაქების იზოლაცია და შავი ზღვის „თურქეთის ტბად“ გადაქცევა.

შავი ზღვის ბლოკირებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მისმა ჩაკეტვამ გამოიწვია ზღვისპირა ქალაქების იზოლირება გარესამყაროსაგან. ეს პროცესი, ბუნებრივია, დასავლეთ საქართველოს ქალაქებსაც შეეხო, რომლებიც მანამდე (ანტიკურ და ელინისტურ ხანაში) აქტიურად მონაწილეობდნენ შავი ზღვის საერთაშორისო ვაჭრობაში⁸⁵.

სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოს ქალაქებისაგან განსხვავებით, ხელსაყრელი პირობები შეექმნათ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს.

სამხრეთის სავაჭრო გზების ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლებას VIII ს. მოჰყვა მტკვრის აუზში ვაჭრობის გამოცოცხლება. ამით იყო გაპირობებული აღმ. საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით კი თბილისის აყვავება IX—XII სს-ში. მსგავსი მიზეზების გამო ასევე ეკონომიურ აღმავლობას განიცდიან IX—XII სს. აზერბაიჯანის ქალაქებიც (დარუბანდი, ბარდავი, განძა, ბილახანი, ნახიქევანი, შაბერანი, შემახან...) ⁸⁶.

ამავე დროს, სავაჭრო გზის მდ. მტკვრის აუზში გადანაცვლებამ და შავი-ზღვისპირეთის ნავსადგურებთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტამ (შავი ზღვის ბლოკირების გამო) გამოიწვია სომხეთის ქალაქების დაცემა-დაქვეითება. სომხეთის ქალაქების ეკონომიური დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი VIII ს. იყო საერთაშორისო სახმელეთო ვაჭრობის შეწყვეტა შავიზღვისპირეთის ნავსადგურებთან⁸⁷.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შავი ზღვის ჩაკეტვის პერიოდშიც დას. საქართველოს ქალაქები ვითარდებიან იმ საერთო ეკონომიურ

⁸⁴ ამის გამო აკად. ვ. ბარტოლდი აღნიშნავდა: «У мусульманских купцов, которые в то время господствовали в мировой торговле, естественно, повсюду были свои торговые интересы; однако эти интересы на Черном море не нашли своего выражения в виде основания мусульманских торговых поселений...» (В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 660).

⁸⁵ М. П. И н а д з е, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968; ა. კ ა ხ ი ძ ე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბ., 1971.

⁸⁶ Я. А. М а н а н д я н, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, 189—200; Г. М. А х м е д о в, Из истории некоторых городов Азербайджана IX—XIII вв., Труды института истории АН Аз. ССР, 1958, № 3, Баку, გვ. 112.

⁸⁷ Я. А. М а н а н д я н, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

საფუძველზე, რომელმაც X საუკუნეში მტკიცე პირობა შეუქმნა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ამას გარდა, როგორც ეს სათანადო ქართული წყაროებიდან ჩანს, კვლავ გრძელდებოდა ნაოსნობა შავ ზღვაზე მოგზაურობისა თუ ვაჭრობის მიზნით. მაგრამ ამ ნაოსნობას ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ლოკალური და შეზღუდული ხასიათი უნდა ჰქონოდა.

საინტერესოა, რომ ანალოგიურ სიტუაციას ადგილი ჰქონდა ნაგვიანვე საუკუნეებშიც (XV—XVIII სს.), თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სულ სხვა პოლიტიკურ ვითარებასა და, რაც მთავარია, სრულიად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში.

1453 წ. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ თურქეთი გაბატონდა შავ ზღვაზე. 1475 წლიდან, ყირიმის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა შავი ზღვა გადააქციეს „თურქეთის“ ტბად⁸⁸.

შავ ზღვაზე გაბატონებულმა ოსმალებმა უმკაცრესი კონტროლი დააწესეს შავი ზღვის გასასვლელ სრუტეებზე, რაც მთელი სამასი წლის მანძილზე გაგრძელდა. თურქეთის შავ ზღვაზე გაბატონებას და შავი ზღვის „თურქეთის ტბად“ გადაქცევას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა დასავლეთ საქართველოს ქალაქების განვითარებაზე.

ამრიგად, შავ ზღვაზე შექმნილმა ვითარებამ ერთნაირად განსაზღვრა როგორც VIII—XI სს-ის, ისე XV—XVIII სს. დას. საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების მდგომარეობა.

შავი ზღვის ბლოკირებამ და გარესამყაროსთან სავაჭრო კონტაქტების შეწყვეტამ ორივე შემთხვევაში გავლენა მოახდინა დას. საქართველოს ქალაქებზე, მათს საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის ინტენსიობაზე. ოღონდ, რა თქმა უნდა, გვიან ეს გავლენა ისეთი იყო, რომ მან გამოიწვია დას. საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაცემა-დაქვეითება, მაშინ როდესაც XI—XII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქები (მათი მცირე რაოდენობის მიუხედავად) ეკონომიურად საკმაოდ ღონიერი იყვნენ⁸⁹.

ქუთაისი X—XI სს. და XII ს-ის პირველ მეოთხედში (1122 წლამდე) გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი იყო, რასაც ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა დასავლეთ საქართველოს ქალაქების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობაზე.

მაგრამ ლიხის მთაზე რამდენიმე გადასასვლელის არსებობა მოწმობს რომ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ირანთან უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე შავი ზღვით დასავლეთთან; თუმცა ამ გადასასვლელ-გადმოსასვლელების ერთ-ერთი გზა „დასავლის გზის“ სახელითაა ცნობილი⁹⁰.

⁸⁸ G. B. Depping, Histoire du Commerce du Levant entre l'Europe et du Levant depuis les Croisades, Paris, 1832, II, გვ. 227—228; A. H. Gybyer, The Ottoman Turks and the Routes of Oriental Trade, The English Historic — Review, vol. XXX — no CXX, 1915, გვ. 582.

⁸⁹ დასავლეთ საქართველოს ეკონომიური და ქონებრივი სახსრის მაჩვენებელია X—XII სს-ში მიმდინარე ინტენსიური მშენებლობა ისეთი საკულტო ნაგებობებისა როგორც იყო: შოქვის დიდი კათედრალი (XI ს.), ბელიის ტაძარი (X—XII სს. მიჯნა), ბიჭვინტის მთავარი ტაძარი (X და XI საუკუნეთა მიჯნა), ლიხნის ტაძარი (X—XI სს-ის მიჯნა). ბაგრატიის კათედრალი ქუთაისში (XI ს. დამდეგი), ნიკორწმინდა (1014 წ.), კახის ტაძარი (XI-ს. დამდეგი), სეანის ტაძარი (1046 წ.), ენხევის ტაძარი XI ს., გულათი (XII ს.) და სხვა; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 223—248.

⁹⁰ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 29.
5. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 4.

ამ გადასასვლელების საშუალებით დას. საქართველო სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობით უკავშირდებოდა აღმ. საქართველოს, იქიდან კი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს. მაგრამ ეს ურთიერთობა აღმოსავლურ სამყაროსთან გაცილებით ნაკლებად ინტენსიური იყო, ვიდრე აღმ. საქართველოსი. ამაზე მეტყველებენ როგორც წერილობითი წყაროები, ისე ნუმისმატიკური მონაცემები⁹¹.

ვითარება ამ მხრივ ერთგვარად შეიცვალა XI—XII სს-ში, როცა ბიზანტიის მეტოქე არაბები ხმელთაშუა ზღვაზე თურქებმა შეცვალეს. მაგრამ ალექსი კომნენოსის (1081—1118) პოლიტიკის შედეგად სელჩუკებმა ზღვებზე ვერ გააღწიეს და შავ ზღვაზე ბატონობა კვლავ ბიზანტიამ შეინარჩუნა⁹². ასე რომ ვითარება ზღვებზე თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და ბატონობის დროსაც უცვლელი დარჩა.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა მხოლოდ XII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც დასუსტებული ბიზანტიის ადგილს ვენეციელები და გენუელები იკავებენ და აქ (განსაკუთრებით ყირიმსა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე) თავიანთ ახალშენებს ქმნიან.

ჯვაროსანთა ომების დროს საგრძნობლად გაიზარდა იტალიური ქალაქ-კომუნების როლი აღმოსავლეთის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში. აღნიშნულ ხანაში, XII—XIII სს-ში, ვენეციის, გენუისა და პიზის როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობაში არაჩვეულებრივად ინტენსიური გახდა⁹³.

იტალიელებმა ჯვაროსნული ომების მსვლელობის პერიოდში მთელი რიგი პრივილეგიები მოიპოვეს. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე აღმოცენდა იტალიელთა ახალშენები. მათი კოლონიები გაჩნდა აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროებზე.

ამგვარად, XII ს. დასუსტებული ბიზანტიის ნაცვლად, ხმელთაშუა ზღვის არენაზე გამოდის სამი ძლიერი კონკურენტი — პიზის, ვენეციისა და გენუის სახით.

საბოლოოდ უპირატესობა ვენეციისა და გენუის ხელში გადადის. XIII ს. დასაწყისში ინიციატივა შავ ზღვაზე გენუამ იგდო ხელთ⁹⁴. აქ მათი გავლენა უფრო და უფრო იზრდება.

ასე მაგალითად, XII—XIII სს. იტალიელთა ახალშენები დაარსდა შავ ზღვაზე და ყირიმის ნახევარკუნძულზე. XIII საუკუნის მეორე ნახევარში გენუელებმა შეიძინეს ყირიმის ქალაქი კაფა⁹⁵. XIII ს. დასაწყისში გენუამ სავაჭ-

⁹¹ ფულის განძების გავრცელების მიხედვით თუ ემისჯვლებით, ის გაცილებით ნაკლებ ინტენსიურია დას. საქართველოში, ვიდრე აღმ. საქართველოში, როგორც თ. ლომოური აღნიშნავს „ქართული ფული ვრცელდება მთელს საქართველოში, უფრო ინტენს. ურად მის აღმოსავლეთ ნაწილში სამცხეთურთ. დასავლეთ საქართველოში ქართული ფულის გავრცელების შესახებ მცირე ცნობები გვაქვს“ (თ. ლომოური დასახ. ნაშრომი, გვ. 315).

⁹² История Византии, М., т. II, 1967, გვ. 321. სელჩუკებმა მცირე აზიის მხოლოდ შიდა ოლქები დაიკავეს, მაგრამ შემდეგ მათ გეზი ზღვისკენ აიღეს.

⁹³ История Италии, М., т. I, 1970, გვ. 207.

⁹⁴ W. He y d, Histoire du commerce du Levant au moyen âge, II, Leipzig, 1885, გვ. 187—188.

⁹⁵ Я. А. М а н а н д я н, დასახ. ნაშრ., გვ. 286.

რო ხელშეკრულებები დადო ყარსის მმართველთან⁹⁶. ხოლო XIII ს. 50-იან წლებში ერთ-ერთი გენუელი წარჩინებული აქ ჩამოსულა სავაჭრო მიზნებით⁹⁷.

არაბ და ირანელ ისტორიკოსთა ცნობით, XIII ს. დამდეგს ჩრდილოეთ ყირიმის ქალაქი სუდაკი იყო მსხვილი სავაჭრო ცენტრი, სადაც შეხვდებოდით სხვადასხვა ეროვნების ვაჭრებს: ალანებს, სომხებს, ხაზარებს, რუსებს, ბიზანტიელებს⁹⁸. სუდაკში არსებობდა გენუელების ციხე-სიმაგრე⁹⁹, რაც აქ გენუელების გავლენაზე მეტყველებს. შავიზღვისპირეთში მათი ასეთივე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ქ. სინოპი¹⁰⁰. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ კვლავინდებურად გაიბა სავაჭრო კავშირი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. შავი ზღვა კვლავ დაუკავშირდა ხმელთაშუა ზღვას, ხოლო მისი საშუალებით დასავლეთის სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებს.

ამ დროსვე ევროპელებმა ხომალდები პირველად გადაიტანეს კასპიის ზღვაზე, კვლავ შეიქმნა პირობა შავი და კასპიის ზღვების ერთმანეთთან დასაკავშირებლად¹⁰¹. მეტი გასაქანი მიეცა შავი ზღვის მონაწილეობას საერთაშორისო ვაჭრობაში.

თუ ბიზანტიელი ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ არა საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსიურობით, არამედ მიწების შექცენით, იტალიელი ვაჭრები ანორციელებდნენ მრავალ ღონისძიებას სწორედ საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებისა და გაცხოველების მიზნით.

შავი ზღვის სანაპიროებზე ვენეციელებისა და გენუელების ახალშენების გაჩენამ ცხოველყოფელი გავლენა მოახდინა დას. საქართველოს ქალაქებზეც. გაძლიერდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროთა ვაჭრობა, XII ს. მეორე ნახევარსა და XIII ს. პირველ მეოთხედში დას. საქართველოს ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ შავიზღვისპირეთისა და ყირიმის ვაჭრობაში. საამისო ფაქტები დასახელებული და შეფასებული აქვს ვ. ჰეიდს¹⁰².

XII—XIII სს. შავი ზღვა უკვე ასრულებს თავის ძველ ფუნქციას, იწყება ქალაქების გამოტოცხლება. XIII—XIV სს. დას. საქართველოს ქალაქები აქტიურად მონაწილეობენ შავიზღვისპირეთის ქალაქების საერთაშორისო ვაჭრობაში¹⁰³.

მაგრამ მონღოლთა შემოსევების შედეგები შეეხო შავი ზღვის ქალაქებსაც¹⁰⁴.

⁹⁶ Л. Алишан, Сисакан, Венеция, 1893, გვ. 437—438; (დამოწმებულია ი. მანანდიანის მიხედვით Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ., გვ. 282).

⁹⁷ იქვე, გვ. 283.

⁹⁸ А. Якубовский, Рассказ ибн-ал-Биби о походе малоазнатских турок на Су-дак, половцев и русских в начале XIII в. «Византийский Временник», т. XXV; 1928, გვ. 64—65.

⁹⁹ იქვე, გვ. 65.

¹⁰⁰ А. Якубовский, დასახ. ნაშრ., გვ. 61

¹⁰¹ В. В. Бартольд, Ислам на Черном море, გვ. 62.

¹⁰² W. Heud, დასახ. ნაშრ., გვ. 393..

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ მონღოლთა შემოსევების შედეგებს შავ ზღვაზეც ცალკე თავი აქვს დათმობილი ე. ბრატია-ნუს ნაშრომში: G. I. Bratianu, La Mer Noire des origine à la conquete ottoman, Societas Academica Dacoromana, Acta Historica, t. IX, Rome-Munich, 1969 (V. VII, «Mongoles et Italiens»), რეცენზია ამ ნაშრომის შესახებ იხ. IA, t. CCLX, 1972, გვ. 191.

მონღოლთა შემოსევების ერთ-ერთი შედეგი იყო შავი ზღვის ისლამიზაცია და თურქიზაცია¹⁰⁵. ისლამიზაციის ტალღა მომდინარეობდა როგორც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან, ისე აღმოსავლეთით ვოლგისა და კასპიისპირეთიდან¹⁰⁶.

ამავე დროს ზღვის ძველი სახელწოდება „პონტოსი“ სამუდამოდ განდევნა ახალმა სახელწოდებამ „შავმა ზღვამ“.

„შავი ზღვა“ — „კარა-დენიზ“ თურქებმა დაუპირისპირეს მარმარილოსა და ხმელთაშუა ზღვას — „აკ-დენიზი“ (თეთრი ზღვა)¹⁰⁷.

ამიერიდან შავ ზღვაზე იწყება თურქთა გაბატონების პროცესი, რაც XV ს-ში დამთავრდა კონსტანტინეპოლისა და ყირიმის სახანოს დაპყრობით.

ამრიგად, VIII—XIII და XVI—XVIII საუკუნეებში შავ ზღვაზე შექმნილი ვითარების გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვაჩინოთ დას. საქართველოს ქალაქების მდგომარეობის გამაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

¹⁰⁵ ამის გამო ვ. ბარტოლდი შენიშნავდა, რომ «Область Черного моря знала только тюркский, не арабско-персидский ислам» (В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 659).

¹⁰⁶ იქვე, გვ. 663.

¹⁰⁷ შავი ზღვის თურქული სახელწოდება — „კარა-დენიზ“ ჩნდება ოსმალთა ბატონობამდე და, როგორც მორდტმანი ფიქრობდა, მისთვის ასეთი სახელწოდება თურქულ-თათრულ მოსახლეობას უნდა შეერქვა. XIII ს-ის დასაველეთეეროპულ წყაროებში მას ჯერ „დიდი ზღვა“ (ლათ. „Mare majus“, იტალ. „Mare Maggiore“, ფრანგ. Mer majeure) ეწოდებოდა. შემდეგ კი „შავი ზღვა“, ბერძნული «Mavrithalassa» პირველად ჩნდება ბიზანტიასა და ვენეციას შორის 1235 წელს დადებულ ხელშეკრულებაში, ლათინური «Mare negrum» კი მხოლოდ 1338 წელს. „კარა“, აღნიშნავდა აკად. ვ. ბარტოლდი, არსებითად ნიშნავდა არა „შავს“, არამედ „დიდს, ძლიერს, საშინელს“. „შავის“ მნიშვნელობა მან გვიან მიიღო. მასვე აღნიშნული აქვს „კარა-დენიზის“ (შავი ზღვის) და „აკ-დენიზის“ (თეთრი ზღვის) ურთიერთდაპირისპირების ნიადაგზე წარმოშობა. მაგრამ ამგვარ განმარტებებთან ერთად აკად. ვ. ბარტოლდი მართებულად აღნიშნავდა, რომ ყველაფერი ეს საკმარისი არაა იმისათვის, რათა აეხსნათ როგორც ევროპულ, ისე მუსლიმანურ ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული „პონტოსის“ გაქრობა. ოსმალთა იმპერიის გარეშე, დასძენდა ვ. ბარტოლდი, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა „კარა-დენიზის“ და მისი თარგმანების ასე ფართოდ გავრცელება (В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 665).

ქუზური მონეტების მიმოქცევა VIII—X სს საქართველოში

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საქართველოს მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა მახლობელი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანასთან. ამ ურთიერთობათა უტყუარი საბუთია საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი (როგორც განძების, ისე ცალკეული ცალების სახით) ბევრი უცხოური მონეტა. მათი დეტალური შესწავლა საყურადღებო მასალას იძლევა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა და სავაჭრო გზების დადგენისათვის.

VII ს-ის 20-იან წლებში, არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბებულმა ხალმა დიდმა, ცენტრალიზებულმა არაბთა სახელმწიფომ ადვილად მოუღო ზოლო ბიზანტიასთან მრავალწლიან ომებით ძალაგამოცლილ სასანიანთა იმპერიას და ხელთ იგდო მისი უზარმაზარი სამფლობელოები. მას შემდეგ რაც არაბებმა დაიპყრეს სირია, მესოპოტამია და საკუთრივ ირანი, მათ გზა ხსნილი ჰქონდათ საქართველოსკენაც¹.

არაბთა პირველი ლაშქრობა საქართველოში 642/643 წ. მომხდარა. პოლიტიკურად, ეს პირველი ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრებულა და ჯერ კიდევ ქვეყნის დაპყრობას არ ნიშნავდა². VII საუკუნის განმავლობაში შინაურ ომებსა და ბიზანტიასთან ბრძოლებში გართული არაბები, ქართლში ჯერ მტკიცედ ვერ იკიდებენ ფეხს³.

ამ საერთო არევ-დარევასა და ძარცვა-გლეჯაში ბიზანტიელები, წინა საუკუნეების მსგავსად, მესამე ძალას — ხაზარებსაც იშველიებდნენ. 689 წ. მათ ქართლშიც კი ულაშქრიათ და მთავრებიც გაუუღეტიათ⁴. ამიერკავკასიის ნამდვილი დაპყრობა არაბების მიერ, მხოლოდ VIII საუკ. პირველ ნახევარში ხდება⁵.

VIII საუკუნის დამდეგს არაბები თბილისშიც რომ მსხდარან, მოწმობს მათ მიერ აქ ჰ. 85 წ. (704 წ.) მოჭრილი მონეტაც⁶; მაგრამ საბოლოოდ და მტკიცედ აქ ფეხის მოკიდება მათ მხოლოდ მურვან-ყრუს გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ (736—738 წწ.) შეძლეს, როდესაც არაბთა მფლობელობის ქვეშ, ქართლში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა დამყარებულა⁷. სწორედ ამ

¹ ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში, „შრომები“, ტ. II, გვ. 357. თბ., 1952.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 73—74; ბ. სილაგაძე, ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, 1971, გვ. 77.

³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

⁴ ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 367.

⁵ იქვე, გვ. 358.

⁶ E. A. Пахомов, Монеты Грузии, ч. I. СПб., 1910, გვ. 39—40.

⁷ ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 374—377.

დროიდან — VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, უნდა ვიგულისხმოთ თბილისის საამიროს დაარსებაც⁸. არაბთა ბატონობის მძიმე უღელი ქართლს IX საუკ. შუა წლებამდე აწვა. 846—861 წწ. ქართველები ფაქტიურად თავს აღწევენ არაბთა პოლიტიკურ მორჩილებას. 853 წ. მომხდარი ბულა-თურქის შემოსევა, მათ დასასჯელად წარმოგზავნილი ხანმოკლე ექსპედიცია-ლა იყო⁹.

ამ ხანგრძლივი პოლიტიკური ბატონობისა და ეკონომიურ ურთიერთობათა შედეგია, ჩვენს მიწა-წყალზე მრავლად დარჩენილი ქუფური მონეტები. მაგრამ სანამ მათს უშუალო მიმოხილვაზე გადავიდოდეთ საჭიროა შევნიშნოთ, რომ არაბთა მიერ სასანიანთა სამეფოს დაპყრობის შემდეგაც, მთელი VII საუკუნის განმავლობაში, ვერცხლის სასანური ფული (ბიზანტიური ოქროსა და ვერცხლის გვერდით), როგორც ჩანს, მთავარი ფულადი ერთეულია ქართლსა და მთლიანად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამას მოწმობს მისი აღმოჩენები ქუფური ღირებულების განძებში¹⁰. ჩვენში აღმოჩენილ ამგვარ შერეულ განძებში ურევია სასანური პროვინციების ომაელი ნაცვლების, ტაბარისტანის ისპეჰბედების და უფრო გვიანდელი — ამ პროვინციის აბასიანი ნაცვლების მონეტებიც.

ხალიფა აბდ-ალ მალიქ ომაიანის (პ. 66—86—685—705 წწ.) დროს, სახალიფოს უზარმაზარ ტერიტორიაზე შემოღებული იყო ერთიანი სამონეტო სისტემა. მიმოქცევაში არსებული ოქროს ბიზანტიური და ვერცხლის სასანური მონეტები შეცვალა არაბულმა ფულმა — ოქროს დინარებმა წ. 4,25 გრ. და ვერცხლის დირჰემებმა წ. 2,75—2,9 გრ., რომლებზედაც აღნიშნული იყო მოჭრის თარიღი, ადგილი და მომჭრელის სახელი¹¹.

ამ რეფორმის შემდეგ, არაბული დირჰემი მტკიცედ იკიდებს ფეხს აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში.

ქუფური მონეტების ჩვენში გავრცელების ორი ძირითადი, მკვეთრად შემოფარგლული რაიონის არსებობის მიზეზების გასარკვევად საკმარისია გავიხსენოთ, რომ არაბთა ძალაუფლება თავიდანვე ქვეყნის შიდა რაიონებზე (ძირითადად ქართლში) ვრცელდებოდა და განაპირა თემებში კი საკმაოდ სუსტი იყო¹². სწორედ ის მხარე — ისტორიული კახეთი, რომელსაც არაბები დროდადრო მხოლოდ მარბიელად ევლინებოდნენ, ეკონომიურად თანდათან მომძლავრდა, განავითარა ძველი და ააშენა მრავალი ახალი ქალაქი, ინტენსიურად ვაჭრობდა უცხო ქვეყნებთან, გაჰქონდა სურსათი და ნედლეული¹³. კახეთში, ალაზნის მარცხენა ნაპირას, ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის რაიონებშია კონცენტრირებული სასანურ-არაბული ფულების მოზრდილი განძების აღმოჩენები (VIII—IX სს.). მეორე რაიონია თბილისი და მისი შემოგარენი (მცხეთა,

⁸ შ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, „მიმოხილველი“, ტ. II, 1951, გვ. 186.

⁹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 405—407.

¹⁰ E. A. Па х о м о в, Мнзетные клады Азербайджана и Закавказья, Труды о-ва обследований и изучения Азербайджана, вып. 3, Баку, 1926, გვ. 22 (შემდეგ ყველგან «Клады...»).

¹¹ E. A. Б е л я е в, Арабы, ислам и арабский халифат в ранне средневековье, Л., 1966, გვ. 188.

¹² ავ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 22.

¹³ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ე. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1958, გვ. 118.

სამთავრო, ავჭალა, სამგორი, რუსთავი, კასპი და სხვ.), სადაც VIII—IX სს. ცალკეული ღირებულებები და ფელსები, აგრეთვე მოგვიანო ხანის (X ს.) განძები აღმოჩნდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია დიდი რაოდენობით ევრცხლის, ნაკლებად სპილენძის და ერთი ოქროს მონეტა. ჩვენს მიმოხილვა-საც სწორედ უკანასკნელით დავიწყებთ.

დღემდე დადასტურებულია მხოლოდ ერთი შემთხვევა (ლაგოდების რაიონის ს. კალინოვკა) საქართველოში ქუფური ღირსების აღმოჩენისა¹⁴. მეორე შემთხვევა კი ლიტერატურაიდან არის ცნობილი¹⁵: 1907 წ. ადგილ არქაბში (ლაზისტანი) აღმოჩენილა ომაური და აბასური მონეტების შემცველი დიდი განძი (300 ცალამდე). მპოვნელის სიტყვით იქ 10 ოქროც ერია, რომელიც მას თურქეთში გაუყიდა. შესაძლოა ეს სწორედ ქუფური ღირსები იყო. საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში დაცულია კიდევ სამი ღირსი, რომელთაგან ერთი ნაპოვნია დილიჯანის (სომხეთის სსრ) საბადოებში ოქროს ძიების დროს (საქ. მუზ. „გ“ № 4865) და ამდენად ამიერკავკასიაშია აღმოჩენილი. დანარჩენ ორს (აღმ. №№ 4832, 4833) არ ახლავს ცნობები აღმოჩენის ადგილისა და გარემოების შესახებ. ვითვალისწინებთ რა ოქროს ფულის შიორ მანძილზე გადანაცვლების ტენდენციას, მათ საქართველოში აღმოჩენილად ვერ მივიჩნევთ. მიუხედავად იმისა, რომ სახალიფოს ჰ. 306 წ. (918—919წ.) ბიუჯეტში, აღმოსავლეთის პროვინციებიდან (ხუზისტანი, ფარსი, ქირმანი, ჩიბალი, აზერბაიჯანი, არმინია), შემოსული გადასახადები ღირსებშია მოცემული, ხოლო წერილობითი წყაროები გვაუწყებენ, რომ X საუკ. შუა წლებისათვის, ამიერკავკასიაში, ღირსი ღირსების გვერდით ითვლება კანონიერ საგადასახადო საშუალებად¹⁶, ქუფური ღირსების პოვნის შემთხვევები იშვიათია არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც. ამასთანავე, X საუკუნის განმავლობაში, თბილისის ამირები კრიან ვერცხლის მონეტას, ჯერ ხალიფას, ხოლო შემდეგ თავისი სახელით. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში. ამ დროისათვის ქუფური ღირსი ჯერ გავრცელებული და ფუნქციონირებულ იყო არ არის¹⁷.

VIII—IX სს. საქართველოს ფულად მიმოქცევაში მყოფი ვერცხლის ქუფური მონეტები — ჩვეულებრივი ტიპის ღირსებებია¹⁸, მოჭრილი ხალიფა აბდ-ალ-მალიქის რეფორმის შემდეგ, სახალიფოს პროვინციების — სავადი, ფარსი, ხუზისტანი, ჩიბალი (სპარსეთის ერაყი) და სხვ. მრავალ ზარაფხანაში. უმეტესი მათგანი კი მოჭრილია ენსიტში, მადინათ ას-სალამში, ბაქრაში, რაც საეცებით

¹⁴ მონეტა დაცულია საქ. სახ. მუზ. „გ“ № 5085.

¹⁵ Е. А. Пахомов, Клады..., 1, გვ. 46, № 80.

¹⁶ Г. И. Джапаридзе, Золотая монета в денежном обращении Закавказья в X в., კრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1972, გვ. 28—29.

¹⁷ Е. А. Пахомов, Клады... I № 84, V № 1454; А. Х. Мушегян, Денежное обращение Двина по нумизматическим данным, Ереван, 1962, გვ. 8—9; გ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

¹⁸ ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი შემთხვევა საქართველოში ნახევარღირსების აღმოჩენისა — 1966 წ. დარიალს ხეობაში, თურგის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „არკაში“ წარმოებულ იქნა არქეოლოგიური სამუშაოების დროს (ხელმძღვ. უფრ. მ. თ. ლ. წითლანაძე), სამარხში აღმოჩნდა ჰიჯ. 186 წ. (802 წ.) და 225 წ. (821/22 წ.) მოჭრილი ორი ნახევარღირსებიანი. მონეტები განსაზღვრისათვის თავზიანად გადმოგვცა ლ. წითლანაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

კანონზომიერია; ეს ქალაქები ხომ სახალიფოს უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური და სავაჭრო სახელოსნო ცენტრები იყო¹⁹.

ქუფური მონეტების აღმოჩენები აღმოსავლეთ საქართველოში ორგვარია — ერთეული ცალეები და განძები. პირველ რიგში, ჩვენს ყურადღებას სწორედ განძებზე გავამახვილებთ და გზადაგზა შევეხებით VIII—IX სს. ფულადი მიმოქცევის ზოგ საინტერესო საკითხს.

სასანურ-არაბული მონეტების სამი განძი, ნაპოვნი 1921—1924 წწ. ლაგოდების რაიონის სოფლ. კავშირში, ლელიანსა და აფენში, თავის დროზე განსაზღვრა და შეისწავლა დოც. თ. ლომოურმა²⁰. 1. სამივე განძში წარმოდგენილია ორგვარი ფული — სასანური და არაბული. 2. ქრონოლოგიური მსგავსება მათი უდავოა — ეკუთვნის VI ს. ბოლოსა და IX ს. პირველ ნახევარს. 3. მათი აღმოჩენათა ადგილები — კავშირი, ლელიანი და აფენი მიდრეკილია ერთი ცენტრის — ლავოდენისაკენ²¹. „იგი (ივლისხმება ლავოდენი — ო. ჯ.) მდებარეობდა იმ დიდ გზაზე, რომელიც გაჭიმული იყო რამდენიმე ასეული კმ-ის მანძილზე და რომლის საშუალებითაც საქართველოს ეს მხარე უკავშირდებოდა ჩვენი ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელობის მქონე პროვინციას, როგორც იყო სასანიანთა და არაბთა დრაციის რანი. ეს გზა მიიმართებოდა ალაზანსა და კავკასიონის ქედის შუა მდებარე ველზე ერთი ბოლოთი გადასჭრიდა რა ალაზანს, ყინვალს სამხრეთით უერთდებოდა თბილის-მცხეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას, ხოლო მეორე ბოლოთი გადიოდა ბელაქანსა, ზაქათალასა და ნუხაზე. აქ ერთი მისი შტო უხევდა სამხრეთისაკენ, გადასჭრიდა მტკვარს და კვლავ სამხრეთისაკენ მიდიოდა ქ. ბარდავამდე“²². ამავე გზის საკითხს თავის დროზე შეეხო დ. მუსხელიშვილიც, რომელმაც მოიშველია რა სოფლ. ფშაველისა და მთისძირის შერეული განძების აღმოჩენის ფაქტები, მართებულად შენიშნა: „სავარაუდოა VIII ს. სავაჭრო გზის არსებობა, რომლის მიმართულეზაც სავაჭრისხმოა ისეთი ყოფილიყო, როგორც დღევანდელ ახმეტა-ზაქათლის შემაერთებელ გზასა აქვს“²³. ამ გზის არსებობაზევე უნდა მიუთითებდეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ყაზახისა და ზაქათლის რაიონებში ახლახან ნაპოვნი სასანურ-არაბული ფულების ორი განძი²⁴. 1968 წ. ყაზახის რაიონის ს. ქვემო ხალიფლიში (აზერბაიჯანის სსრ) აღმოჩნდა 300-ოდე მონეტის შემცველი განძი. ა. რაჯაბლის მიერ გადათვალეირებულ 17 ცალში იყო სასანურ-არაბული, ტაბარისტანული, ომაური და აბასური ღირებებები, რომელთაგან ყველაზე ადრეული ჰიჯ. 62 წ. (681/82 წ.), ხოლო ყველაზე გვიანდელი ჰიჯ. 239 წ. (852/53 წ.) არის მოჭრილი. მეორე განძი ნაპოვნია ზაქათლის რაიონის ს. მაზიხში — ზერელე გადათვალეირებამ ცხადყო, რომ ისიც ამ მხარისათვის დამახასიათებელი შედგენილობისაა და შეიცავს სასანურ-არაბულ, ტაბარისტანულ, ომაურსა და აბასურ ღირებებებს. 1937 წ. თელავის რაიონის ს. ფშაველის მიდამოებში ნა-

¹⁹ გ. ჯ ა რ ი ძ ე, აბასელთა სახალიფოს ზარაფხანები, კრ. „მასხობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1968, გვ. 75—80.

²⁰ თ. ლ ო მ ო უ რ ი, სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი.

²¹ იქვე.

²² იქვე.

²³ დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 52.

²⁴ ამ განძების შესახებ დაწვრილებითი ცნობები მოგვაწოდა აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების გამგემ, ისტ. მეცნ. კანდიდატმა ა. რაჯაბლიმ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

პოვნი სასანურ-ქუფური ფულების განძი²⁵, თავისი შედგენილობითა და ქრონოლოგიური ჩარჩოებით იდენტურია ზევით განხილული სამი კახური განძისა — აქაც ორგვარი ფულია წარმოდგენილი — სასანური და ქუფური, ხოლო დაფლულია IX ს. პირველ მეოთხედში²⁶. აქ თავმოყრილი მონეტები მოჭრილია სახალიფოს როგორც ცენტრალურ (ბასრა, მადინათ ასსალაში, ვასიტი), ასევე პროვინციულ ზარათხანებში (იბრანემა, ჯამ, ბალხი), განძი საყურადღებოა ამიერკავკასიის ზარათხანების (არმინემა, არანნი) პროდუქციის შედარებითი მრავალრიცხოვნებითაც (15 ც). აქ ერთი საყურადღებო მონეტაც აღმოჩნდა — მოჭრილი ჰიჯ. 154 წ. (770/71 წ.) ესპანეთის ომაიანი ხალიფას 'აბდ არ-რაჰმან I (138—172 წწ.—756—788 წწ.) მიერ აღ-ანდალუსში (კორდოვა)²⁷. ამგვარი მონეტები ძალიან იშვიათია როგორც ამიერკავკასიაში²⁸, ასევე რუსეთის ტერიტორიაზე ნაპოვნ განძებშიც²⁹. ამიტომ განსაკუთრებით საყურადღებოა ესპანეთის ომაიანის 'აბდ არ-რაჰმან I თითო მონეტის არსებობა აფენის (პ. 150—767 წ.), ფიჩხოვანის (პ. 162—778/79) და მთისძირის (პ. 166—782/83 წ.) განძებში. შესაძლოა ეს განძები შეიცავს ისეთი პუნქტებიდან შემოსულ მონეტებს, რომელთაც უშუალო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ კორდოვის სახალიფოსთან. ბოლო დროს, ესპანეთის ომაიანთა მონეტების რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენის და მათი იქ მოხვედრის შესაძლებელი გზის დადგენის საკითხს შეეხო მკვლევარი — ნუმიზმატი ვ. პოტინი, რომელიც ასეცენის: „Испано-арабские дирхемы отмечают не пути передвижения товарных масс серебра, но иные формы экономических связей, а также связей политических и культурных“³⁰.

სასანურ-ქუფური მონეტების განძების აღმოჩენები აღნუსხულია ყვარლის რაიონშიც. ერთი მოზრდილი განძი („4 გირვანქა“) 1900 წ. ს. ჭიკაანში უნახავთ, იქიდან მხოლოდ 11 ც. მოხვედრილა პეტერბურგის „საახიო მუზეუმში“, რომლებიც პროფ. ე. პახომოვს განუსაზღვრავს³¹. განძის ყველაზე ადრეული მონეტა 591 წ. თარიღდება (ხოსრო II სასანიანი), ხოლო გვანია კი — 861 წ. და როგორც ჩანს მისი ჩამარხება IX ს. შესაძებ მეოთხედში მომხდარა.

1962 წ. ყვარლის რაიონის ს. მთისძირში, „ციხისჯვრის“ დაბლობში, ნალოფლარზე არხის გაყვანის დროს, აღმოჩნდა თიხის ქილა ვერცხლის ფულით. როგორც თავისი შედგენილობით, ისე ქრონოლოგიურად განძი არ განსხვავდება ამ რაიონში ნაპოვნი სხვა განძებისაგან, ხოლო ზარათხანების მხრივ იგი ყველაზე მრავალფეროვანია; აქ წარმოდგენილია როგორც სირიისა და სავადის (მადინათ ას-სალაში, ვასიტი, ქუფა, ბასრა, დიმიშკი), ასევე შორეული შუააზიური (სამარკანდი, ბალხი, აშ-შაში, ზერენჯი) 31 ზარათხანის პროდუქცია. განძი ამიერკავკასიის ზარათხანებში (არმინემა, არანნი) მოჭრილ ფულსაც შეიცავს (13 ც.). მაგრამ, თბილისში მოჭრილი მონეტა, ისევე როგორც აკავკასიის სხვა განძებში (გამონაკლისია ბორჩალოს განძი), აქაც არ არის. ზარა-

²⁵ დაცულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

²⁶ Е. А. Пахомов, Клады..., III, № 822.

²⁷ J. Miles, The Coinage of the Omayyads of Spain, N. I. 1950, გვ. 133, № 45.

²⁸ Е. А. Пахомов, Клады..., II, №№ 383, 392.

²⁹ А. Марков, Топография кладов восточных монет (сасанидских и куфических), СПб., 1910, №№ 141, 179, 180, 290, 314; Е. А. Пахомов, Клады..., II, №№ 610, 612.

³⁰ В. М. Потин, Древняя Русь и европейские государства, в X—XIII вв., Ленинград. 1968, გვ. 213.

³¹ Е. А. Пахомов, Клады..., I, № 81 და VIII, გვ. 74 (დამატებანი და შესწორებანი).

ფხანების ასეთი მრავალფეროვნება მიგვანიშნებს, პირველ რიგში, სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა ინტენსივობაზე თვით სახალიფოში და რასაკვირველია გაცხოველებულ საგარეო ვაჭრობაზე. აქ განსაკუთრებით ბევრია მადნათ ას-სალამში (ბაღდადი) მოჭრილი ფული. ცნობილია, რომ სახალიფოს ამ უდიდეს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრში, მონეტები იჭრება ქალაქის დაარსებიდან ორი წლის შემდეგ (763—64 წწ.) და სავარაუდოა, რომ აქ რამდენიმე ზარაფხანაც კი მოქმედებდა³². აქედან გამომდინარე, ბაღდადში მოჭრილი ფულის სიმრავლე ჩვენს განძებში (და არა მარტო ჩვენში) „ჭერეთის ბაზარზე ბაღდადელი ვაჭრების აქტიურ როლზე“³³ კი არ მიგვიითხებს, არამედ მხოლოდ ამ ზარაფხანის (თუ ზარაფხანების) მოქმედების ინტენსივობაზე. აგრეთვე მცდარია პოლონელი ნუმიზმატის ლევიცკის მოსაზრება: „განძი მოგროვილად უნდა ჩაითვალოს იმ ქალაქში, რომლის ზარაფხანის პროდუქციაც მასში ჭარბობს, ხოლო ვაჭრის გზის დადგენა უნდა ხდებოდეს განძში წარმოდგენილი ზარაფხანების რუკაზე აღნიშვნით“³⁴. ასევე შეცდომას უშვებს თ. პაპუაშვილიც, როდესაც ჭერეთში აღმოჩენილი ქუფური მონეტების განძებში წარმოდგენილი ზარაფხანების მიხედვით ცდილობს გარე სამყაროსთან ჭერეთის ეკონომიურ-სავაჭრო კავშირების მიმართულებათა დადგენას³⁵. საქმე ისაა, რომ სახალიფოს შიგნით არსებული ინტენსიური ვაჭრობა ხელს უწყობდა სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთისაგან ძალიან მოშორებულ ზარაფხანაში მოჭრილი ფულის შეუფერხებლად გადანაცვლებას ერთი ქალაქიდან მეორეში. ამდენად ეს გარემოება საბუთია არა ამათუიმ ქალაქთან მეტ-ნაკლები ეკონომიური სავაჭრო კავშირისა, არამედ სახალიფოსთან საერთოდ.

ჭერეთისათვის დამახასიათებელი შედგენილობის განძები ნაპოვნია ახმეტის რაიონშიც (ფიჩხოვანი, ბახტრიონი). თავისი შედგენილობით, ფიჩხოვანის განძი მთისძირისას ემსგავსება, მხოლოდ ქრონოლოგიურად მასზე გვიანდელი ჩანს (X საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა იყოს ჩამარხული). აქაც წარმოდგენილია მრავალი ზარაფხანის პროდუქცია და სულ არ არის თბილისისა. მთისძირის განძისაგან განსხვავებით აქ ცოტაა ა/კავკასიაში (არარანი, არმინიფა) მოჭრილი ფული (3 ც.).

მთისძირისა და ფიჩხოვანის განძების დეტალურმა შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვეჩვენებინა ადრე უცნობი, ან ღრემდე თითო ცალად ცნობილი მონეტებიც: ომაური ღირკემი ჰიჯ. 93 წ. (711/12 წ.) რამჰურმუზიდან (ხუზისთანის პროვინცია)³⁶, ჰ. 81 წ. (700/01 წ.) შაკ ალ-თაჰმარადან (ისფაჰანის ზღაჯი)³⁷. იშვიათი მონეტა მოჭრილი უკანასკნელი ომაელი ხალიფას მერვან II დროს რეიში, ჰ. 128 წ. (745/46 წ.) აბასელთა მომხრეების მიერ. საქმე ისაა, რომ მთისძირის განძის აღმოჩენამდე ცნობილი იყო ერთი ამგვარი მონეტა (უფსალი-შვედეთი) მოჭრილი ქ. ჯამში³⁸ (ისფაჰანი), რომლის განსაზღვრის სის-

³² გ. ქალაღანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78—79.

³³ თ. პაპუაშვილი, ჭერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 369.

³⁴ Lewicki, Skaeb dirhemów arabskich Czechowa, Warszawa—Wroclaw, 1957, გვ. 254—255.

³⁵ თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 364—370.

³⁶ Lavoix, Catalogue des Monnaies musulmanes, Paris, 1887, № 283.

³⁷ J. Walker, A Catalogue of the Arab-Byzantine and Post-reform vmaiyad Coins II, London, 1956, გვ. 167 № 448 და შენიშვნა.

³⁸ В. Тизенгаузен, Монеты восточного халифата, СПб., 1873, гв. 63 და 656.

წორე პროფ. ა. ბიკოვის აზრით, აგრეთვე საეჭვოა. ამ ფულის მოჭრა რეიში მაშინ, როდესაც აბასიანთა მომხრე აბუ-მუსლიმის პარტიის მთელი საქმიანობა მიმდინარეობდა ისტახრსა და ხორასანში (მერვი, ნიშაბური)³⁹ — ძალიან საგულისხმო ფაქტია. მეტად ნიშანდობლივია მონეტის მოჭრის თარიღიც — პ. 128 წ. (745/46 წ.), მაშინ როდესაც აბუ-მუსლიმის აჯანყება მხოლოდ პ. 129 წ. (747 წ.) დაიწყო და არა რეიში, არამედ მერვის ოაზისში⁴⁰.

განხილულ განძებში კიდევ არაერთი ნაკლებადცნობილი და იშვიათი მონეტაა თავმოყრილი.

1960 წლის ზაფხულში, ბახტრიონის გორაზე (ახმეტის რაიონი), ნაპოვნი 4 მონეტა⁴¹ — ხოსრო II სასანელის ღირებულებები, ომაური პ. 92 წ. (710/11 წ.) და 2 აბასური — პ. 143 წ. (760/61 წ.) და პ. 148 წ. (765/66 წ.), გვაფიქრებინებს, რომ ეს არის ნაწილი ამ მხარისათვის ჩვეულებრივი განძისა, რომელიც მიმოიბნა.

არგვეთის ისტორიულ პროვინციასა და აღმოსავლეთ საქართველოს ფულადი მიმოქცევის მსგავსება ანტიკურ ხანაშივე შეიმჩნევა⁴². ასევე გრძელდება VI—VII სს. ვინმე პერევალენკო, ჯერ კიდევ XIX ს. აღნიშნავდა, რომ საჩხერის მიდამოებში, ადგილობრივ მონაპოვართა შორის არის ვერცხლის სასანური მონეტების დიდი რაოდენობა⁴³. ხოსრო II ვერცხლის ფული, მას დაბა ყვირილაშიც უნახავს⁴⁴. VIII—IX სს. აქ უკვე ქუფური ღირებულებები მიმოიქცევა, რასაც მოწმობს მისი არამარტო ცალკეული ცალების აღმოჩენები სოფლ. კორბოულსა და მერჯევში (საჩხერის რაიონი), არამედ განძისაც ს. სავანეში (საჩხერის რაიონი)⁴⁵, რომელიც ჰერეთიდან მომდინარე შერეული განძებისაგან განსხვავებით შეიცავს 740—785 წწ. მოჭრილ მხოლოდ ქუფურ მონეტებს.

ვინაიდან არაბების დასავლეთ საქართველოში ყოფნა მუდამ ეპიზოდური და ხანმოკლე იყო, და იგი, შეიძლება ითქვას არაბთა უმუშევრო და პირდაპირი გავლენის გარეშე დარჩა⁴⁶, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემთხვევითი, „მტრულ-მეგობრული“ კონტაქტების შედეგია⁴⁷ მერიასა და გელათში ნაპოვნი თითო-თითო ღირებულებები. ამათგან განსხვავებით, შავი ზღვის სანაპიროზე ნაპოვნი ორი განძი — არქაბისა (ლაზისტანი), რომელიც 723—811 წწ. მოჭრილ 300-მდე

³⁹ პროფ. ა. ბიკოვის კერძო წერილიდან და პირადი საუბრიდან.

⁴⁰ E. A. Бел яев, შიითი. ნაშრ., გვ. 202—204. არსებობს ცნობა, რომ 1879 წ. უგლიჩში (იაროსლავლის გუბერნია) ნაპოვნი განძი შეიცავდა აბასიანთა მომხრეთა მერვ. პ. 128 წ. (745/46 წ.) ქუფეში მოჭრილი მონეტის ნატებს. მაგრამ თვით ავტორი ცნობისა (A. Марков, შიითი. ნაშრ., გვ. 54 № 314) ქალაქსაც და თარიღსაც კითხვის ნიშნით აღნიშნავს. ამგვარი მონეტების შესახებ იხ. აგრეთვე: al-Bakrī Mahāb Darwish, Slogans of 'Abbasid revolutionary propaganda on coins struck in Iran, «Sumer», vol. 24/1968, გვ. 119—121, Baghdad, Iraq.

⁴¹ მონეტების ფოტორეპროდუქციები თავაზიანად გადმოგვცა მოქ. შ. პაპიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ. მონეტები ინახება ს. ალვანში, სოფლის კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკაში.

⁴² K. B. Голенко, Денежное обращение Колхиды в Римское время, Л., 1964, გვ. 38—39.

⁴³ E. A. Па хомов, Клады..., I, № 61.

⁴⁴ იქვე, № 62.

⁴⁵ საქ. სახ. მუზეუმის ნუმისმატიკურ კოლექციაში დატული ცალები, ეფიქრობთ, მხოლოდ ნაწილია განძისა და ამიტომ მის შედგენილობაზე მსჯელობაც — პირობითია.

⁴⁶ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 375.

⁴⁷ იქვე.

ომურსა და აბასურ მონეტას შეიცავდა⁴⁸ და ჯორჯისა⁴⁹ (რომელიც მიმოიბნა), შესაძლოა აქ სულ სხვა გზით მოხვდა, თუ გავიხსენებთ, რომ „ტრაპეზუნდი ჩრდილოეთის საეპარო ჭიშკარი იყო სახალაფოსათვის“⁵⁰.

ყველა განხილულ განმში ერთი საერთო მოვლენა შეიმჩნევა — არ არის თბილისის ზარათხანის პროდუქცია. საქართველოში ნაპოვნთა შორის ერთადერთია, მოგვიანო, X ს. II ნახევრის ბორჩალოს განძი⁵¹, რომელიც შეიცავს ჰ. 294 წ. (906/07 წ.) თბილისში მოჭრილ ერთ ღირებულს. ჰ. 85 წ. (704 წ.) წლიდან. ჰ. 210 წ. (825 წ.) წლამდე, 125 წლოვანი ხარვეზია, როდესაც თბილისის ზარათხანის პროდუქცია საერთოდ არ არის ცნობილი. ხოლო 825 წლიდან კი ვიდრე 942 წლამდე, თბილისში მოჭრილი აბასური ღირებულებების რიცხვი თანდათან მატულობს. აღსანიშნავია, რომ X საუკუნიდან განსაკუთრებით გაძლიერდა მონეტის ვატანა ჩრდილოეთისაკენ და ამ დროს მოჭრილი ფულის პოვნის შემთხვევები ა/კავკასიაში განსაკუთრებით იშვიათია. ყველა თბილისური ღირებუმი (ჰ. 294 წ. ღირებულის გარდა), ნაპოვნია ან რუსეთის ჩრდილო გუბერნიებში, ან სკანდინავიის ქვეყნებში⁵². საყურადღებოა, რომ თბილისის ზარათხანის უმოქმედობა (704—825 წწ.) უცნაურად ემთხვევა ქართლში არაბთა მმართველობის სტაბილიზაციის ხანას⁵³. საჭირო ფაქტური მასალის სიმცირე ჯერ-ჯერობით არ გვაძლევს საშუალებას რაიმეს გადაჭრით მტკიცებისა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს მოვლენა უნდა უკავშირდებოდეს არ მინიშნის ზარათხანის საკითხს. თუ სხვადასხვა დროს, ამ სახელწოდებაში პროვინციის სხვადასხვა ქალაქია ნაგულისხმევი (დვინი, არანნი), ხომ არ შეიძლებოდა, დროის რაღაც მონაკვეთში აქ თბილისიც გვევარაუდნა⁵⁴. ამასთან დაკავშირებით, პროფ. ე. პანომოვის მიერ თბილისის ზარათხანის უმოქმედობის შესახებ ქვემოთ მოტანილი მოსაზრება არაღამაჯერებლად გვეჩვენება. „Отсутствие тифлисских монет 704 — 825 гг. совпадает с захватом города хазарами, а затем быть может и грузинями“⁵⁵ საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ ამ დროის პოლიტიკური სიტუაცია გამორიცხავდა ქართველთა ძალაუფლების გაძლიერებას თბილისში, ხოლო მეორე მხრივ — VIII ს. დასაწყისში ხაზარების თბილისში დამკვიდრება — დადასტურებული არ არის.

IX ს. ბოლოსა და X ს. აღმოსავლეთ საქართველოსა და ამიერკავკასიის ფულად მიმოქცევაში ჩნდება დაჭრილი ქუფური ღირებუმი. საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში დაცულია ამგვარი მონეტების ჩვენში აღმოჩენილი ორი განძი — IX ს. II ნახევრისა ბოგდანოვკის რაიონის ს. დილიფიდან, სადაც შეთავსებულია მთელი და ნატეხი ღირებულებები⁵⁶, და ბოტანიკური

⁴⁸ Е. А. Пахомов, Монеты Грузии, ч. I, гл. 53, Рис. 53, Клады..., I, № 80.

⁴⁹ 1959 წ. მღ. ჯორჯის, ბათუმის მახლობლად, უპოვნით ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც მაშინვე მიმოიბნა, მხოლოდ ერთი მონეტა იქიდან, ალექსანდრე იურის-ძე მოლოდინოვმა საქ. სახ. მუზეუმში მოიტანა განსაზღვრისათვის. ეს არის ჰ. 195 წ. (810/11 წ.) მაღნათ ას-სალამში, ხალიფა ამინის (193—198 წწ.— 809—813 წწ.) სახელით მოჭრილი ღირებუმი.

⁵⁰ Е. А. Белыев, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

⁵¹ Е. А. Пахомов, Клады..., I, № 88; Рис. 53, Монеты Грузии, ч. I, гл. 53.

⁵² Е. А. Пахомов, Монеты Грузии, I, გვ. 51—52.

⁵³ ს. ჯაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 385.

⁵⁴ შტრ. გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 105—10.

⁵⁵ Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

⁵⁶ Е. А. Пахомов, Клады..., VI, № 1607.

ბალისა, შემდგარი ვერცხლის მონეტების წვრილი ნატეხებისაგან (საერთო წონა 423,16 გრ.). თავის დროზე, უკანასკნელის ზერელედ გადათვალეირების დროს, ჩვენ მიერ განსაზღვრული იყო 5 მონეტა: აქედან 3 აბასური დირჰემი — პ. 328—38 წწ. (939/40—990/91 წ.) მოჭრილი, 1 ბიზანტიური, იმპერატორ იოანე ციმისხისა (969—976 წწ.) და თბილისის ჯაფარიანთა ამირას ჯა'ფარ იბნ მანსურის პ. 367 წ. (977/78 წ.) თბილისში მოჭრილი დირჰემი⁵⁷. გარდა ამისა, გავარჩიეთ ომაური, სამანური(!) და ბუვეიხური მონეტების წვრილი ნამტვრევები. განძი X ს. დასასრულითა და XI ს. დასაწყისით თარიღდება და ამგვარად, ჩვენში ნაპოვნი შერეული და ქუფური განძებიდან ყველაზე გვიანდელია. საგულისხმოა იმითაც, რომ შედგენილობით და ქრონოლოგიურად ემსგავსება, X ს. შუა წლების ნახიჩევანის განძს⁵⁸. პროფ. ე. პახომოვს ეკუთვნის მოსაზრება, რომ „такого рода клады типичны для северо-западных областей СССР и чрезвычайно редки для Закавказья“ და შემდეგ „если это (ნახიჩევანის განძი—ი. ჯ.) не случайный, единичный пример обрального завоза сюда с половины X в. небольшой суммы серебра в том виде, как оно обращалось на севере, то возможно, что это дробление монет может быть даже утраченных отчасти свое значение в качестве валюты... было произведено сербляником X в. с целью подготовки металла, для плавки, а не пуска в обращение в качестве денежной ценности, как это делается с обломками на северо-западе территории нынешнего СССР и в соседних с ним зарубежных странах“⁵⁹. დღეისათვის, როდესაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დაჭრილი ქუფური მონეტების განძების აღმოჩენის 6 შემთხვევაა ცნობილი (დილიფი, თბილისი, ალინაბადი⁶⁰, ბურა-დილია⁶¹, ნახიჩევანი⁶² და მინგეჩაური⁶³), ვფიქრობთ საქმარისი საბუთი გვაქვს ვილაპარაკოთ არა „ოქრომჭედლის მიერ გადასადნობად მომზადებულ დაჭრილ ვერცხლზე“, არამედ უკუშემოტანაზე იმ ქვეყნებიდან, სადაც ისინი ამ სახით ბრუნადნენ, და მათს აქ მიმოქცევაზეც.

საქართველოში ნაპოვნი ქუფური დირჰემებთან შედარებით, უმნიშვნელოა სპილენძის მონეტების რაოდენობა. მათი უმეტესობა თბილისისა („განჯისკარი“, ბალი ერეკლეს სახ. მოედანზე) და მცხეთის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგად არის მოპოვებული. მათი აღმოჩენები ამ ქალაქების ტერიტორიაზე, მიგვანიშნებს აქ განვითარებულ საქალაქო ვაჭრობაზე VIII—IX სს., როდესაც ანგარიშსწორება სპილენძის წვრილი ფულით წარმოებდა.

ამ მონეტათა განსაზღვრა და ზუსტი ატრიბუცია ხშირად ძნელდება, მოჭრის მდარე ტექნიკის და ამით გამოწვეული ცუდი დაცულობის გამო. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ხერხდება მოჭრის თარიღისა ან ტიპის გარკვევა — ეს მეტწილად VIII ს. 30-იანი წ. — IX ს. დასაწყისის ფელსებია. ამგვარი მონეტების ერთეული ცალეები ნაპოვნია რუსთავში, ბოლნისში, სამგორში და

⁵⁷ ჯაფარიანთა მონეტის შესახებ იხ. დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 57, მისივე „კომენტარები“, Е. А. Пахомов, Монеты Грузии, თბ., 1970, გვ. 289.

⁵⁸ Е. А. Пахомов, Клады..., III, № 826, გვ. 41—42.

⁵⁹ Е. А. Пахомов, Клады..., III, № 826.

⁶⁰ მ ი ს ი ე ე, Клады..., I, № 85.

⁶¹ მ ი ს ი ე ე, Клады..., II, № 392.

⁶² მ ი ს ი ე ე, Клады..., III, № 826.

⁶³ მ ი ს ი ე ე, Клады..., V, № 1454.

სხვ. როგორც ჩანს, VIII—IX და X ს. I ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად ქუფური ღირებუმი მიმოიქცეოდა და უმნიშვნელო რაოდენობით ფელსი⁶⁴.

XI ს. შუა წლებიდან, ერთი მხრივ არაბთა სახალიფოს დაშლისა და არაბთა ბატონობის საქართველოში მოსპობის, ხოლო მეორე მხრივ თვით ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერების შედეგად დაიწყო ბიზანტიური ტიპის, საკუთრივ ქართული მონეტის მოკრა. ამავე დროს, დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ინტენსიურად შემოდის ბიზანტიური და მეზობელ მაკმადიან სახელმწიფოთა მონეტები.

И. Л. ДЖАЛАГАНИА

ОБРАЩЕНИЕ КУФИЧЕСКИХ МОНЕТ В ГРУЗИИ В VIII—X вв.

Резюме

На протяжении своей многовековой истории, Грузия находилась в *тесных экономических и политических связях со многими государствами Ближнего Востока. Об этом свидетельствует множество иноземных монет, найденных на ее территории.*

В VII в. на Ближнем Востоке появилась новая мощная сила — арабы, которые легко расправившись с истощенной Византией и сасанидским Ираном, завоевали обширные территории.

Первые набеги арабов на Грузию имели место в 642—643 гг., но окончательно завоевать ее им удалось лишь в первой половине VIII в. Тяжелое иго арабского владычества, Восточная Грузия испытывала на протяжении целого столетия — до середины IX в. Следствием этого длительного политического господства и экономических взаимоотношений, являются находимые на территории Грузии куфические монеты.

Необходимо отметить, что после завоевания арабами сасанидского Ирана, на протяжении VII — I пол. VIII вв. арабо-сасанидская серебряная монета (наряду с византийским золотом и серебром), беспрепятственно обращалась по всему Восточному Закавказью. В находимых в Грузии кладах присутствуют монеты омейядских правителей сасанидских провинций, Испехбедов Табаристана, а также более поздние — аббасидских наместников этой провинции.

В VIII в. унифицированный арабский дирхем занимает основное место в денежном обращении Восточной Грузии. Находки крупных кладов сасанидо-куфических монет (VIII—IX вв.) сконцентрированы в Кахетии, по левому берегу р. Алазани, в Лагодехском, Кварельском и Ахметском районах — там где почти не распространялась власть арабов, господствовавших во внутренних районах страны. Другая часть находок (единичные дирхемы и фельсы) сгруппирована в Тбилиси и близлежащих районах — Мцхета-Самтавро, Каспи, Самгори, Рустави и др.

На территории Грузии найден единственный куфический золотой динар, чеканенный в 88 г. х. (706/07 гг.).

⁶⁴ არსებობს ცნობა, რომ 1950 წ. სამგორის ველზე უპოვნიათ ქუფური ფელსები. სამწუხაროდ, ვერ დავაღვინეთ, რა სახით იყო აღმოჩენილი — როგორც განძი, თუ განცალკევებულ ცალკეად. იმ შემთხვევაში, თუ განძია, ეს ძალიან საყურადღებო ფაქტია, ვინაიდან დღემდე ცნობილია ერთადერთი შემთხვევა ქუფური ფელსების განძის აღმოჩენისა აზერბაიჯანში.

Из крупных серебряных кладов, необходимо отметить три смешанных клада из сел. Кавшири, Лелиани, Апени (Лагодехский р-н Грузинской ССР), в свое время изученные и подробно описанные доц. Т. Н. Ломоури. Подобно упомянутым трем, клад из с. Пшавели (Телавский р-н Груз. ССР), также смешанного характера и зарыт в первой четверти IX в. Наряду с продукцией многочисленных монетных дворов Халифата, здесь имеется редкая для территории СССР вообще, и для Закавказья в частности, монета Испанского Омейяда Абд ар-Рахмана I, чеканенная в 154 г. х. (770/71 гг.) в Аль-Андалусе. Тем более заслуживает внимания присутствие подобных монет в кладах из сс. Апени — 150 г. х. (767 г.), Пичховани — 162 г. х. (778/79) и Мтисдзири — 166 г. х. (782/83 г.). Вероятно, эти клады содержат монеты, поступившие из тех пунктов Халифата, которые имели непосредственные связи с Кордовскими Омейядами⁶⁵.

Два смешанных клада найдено в Кварельском районе — в 1900 г. в с. Чикаани, зарытый в третьей четверти IX века и в с. Мтисдзири — первая четверть IX века. Последний особенно интересен по составу монетных дворов; здесь представлена продукция 31 монетного двора, в том числе 13 монет закавказского чекана (Армения, Арран). Такое разнообразие свидетельствует об интенсивности торгово-экономических взаимоотношений в самом Халифате и оживленной внешней торговле.

Клады, характерные для этого края, найдены и в Ахметском районе (с. Пичховани, гора Бахтриони). Дата зарытия первого — I четверть X века; хронологические рамки второго — же установить не удалось, т. к. клад разошелся по рукам.

Изучение Мтисдзирского и Пичхованских кладов, позволило выявить монеты неизвестные, или до сих пор известные в одном экземпляре — как омейядские дирхемы 93 г. х. (711/12 гг.) из Рамхормуза и 81 г. х. (700/01 г.) из Шакк ат-Таймара, редкую монету, чеканенную приверженцами аббасидов в Рее, в 128 г. х. (745/46 г.), при последнем омейядском халифе Мерване II.

Заметное сходство денежного обращения исторической провинции Аргвети и Восточной Грузии, прослеживается уже в античное время. Тоже происходит и в VI—VII вв., когда здесь обращается сасанидская серебряная монета. В VIII—IX вв. в этой провинции появляется куфический дирхем, что подтверждается его находками как отдельными экземплярами, так и в виде клада (с. Саване, Сачхерского р-на).

Пребывание арабов в Западной Грузии было эпизодическим и кратковременным. Для выяснения-же причины находок двух куфических кладов на побережье Черного моря (с. Архаве, окрестности Батуми), необходимо припомнить, что «Трапезунт являлся Северными торговыми воротами Халифата», (Е. А. Беляев).

Отсутствие продукции тифлиского монетного двора, характерно для всех рассмотренных кладов. После выпуска Омейядами, первого тифлиского дирхема в 85 г. х. (704 г.), следует почти 125-летний перерыв, на протяжении которого отсутствуют монеты чеканенные в Тифлисе. С 210 г. х. (825 г.), тифлисский чекан вновь появляется и до 331 г. х. (942 г.), количество выпускаемых здесь дирхемов все возрастает. Характерно, что все находки их, зарегистрированы или в Северо-русских

⁶⁵ О находках подобных монет на территории России, возможных путях и причинах их распространения см. В. М. Потин, Древняя Русь и европейские государства в X—XIII вв., Л., 1968, стр. 213.

областях, или Скандинавских странах. Бездействие тифлисского монетного двора (704—825 гг.) удивительно совпадает со временем стабилизации арабского владычества в Картли. Нам кажется, что явление это связано с вопросом монетного двора «Арминийа». Если в разное время, под этим общим названием арабской административной единицы, подразумевается то Двин, то Берда'а, нельзя ли в каком-то промежутке времени допустить и «Тифлис».

В конце IX — начале X в. в денежном обращении Грузии и Восточного Закавказья появляется резанный куфический дирхем. С территории Грузии известно два клада, содержащих подобные монеты: первой половины IX в. из с. Дилипи (Богдановский р-н), где совмещены целые и резанные дирхемы, и конца X — начала XI вв. из Тбилиси (Ботанический сад), содержащий мелкие кусочки куфических дирхемов, общим весом 423,16 гр. Сегодня, когда нам известно 6 случаев находок резанных куфических дирхемов из Восточного Закавказья (Дилипи, Тбилиси, Алинабад, Бура-Дыгья, Мингечаур, Нахичевань), думается есть все основания говорить не о «приготовленном для плавки серебре, утратившем свое значение как валюты» (Е. А. Пахомов), а об обратном завозе их из стран, где они обращались в таком виде.

По сравнению с дирхемами, на территории Восточной Грузии найдено значительно меньшее количество куфических фельсов. Находки их, в основном, зарегистрированы в Тбилиси и Мцхета, что свидетельствует о развитой в этих пунктах городской торговли с расчетами на мелкую медную монету. Определение и атрибуция фельсов очень затруднена в виду слабой техники чекана и следовательно плохой сохранности. В тех редких случаях, когда они поддаются определению, это фельсы 30-ых годов VIII — начала IX веков. По-видимому в VIII — первой половине X вв. Восточная Грузия, в основном, питалась куфическим дирхемом с незначительной примесью фельса.

С середины XI в. в Грузии начинается чекан собственно-грузинской монеты византийского типа, с запада и юго-востока же вливаются интенсивный поток монет византийских и соседних мусульманских государств.

ალგემითის ფიალა

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის ბერძენ-სპარსელთა ომში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სამყარო, ორი სხვადასხვა კულტურა და მსოფლმხედველობა, ორი განსხვავებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობა. ბრძოლის ველზე და მშვიდობიანი ურთიერთობის ასპარეზზე ელინები გაეცნენ აქემენიანთა სპარსეთს — მათთვის სრულიად უცხო ქვეყანას, უცხო ყოფითა და წესჩვეულებებით. უბრალო, სპარტანულ ცხოვრებას ჩვეული დატაკი ელადის შვილები გააოცა დიდი მეფისა (როგორც ისინი უწოდებდნენ აქემენიან მონარქებს) და სპარსეთის იმპერიის სატრაპების კარზე გამეფებულმა ზღაპრულმა ფუფუნებამ. და როცა არისტოფანემ, დიდმა ბერძენმა კომედიოგრაფმა, ისურვა ამ ფუფუნებისა და სიმდიდრის აღწერა, სპარსეთის სამეფო კარიდან დაბრუნებულ ელჩს ასეთი სიტყვები ათქმევინა: დიდი მეფის კარზეო

„გვაიძულებდნენ მასპინძლები, რომ დაგველია მინის და ოქროს სასმისებით შეურეველი დამტკბარი ღვინო“ („აქარნელები“, 73—75)¹.

ოქროს თასებთან ერთად ელჩი მინის თასებსაც — ἀργύριον ἕκαστα — ასახელებს. ცხადია, მათ იმ დროს ოქროს ფიალების თანაბარი ღირებულება უნდა ჰქონოდათ.

მართლაც, თუ გადავხედავთ აქემენიდური ხანის არქეოლოგიას, მინის ფიალები დიდ იშვიათობას წარმოადგენენ. ამ ეპოქის მინის ფიალები სულ რამდენიმე ცალია ცნობილი, მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები, ვიდრე ოქროსი. ვერცხლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აქემენიდური ხანის ერთი ასეთი ფიალა ქართულმა მიწამაც შემოინახა.

1940 წელს ალგემითის ხეობაში, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროსთან შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, რომლის მდიდრული ინვენტარის მშვენიერებას წარმოადგენს საქართველოსათვის უნიკალური მინის ფიალა². ღრმა, პირ-

¹ Ἔπειρόμενο δὲ πρὸς βίαν ἐπίνομεν
ἐξ ἀργύριον ἕκαστα καὶ χρυσίδων
ἄχρατον οἶνον ἕδυσ“ (Αχαρνῆς, 73—75),

Aristophanis, Comoediae, tomus I, Oxford. რუსულ თარგმანში (Аристофан, Комедии, том I, Москва, 1954, გვ. 34) მინისა და ოქროს თასებს გარდა ვერცხლის თასიცაა მოხსენიებული, რაც არ შეესაბამება დედანს და აზრსაც ამახინჯებს, რადგანაც ვერცხლის თასები იშვიათობას არ წარმოადგენდა.

ეფესოს მინის თასის შესწავლისას ამ პასაჟს „აქარნელებიდან“ ყურადღება მიაქცია პ. ფოსინგმა. იხ. P. Fossing, Drinking Bowls of Glass and Metal from Achaemenian Time, «Berytus» IV, Copenhagen, 1937, გვ. 128.

² Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, I. Опыт периодизации памятников, Тбилиси, 1941, გვ. 37, ტაბ. VIII.

6. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 4.

გადაშლილი ფიალის სხეული ლოტოსის გაშლილ ყვავილს წარმოადგენს. გარედან, ძირზე ოდნავ ამობურცული გლუვი წრიდან სხივებად გამოდის 14 დაბალქედიანი ფურცელი, რომელთა წაწვეტებულ ბოლოებს შორის, ფიალის მხრებთან ჩასმულია თოთხმეტი ნუშისგულის ფორმის ბურცობი, წვეტებით ძირისკენ. მხრებზე ბურცობებს ზემოთ ფიალას ორი რელიეფური ზოლი შემოსდევს. შიდაპირი გლუვია, არ იმეორებს გარეპირის რელიეფს.

ფიალა სამი არატოლი ნატეხისაგანაა შეწებებული. მინის ზედაპირი ირიზებულია, აქა-იქ ამოკმულიც, მაგრამ საერთოდ კარგადაა შემონახული.

ზომები: პირის დიამეტრი — 162 მმ; საერთო სიმაღლე — 55 მმ; გადაშლილი პირის სიმაღლე — 23—27 მმ; პირის სისქე — 3 მმ.

ფიალა სქელკედლიანია. იგი დამზადებულია გამკვირვალე, მსუბუქი მოყვითალო-მომწვანო ელფერის მინისაგან. გამკოლავ შუქში მინა პრაქტიკულად უფერულია. შეიცავს მცირე რაოდენობით სფერულ ბუშტებს, რომლებიც არათანაბრადაა განლაგებული მინის სისქეში. ბუშტები ზოგადად პირისკენ უფრო მეტია. მათი ზომებიც არათანაბარია — მიკროსკოპულიდან 1 მმ-მდე. მინის ზედაპირზე აქა-იქ შეიმჩნევა მცირე ზომის ქვის უსუფთაობები.

ფიალა დამზადებული უნდა იყოს ყალიბში მინის მასის ჩაწნეხვით. ბუშტების რაოდენობა და ზომები გვაფიქრებინებს, რომ მინა ბოლომდე არ იყო გამოხარშული და რომ იგი ყალიბში ჩაწნეხვის დროს თხევადი არ უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება გამოარცხავს დაკარგული ცვილის მოდელის წესით ამ ფიალის ჩამოსხმის შესაძლებლობასაც. მიკროსკოპში ძლიერი გადადების დროს შიდაპირზე შეიმჩნევა უსწორმასწორობანი — საყალიბე ქვიშის ანაბეჭდები, რომლებიც სწორედ ჩაწნეხვის პროცესში უნდა გაჩენილიყო³. შიდაპირი საერთოდ გლუვია და პრიალა, თუმცა მეორადი ხეხვისა და გაპრიალების კვალი არ შეიმჩნევა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიგლუვე მიღწეულია ფიალის ნაშაადის ყალიბიდან გახურებით. ამ დროს ზედაპირის თხელი ფენა ღლვება და გაცივების შემდეგ გლუვი ხდება.

ყალიბს გარეპირზე საკმაოდ მკვეთრი რელიეფი დაუტოვებია: სამი რელიეფური ზოლი მხრებზე, ნუშისგულის ფორმის ბურცობები და ცენტრალური თოთხმეტურცლიანი ვარდული. გაცივების შემდეგ გარეპირს მეორადი დამუშავება განუცდია: მბრუნავი საკვეთლით გაჩარხულია ღარები, რომლითაც გამკვეთრებულია ვარდულის ფურცლების კონტურები და ცენტრალური წრე. ღარები თანაბარი სიღრმე-სიგანისაა და გრძელი მონაკვეთებია გავლებული საკვეთლის აულეზლად, რისი მიღწევაც ხელით კვეთის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. ჩარხის ხნარებაზე მიუთითებს ის უზუსტობანიც, რაც შეიმჩნევა ფოთლების წვეროების დამუშავებაში: ჩანს, ღარის ამოღების პროცესში შეუძლებელი იყო თავიდანვე დაშვებული მცირე შეცდომის გამოსწორება და ოსტატს, უთუოდ ერჩივნა დაეტოვებინა მცდარი მიმართულება, რაც ხელით კვეთის შემთხვევაში შედარებით ადვილი გამოსასწორებელი იქნებოდა. ცენტრალური წრის გარშემო წრიული ღარის ნაცვლად მოკლე წრფივი ღარებით შედგენილი მრავალკუთხედიანი ამოკვეთილი, რაც აგრეთვე ჩარხის ხნარებაზე მიუთითებს.

³ ამ გარემოებაზე ყურადღება მივაქცევინა რ. ბახტაძემ, რომელმაც საერთოდაც კონსულტაცია გაგვიწია ალგეთის ფიალის ტექნოლოგიის შესწავლისას.

ლარების ამოღების შემდეგ ფიალის გარეპირი ხელით უნდა იყოს გახეხილ-გაპრიალებული. ამას გვაფიქრებინებს მიკროსკოპული ნაკაწრები, რომლებიც პირის გასწვრივ პარალელურადაა განლაგებული. ასეთივე ნაკაწრები ვარდულის ფურცლებს სიგრძივ გასდევს სხივისებურად.

ჩარხზე გასაპრიალებლად დამაგრების კვალი ფიალაზე არსად არ შეიმჩნევა.

ალგეთის ფიალის პირი ყველგან თანაბარი სიმაღლისა და სისქისა არ არის, რაც ფოტოზეც კარგადა ჩანს. ასევე ზუსტად ერთნაირი ზომისა არ არის ნუშისგულისფორმის ბურცობებიც. მათ შორის მანძილებიც არათანაბარია. ვარდულის ფურცლების წვერები რომ ერთნაირი არაა, ამაზე ზევეთაც ითქვა. მაგრამ ყველა ეს უზუსტობა შეიმჩნევა მხოლოდ ფიალაზე გულდასმით დაკვირვებისა და გაზომვების შემდეგ და ფიალის მხატვრულ ღირსებას არაფერს აკლებს.

გამკვირვალე, თითქმის უფერული კრიალა მინა და მოხდენილი ფორმა ფიალას მაღალი ხელოვნების ნიმუშად აქცევს და უთუოდ სწორედ ასეთმა ფიალებმა მოახდინეს ის წარუშლელი შთაბეჭდილება ატიკელ ელჩებზე, რომელიც არისტოფანემ უკვდავყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 425 წელს.

მინის წარმოებას 6000 წლის ისტორია აქვს. როდის შესძლეს პირველად გამკვირვალე უფერული მინის მიღება არავინ იცის. მაგრამ უკვე ტუტანხამონის სამარხში (ეგვიპტე, XVIII დინასტია) გვხვდება გამკვირვალე უფერული მინა, რომლითაც დაფარულია ფერადი მინიატურული ნახატები ფარაონის ტახტის ზურგზე და სხვა ნივთებზე⁴. სპორადულად გამკვირვალე მინის ნაწარმი შემდგომში სხვა ქვეყნებშიც გვხვდება⁵. მაგრამ გამკვირვალე უფერული მინის მიღება თვით რომაულ ხანამდეც კი დიდ მიღწევად ითვლებოდა. უფერული მინა რომ მიეღოთ, ნედლეული სრულიად თავისუფალი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი მინარეებისაგან, უპირველეს ყოვლისა კი რკინის ჟანგეულებისაგან⁶. ამგვარი ნედლეული კი ყველგან არ იყო. ამასთანავე საკმაოდ მაღალ ტემპერატურაზე უნდა ეწარმოებინათ მინის გამოხარშვა, რათა მიეღოთ გამკვირვალე მინა, რაც ასევე ძნელი მისაღწევი იყო უძველეს პერიოდში. სწორედ ამიტომ გამოიწვია ცხოველი ინტერესი ადრეანტიკური ხანის გამკვირვალე მინის პირველივე ფიალამ, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში მოხვდა. ესაა ჰოგართის მიერ ეფესოში, არტემიდას ტაძრის საძირკველს ქვეშ აღმოჩენილი ფრაგმენტირებული ფიალა, რომელსაც კ. ფოსინგმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა⁷.

ეფესოს ფიალა გამკვირვალე, თითქმის უფერული, ღია მოყვითალო-მომწვანო ელფერის მინისაგანაა დამზადებული. ფიალა ღრმაა, პირგადაშლილი. მის სხეულზე 18 ფურცლიანი ლოტოსის ვარდულია ამოკვეთილი, რომლის წვეროებს შორის ფიალას მხრებთან 18 მცირე ზომის სამკუთხა ბურცობია ჩასმული. მინა, როგორც აღნიშნავენ, არ შეიცავს ჰაერის ბუშტებს. ზომები: პირის დამ — 167 მმ (ა. სალდერნის მიხედვით — 152 მმ), სიმაღლე — 57 მმ.

⁴ A. Lucas, Материалы и ремесленное производство древнего Египта, М., 1958, გვ. 304.

⁵ Axel von Saldern, Glass Finds at Gordion, Journal of Glass Studies, v. I, Corning, New York, გვ. 31.

⁶ A. Lucas, დასახ. ნაშრომი, გვ. 303.

⁷ P. Fossing, Drinking Bowls of Glass and Metal from Achaemenian Time, «Berytus», IV, 1937, გვ. 121—129.

ეფესოს ფიალა შედარებით კარგად თარიღდება. ტაძარი, რომლის ნანგრევებში აღმოჩნდა ფიალა, დაინგრა 356 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაშასადამე, ფიალა ამ თარიღზე უფრო ძველი უნდა იყოს. მაგრამ, ცხადია, უფრო ახალგაზრდა, ვიდრე თვით ტაძარი, რომელიც კრეზუსს აუშენებია ძვ. წ. VI საუკუნეში.

ეფესოს ფიალა გამჭვირვალე მინის ნაწარმში ცალკე ჯგუფის გამოყოფის საფუძველი ვახდა⁸.

ა. სალდერნმა ყურადღება მიაქცია ეფესოსა და მისი ანალოგიური ფიალების ამოკვეთილ დეკორს და მოგვცა აქემენიდური და ელინისტური ხანის ამოკვეთილი ორნამენტით შემკული მინის ჭურჭლის დაწვრილებითი ანალიზი⁹. ამგვარად, მან ელინისტური ხანის ამოკვეთილი ორნამენტით შემკული ჭურჭლის დიდ ჯგუფს მოუძებნა გენეტიკური ფესვები აქემენიდურ და წინარე აქემენიდურ ხანაში, დაუკავშირა რა ისინი გორდიონში 1956 წელს პ. იუნგის მიერ სამეფო საგვარეულოს ბავშვის P სამარხში აღმოჩენილ გამჭვირვალე მინის ბრწყინვალე თასს, რომლის სხეული 32 ფურცლიანი ვარდულითაა შემკული. თასს დაბალი, ვერტიკალური პირი აქვს და ძირზე ომფალოსი. ყალიბში გამოყვანილი ვარდულის რელიეფური ფურცლები მბრუნავი საკვეთლითაა გამოკვეთილებული. მინა თითქმის უფერულია, მსუბუქი მოყვითალო-მომწვანო ელფერით, მცირე რაოდენობით შეიცავს სფერულ ბუშტებს. ზომები: პირის დიამ — 152/157 მმ, სიმაღლე — 35—38 მმ.

თასი კარგად თარიღდება ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნის მიწურულით და ჭერჭერობით გამჭვირვალე მინის უძველესი ფიალაა მსოფლიოში¹⁰.

1896 წელს, ჩრდილოეთ კავკასიაში, მაიკოპის მახლობლად გათხრილ კურჯიბის ყორღანში აღმოჩნდა გამჭვირვალე მინის ამოკვეთილი ორნამენტით შემკული ფიალის ფრაგმენტები. ფიალა გამოაქვეყნა ლ. გალანინამ, დაათარიღა IV საუკუნის ბოლოთი და დაუკავშირა ა. სალდერნის მიერ გამოყოფილ ამოკვეთილი ტექნიკით დამუშავებული მინის ფიალების ჯგუფს¹¹. გარდა კურჯიბის ფიალისა ლ. გალანინამ ამავე ჯგუფს მიაკუთვნა ალგეთის ფიალაც, აგრეთვე უცნობი წარმოშობის ფიალა ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციიდან, რომლებიც ა. სალდერნისათვის არ იყო ცნობილი. სულ ლ. გალანინას მოხსენიებული აქვს 12 ფიალა, რომელთაც იგი აჯგუფებს ამოკვეთილი ორნამენტის ნიშნით¹². ალბათ ამიტომ სიაში არ მოხვდა პერსეპოლისში აღმოჩენილი მინის რელიეფურ ორნამენტიანი ფიალა¹³. ვფიქრობთ ამავე მიზეზის გამო აღნიშნულ ჯგუფში მას არ უნდა შეეტანა არც ალგეთის ფიალა (ამაზე ქვემოთ). ლ. გალანინას სიაში არ მოხვდა ადრეანტიკური და ელინისტური ხა-

⁸ Axel von Saldern, Glass Finds at Gordion, გვ. 41—42.

⁹ Axel von Saldern, დასახ. ნაშრომი, აგრეთვე მისივე — Achaemenid and Sassanian Cut Glass, Ars Orientalis, 5, 1965, Michigan, გვ. 7—8, ტაბ. I.

¹⁰ P. S. Young, Gordion, 1956, Preliminary Report, American Journal of Archaeology, v. 61, № 4, 1957, გვ. 328, 330, ტაბ. 94, ნახ. 32. A. Saldern, Glass Finds at Gordion, გვ. 25—27, ნახ. I.

¹¹ Л. К. Галаннина, Стекланные сосуды из Курджипского кургана, Археологический сборник, 12, Ленинград, 1970, გვ. 33—44, ნახ. 2, 3, 4.

¹² 9 ფიალის აღწერილობა ლ. გალანინას მოცემული აქვს ი. სალდერნის მიხედვით, იხ. Л. К. Галаннина, დასახ. ნაშრომი, გვ. 43—44.

¹³ E. Schmid, Persepolis, II, Contents of the Treasury and other Discoveries, Chicago, 1957, ტაბ. 67g.

ნის რამდენიმე სხვა ფიალაც, რომლებიც ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან, და, გასაგები მიზეზის გამო, 1971 წელს დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ ორჯონიკიძის მახლობლად სკვითური ყორანის ე. წ. „ტოლსტაია მოვილას“ ინვენტარში აღმოჩენილი გამჭვირვალე მინის კიდევ ორი ფიალა, რომლებიც აგრეთვე ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი თარიღდება¹⁴.

ამგვარად, დღეისათვის ცნობილია მინის ფიალების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელთაც აერთიანებს მინის ხარისხი (გამჭვირვალობა, უფერულობა), ფორმა და ორნამენტაცია.

ქრონოლოგიის თვალსაზრისით ფიალების ამ ჯგუფში ორი არათანაბარი ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს. ერთი, რაოდენობრივად უდიდესი ქვეჯგუფია — ელინისტური ხანის (ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო — III ს.) ფიალები, ხოლო მეორე ქვეჯგუფი, რომელიც სულ რამდენიმე ფიალას შეიცავს — წინარე ელინისტური ხანისაა. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ქვეჯგუფი გვაინტერესებს, რამდენადაც მათ წრეში ხვდება ალგეთის ფიალაც, მაგრამ ამ ქვეჯგუფის თავისებურებათა დანახვა შესაძლებელია მხოლოდ ელინისტური ხანის მასალასთან შედარებით. ამიტომ აქ ისინიც უნდა იქნას განხილული.

სამწუხაროდ, ფიალათა მნიშვნელოვანი ნაწილი უპასპორტოა. — უცნობია მათი წარმომავლობა და ამდენად მათი დათარიღება შესაძლებელია მხოლოდ სტილისტური ანალიზის საშუალებით. ამგვარი ანალიზის წარმოება კი შეიძლება იმ ფიალებზე დაყრდნობით, რომელთა აღმოჩენის ადგილი და ვითარება ცნობილია და რომელთა თარიღი განსაზღვრულია არქეოლოგიური კომპლექსების მიხედვით. ასეთებია, უპირველეს ყოვლისა ზემოთ მოხსენიებული ფიალა გორდიონიდან (1). იგი აღმოჩნდა მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალასთან ერთად სამარხში, რომელიც მტკიცედ თარიღდება ძვ. წ. 700 წლის ახლო ხანებით¹⁵. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ესაა *terminus ante quem*.

თითქმის გამჭვირვალე მომწვანო მინის დაბალი, პირგადაშლილი ფიალა აღმოჩნდა ბაბილონში, ბავშვის № 109 სამარხში, რომელიც „სპარსული ხანით“ ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. თასი ჩამოსხმის შემდეგ გაშლიფულია. ზომები: სიმაღლე — 40 მმ, დიამეტრი — 152 მმ, მინის სისქე — 2—4 მმ (2)¹⁶.

ეფესოს ფიალაზე ზევით უკვე გვქონდა საუბარი. მისი თარიღი, როგორც აღინიშნა, თავსდება ძვ. წ. VI საუკუნესა და 356 წელს შორის (3).

ძლიერ ღია მომწვანო ელფერის, გამჭვირვალე, ირიზებული მინის ჩამოსხმული ფიალის ორი ფრაგმენტი აღმოჩნდა პერსეპოლისში (4). ჩანს, რომ ფიალას დაბალი გადაშლილი პირი ჰქონია. მისი სხეული გამოსახავს ლოტოსის გაშლილ ყვავილს, რომლის ფურცლები პალმეტებით ბოლოვდება. ფიალის მხრებთან, ზემოთ აღნიშნული ფურცლების ბოლოებს შორის ჩასმულია ნუშისგულის ფორმის მსხვილი ბურცობები, მიმართული წვერებით ძირისაკენ. ბურცობებისა და, მათსადაამე, გაშლილი ლოტოსის ყვავილის ფურცელთა რიცხვი 11 უნდა ყოფილიყო¹⁷.

¹⁴ Б. Н. Мозолевский и Курган Толстая Могила близ г. Орджоникидзе на Украине (предварительная публикация), СА, 3, 1972, გვ. 259, ნ.ხ. 33(№ 17).

¹⁵ P. S. Young, დასახ. ნაშრომი, გვ. 328—330.

¹⁶ P. Fossing, Glass Vessels before Glass-blowing, Copenhagen, 1940, გვ. 45, 85; A. Salder, Glass Finds at Gordion, გვ. 34.

¹⁷ E. Schmidt, Persepolis, II, Contents of the Treasury and other Discoveries, Chicago, 1957, ტაბ. 67g.

პერსეპოლისი დაინგრა ძვ. წ. 330 წელს. ამდენად, ფიალა ამ თარიღზე გვიანი არ შეიძლება იყოს, ხოლო მის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარს იძლევა პერსეპოლისის დაარსების თარიღი — ძვ. წ. VI საუკუნის დასასრული.

IV საუკუნის დასასრულით თარიღდება „ტოლსტაია მოგილას“ ზემოთ მოხსენიებული ფიალები (5—6). ფიალები ძლიერ ფრაგმენტირებულია. დამზადებულია გამჭვირვალე, თითქმის უფერული მინისაგან. შემკულია რელიეფური ორნამენტით.

კურჯიბის ფიალა ამავე ყორღანში აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკით თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულით¹⁸.

ღრმა, პირგადაშლილი ფიალა დამზადებულია მოყვითალო-მომწვანო ელფერის გამჭვირვალე მინისაგან, სქელკედლიანია. სხეულზე კვეთით გამოყვანილია მრავალფურცლიანი ვარდული. ფურცლების წვეტიან ბოლოებს შორის სამკუთხა შემადღებებია დატოვებული, მხრებზე კი სამი ღარი. ძირზე ომფალოსი ჰქონია. შერჩენილია ფიალის მხოლოდ რამდენიმე მცირე ფრაგმენტი. ზომები: პირის დიამეტრი — 190 მმ. სიმაღლე — 72 მმ (7)¹⁹.

ძვ. წ. III საუკუნის შუაწლებით, ან ცოტა უფრო ადრეული ხანით თარიღდება ფიალის ფრაგმენტი გორდიონიდან. ფიალას გადაშლილი პირი ჰქონია, სხეულზე კი ამოკვეთილი ენები — ლოტოსის ფურცლები, რომელთა მომრგვალებულ ბოლოებს შორის დარჩენილია სამკუთხა შემადღებები, მიმართული წვერებით ძირისკენ. მინა თითქმის გამჭვირვალეა, ოდნავი მომწვანო ელფერით, დაფარულია მოთეთრო-მოყვითალო ირიზაციის ფენით (8)²⁰.

არქეოლოგიური ინვენტარით დათარიღებული ჩვენთვის ცნობილი ფიალების სია სულ ამით ამოიწურება, თუ არ ჩავთვლით სალონიკის მუზეუმში დაცულ, სოფელ კარისტასთან აღმოჩენილ ფიალას, რომელიც თანმხლები ინვენტარის საშუალებით ძვ. წ. III საუკუნის უკანასკნელი მესამედით თარიღდება. ფიალა ღრმაა, მაღალი გადაშლილი პირით, უფერული ოდნავ მომწვანო მინისა. ფიალის სხეულზე ჩარხით ამოკვეთილია წრიული და სხივისებურად განლაგებული ღარები. შიგნიდანაც, ძირზე ორი ასეთი კონცენტრული ღარია ამოკვეთილი. ზომები: პირის დიამეტრი 110 მმ, სიმაღლე — 58 მმ, პირის სისქე — 1—2.5 მმ²¹. ეს თასი თავისი ტიპითა და ორნამენტაციის ხასიათით საკმაოდ დაშორებულია ფიალების იმ ჯგუფს, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ და უახლოვდება ე. წ. მეგარული ტიპის თასებს. მისი მოხსენიება საჭიროდ მივიჩნით იმის გამო, რომ გ. დ. ვაინბერგი ციტირებულ ნაშრომში ამ თასის ანალოგიად მიიჩნევს ნეაპოლის მუზეუმის უცნობი წარმოშობის ფიალას (№ 12001), რომელიც კარისტას თანისაგან განსხვავებით ტიპითაც და ორნამენტაციითაც ახლოა ჩვენს ფიალებთან. ფიალა ღრმაა, პირგადაშლილი. ძირზე, როგორც ავტორი ვარაუდობს, ზელით არის ამოკვეთილი ორმაგ წრეში ჩასმული რვაფურცლიანი ვარდული. ვარდულის გარშემო გაშლილია ასევე ამო-

¹⁸ Л. К. Галаннина, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 36.

¹⁹ იქვე, გვ. 38.

²⁰ A. Saldern, *Glass Finds at Gordion*, გვ. 36, სურ. 15. თავუაპირველად ა. სალდერმა ეს ფრაგმენტი მიიჩნია მეგარული ტიპის თასის ნატეხად, შემდგომში მან სამართლიანად შეიცვალა თვალსაზრისი და ფრაგმენტი მიაკუთვნა ამოკვეთილი ტუქნიკით დამზადებული ფიალების ჯგუფს. იხ.: A. Saldern, *Achaemenid and Sassanian Cut Glass*, გვ. 8, სქოლიო 8.

²¹ Gladys Davidson Weinberg, *Hellenistic Glass Vessels from Athenian Agora*, «Hesperia», vol. XXX, № 4, 1961, გვ. 383, ტაბულა 92, a.

კვეთილი ლოტოსის თოთხმეტფურცლიანი ყვავილი. ფურცლების წაწვეტებულ და პალმეტებით დაბოლოებულ წვეროებს შორის ჩასმულია 14 ნუშისგულის ფორმის ბურცობი, წვეტებით ძირისკენ. ბურცობების ზემოთ, ყელის ძირში ბადისებური ორნამენტით დაფარული სარტყელია. მინა გამჭვირვალეა, უფერული, მომწვანო ელფერის, ირიზებული.

ზომები: პირის დიამეტრი — 141 მმ, სიმაღლე — 65 მმ (9).

გ. დ. ვაინბერგი ფიალას აკუთვნებს ძვ. წ. V—IV სს.²²

გამჭვირვალე მინის ფიალებიდან, რომელთა წარმოშობა უცნობია, ფორმითა და დეკორით ალგეთის ფიალასთან ყველაზე ახლოა ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული ცალი (საინვენტარო № 529), რომელსაც ძვ. წ. IV საუკუნეს აკუთვნებენ და მიიჩნევენ წინა აზიის რომელიღაც საწარმოს პროდუქციად (10)²³. ფიალა ღრმაა, პირგადაშლილი, გამჭვირვალე, ოდნავ მოყვითალო მინისა. ფიალის სხეული შემკულია რელიეფური თორმეტფურცლიანი ლოტოსის გარდულით, რომლის ფურცელთა წვერები ფიალის მხრებამდე არ აღწევს. მხრებზე ფიალას შემოსდევს ნუშისგულის ფორმის თორმეტი ბურცობის ფრიზი. ბურცობებს ზემოთ ორი ამოკვეთილი ღარია. ფიალის დიამეტრი — 134 მმ, სიმაღლე — 54 მმ²⁴.

ფორმითა და დეკორით ალგეთისა და ერმიტაჟის ფიალებთან ახლო დგას ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ფიალა (№ 70, 6—6,7), რომლის წარმოშობა უცნობია. ფიალა დამზადებულია გამჭვირვალე, მოყვითალო-მომწვანო ელფერის მინისაგან, რომელშიც მცირე რაოდენობითაა ბუშტულები. პირი გადაშლილი აქვს. სხეულზე გამოსახულია თექვსმეტფურცლიანი ვარდული. ყოველი მეორე ფურცელი ღარებითაა შემოსაზღვრული და ასეთივე ღარი გასდევს შუაში. ეს რვა ფურცელი უფრო დაბალ რელიეფშია გამოყვანილი, ვიდრე დანარჩენი რვა გლუვი ფურცელი. ფურცლების წვერები ებჯინება წრიულ ღარს. ფიალა ყალიბშია დამზადებული და შემდეგ დამუშავებულია მბრუნავი საკვეთლით.

ზომები: ფიალის დიამეტრი — 172 მმ, სიმაღლე — 42 მ (11)²⁵.

ა. სალდერნი ბრიტანეთის ფიალას ზომით, მინის ხარისხით, აგრეთვე დამზადების ტექნიკითა და დეკორით უახლოვებდა გორდიონის ძვ. წ. VIII საუკუნის (1) ფიალას და ათარიღებდა მას ძვ. წ. VII საუკუნით, ან უფრო ჯვანი ხანით²⁶. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფიალის გადაშლილი პირი და პროპორციები არ იძლევა საშუალებას დათარიღდეს იგი ძვ. წ. V საუკუნეზე უფრო ადრეული ხანით²⁷.

²² G. D. Weinberg, დასახ. ნაშრომი, გვ. 385, ტაბ. 93a... ამავე ნაშრომში მოხსენიებულია მინის კიდევ ერთი ფიალა, რომელიც კორინთოშა აღმოჩენილი და თარიღდებოდა „ძვ. წ. 146 წელზე უფრო ადრეული ხანით“. მინის ხასიათის გამო გ. დ. ვაინბერგი მიიჩნევს, რომ იგი შეიძლება დამზადებული იყოს ძვ. წ. IV ან V საუკუნეშიც კი (იქვე, გვ. 383, ნახ. 2a). რამდენადაც ფიალა რელიეფური დეკორით არ არის შემკული, ჩვენ მას არ განვიხილავთ.

²³ Художественное стекло, Альбом по материалам выставки в Государственном Эрмитаже, Л., 1967, № 3.

²⁴ Л. К. Галанина, დასახ. ნაშრომი, გვ. 44, № 12.

²⁵ A. Salder n, Glass Finds at Gordion, გვ. 32, ნახ. II, № 13.

²⁶ იქვე, გვ. 32.

²⁷ Heinz Lusche y, Die Phiale, Bleicherode am Harz, 1939, გვ. 39.

მართლაც, შემდგომში ა. სალდერნმა შესცვალა თავისი თარიღი და მიიჩნია, რომ ბრიტანეთის მუზეუმის ფიალა შეიძლება იყოს აქემენიდური ხანისა, ან ადრეელინისტური პერიოდისაც კი²⁸.

ა. სალდერნი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეფესოს (3) ფიალასთან ერთად ცალკე ჯგუფად გამოჰყოფს კიდევ ოთხ ფიალას, რომელთა წარმოშობა უცნობია.

კორინთის მინის მუზეუმში დაცულია გამჟვირვალე, ღია ლურჯი ფერის ბუშტულებიანი ძლიერ ირიზებული მინის თხელკედლიანი ფიალა (12). ფიალის გადაშლილ პირს საოცრად თხელი ნაპირები აქვს. სხეული შემკულია ვარდულოთ, რომლის თექვსმეტ წაწვეტებულ ფურცელს მორიგეობით შუაქელი ან ღარი აქვს. ფიალა რესტავრირებულია.

ზომები: პირის დიამეტრი 133 მმ, სიმაღლე — 38 მმ.

ეფესოს თასთან მსგავსების გამო ა. სალდერნი ფიალას IV საუკუნით ათარიღებს²⁹.

მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა ბერლინის ანტიკვარიუმში დაცული მინის ორი ფიალა. ერთი მათგანი (საინ. № 2125), ადრე ბარტოლდის კოლექციაში ნამყოფი, დამზადებული იყო გამჟვირვალე, უფერული მინისაგან. სხეული შემკული იყო რვაფურცლიანი ვარდულოთ. ჰქონია მცირე რაოდენობით ირიზაციის ლაქები.

ზომები: პირის დიამეტრი — 171 მმ, სიმაღლე — 41 მმ (13). ჰ. ლუშიე ფიალას ელინისტური ხანით ათარიღებს³⁰, ა. სალდერნი — ძვ. წ. IV საუკუნით³¹, ხოლო ა. იესენი — ცოტა უფრო ადრეული ხანით, კერძოდ, ძვ. წ. V საუკუნით, ან VI საუკუნის ბოლოთიც კი³².

ბერლინის ანტიკვარიუმის მეორე ფიალა (№ 2126) დამზადებული იყო მომწვანო ელფერის გამჟვირვალე მინისაგან. პირი გადაშლილი ჰქონდა, სხეული შემკული იყო მრავალფურცლიანი ვარდულოთ, რომლის წაწვეტებულ ბოლოებიანი, შუაში ღარიანი ფურცლები სხივებად გამოდიოდა ომფალოსიდან. მინა მსუბუქად იყო ირიზებული.

ზომები: პირის დიამეტრი — 188 მმ, სიმაღლე — 49 მმ (14). ფიალას ათარიღებენ ისევე, როგორც წინას (13).

მეოთხე ფიალა, რომელსაც ა. სალდერნი ამავე ჯგუფში ატყვევს, ეკუთვნის კერძო კოლექციონერს. იგი დამზადებულია გამჟვირვალე მწვანე მინისაგან. ძირზე გამოსახულია თექვსმეტქიმიანი ვარსკვლავი, ცენტრში რგოლით. ვარსკვლავს გარშემო ასევე თექვსმეტფურცლიანი ვარდულოთ, ფურცლებს შუაში ღარი გასდევთ, მათ წვეტიან ბოლოებს შორის მცირე ზომის სამკუთხა შემადლებია. პირის დიამეტრი დაახლოვებით 160 მმ (15).

ა. სალდერნი ამ თასის, ისევე როგორც მთელი ამ ჯგუფის თარიღად დასაშვებად მიიჩნევს გვიანაქემენიდურ ხანას³³.

²⁸ A. Salder n, Achaemenid and Sassanian Cut Glass, გვ. 8.

²⁹ A. Salder n, Glass Finds at Gordion, გვ. 41, ნახ. 28, № 18; Л. К. Г а л а н и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, № 2.

³⁰ H. Lus chey, დასახ. ნაშრომი, გვ. 125, 129—130.

³¹ A. Salder n, Glass Finds at Gordion, გვ. 41—42; № 19.

³² A. A. И е с с е н, Ранние связи Приуралья с Ираном, СА, XVI, М.-Л., 1954, გვ. 215, Л. К. Г а л а н и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, № 5—6.

³³ A. Salder n Glass Finds at Gordion, გვ. 42, ნახ. 29, № 21, Л. К. Г а л а н и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 44, № 9.

კელნის რომანულ-გერმანულ მუზეუმში დაცულია კიდევ ერთი უცნობი წარმოშობის ფიალა ა. იესენის კოლექციიდან. ომფალოსიანი ფიალა გამჟვირვალე უფერული მინისაგანაა დამზადებული, სხეული შემკულია ამოკვეთილი ცხრამეტფურცლიანი ვარდულით. ფურცლების წვეტიან ბოლოებს შორის სამკუთხა შემადლებებია. მხრებზე შემოუყვება ორი ღარი.

ზომები: პირის დიამეტრი — 170 მმ, სიმაღლე — 35 მმ (16)³⁴.

კორნინგის მინის მუზეუმში დაცულია გამჟვირვალე, მეტად მსუბუქი მომწვანო ელფერის, სფერულბუშტებიანი მინის ომფალოსიანი ფიალა, რომლის სხეული შემკულია ოცდათორმეტფურცლიანი ამოკვეთილი ვარდულით. ფურცლების მომრგვალებულ ბოლოებს შორის სამკუთხა შემადლებებია. მხრებზე სამი ღარი გასდევს. ზედაპირი დაზიანებულია და მკრთალი, სუსტად ირიზებულს. აღდგენილია ხუთი დიდი და ბევრი მცირე ნატეხისაგან.

ზომები: პირის დიამეტრი — 175 მმ, სიმაღლე — 30—35 მმ (17).

ფიალას ათარიღებენ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი, ან III საუკუნის დასაწყისით³⁵.

გორდიონის ელინისტური ხანის ფენიდან (ძვ. წ. 250—189 წწ.), ა. სალდერნს მოსენიებული აქვს კიდევ სამი ფრაგმენტი ფიალისა (ა. სალდერნი, №№ 7, 8, 9), რომელთაც იგი უკავშირებს ელინისტური ხანის მეგარული თასების მსგავს კურკლებს ან ლოტოსის ორნამენტით — ვარდულით და ნუშისგულისფორმის ბურცობებით შემკულ ამავე ხანის ფიალებს, რომელთა სამი ნიმუში აქვს მოტანილი. სამივე ფიალა დამზადებულია მომწვანო გამჟვირვალე მინისაგან. მეტ-ნაკლებად გადაშლილია, მათი სხეული შემკულია ამოკვეთილი ვარდულებით და ვარდულთა ფურცლების წვეროებს შორის ჩასმული მეტად მაღალი და ვიწრო ნუშისგულისფორმის ბურცობების რიგებით³⁶. მათი ორნამენტაცია არსებითად იგივეა, როგორც ალგეთის ფიალაზე, თუმცა სტილისტურად ისინი დიდად განსხვავდებიან მისგან.

ერთი ამ ფიალათაგანი ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილებაა (საინვენტარო № 71, 5—18,7). თასი ნახევარსფერულია, მისი სხეული შემკულია ამოკვეთილი რთული ორმაგი ვარდულით და მხრებთან მაღალი ქედისებური ბურცობების რიგით.

ზომები: პირის დიამეტრი — 205 მმ, სიმაღლე — 90 მმ (18)³⁷.

კერძო კოლექციონერის კუთვნილი ღრმა გადაშლილი თასი, შემკულია ძირზე ამოკვეთილი სამი კონცენტრული წრით, რომლიდანაც სხივებად გამოდის ვარდულის ექვსი ფურცელი და ფურცლებს შორის მოქცეული სამ-სამი ღარის ექვსი კონა. მხრებზე თასს თორმეტი მაღალი ბურცობი აქვს. პირის დიამეტრი — 170 მმ (19)³⁸. მესამე თასი, აგრეთვე, კერძო კოლექციონერისაა, ღრმაა, პირგადაშლილი, ძირზე ამოკვეთილი ექვსქიმიანი ვარსკვლავი გარშემორტყმულია წრით, რომლიდანაც სხივებად გამოდის ვარდულის თორმეტი

³⁴ A. Salder n, Achaemenid and Sassanian Cut Glass, გვ. 8, ტაბ. 1,2; Л. К. Г а л а н и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 44, № 7, აღწერილობა და ზომები მოცემული გვაქვს ა. გალანინას მიხედვით.

³⁵ A. Salder n, Achaemenid and Sassanian Cut Glass, გვ. 7—8, ტაბ. 1,1; Л. Г а л а н и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, № 3.

³⁶ A. Salder n, Glass Finds at Gordion, გვ. 37—39.

³⁷ ი ქ ე ე, გვ. 39, სურ. 22, 23, № 12.

³⁸ ი ქ ე ე, გვ. 38, სურ. 20, № 10.

ფურცელი. მათ წვეტებს შორის ჩასმულია თორმეტი მაღალი ბურცობი. დიამეტრი დაახლოებით 160 მმ (20)³⁹.

კორინთის მინის მუზეუმის 1965 წელს გამოცემულ გზამკვლევში მოტანილია ფოტო და მოკლე აღწერილობა მინის ფიალისა, რომელიც ზედმიწევნით ჰგავს ა. სალდერის მიერ გამოცემულ ზემოთ მოხსენიებულ (19) ფიალას. კატალოგში მხოლოდ მისი სიმაღლეა აღნიშნული — 64 მმ, დათარიღებულია ძვ. წ. III საუკუნით და მესოპოტამურ ნაწარმადაა მიჩნეული⁴⁰. სამწუხაროდ, არა გვაქვს შესაძლებლობა დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ ეს არაა იგივე ფიალა (19), რომელიც ზევით აღვწერეთ, თუმცა, თუ ფოტოს მიხედვით შეიძლება მსჯელობა, მათი პროპორციები ოდნავ განსხვავებული უნდა იყოს. ამიტომ ჩვენ ეს ფიალა არ შევიტანეთ სათვალავში.

გამჭვირვალე მინის ფიალის ფოტო მოთავსებულია აგრეთვე ირანის ხელოვნების გამოფენის გზამკვლევში, მოცემულია მისი სავარაუდო თარიღიც — პართული ხანა, ძვ. წ. III—I სს.⁴¹. რამდენადაც სხვა არავითარი მონაცემი ამ ფიალის შესახებ ჩვენ ხელთ არა გვაქვს და ქრონოლოგიურადაც იგი, თუ გავიზიარებთ კატალოგში მოტანილ თარიღს, სცილდება ჩვენთვის საინტერესო ხანას, არც ეს ფიალა შეგვაქვს სათვალავში.

ჩვენ სათვალავში არ შეგვაქვს აგრეთვე კვიპროსზე, მარიონში, აღმოჩენილი თასი, მიუხედავად იმისა, რომ ესაა ადრეული ხანის ერთადერთი მინის თასი, რომელიც ცნობილი იყო ბ. კუფტინისათვის, როდესაც მან გამოაქვეყნა ალგეთის წინწყაროს სამარხეული მასალა, და რომელიც მოაქვს კიდევ მას ალგეთის ფიალის ანალოგიად⁴².

მარიონის თასი ჩამოსხმულია თაფლისფერი მინისაგან, აქვს დაბალი ვერტიკალური პირი, დაღარული გვერდები და ბრტყელი ძირი. პირს ქვევით, შიდა მხრიდან წრიული ღარია ამოკვეთილი. პირის დიამეტრი — 141 მმ. № 9 სამარხი, რომელშიც თასი აღმოჩნდა კერამიკული და მინის ნივთებით თარიღდება ელინისტური I პერიოდით (ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო — III ს.)⁴³. არც ფორმით, არც დეკორით ეს თასი არა ჰგავს არც ალგეთის ფიალას, არც ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ სხვა ფიალებს, რამდენადაც ფოტოთი და აღწერილობით შეიძლება მსჯელობა, იგი სრულიად განსხვავებული კატეგორიის მინის თასებს უნდა ეკუთვნოდეს.

ამგვარად, ამოიწურა სია გამჭვირვალე, პრაქტიკულად უფერული მინის ჩვენთვის ცნობილი ფიალებისა, რომელთა შორის უნდა მოეძებნოს კუთვნილი ადგილი ალგეთის ფიალასაც.

თუ გადავხედავთ ზემოთ აღწერილ ფიალებს დავინახავთ, რომ მათში სრულიად განცალკევებით დგას უძველესი ფიალა გორდიონიდან (1), თუმცა უკვე მასში წარმოდგენილია ყველა ის ტექნიკური ხერხი, რომელიც გამოიყენებოდა ამ ჯგუფის ფიალების დამზადების დროს თვით ელინისტურ ხანაშიც კი. მინა

³⁹ A. Saldern, *Glass Finds at Gordion*, გვ. 39, ნახ. 21. № 11.

⁴⁰ *Glass from the Corning Museum of Glass, A Guide to the Collections*, Corning, New York, 1965, გვ. 16, № 10.

⁴¹ *7000 Ans d'Art en Iran, Octobre 1961—Janvier 1962, Petit Palais*, № 750, ტაბ. LXXXI.

⁴² Б. А. К у ф т и н, *დასახ. ნაშრომი*, გვ. გვ. 37, 181, სქოლიო 156.

⁴³ E. Gjerstad, *The Swedish Cyprus Expedition, 1927—1931, vol. II, Stockholm, 1934*, გვ. 209. ტაბ. XXXVIII, № 33.

გამჭვირვალეა, პრაქტიკულად უფერული, დეკორი მიღებულია ყალიბში ჩამოსხმით და მეორადი დამუშავების დროს გამოყენებულია მბრუნავი საკვეთელი. გორდიონის ფიალა ყველა დანარჩენი ფიალისაგან განსხვავდება ფორმით — იგი ბრტყელია, დაბალი ვერტიკალური პირით, და გარდა ამისა, რაც მთავარია, მისი შიდაპირი ნაწილობრივ მაინც იმეორებს გარეპირის რელიეფს. ყველა ამ ნიშნით გორდიონის (1) ფიალა განსხვავდება ალგეთის ფიალისაგანაც.

განცალკევებულ ტიპს ქმნიან ელინისტური ხანის (18), (19) და (20) ფიალები და მათთანვე დაკავშირებული გორდიონის ელინისტურ ფენაში აღმოჩენილი და ა. სალდერნის მიერ № 7 და № 8 ნომრებით აღწერილი ფრაგმენტები. როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი ორნამენტაცია — ლოტოსის ვარდული და ბურცობების რიგი — სიუჟეტურად იგივეა, რაც ალგეთის ფიალისა, მაგრამ სტილისტური სხვაობა მათ შორის მეტად თვალსაჩინოა. ალგეთის ფიალის ვარდულიცა და ბურცობებიც ყალიბშია მიღებული და მხოლოდ ვარდულის ფურცლების ნაპირებია გამკვეთრებული საკვეთლით, მაშინ როცა ელინისტური ხანის ზემოთ აღნიშნული ფიალების ვარდულები და ცენტრალური ვარსკვლავები ამოკვეთილია, არსებითად „გრაფიკულად“ არის გამოსახული. ეს საკმაო საფუძველია, ჩვენი აზრით, რათა ალგეთის ფიალა არ იქნეს გაერთიანებული ამ ჯგუფთან.

აღ. გალანიანამ ალგეთის ფიალა, როგორც ცნობილია, მოათავსა ფიალების იმ ჯგუფში, რომელსაც იგი უწოდებს „ამოკვეთილი ფურცლოვანი დეკორით შემკულ ფიალებს“. მაგრამ თუ ლ. გალანიანას სიას კრიტიკული თვალით განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ მათში სულ ცოტა ორი განსხვავებული ტიპის დეკორით შემკული ფიალები მოხვედრილა. ეფესოს (3) და მისი ანალოგიური დეკორით შემკული, მაგრამ აშკარად უფრო გვიანი ხანის ფიალები (12), (13), (14), (15) და მათთან ერთად კურჯიბის ფიალა (7), აგრეთვე გარკვეული თვალსაზრისით (8), (17) ფიალები მართლაც ერთიან ჯგუფს შეადგენენ. ყველა მათგანი შემკულია დაბალრელიეფური, ამოკვეთილი ვარდულით. ალგეთის ფიალას კი, დამატებით ნუშისგულის ფორმის ბურცობების რიგი აქვს და მის მხატვრულ სახეს უმთავრესად ყალიბში მიღებული ფორმა ქმნის. კვეთას დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით ალგეთის ფიალასთან ახლოს დგას ერმიტაჟის ეგზემპლარი (10), რომელიც ლ. გალანიანამ იმავე სიაში მოახვედრა⁴⁴.

ალგეთისა და ერმიტაჟის ფიალებს დეკორით ჰგავს ნეაპოლის ცალი (9), მაგრამ მასზე მეტად გართულებული და დაწვრილმანებულია ლოტოსის ვარდული. რითაც იგი ერთგვარად უახლოვდება „ეფესოს ჯგუფის“ ელინისტური ხანის დასაწყისის ფიალებსაც. ეს ჩვენი აზრით, საკმაო საფუძველია. რათა ნეაპოლის ფიალაც იმავე ელინისტური ხანის დასაწყისით დათარიღდეს, თუმცა დ. ვაინბერგი V—IV სს. აღნიშნავს⁴⁵. ნეაპოლის ფიალის შედარებით გვიანდრობაზე უნდა მიუთითებდეს ბადისებრი სარტყელიც.

⁴⁴ სულ განცალკევებით რჩება ბრიტანეთის ფიალა (II), რომელიც, მართალია, ვარდულითაა შემკული, როგორც ფიალების „ეფესოს“ ჯგუფი, მაგრამ სტილით საგრძნობლად განსხვავდება მათგან. აქაც კვეთას, როგორც ჩანს, დაქვემდებარებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, როგორც ალგეთის ფიალაში. ეს, შეიძლება, მისი შედარებით ადრეულობის ნიშანიც კი იყოს. სამუხაროდ, აქაც მხოლოდ ფოტოს და აღწერილობის მიხედვით გვიხდება მსჯელობა.

⁴⁵ G. D. Weinberg, დასახ. ნაშრომი, გვ. 385.

კიდევ უფრო გვიანია (III ს.) ამავე ტიპის ორნამენტით შემკული (18), (19) და (20) ფიალები.

ალგეთის ფიალას მნიშვნელოვანი მსგავსება ეძებნება პერსეპოლისის ფიალასთან (4), რომელიც ასევე ლოტოსის ვარდულითა და მასთან დაპირისპირებული ნუშისგულის ფორმის ბურცობებითაა შემკული. ყველა სხვა ფიალისაგან განსხვავებით, პერსეპოლისის ფიალის ცენტრალური ვარდულის ფურცლები პალმეტებით ბოლოვდება. ამ ფიალის პირიც ისე მალალი და გადაშლილი არ არის, როგორც სხვა ფიალებისა, არამედ დაბალია, სწორი და თასის სხეულთან კუთხესა ქმნის. ეს უკანასკნელი ნიშანი მის არქაულობაზე უნდა მეტყველებდეს⁴⁶.

ამგვარად, დეკორის მიხედვით, განხილულ მინის ფიალებში აშკარად გამოიყოფა ორი ჯგუფი. ერთი, ისევე როგორც ალგეთის ფიალა, შემკულია ლოტოსის ვარდულით და ნუშისგულის ფორმის ბურცობების რიგით. ეს ფიალებია: პერსეპოლისის (4), ერმიტაჟის (10), ნეაპოლის (9) და ელზინსტური ხანის სამი ფიალა (18), (19), (20). ამ ჯგუფში შედის ალგეთის ფიალაც. სხვათა შორის, ყველა ეს ფიალა მოკლებულია ომფალოსს.

მეორე ჯგუფის ფიალები შემკულია მხოლოდ ლოტოსის ვარდულით. ეს ფიალებია: ეფესოსი (3), კორინგის მუზეუმის (12), ბერლინის ანტიკვარიუმის (13), (14), კურჯიპის (7), კელნის მუზეუმის (16), გორდიონის (8), კორინგის მუზეუმის (17) და კერძო კოლექციის (15) ფიალები. ამავე ფიალებთან დეკორით ახლო დგას ბრიტანეთის მუზეუმის ფიალაც (11). უნდა ვიფიქროთ, რომ ამავე ჯგუფს მიეკუთვნება „ტოლსტაია მოგილას“ ფიალებიც (5), (6), თუმცა მათი ფორმის შესახებ მსჯელობა ძნელია. ამ ჯგუფის ზოგიერთ ფიალას, კერძოდ, კურჯიპის (7), ბერლინის ანტიკვარიუმის (13), (14), კელნისა (16) და კორინგის (17) მუზეუმების ფიალებს ომფალოსები აქვთ.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ჯგუფებს გარეთ რჩება გორდიონის უძველესი ფიალა (1) და ბაბილონის ფიალა (2), რომელიც მოკლებულია დეკორს.

მიუხედავად იმისა, რომ დეკორის მიხედვით მინის ფიალებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ორი სავსებით ერთნაირი მინის ფიალა არ არსებობს. ყოველ მათგანს, და ეს ეხება უფრო მეტად ქრონოლოგიურად ადრეულ ფიალებს, გააჩნია რაღაც განმასხვავებელი ნიშანი, რაც სხვას არა აქვს. არ ხერხდება უწყვეტი გენეტური განვითარების ხაზის დაჭერაც მინის ფიალებში.

ამავე დროს მინის ყოველ ფიალას შეიძლება მოეძებნოს პროტოტიპი ლითონის ფიალებში. ეს გარემოება არა ერთგზის ყოფილა აღნიშნული მკვლევარების მიერ.

უკვე პ. ფოსინგმა ეფესოში აღმოჩენილი მინის ფიალა (3) განიხილა აქემენიდური ხანის ლითონის თანადროულ ფიალებთან ერთად, მიიჩნია რა ეფესოს ფიალაც, მისი სიტყვებით „ეს ფენომენალური ნივთი“, სპარსეთის იმპერიის პროდუქტად, რომელიც შექმნილია ძვირფასი ლითონების სათანადო ნივთებთან უშუალო კავშირში⁴⁷.

ასევე ლითონის ფიალებთან ერთად განიხილა ბერლინის ანტიკვარიუმის მინის ფიალები (13) და (14) პ. ლუშეიმაც, რომელმაც ფუნდამენტური მონო-

⁴⁶ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

⁴⁷ P. Fossing, Drinking Bowls..., გვ. 125.

გრაფია მიუძღვნა ფიალებს. აღნიშნულ ფიალებს ჰ. ლუშეი აკუთვნებს მის მიერ გამოყოფილ ე. წ. „ფოთლებიან ფიალებს“ (Blattphialen)⁴⁸. სისტემატურად აღნიშნავს მინის ფიალების უშუალო კავშირს ლითონთან ა. სალდერნიც. ასე, მაგალითად, პერსეპოლისის მინის ფიალასთან (4) დაკავშირებით იგი წერს, რომ „ეს აღმოჩენა კვლავ გვიჩვენებს ძალიან ნათლად, რაოდენ სრულყოფილად ბაძავდნენ ლითონის ნიმუშებს მინის მკეთებელნი და მკვეთელნი“⁴⁹.

აი სწორედ ეს არის აქემენიდური ხანის მინის ფიალების უმთავრესი თავისებურება. ისინი მზადდებოდნენ სპორადულად და ყოველთვის იმეორებდნენ მათი თანადროული ლითონის ფიალების ფორმას. ამიტომ არა ჩანს მინაში ფიალების ფორმისა და დეკორის განვითარების ხაზი⁵⁰. კიდევ მეტი, საკუთრივ ალგეთის ფიალასთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ ფიალის ყალიბი უშუალოდ იყო აღებული ლითონის რომელიღაც რეალური ფიალიდან. ამას უნდა ადასტურებდეს ის უზუსტობანი ალგეთის ფიალის ფორმისა, რომლებიც ზევით იყო აღნიშნული და რომელთა ახსნა სხვაგვარად ძნელია: ეს უზუსტობანი შედეგი (ანარეკლი) უნდა იყოს ჰედვის, თევვის პროცესისა, რომლითაც, ჩვეულებრივ მიიღებოდა ლითონის ფიალების დეკორი. ცხადია, უშუალოდ მზა ნივთიდან აღებული ყალიბი ზედმიწევნით გაიმეორებდა ლითონის ფიალის ყველა იმ უზუსტობას, რაც ნათევ ორნამენტს განასხვავებს ნატეფრი, ზუსტად ერთნაირი, მშრალი სახეებისაგან. ამით უნდა იყოს გამოწვეული ალგეთის ფიალის ვარდულის ფურცლებისა და ბურცობების ინდივიდუალურობა — გარემოება, რაც განუმეორებელ სიცოცხლეს ანიჭებს ფიალას.

აღრეანტიკური ხანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფიალა მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. იგი ყოფის სრულიად აუცილებელი ელემენტი იყო, როგორც ღვინის საწესო სმისათვის განკუთვნილი ჭურჭელი. ესაა ძველ სამყაროში ფიალების ესოდენ ფართოდ გავრცელების მიზეზი. ხოლო ძირითადი მასალა, რომლისგანაც ფიალები მზადდებოდა იყო — უპირატესად ვერცხლი, იშვიათად ოქრო და, როგორც მათი შემცველი, ბრინჯაო.

ფიალებს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ ჰ. ლუშეიმ უძღვნა სპეციალური ნაშრომი, რომელშიც დაჯგუფებულია მისთვის ცნობილი ყველა ფიალა დეკორის მიხედვით და მოცემულია ფიალების ფორმის განვითარების ძირითადი ხაზი.

ჰ. ლუშეის კლასიფიკაციის მიხედვით ალგეთის ფიალა ხვდება ურთიერთდაპირისპირებულ ბურცობებიანი ფიალების (GGB) ჯგუფში (Phialen mit gegenständigen Buckeln)⁵¹.

⁴⁸ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

⁴⁹ A. Salder n, Glass Finds at Gordion, გვ. 42

⁵⁰ ანალოგიური ვითარებაა თიხაშიც. აქემენიდურ ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული თიხის ფიალები, რომლებიც განსაკუთრებული სკრუპულოზობით იმეორებენ ლითონის ფიალების ფორმასა და დეკორს. მეთუნეები ლითონის ფაქტურის ვადმოემასაც ცდილობდნენ თიხაში და გარკვეულ წარმატებებსაც კი აღწევდნენ ანგობირებისა და საჯულდაჯულო გაპრიალების საშუალებით. თიხის ფიალები, ისევე როგორც მინისა, ძვირფასი ლითონის ფიალების შემცველი იყო, მაგრამ თუ გამჭვირვალე მინის ფიალები სამეფო სუფრას ამკვენებდნენ (იხ. ზემოთ), თიხის ფიალებით სარგებლობდნენ საშუალო და დაბალი ფენები, რომელთაც ლითონის ფიალებზეც კი არ მიუწვდებოდათ ხელი.

უკანასკნელ ხანებში ძვ. წ. IV საუკუნის თიხის ფიალებს შესანიშნავი ნიმუშები მოგვცა საბაბლოს არქეოლოგიურმა გათხრებმა.

⁵¹ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 41—70.

ურთიერთდაპირისპირებულ ბურცობებში იგულისხმება ფიალის ცენტრიდან სწივისებურად გაშლილი მრავალფურცლიანი ლოტოსის ვარდული და მისი ფურცლების ბოლოებს შორის ჩასმული ნუშისგულის ფორმის ბურცობები, რომლებიც წვერებით ცენტრისკენაა მიმართული. ლოტოსის ვარდულის ფურცლები ზოგჯერ პალმეტებით ბოლოვდება. ამგვარი ფიალების ჩგუფი ჰ. ლუშეისთან ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია და ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს გვიანასურული ხანიდან ელინისტური ხანის დასაწყისამდე.

ჩვენთვის საინტერესო აქემენიდური ხანის ფიალებში ჰ. ლუშეის უძველესად მიაჩნია ახალგორის განძის ვერცხლის № 63 ფიალა⁵², რომელსაც იგი ძვ. წ. VI საუკუნის მიწურულით ათარიღებს იმის გამო, რომ ანალოგიური ფიალის გამოსახულება მოთავსებულია ევფრონიუსის ერთ-ერთ მოხატულ ლარნაჯზე⁵³. დაახლოებით ამავე პერიოდისაა (ძვ. წ. 500 წლის ახლოს) ფიალა დელფოსიდან, რომელსაც ვარდულის ფურცლების ბოლოებზე, ახალგორის ფიალისაგან განსხვავებით, არა აქვს პალმეტები (ისევე, როგორც ალგეთის ფიალა)⁵⁴.

ქრონოლოგიურად ყველაზე უგვიანესი ფიალებია პროხოროვის ყორღანში აღმოჩენილი ლანგარი⁵⁵ და თბუისის განძის ფიალები, რომელთაც ჰ. ლუშეი, ისევე როგორც მ. როსტოვეცივი და ა. იესენი, ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნით ათარიღებს⁵⁶.

ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან ფიალები, როგორც ეს ჰ. ლუშეიმ დაადგინა, თანდათანობით სულ უფრო და უფრო ბრტყელი და პირგადაშლილი ხდება, მცირდება დაპირისპირებულ ბურცობთა ზომები და იზრდება მათი რიცხვი⁵⁷.

ასე, მაგალითად, თუ ახალგორის ფიალას ცხრა უზარმაზარი ბურცობი და ვერტიკალური პირი აქვს, ქრონოლოგიურად მის მომდევნო ბრინჯაოს ფიალას კარქემიშიდან, რომელიც ბერლინში ინახება, უკვე გადაშლილი პირი და ბევრად უფრო მცირე ზომის 13 ბურცობი აქვს⁵⁸, ძვ. წ. IV—III ს. მიჯნის პროხოროვის ლანგარს კი 20 წვრილი ბურცობი, რომლებიც ამავე დროს ჩარჩოშიც არიან ჩასმულნი. ეს უკანასკნელი ნიშანიც მისი შედარებით გვიანდელობის მაუწყებელია. ლოტოსის ვარდულის ფურცლების ისეთი ფორმა, როცა ისინი მჭიდროდ ერტყმიან გარს დაპირისპირებულ ბურცობებს, ჰ. ლუშეის ძვ. წ. V საუკუნის ნიშნად მიაჩნია⁵⁹. ასეა ალგეთის ფიალაზეც.

პროპორციებით და ბურცობების რაოდენობით ალგეთის ფიალასთან ყველაზე ახლოს დგას ლითონის ფიალების ერთი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩგუფი, რომელიც ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება. ეს ფიალებია, უპირველეს ყოვლისა ზემოთ აღნიშნული კარქემიშის ფიალა (13 ბურცობით), დევე

⁵² Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, таб. XI.

⁵³ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 50; C. H. Emilie, Haspels, Deux fragments d'une coupe d'Euphronios, BCH, 1950, I, таб. XX, XXII.

⁵⁴ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

⁵⁵ М. И. Ростовцев, Курганные находки Оренбургской области эпохи раннего и позднего эллинизма, МАР, № 37, Петроград, 1918, გვ. -1, таб. I.

⁵⁶ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 54; А. А. Иессен, Ранние связи Приуралья с Ираном, СА, XVI, М.-Л., 1952, გვ. 211.

⁵⁷ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

⁵⁸ იქვე, გვ. 33—50, ნახ. 18.

⁵⁹ იქვე, გვ. 49.

ჰუიუკის თოთხმეტბურცობიანი ბრინჯაოს ფიალა⁶⁰ და მეორე ფიალა კარქემი-შიდანვე, რომელსაც თხუთმეტი ბურცობი და ალგეთის ფიალისაგან განსხვავებით, ლოტოსის ვიწროფურცლოვანი ვარდული აქვს⁶¹. დევე ჰუიუკისა და კარქემის მეორე ფიალას პ. ლუშეი ძვ. წ. V საუკუნის ბოლოთი ან IV საუკუნის დასაწყისით ათარიღებს⁶².

დიდ სიახლოვეს იჩენს ალგეთის ფიალა ცნობილ თასებთან ერზერუმიდან (14 ბურცობი, ინახება ლევრში)⁶³, ერზინჯანიდან (17 ბურცობი, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში)⁶⁴ და მაზანდარანიდან (14 ბურცობი, ჯეკსის კოლექცია)⁶⁵. სამივე ამ ფიალას პ. ლუშეი, ო. დალტონი, აკერმანიცა და პ. ამანდრიც ერთხელ აკუთვნებენ ძვ. წ. V საუკუნეს.

ე. ჰერცფელდის კერძო კოლექციაში ინახებოდა სპარსეთში ნაყიდი ვერცხლის ოთხი ფიალა, რომელთაგანაც ერთ-ერთზე ამოკვეთილია სპარსული ლურსმული წარწერა არტაქსერქსე I (ძვ. წ. 465—424 წწ.) სახელთა და ტიტულატურით. ფიალები ამჟამად ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში ინახება⁶⁶. არტაქსერქსეს წარწერიან ფიალას, ისევე როგორც ალგეთისას, 14 ბურცობი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ავტორი არტაქსერქსეს წარწერას ნაყალბევად მიიჩნევს, ფორმის მიხედვით პ. ლუშეი ამ ფიალას მაინც ძვ. წ. V საუკუნით ათარიღებს⁶⁷. ასევე ათარიღებს მას პ. ამანდრიც⁶⁸.

როგორც ალგეთის ფიალის ანალოგიები უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის კუთვნილი კვიპროსზე აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა (16 ბურცობი, ძვ. წ. V ს.)⁶⁹ და პ. სტათატოსის კუთვნილი ათბურცობიანი ფიალა, რომელიც, როგორც ფიქრობენ, სინოპში უნდა იყოს ნაპოვნი. ამ ფიალას პ. ამანდრიც V საუკუნის შუახანებით ათარიღებს⁷⁰.

მართალია, ალგეთის ფიალის ნუშისგულის ფორმის ბურცობები თითქოს უფრო წვრილია, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ ლითონის ზოგიერთ ფიალაზე, მაგრამ ეს გარემოება მათი ქრონოლოგიურად დაშორების საფუძველი არ შეიძლება იყოს, რადგანაც ასევე, და კიდევ უფრო წვრილი ბურცობები აქვს მთელ რიგ საკმაოდ ადრეულ ფიალებს. მაგ. ახალგორის განძის № 62 ლანგარს, რომელსაც პ. ლუშეი ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებთან ახლო ხანით ათარიღებს, ხოლო ა. იესენი ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით⁷¹.

⁶⁰ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, № 16.

⁶¹ იქვე, № 18, ნახ. 20.

⁶² იქვე, გვ. 53.

⁶³ იქვე, გვ. 41, № 11, გვ. 53; P. Amandry, Objets d'or et d'argent, Collection Hélène Stathatos, III, Strasbourg, 1963, გვ. 262, ნახ. 155c.

⁶⁴ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 41, № 12; O. M. Dalton, The Treasury of the Oxus, London, 1926, გვ. 44, ტაბ. XXIII, № 180.

⁶⁵ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 41, № 9, გვ. 51; A. U. Pope, A Survey of Persian Art, London — New York, 1933, ტ. I, გვ. 371, ტ. IV, ტაბ. 120. a.

⁶⁶ E. Herzfeld, Eine Silbergeschüssel Artaxerxes I, Archaeologische Mitteilungen aus Iran, VII, 1934; A. U. Pope, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 371; P. Amandry, დასახ. ნაშრომი, გვ. 262; ნახ. 157; H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, № 29—32.

⁶⁷ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

⁶⁸ P. Amandry, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

⁶⁹ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 42, № 22, გვ. 50; P. Amandry, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

⁷⁰ P. Amandry, დასახ. ნაშრომი, გვ. 260, № 175.

⁷¹ H. Lushey, დასახ. ნაშრომი, გვ. 50; A. A. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ალგეთის ფიალა საკმაოდ ღრმაა — შეფარდება სიმაღლესა და დიამეტრს შორის არის 0,34, რაც პ. ლუშეის თანახმად, ფიალის არქაულობის ნიშანია⁷². მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიალების ეს ტექტონიკა პ. ლუშეის ნაანგარიშევი აქვს ბერძნულ ფიალებზე და მათი პირდაპირ მიყენება აღმოსავლური წარმოშობის ფიალებისადმი არ შეიძლება.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ალგეთის ფიალის კიდევ ერთი ანალოგია — ყანჩაეთში 1960 წელს აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა, რომელიც კიდევ უფრო ღრმაა, ვიდრე ალგეთისა, და 16 წვრილი ნუშისგულის ფორმის ბურცობითაა შემკული. ყანჩაეთის ფიალა, ისევე როგორც ალგეთისა, მოკლებულია ომფალოსს, რაც მათი აღმოსავლური წარმოშობის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. ყანჩაეთის თასიც ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება⁷³.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ალგეთის ფიალის ლითონის ანალოგიები ძირითადად ძვ. წ. V საუკუნისაა.

თვით ალგეთის ფიალას, მისი პირველი მკვლევარი, ბ. კუფტინი, ზოგადად, აქემენიდური ხანით ათარიღებდა, სამარხს კი ძვ. წ. IV საუკუნით⁷⁴.

ა. იესენს მიაჩნდა, რომ ალგეთის სამარხის, ისევე როგორც ახალგორის განძის შემადგენელი ნივთების აბსოლუტური თარიღები ექცევა ძვ. წ. VI საუკუნის მიწურულსა და V საუკუნის დასაწყისში⁷⁵. ა. გალანინას თავის წერილში მოაქვს როგორც ბ. კუფტინის, ისე ა. იესენის თარიღები⁷⁶.

ალგეთის ფიალა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება იყოს ძვ. წ. V საუკუნის შუახანებზე ადრეული, რადგანაც დაახლოებით ამ ხანით თარიღდება ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მისი უახლოესი ლითონის ანალოგიები. ხოლო რამდენადაც მინის ფიალები მზადდებოდა ლითონის ფიალების მიბაძვით, ამიტომ ლითონის პროტოტიპის თარიღი შეიძლება იყოს მინის ფიალის მხოლოდ *terminus ante quem non*. ფიალის დამზადების თარიღის ზედა ზღვარის განსაზღვრა უფრო ძნელია, რადგანაც ხელოსანს შეეძლო მისაბამ ნიმუშად აეღო საკმაოდ ძველი ნივთი, მით უმეტეს, რომ ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ ფიალებს ათეული და ასეული წლების განმავლობაშიც კი შეეძლოთ დარჩენილიყვნენ ყოფაში⁷⁷.

მიუხედავად ამისა, რიგი მონაცემები საშუალებას იძლევა განისაზღვროს ალგეთის ფიალის დამზადების თარიღის ზედა ზღვარიც. უპირველეს ყოვლისა ესაა მისი სიახლოვე პერსეპოლისისა და ეფესოს მინის ფიალებთან, რომლებიც თარიღდებიან არქეოლოგიური კომპლექსებით. ყოველშემთხვევაში, ალგეთის ფიალა არ უნდა იყოს ეფესოს ფიალაზე უფრო გვიანდელი, ე. ი. მისი *terminus ante quem* აგრეთვე ძვ. წ. IV საუკუნის ნახევარში უნდა ვეძებოთ.

რაც შეეხება სამარხულ კომპლექსს, არც მისი თარიღი ეწინააღმდეგება ფიალისათვის ჩვენ მიერ ზემოთ შემოთავაზებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს — ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი — ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი.

⁷² H. Luschey, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—40.


⁷³ ი. გაგოშიძე, აღრანტუკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 62—64, № 74.

⁷⁴ Б. А. Купфин, დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 34—41, 135.

⁷⁵ А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.


⁷⁶ Л. К. Галанина, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

⁷⁷ A. Saldern, Glass Finds at Gordion, გვ. 24.



ალგეთის ფიალა

700 G.






აღმართის ვაზი

ვრცელის ვაზი





500 G.



400 G.



300 G.



სამწუხაროდ, ამ კომპლექსის დაწვრილებითი ანალიზის საშუალება ჩვენ აქ არა გვაქვს, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაუსვავთ ერთ გარემოებას, რომელიც, ჩვენი აზრით, მთლიანად გამორიცხავს ამ სამარხის ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარზე უფრო ადრეული ხანით დათარიღების შესაძლებლობას. ესაა ბრინჯაოს შედგენილი ლავგები და ცხენის ავშარის ვერცხლის სამკაული — თეფშისებური ფირფიტები, რომლებიც ალგეთის სამარხში აღმოჩნდა⁷⁸. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნის შუახანებში საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ყოფილა სრულიად სხვა ტიპის, ორნაწილედ ლავგები⁷⁹, ხოლო ალგეთის ვერცხლის ფირფიტების ანალოგიური ბრინჯაოს ფირფიტები ამკობს ცხენის მარმარილოს კოლოსალური ქანდაკების ავშარას პალიკარნასის მეზობლეთიდან⁸⁰. მავსოლის გარდაცვალების თარიღი კი ცნობილია — ძვ. წ. 353 წელი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ალგეთის ფიალას აშკარად ეტყობა დიდი ხნის ხმარების კვალი — ძირი გაცვეთილი აქვს — ჩვენი აზრით იგი ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისზე უფრო გვიან დამზადებული არ შეიძლება იყოს.

ამრიგად, რეალური ქრონოლოგიური ჩარჩოები ალგეთის ფიალისათვის უნდა იყოს ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი — ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისი.

დავერჩა გასარკვევი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — სად უნდა იყოს დამზადებული ალგეთის ფიალა?

ფორმითა და დეკორით ალგეთის ფიალა უდავოდ ე. წ. აქემენიდური სამყაროს კუთვნილებაა. ურთიერთდაპირისპირებულ ბურცობებიანი ფიალების დიდი ჯგუფიდან, რომელთაც იცნობდა პ. ლუშეი, აბსოლუტური უმრავლესობა აღმოჩენილია აღმოსავლეთში და მხოლოდ ორად-ორი ცალია ბალკანეთიდან⁸¹. პ. ლუშეი არა ერთხელ მიუთითებს ტიპის აღმოსავლურ, ასურულ წარმოშობაზე⁸², ხოლო ადრეანტიკური ხანისათვის ამ ფიალებზე ლაპარაკობს, როგორც საკუთრივ სპარსულ ტიპზე⁸³. მინის ისტორიის მკვლევრებიც აღმოსავლეთში ეძებენ გამჟვირვალე უფერული მინის წარმოების ცენტრებს აქემენიდურ და წინარე აქემენიდურ ხანაში.

მიუხედავად იმისა, რომ ლოტოსის დეკორი წარმოშობით, ყოველ ეჭვს გარეშე, ეგვიპტურია, ჯერ კიდევ პ. ფოსინგმა გამორიცხა ეგვიპტე, მიუხედავად მისი დაწინაურებული მინის წარმოებისა, როგორც აქემენიდური ხანის ფიალების დამზადების შესაძლებელი კერა. პ. ფოსინგი ამ თასებს აზიური წარმოების პრობლემად მიიჩნევს⁸⁴.

გორდიონის გათხრებისას ძვ. წ. 700 წლით დათარიღებულ სამარხში ლოტოსის დეკორით შემკული გამჟვირვალე უფერული მინის ომფალოსიანი ფიალის აღმოჩენასთან დაკავშირებით, ა. სალდერნმა გამოთქვა მოსაზრება, რომ

⁷⁸ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII.

⁷⁹ ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ითხეისის სამარხი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXV — B, თბილისი, 1968, გვ. 43.

⁸⁰ H. B. W a l t e r s, Marbles and Bronzes in the British Museums, London, 1923, ტაბ. II.

⁸¹ H. L u s c h e y, დასახ. ნაშრომი..., გვ. 41—43.

⁸² იქვე, გვ. 45.

⁸³ იქვე, გვ. 59.

⁸⁴ P. F o s s i n g, Drinking Bowls..., გვ. 127.

ამგვარი ფიალების წარმოება უნდა დაწყებულიყო ძვ. წ. IX საუკუნის ასურეთში, რამდენადაც გორდიონის ფიალის თანადროული ერთადერთი ანალოგია ნიმრუდშია აღმოჩენილი. VIII საუკუნის ბოლოსთვის ეს წარმოება განვითარების ზენიტს აღწევს და გრძელდება VII საუკუნეშიც. სწორედ ამ ხანისაა (ძვ. წ. 669—626) შემორჩენილი ასურული ლურსმული ტექსტი ჰიქურისა და მინის წარმოების შესახებ. ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში, მესოპოტამიაში, როგორც ჩანს, მოქმედებდა ერთი ან რამდენიმე საწარმო, სადაც გრძელდებოდა გამქვირვალე, უფერული მინის წარმოების ძველი, ასურული ტრადიციები და სპორადულად მზადდებოდა მინის ფიალებიც თანადროული ლითონის ფიალების მიბაძვით⁸⁵. სწორედ ერთ-ერთ ამ საწარმოში უნდა იყოს დამზადებული ალგეთის ფიალაც, რომელიც აქემენიდური კულტურის სხვა ბრწყინვალე ნიმუშებთან ერთად იმავე ხანაში უნდა მოხვედრილიყო საქართველოში⁸⁶.

⁸⁵ A. Saldern, Glass Finds at Gordion, გვ. გვ. 27—30, 44—45.

⁸⁶ ჩვენი წერილი უკვე გადაცემული იყო დასაბეჭდად, როდესაც საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ე. ოლივერის ნაშრომს (Andrew Oliver, Persian Export Glass, Journal of Glass Studies, v. XII, 1970, Corning Museum of Glass, გვ. 9—16), რომელშიც გამოქვეყნებულია ძვ. წ. IV ს. კიდევ ერთი უცნობი წარმოშობის მინის ფიალა. მსუბუქი მომწვანო ელფერის მინის ფიალა, რომელიც შეუძენია ხელოვნების მეტროპოლიტენ მუზეუმს, შემკულია ამოკვეთილი 20 ფურცლიანი ვარდულით და ორი ღარით ფურცლების წვეროებს ზემოთ (ღმ 15,4, სმ, სიმაღლე 5,7 სმ). ფორმით, პროპორციებით და ორნამენტით ეს ფიალა, რამდენადაც ფოტოსა და აღწერილობის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, კერჯიპის ფიალის (7) სრული ანალოგიაა.


ე. ოლივერი ახალ შექმნილ ფიალას განიხილავს ეფესოს (3), კორინთის (12), კელნის (16) და ბრიტანეთის მუზეუმის (11) ფიალებთან ერთად.

ავტორს უეჭველად მიაჩნია, რომ აქემენიდურ ხანაში ამგვარი მინა მხოლოდ სპარსეთში მზადდებოდა.





۷. حقه لیان ۱۶۴۲






ط






ქ. თსუტუბი. მუცხია.



Карта Азербайджана.



ტარიელ ჩუბინიშვილი

აღმოსაზრებები კულტურის ძეგლები ქვემო ქართლში

(ადრეული სამოსახლოების შესწავლის პრობლემისათვის აღმოსავლეთ საქართველოში)*

საქართველოს არქეოლოგიაში ქართული კულტურის ისტორიის პრობლემების, ძირითადი საკვანძო საკითხების შესწავლას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. არქეოლოგია ჩვენში თავდაპირველად, დასაწყის ეტაპზე კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს თითქმის არ შეისწავლიდა. იგი მარტო მასალების დაგროვებით იფარგლებოდა.

მხოლოდ ქართული საბჭოური არქეოლოგიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე დღის წესრიგში დგება ქართული კულტურის ისტორიის ძირითადი საკითხების დამუშავება.

ქართული არქეოლოგიის წინაშე კულტურის ისტორიის ძირითადი პრობლემების შესწავლის საკითხი პირველად დასვა აკად. ივ. ჯავახიშვილმა¹, მან დასაბა კულტურის ისტორიის ძირითადი საკითხები, რომელთა კვლევა მისი აზრით აუცილებელი იყო ქართული კულტურის სრულყოფილად შესწავლისათვის. ეს ძირითადი საკითხებია — მევენახეობის საწყისების, კულტურულ მცენარეთა მოშენების, ცხენის და სხვა პირუტყვის მოშინაურება-მოშენების, მეტალურგიის განვითარების, ადამიანის პირველი საცხოვრისის და სხვა მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენების შესწავლა.

ასე ფართოდ მოხაზულ კულტურულ-ისტორიულ პრობლემატიკაში პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილს შეაქვს ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა — ძველი ტოპონიმების შესწავლა, რაც აადვილებს იმ ტომების ეთნიკური ვინაობის დადგენას, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოში ქმნიდნენ შესასწავლ მატერიალურ კულტურას.

აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული თვალთახედვით, მეორე მხრივ, ამგვარი კვლევისას აუცილებელი იყო კავკასიის ფარგლებს გარეთ — უწინარეს ყოვლისა კი, მახლობელი აღმოსავლეთის კულტურის სფეროში სათანადო მუშაობის ჩატარება — წინა აზიის ხალხთა ეკონომიური საფუძვლების შესწავლა, წარმართული კალენდარების ურთიერთშედარებით იმ თავისებურებათა დადგენა, რაც მხოლოდ მონათესავე ტომების ცხოვრებაში შეიძლებოდა შექმნილიყო და სხვა.

მაგრამ 1920—40 წლებში, როდესაც აკად. ივ. ჯავახიშვილი სახავდა ამ მიმართულებით მუშაობას, კულტურის ისტორიის ძირითადი პრობლემების

* წაკითხულია მოხსენებად 1973 წ. 15 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საჯარო სხდომაზე.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 10.

შესწავლა ჯერ კიდევ არ წარმოებდა; მაშინ პირველი ნაბიჯები იღებებოდა უძველეს ძეგლთა პერიოდიზაციის შემუშავებისათვის, რისთვისაც შეისწავლებოდა სამარხები, განძები თუ შემთხვევით აღმოჩენილი სხვა კომპლექსები². ყურადღება არ იყო გამახვილებული მნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლისადმი, როგორცაა აღამიანთა უძველესი სამოსახლოების შესწავლა აღმოსავლეთ საქართველოში, რამაც აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მძიმე დაღი დაასვა საქართველოში წარმოებულ მთელ კვლევა-ძიებას³.

უძველესი სამოსახლოების შესწავლა აღმოსავლეთ საქართველოში სამ ეტაპად იყოფა — I ეტაპია 1920—40 წლები, II ეტაპი — 1940—1965 წლები, III ეტაპი კი 1965 წლიდან იწყება და დღემდე გრძელდება.

I ეტაპი შემთხვევით აღმოჩენილი კულტურული ფენების შესწავლით ხასიათდება.

II ეტაპის დასაწყისი ემთხვევა იმ არქეოლოგიური სამუშაოების წამოწყებას, რომლებიც დაკავშირებულია ორი დიდი სტაციონალური ექსპედიციის — მცხეთისა და თრიალეთის გათხრებთან. ორმოციან წლებშივე დაიწყო მრავალფენიანი სამოსახლოების შესწავლა (სტალინის ნაქარგორა, დიდი ახალი სოფელი). ამავე წლებში ძვ. წ. III ათასწლეულისადმი განკუთვნილი ნასახლარების აღმოჩენები გახშირდა. ერთდროულად შეისწავლება ერთიმეორის გვერდით ან შორიახლო მდებარე ამ პერიოდის სამოსახლოები (ზღუდრის გვერდა, ქულბაქები კულოხვოში), გარდა ამისა ინტენსიური ისტორიულ-გეოგრაფიული სავლე ძიების შედეგად შედგა პირველი არქეოლოგიური რუკები, რამაც გარკვეული წარმოდგენა შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე მიმდებარე ცხოვრების, ტომთა განსახლების, და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, სხვადასხვა ტიპის სამოსახლოების ტოპოგრაფიის და მისი დაგვემარების შესახებაც (ხიზანანთგორა, ქვეცხელები, ამირანის გორა).

ორმოცდაათიან წლებში ამ ნასახლარების გათხრების შედეგად გაიკვამნიშვნელოვანი საკითხები სახლთმშენებლობის, მათი კონსტრუქციებისა და შიდამოწყობილობათა შესახებ, დაისვა საკითხები სამოსახლოების დამოკიდებულებისა საწარმოო სახელოსნოებთან, საკულტო ადგილებთან და სინქრონულ სამაროვნებთან.

დაბოლოს, ამ ეტაპზე დიდმნიშვნელოვანი იყო ის დაზვერვითი მიმოხილვა, რომელიც აკად. ნ. ბერძენიშვილმა 1953 წელს სართიჭალის მიდამოებში წამოიწყო და შემდეგ წლებში მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გააგრძელა. ამ მუშაობაში ჩაება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები (დ. ხახუთაიშვილი, ე. ხოშტარია, დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, ლ. ჰილაშვილი, დ. ბერძენიშვილი, გ. გრიგოლია და სხვანი).

ამრიგად, ქვემო, შიდა და ზემო ქართლში არქეოლოგიური თუ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ჩატარებული კვლევა-ძიება ჩვენში ორმოცდაათიან წლებში პირველ ნაბიჯებს დგამდა.

² А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изд. ГАИМК, вып. 120, 1935; Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.

³ ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 384.

თავიდანვე ყველაზე მეტი სინათლე ეფინებოდა ქვემო ქართლის ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურს, რის შედეგად უფრო საბუთიანი ჩანდა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ „ქართლის კულტურის აკვანი აქ დაირწა, რომ ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართლის კულტურისა)“⁴. |

ერთი სიტყვით, აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ დასმული საკითხები კულტურის ისტორიის სფეროდან, პირველ რიგში უნდა გაშუქებულიყო ქვემო ქართლის უძველესი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის სინათლეზე; ყველა ის მოვლენა, რომლის გაშუქებასაც სახავდა ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიულ პერიოდში მნიშვნელოვანი და წამყვანი დარგები იყო (მევენახეობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტალურგია და სხვ.) და საზოგადოების განვითარების ეტაპების დასადგენად მათი ფესვების ძიება აუცილებელი შეიქმნა კულტურის ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა აკად. ნ. ბერძენიშვილის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევის შედეგები; თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ახალი მიმართულება საისტორიო არქეოლოგიურ კვლევაში უკვე ემყარება ცალკეული მხარეების, ქვეყნებისა და სამოსახლოების მიკრორაიონების მრავალმხრივ და საფუძვლიან შესწავლას.

სამოსახლო გორების, მორფოლოგიურ შესწავლასთან ერთად ნ. ბერძენიშვილს წარმოდგენილი ჰქონდა ამ გორების სოციალური შინაარსი, რომელიც ასახავს უძველესი საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს. ეს დასახლება გორაზე „გვარებად“, „სახლებად“ არსებობს, ადამიანი პირველ საცხოვრისად უკვე ირჩევს გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში ადგილს ღია ცის ქვეშ, სადაც ამ საფეხურისათვის დამახასიათებელი საზოგადოების საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობის თავისებურებანი აშკარად ვლინდება.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის კონცეფციით ქართული ადგილობრივი კულტურის და მეურნეობის აღმავლობის გზა მ ე ლ ი ო რ ა ც ი ი ს განვითარებას კვალდაკვალ მისდევდა⁵. |

უძველესი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების — გორა-სამოსახლოების აღმოჩენით ჩვენში იწყება მესამე ეტაპი.

1965 წლიდან ქვემო ქართლის უძველესი კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში ებმება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი⁶, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართული ხელოვნების მუზეუმი და სხვ. დაწესებულებანი. ამ ეტაპზე იწყება რიგი საკითხების ახლებურად დასმა და გაშუქება იმ მასალების კვლევის საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია ახლად აღმოჩენილ უძველეს გორა-სამოსახლოებზე (ალ. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე, ლ. ნებეირიძე, გ. მირცხულავა, თ. კილურაძე, დ. მუსხელიშვილი, ლ. ჭელიძე⁷ და სხვ.).

⁴ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 364.

⁵ იქვე, გვ. 373, 375.

⁶ ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქისის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბილისი, 1965, გვ. 48—49.

⁷ ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966), ბაცნე, № 3, 1967; ალ. ჯავახიშვილი, უძველესი



ქვემო ქართლის რელიეფი სირთულითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ქვემო ქართლის გეო-კლიმატური პირობებიც უადრესად მრავალფეროვანია. ბარში და მის წინა ზოლში ცხელი, თბილი და ზომიერი ჰავაა, დაბალი ველები ხასიათდება მშრალი და ცხელი კლიმატით, მთაში კი ცივი და ძალიან ცივი ზონებია.

† ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება, წიაღისეული სიმდიდრე, ვაკეების, მთაგორიანი ადგილების, ზეგნებისა, მდინარეთა ფართო ქსელის, ხევეებისა და ხეობების სიმრავლე უძველესი დროიდან ქმნიდა წინაპირობას ქვემო ქართლში ადამიანის ინტენსიური ცხოვრებისათვის.

ამის უტყუარი საბუთია ბ. კუფტინის მიერ წალკის რაიონში ჯერ კიდევ გამოქვამულში თუ ფარდულში მცხოვრებ ადამიანთა მეზოლითურ სტადიაზე მყოფი კულტურის აღმოჩენა. თრიალეთში ამ ძეგლების გამოვლენა ცხადყოფს, რომ ორგანული სამყაროს — ფლორისა და ფაუნის აქტიური გამოყენება, ე. ი. წარმოებლობითი მეურნეობის ჩასახვა სწორედ მთიან რაიონებში უნდა დაწყებულიყო. ნ. ვავილოვის დებულების მიხედვით მიწათმოქმედების წარმოშობა და მისი განვითარება დაკავშირებულია მთის ველებსა და პლატოებთან, სადაც ხლებოდა გარეულ მცენარეთა მოშინაუბრება, მათი კულტივაცია[‡].

ეს პერიოდი ხასიათდება იარაღ-ხელსაწყოთა საგრძნობი გაუმჯობესებით, და რაც მთავარია, ახალი სახეობის საწარმოო საშუალებათა წარმოქმნით. მცენარეთა მოშენება, ცხოველთა მოშინაუბრება, ე. ი. აღრინდელი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარება ამ მატერიალური კულტურის შექმნასთან არის დაკავშირებული და არქეოლოგიაში ამ მნიშვნელოვან ეტაპს „ნეოლითურ რევოლუციას“ უწოდებენ.

აღრემიწათმოქმედი საზოგადოების მეურნეობის ახალი — ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშანია — თიხის ჭურჭლისა და მისი წარმოების

საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. V—III ათასწლეულები), ძეგლის შეგობარი, № 14, 1968; О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ Кюмо Картлийской археологической экспедиции (1967), საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბილისი, 1959; Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, Новые материалы по энеолиту Южного Кавказа, მაცნე, № 6, 1957; მათივე, Дрезные культуры Южного Кавказа, Л., 1970; ი. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1972; ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბილისი, 1971; I. Ф. Коробкова, Т. В. Кигурадзе, К вопросу о функциональной классификации каменных орудий из Шулаверисгора, Краткие сообщения института археологии, вып. 132, 1972; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები (აღრეფეო-დალური ხანა) თბილისი, 1971; მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში, მაცნე, 2, 1965; ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ქელიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური მუშაობის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, თბილისი, 1973.

‡ И. Вавилов, Проблема происхождения мирового земледелия в свете современных исследований, М.-Л., 1932.

ტრადიციების გაჩენა, ეს დაკავშირებულია ახალ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასთან, რაც ემყარება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებას. ამასთანავე დიდი ადგილი ეთმობა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ახალი ტიპის იარაღებს, რომელთა ნაირსახეობა ქვის ინდუსტრიის შემდგომ გაძლიერებას მიგვანიშნებს.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის ნასოფლარები ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი; სავარაუდებელია მათი გამოვლენა მთისძირა, ბორცვოვან ზოლში, ზღვის დონიდან დაახლოებით 700—1000 მეტრის სიმაღლეზე; აქ უკვე გათხრილია ნასახლარების ისეთი მოგვიანო კულტურული ფენები, რომლებიც ჯერ კიდევ ამჟღავნებენ ნეოლითური ქვის ინდუსტრიის გადმონაშთებს (თეთრიწყარო, აბელია, სამშვილდე). ნეოლითური კულტურის ტრადიციების გაგრძელება ტყიან ლანდშაფტში მდინარეთა შორის მოქცეულ კონცხზე წოფის ნასახლარის უადრესი მასალების მიხედვითაც შეიმჩნევა⁹.

მაგრამ ყველა ზემოხსენებული ძეგლები ადრესამიწათმოქმედო კულტურის მოგვიანო საფეხურს ეკუთვნიან. ესაა ენეოლითური ხანა, რომელიც წინ უსწრებს ბრინჯაოს ხანგრძლივ პერიოდს. სწორედ მის წიაღში თავს იჩენს ისეთი ნიშნები, რომლებიც წამყვანი ხდება გვაროვნული საზოგადოების განვითარების მომდევნო ეტაპზე.

ენეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელი პროგრესული ელემენტების გამოვლენა ხერხდება დაბალ ველებში, მთებს შორის მოქცეულ დაბლობებში აღმოჩენილ სამოსახლოებზე, რომელთა მიხედვითაც აშკარად ჩანს მწარმოებლობითი მეურნეობის პირველ რიგში კი მიწათმოქმედების დაწინაურება-განვითარება.

საველე სამუშაოების ფართოდ გაშლის შედეგად მთელ სამხრეთ კავკასიაში უკვე დადასტურდა, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ეს საფეხური ხასიათდება წინააზიაში გავრცელებული ხელოვნური სამოსახლო გორების (თეფეების, თელების) წარმოქმნით; აქაც, ისევე როგორც წინააზიაში, ვაკე-ველებში წარმოქმნილი ასეთი გორა-სამოსახლოები ასახავენ ერთი მოდემის, დამჯდარი მიწათმოქმედი ტომების ხანგრძლივ და ინტენსიურ ცხოვრებას; ამ ხანებში ერთ მიკრორაიონში წარმოიქმნება ხელოვნურად შემაღლებულ ბორცვებზე გაშენებული სოფლები, რომლებსაც თავ-თავიანთი სამიწათმოქმედო ბაზა გააჩნდათ, და რომლის თანდათანობითი ათვისების კვალდაკვალ ამ მოსახლეობის კეთილდღეობა სულ უფრო და უფრო მატულობდა.

ქვემო ქართლის დაბლობში, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში უკვე გათხრილი და შესწავლილია ასეთი გორა-სამოსახლოები, რომლებიც ძვ. წ. VI ათასწლეულის დასასრულიდან ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულამდე მოქცეულ დროის მონაკვეთში მცხოვრები ტომების შესახებ ერთიან ისტორიულ სურათს გვიქმნიან.

მდინარისაგან დაშორებულ ბუნებრივად შემოზღუდულ ადგილებში ნასოფლარი ბორცვების ცალკეული ჯგუფები მოქცეულია მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის შენაკად მდინარეთა — ხრამის, დებედას, შულავრის წყლისა და მაშავერას აუზებში. ეს ვაკობი ხასიათდება მაღალნაყოფიერი ნიადაგებით და იგი

⁹ ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9; Т. Чубинишвили и Л. К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971, გვ. 40—41.

საუკეთესოა მთელ საქართველოში. აქ არასაკმარისი ნალექიანობის გამო დღესაც სოფლის მეურნეობა ხელოვნურ რწყვაზეა დამყარებული.

ისევე როგორც ამჟამად, შუაპლოცენის პერიოდში და უფრო ადრე, ქვემო ქართლის ვაკე ხასიათდებოდა მშრალი და ცხელი კლიმატით. აქ წარმოდგენილი ყოფილა ნახევარსტეპებისათვის დამახასიათებელი გარეული ცხოველები, გავრცელებული იყო ქსეროფიტული მცენარეული საფარი და ბუჩქნარი, ხოლო ჭალებში ვრცელდებოდა ტყე.

ერთ და იმავე ადგილზე სხვადასხვა დროის სამშენებლო დონეთა და ფენების შედეგად შემადგენელი გორა-სამოსახლოების ფართობი მეტწილად 2 ჰექტარს აღწევს.

ასეთია შულავრის ორი გორა-სამოსახლო, იმირის გორა, არუხლოს 1 ბორცვი და სხვა უკვე ნაწილობრივად გათხრილი ძეგლები, მაგრამ არის უფრო გრანდიოზული ნასახლარები, რომელთა შორის გამოირჩევა ე. წ. ხრამის დიდი გორა, მისი სიმაღლე 6 მეტრზე ნაკლები არაა¹⁰. ნასოფლარების მრავალფენიანობა უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, ეკონომიური ცხოვრების ინტენსივობით. მეორე მხრივ, ალიზით ნაშენი სახლების სისუსტიტა და მათი ხშირი განახლების საჭიროებით.

შულავრის მიდამოებში 25 ჰექტარზე მეტ სახნავ-სათეს ფართობზე ამჟამად მდებარეობს ოთხი გადარჩენილი გორა-სამოსახლო; არუხლოს სანახებში 5 ნასახლარია დადასტურებული.

შულავრის გორაზე 252 კვ. მ. ფართობზე გამოვლენილ იქნა ალიზის 32 მრგვალი ნაგებობის ნაშთი — საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო შენობების კედლები, ეზოების შემომფარგვლელი კედლები და მრავალი თიხატყეპნილი მოყვანილობის ორმოსებური სათავსი, განკუთვნილი საკვებისა და წყლის მარაგის შესანახად. აქ მოხერხდა ერთიმეორეზე დაშენებული 8 მრგვალი ნაგებობის კვალის დადგენა. ოთახებში და ეზოებში აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთები: ობსიდიანის იარაღი — ნამგლის ჩასართი კბილები, ხელსაფქვავეები, შურდულის ქვები, ძვლის და რქის სამეურნეო იარაღი — თოხები, საჩიჩქნები, სახვრეტები და სადღისები.

მეტად საყურადღებოა თიხის ჭურჭელი, ქალისებური ფორმის უყურო კე-რამიკა¹¹.

იმირის გორის შედარებით მოგვიანო სამშენებლო დონეზე დადგინდა სოფლის შუა ადგილას მდებარე ცენტრალური წრიული მოედანი, რომლის ირგვლივ გაშენებული იყო საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების კომპლექსი ეზოებით. ჩანს, რომ თითოეული საცხოვრებელი კომპლექსი ერთ ოჯახს ეკუთვნოდა. აქ შულავრის გორასთან შედარებით უფრო მოწესრიგებული გეგმარება ჩანს; აქვეა უკვე სხვებისგან განსხვავებული ორნაწილადი შენობაც, რომელსაც გაჩნდა ცენტრალური დედაბოძი, პილიასტრები, კერა და სამსხვერპლო ბაქანი — პოლიუმი.

¹⁰ ძველი აღმოჩენილია 1972 წელს აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ალ. ჯავახიშვილი).

¹¹ შულავრის გორის დაწვრილებითი დახასიათება იხ. ო. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის..., გვ. 46—63.

იმირის გორაზე აღმოჩენილი ნივთიერი მასალაც განსხვავებულია შულავრის გორის კომპლექსებისაგან, რაც თითქოს ცხოვრების შედარებით დაწინაურებაზე მიგვიბრუნებს¹².

ზემოთ წარმოდგენილ სურათს მნიშვნელოვნად ავსებენ არუხლოს 1 ბორცვის გათხრების შედეგად მიღებული მონაცემებიც. აქაც ექსპედიციამ გამოავლინა ალიზის შენობების ნაშთები, ქვის, ძვლისა და თიხის არქაული იერის ნაკეთობანი.

ამასთანავე გამოირკვა, რომ ამ სამოსახლოს, ისევე როგორც იმირის გორას, შემოვლებული ჰქონია თავდაცვითი თხრილი; გარდა ამისა ბორცვი ორი მხრიდან შემოფარგლული ყოფილა ე. წ. სველი თხრილებით, რომლებიც შეიცავენ წყლის დანალექ ფენას (სისქით 0,60—1,0 მ)¹³.

ექსპედიციის მუშაობის პირველ წლებში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს, წყლის შემცველი თხრილები, რომლებიც სამოსახლოს ძირბოზე სხვადასხვა ადგილებში გამოვლინდა, წარმოადგენდნენ ერთიან, თავდაცვითი მნიშვნელობის გარშემოვლებულ თხრილს, მისი დადგენით უკვე შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ მუდმივად თუ არა, გაზაფხულის წყალდიდობის დროს თხრილს წყლით ავსებდნენ მდინარე მაშავერადან გამოყვანილი რუს საშუალებით და ამგვარად რწყავდნენ ბორცვის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მიწებებს¹⁴.

ამავე მიკრორაიონში, უფრო დასავლეთით, დანარჩენი სამოსახლო ბორცვების მიდამოებში, უძველესი სარწყავი რუს გაყოლებით სხვა მსგავსი წყალსაცავი თხრილების არსებობა ივარაუდება.

1972 წელს ჩვენს საექსპედიციო მუშაობაში ჩაება, შუა აზიაში უძველესი სარწყავი არხების აღმომჩენი, პალეოგეოგრაფი გორისალავა ლისიციანა.

ამ დროისათვის გაირკვა, რომ არუხლოს 1 ბორცვის გორბოზე აღმოჩენილი „სველი“ თხრილების ერთმანეთისგან განსხვავებული ლინზების, დონეებისა და მიმართულების გამო დაუშვებელია ბორცვის ირგვლივ ერთიანი, გარშემოვლებული წყალსაცავის არსებობის ვარაუდი — უფრო საფიქრებელია, რომ თითოეული „სველი“ თხრილი სხვადასხვა, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, არხების განტოტებას წარმოადგენდა. სათანადო ანალიზის საფუძველზე გ. ლისიციანა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს არხები მუდმივად მოქმედი არ უნდა ყოფილიყვნენ და მათი მოქმედებისას არხებში მდინარის წყალი მდორედ მიედინებოდა. წინასწარული მოსაზრებით ამ არხების დანიშნულება იყო სახნავ ხილადგებში სინოტივის შემატება და მისი შენარჩუნება დროის გარკვეულ მომენტებზე.

განვითარებული მიწათმოქმედების დამადასტურებელია სხვა არქეოლოგიური თუ პალეობოტანიკური მონაცემებიც. ამათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია არუხლოს 1 ბორცვზე აღმოჩენილი ირმის დატოტვილი რქისაგან დამზადებული სახვნელი — ერქვანი, რომლის მოქმედებაში მოსაყვანად, სახნავ-სათესი ფართობის „დასაწერად“, აუცილებელი იქნებოდა გამწვევი ძალის გამოყენება. ისტ. მეცნ. დოქტორის გიორგი ჯალაბაძის მიერ წარმოდგე-

¹² ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, აღ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—77.

¹³ 1973 წლამდე ივარაუდებოდა, რომ სველი თხრილები სამი მხრიდან უვლიდნენ ბორცვს.

¹⁴ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. სველ მუშაობის ძირითადი შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში (ანგარიშები). თბილისი, 1967, გვ. 21.

ნილი რეკონსტრუქციით ეს იარაღი ჩვენებური, უძველესი კავ-წერას ტიპისა უნდა იყოს; მაგრამ მისი რაციონალურად გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ ადრევე მოთოხნილ ფართობზე. ამისათვის კი გამოიყენებოდა ქვის, ძვლისა და რქისაგან დამზადებული სხვადასხვა ტიპის საჩიჩქნი იარაღი, რომლებიც მრავლად ჩნდება ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე¹⁵.

მეორე მხრივ, არხის მეშვეობით გამდინარე წყლის მოახლოება საცხოვრებელ ადგილთან შეპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ თვით სამოსახლო ბორცვი მდინარისაგან მოშორებით მდებარეობდა, სასმელი თუ ტექნიკური წყლის სიახლოვე სამოსახლოსთან კი აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ნორმალური ცხოვრებისათვის.

ამრიგად, არუხლოს 1 ბორცვის მიდამოებში „სველი“ თხრილების აღმოჩენამ გამოავლინა ადრესამიწათმოქმედო კულტურის დაწინაურების მეურნეობრივი საფუძველი, დაადასტურა მიწათმოქმედების მაღალი დონე, რომელიც უთუოდ უნდა ემყარებოდეს ხელოვნურ მორწყვას და ხასიათდებოდეს გარანტირებული, შედარებით უხვი მოსავლიანობით.

შეიძლება ითქვას, რომ ქვემო ქართლის დაბალი ველების კულტურა, რომელიც ძვ. წ. V—IV ათასწლეულების ფარგლებში ექცევა, ყველა ნიშნის მიხედვით მიწათმოქმედების ხანგრძლივი განვითარების შედეგი უნდა იყოს. ამავე სამოსახლოებზე წარმოდგენილია ობსიდიანის ლამელების დიდი სერია, რომელიც ნამგლის ჩასართებად გამოიყენებოდა. დიდი რაოდენობით ჩნდება აგრეთვე ადრეული ტიპის ქვის ხელსაფეკვაები.

მიწათმოქმედების ხანგრძლივი განვითარების ერთ-ერთ უტყუარ საბუთს თვით პალეობოტანიკური მასალაც წარმოადგენს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შულავრის გორაზე აღმოჩენილი კულტურული ვაზის ნაშთი — წიპწები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხანაში უკვე მისდევდნენ მრავალწლიანი კულტურების მოშენებას¹⁶.

მრავალფეროვანია ალიზის აგურებში აღმოჩენილი მცენარეულის ნაშთები ან მათი ანაბეჭდები, ასე მაგალითად. არუხლოს მე-4 და მე-5 საამუშენებლო დონის შენობათა კედლებში ჩაყოლილი ალიზის აგურები შეიცავდნენ მრავალრიცხოვან სარეველა ბალახს, რომელიც დამუშავებულ სათეს-სახნავ ფართობზე ხარობს, რაც მთავარია, მათთან ერთად აღმოჩენილია კულტურული მცენარეულობა — ლომის-ლომი, მრავალმწკრივა და ორმწკრივა ქერი, რბილი და ე. წ. ჭუჭხა ხორბალი; მათ შორის დიდმნიშვნელოვანია მრავალმწკრივა თუ ექვსმწკრივა ქერის აღმოჩენა; ეს უკანასკნელი, როგორც ირკვევა, ირიგაციის პირობებში ორმწკრივა ქერის მუტაციის შედეგად წარმოიქმნება და ადრეულ ხანებში მხოლოდ მორწყულ ნიადაგში ხარობს¹⁷. ცხადია, რომ ქვემო ქართლის დაბლობში მისი აღმოჩენაც უთუოდ ირიგაციის არსებობის დამადასტურებელია. არანაკლებ საყურადღებოა აგრეთვე რბილი ხორბლის მოპოვება, რაც იმაზე მიგვანიშნებს. რომ ამ ეტაპზე მიწათმოქმედება უკვე დიდად დაცილებულია

¹⁵ ტ. ჩუბინიშვილი, ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, ძეგლის მეგობარი, № 33, 1973, გვ. 5.

¹⁶ ო. ჯაფარიძე, აღ. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966), მაცნე, № 3, 1967, გვ. 296.

¹⁷ Г. Н. Лисицына, Основные этапы истории орошаемого земледелия на юге Средней Азии и Ближнем Востоке, Краткие сообщения Института археологии, вып. 122, 1970, გვ. 115.

საწყისის საფეხურს და რთული და ხანგრძლივი მუტაციის შედეგად წარმოქმნილი კულტურული მარცვლეულობით წარმოგვიდგება¹⁸.

ამრიგად, ირკვევა, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურის შესწავლილი ძეგლების ერთი ჯგუფი გვიდასტურებს გვაროვნული საზოგადოების განვითარების იმ დონეს, რომელიც ხასიათდება ირივაციაზე დამყარებული მიწათმოქმედებით, პრიმიტიული სახენელი იარაღის გამოყენებითა და კულტურულ მცენარეთა მრავალსახეობით, რაც ინტენსიური მეურნეობის არსებობას გვაგულისხმებინებს. ცხადია, რომ ამ დონეს აღწევდნენ ის ტომები, რომლებიც დაბალ ველებში, ხელსაყრელ გარემოში, მდინარეთა კონცხებზე ცხოვრობდნენ.

მათვე უკვე შესაძლებლობა ჰქონდათ მოშინაურებული ცხოველების (მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველები, ღორი) მოშენებისა. ადვილად დასაშვებია, რომ მეურნეობის წამყვანი დარგების — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარება ამ ხანაში მამაკაცთა მიერ შემუშავებული შრომის ჩვევებზე იქნებოდა დამყარებული. საგულისხმოა, ამ პერიოდის კერამიკაზე ფალოსით გამოსახული მამაკაცის ფიგურების დაქრწვის ფაქტებიც. აღსანიშნავია, რომ არუხლოს 1 ბორცვს ზედა კულტურულ ფენაში ნაპოვნია ძლიერი და მედგარი სახის მამაკაცის გამომხატველი ქვის ნაკეთობა, რომელიც თავისი პორტრეტული გამომსახველობით მკვეთრად განსხვავდება ქალების სქემატური მრავალრიცხოვანი თიხის ქანდაკებისაგან. გარეული ცხოველების მრავალი ძვლოვანი ნაშთისა და ნადირობასთან დაკავშირებული ქვის იარაღის ხშირი აღმოჩენაც მიგვანიშნებს, რომ მწარმოებლობითი მეურნეობის გვერდით კვლავ დიდი ადგილი ეთმობოდა ნადირობასა და მეთევზეობას, რაც ასევე მამაკაცის საქმიანობის სფეროში ექცეოდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აშკარად ჩანს, რომ იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და განსაკუთრებით კი კულტის სფეროში ქალი ინარჩუნებს თავის უპირატეს მდგომარეობას — ნაყოფიერების გამომხატულება კვლავ დაკავშირებულია ქალის საწყისებთან, ამის დამადასტურებელია, სხვათა შორის, შულავრის გორას ზედა კულტურული ფენის მონაპოვარი — თიხის ქანდაკება — ქალის გამოსახულებით, რომელზედაც დატანილია საშოდან ამოსული სიცოცხლის ხე, რაც ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენს.

ამრიგად, ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები ქვემო ქართლიდან გარკვეულ სურათს გვიქმნიან ძვ. წ. V—IV ათასწლეულებში მცხოვრები ტომების ყოფისა და მეურნეობრივი საქმიანობის შესახებ, აღნიშნული ხანის სამაროვნების შეუსწავლელობა ამ კულტურის სხვა სფეროების ნათლად წარმოდგენას აფერხებს და შეუძლებელს ხდის იმ პერიოდში შემუშავებული დაკრძალვის წესების დადგენას.

შესასწავლი კულტურის ყველა განმსაზღვრელი ნიშნების წარმოქმნა-განვითარების გარკვევაში, ე. ი. ადრესამიწათმოქმედო კულტურის კულტურულ-ქრონოლოგიური ეტაპების გამოყოფაში დიდ დახმარებას გაგვიწევს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ამავე პერიოდის დანარჩენი ძეგლების თავისებურებათა გათვალისწინებაც.

მტკვრის ხეობაში, აზერბაიჯანის ტერატორიაზე უკვე შესწავლილია, ე. წ. შომუ-თეფეს ენეოლითური კულტურის ძეგლები, რომელთა შორის აღსანიშნავია უადრესი სახეობის კულტურული მცენარეული ნაშთების შემცველი სა-

¹⁸ Г. Н. Лисицына, დასახ. ნაშრომი.

მოსახლოები (რუს-თეფე, თოირა-თეფე და შომუ-თეფე); შომუ-თეფეზე აღმოჩენილია აკად. ა. მუსტაფაევის განსაზღვრით ველური და კულტურული ყურძნისათვის დამახასიათებელი ელემენტების შემცველი წიპწები. ა. მუსტაფაევის მიერ დადგენილია, რომ რუს-თეფეზე და შომუ-თეფეზე მოპოვებულ მცენარეულ ნაშთებს შორის არის მრავალმწკრივა ქერის მარცვლები¹⁹, რომელთა არსებობა გვაგულისხმებანებს ნათესების ხელოვნურად მორწყვას²⁰.

მოსავლის აღება ამ ხანებში წარმოებდა რქისა თუ ხის ბუდეში ხერხის დაკბილული პირის მსგავსად ჩასმული ობსიდიანის ფირფიტების მეშვეობით.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით არაქსის ხეობაში და მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის შესართავთან, გორა-სამოსახლოები, რომლებიც ენეოლითურ ხანას ეკუთვნიან, უკვე შეიცავენ იმპორტულ და ადგილობრივად დამზადებულ მოჩატულ კერამიკას (ქიულ-თეფე, ინანლი-თეფე, მილისა და მუდანის ველის სამოსახლოები) და მცირერიცხოვან ლითონის ნაწარმს (ქიულ-თეფე); სომხეთის ტერიტორიაზე არარატის ველზე შესწავლილი, ერთ-ერთი გორა-სამოსახლო (თეხუთა) ამავე მასალების შემცველია. ამრიგად, როგორც ირკვევა, ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების გავრცელებას ამიერკავკასიაში მომდევნო ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის არიალი ემთხვევა. ყველა რაიონში თითქოს შეიმჩნევა ამ წინარე ხანისათვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტების გამოჩენა უფრო მოგვიანო მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ძეგლებზე; ეს შეიძლება ითქვას კერამიკის, ლითონის, მრგვალი სახლებისა თუ სხვა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (ქულ-თეფე, მუდანის ველის სამოსახლოები, წოფის მოგვიანო მასალები და სხვ.) ჩანს, რომ ენეოლითური კულტურის გადაზრდა-გადასვლა ადრეულ ბრინჯაოს ხანაში საზოგადოების საერთო განვითარების შედეგია, რომლისთვის სათანადო პირობები ერთნაირად მთასა და ბარშიც არსებობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალ ეტაპზე უკვე შერწყმული მეურნეობაა, სადაც მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ფართოდ იყენებს ერთ მიკრორაიონში არსებულ სათეს ფართობებსა და საზაფხულო თუ საზამთრო საძოვრებსაც. ჩვენი აზრით, ამით უნდა აიხსნას, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლები განსხვავებით წინარე ხანის ენეოლითური ძეგლებისაგან, უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, ერთმანეთისაგან განსხვავებულ გეოკლიმატურ გარემოში გვხვდება.

ენეოლითური და ადრეობრინჯაოს კულტურებისათვის საერთო ჩანს, ის ძირითადი მაგისტრალები, რომელთა მეოხებით ხდება ისტორიულ-კულტურული კონტაქტები წინააზიურ სამყაროსთან.

ჩანს, ამ კონტაქტების ძირითად არსს მუდმივად მოქმედი საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა წარმოადგენდა. სამხრეთი კავკასია უთუოდ შედიოდა იმ ქვეყნების წრეში, რომელიც წინააზიას უძველესი ხანიდან ასაზრდოვებდა ჭერ ობსიდიანით, შემდეგ კი ლითონით, ეს კი აპირობებდა წინააზიაში ფართოდ გავრცელებული კულტურებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტების გამოჩენას კავკასიის სამხრეთ რაიონებში; ასე მაგალითად, აქ უკვე ენეოლითურ ხანაში თავს იჩენს ირანში, სირია-კილიკიაში თუ შუა მდინარეთში გავრ-

¹⁹ И. Г. Нариманов, О земледелии эпохи энеолита в Азербайджане, Советская Археология, № 3, 1971, гл. 4—5.

²⁰ Г. Н. Лисицына, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 115.

ცვლებული ე. წ. პლამკონვექსური აგური, ჩრდ. მესოპოტამიაში დამზადებული ჩარხიანი ჭურჭელი, თიხის გუნდა, მასზე დატანილი მრგვალი შტამპური ანაბეჭდით და რაც მთავარია, ხალაფური ტიპის მოხატული კერამიკა.

წინააზიაში და სამხრეთ კავკასიაში წარმოდგენილი ენეოლითური კულტურა, როგორც ჩანს, ძირითადად მაინც ემყარება ერთ საფუძველზე აღმოცენებულ მეურნეობას, რომელიც ხასიათდება მიწათმოქმედების მაღალი განვითარებით. არაა გამორიცხული, რომ ნაყოფიერი მიწების ე. წ. ნახევარი მთვარის ცენტრალურ ნაწილში, ჩრდილო მესოპოტამიასთან ერთად, ახალი მასალების საფუძველზე შეყვანილ უნდა იყოს ანატოლია, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და, ეგებ, კავკასიის სამხრეთი რაიონებიც.

სამხრეთი კავკასიის დამოკიდებულების გარკვევისათვის წინააზიის უძველეს სამიწათმოქმედო ცენტრებთან, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია უფრო ადრეული — ძვ. წ. VIII—VI ათასწლეულთა კულტურის აღმოჩენა და შესწავლა. მაშინ ნამდვილად მოხერხდება ე. წ. ნეოლითურ რევოლუციის უძველესი განმსაზღვრელი ნიშნების დადგენა სამხრეთ კავკასიაში.

ცხადია, რომ ასეთი მიზანდასახული კვლევისათვის ჩვენთვის ცნობილი უნდა იყოს ნეოლითური ძეგლების ტოპოგრაფია აღმოსავლეთ საქართველოში, საჭიროა მათთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული გარემოს ცოდნა — საამისოდ კი გამოგვადგება ერასის ჩრდილო ნაწილში, ზაგროსის მთების კალთებზე და სირია-პალესტინის ტერიტორიაზე უკვე აღმოჩენილი და შესწავლილი მეზოლითურ-ნეოლითური ძეგლებისთვის დამახასიათებელი ელემენტების გათვალისწინება, იმ პალეოგრაფიული გარემოს შესწავლა, სადაც ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო ფლორის კულტივაციისა და ფაუნის მოშინაურებისათვის.

მეორე მხრივ, ადრესამიწათმოქმედო კულტურის შესწავლის ამ ეტაპზე, ქვემო ქართლისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ფართოდ უნდა წარმოებდეს ახლად აღმოჩენილი ძვ. წ. V—IV ათასწლეულთა ძეგლების შესწავლა, რის შედეგად უნდა მოხერხდეს ამ ხანის ძეგლთა ქრონოლოგიზაცია და მათი ერთიანი და დანაწევრებული პერიოდიზაციის შემუშავება.

ამ საინტერესო პრობლემების დაძლევა მთლიანად დამოკიდებულია საველე მუშაობის ფართო მასშტაბებზე და თანამედროვე კვლევის მეთოდების მომარჯვებაზე, რისთვისაც საჭიროა მთელი რიგი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო ღარგის სპეციალისტების ჩაბმა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში.

Г. П. ЛЕЖАВА

ПРОЦЕСС ЛИКВИДАЦИИ БЕЗРАБОТИЦЫ В АБХАЗИИ И ЕГО
ОСОБЕННОСТИ (1921—1933 гг.)

Вопрос о ликвидации безработицы в Советском Союзе давно привлекает внимание советских историков¹. В 20—30-х годах появились первые работы, в которых на основе статистических материалов Госплана, Наркомата труда СССР и других учреждений рассматривались такие стороны этой проблемы, как размер безработицы в нашей стране и организация борьбы с нею.² Проблема безработицы нашла отражение и в трудах, посвященных истории рабочего класса СССР³. Впервые монографически изучен этот вопрос в докторской диссертации Л. С. Рогачевской «Ликвидация безработицы в СССР (1917—1930 гг.)»⁴.

Вопрос о ликвидации безработицы в Грузии рассматривается в работах: А. Л. Гуния «Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР» (Тб., 1961), где освещен вопрос временной безработицы в Грузии, ее особенности и пути ликвидации, М. В. Натмеладзе «Консолидация рабочего класса Грузии (1921—1925 гг.)» (Тб., 1965), ее же «История рабочего класса Советской Грузии (1921—1932 гг.)» (Тб., 1970), где исследуются источники и формы пополнения рабочего класса Грузии, причины, характер, масштабы и степень безработицы в Грузии, мероприятия Коммунистической партии и советского правительства по борьбе с безработицей, А. А. Абшилава «История про-

¹ Историографию вопроса см.: А. С. Сычевая, К вопросу о безработице в СССР, «Ученые записки» Московского педагогического института им. Н. К. Крупской, Кафедра истории СССР, Вып. 7, т. XXVII, 1963.

² Я. Г н и д и л, Новые формы работы Биржи труда, М., 1924; е г о ж е, Регулирование рынка труда и борьба с безработицей, М., 1926; е г о ж е, Безработица и трудовое посредничество, М., 1928; е г о ж е, Борьба с безработицей и наем рабочей силы, М., 1928; А. Е. М и н ц, Труд и безработица в России (1921—1924 гг.), М., 1924; е г о ж е, Аграрное перенаселение и рынок труда в СССР, М., 1929; С. С т р у м и л и н, Социальные проблемы пятилетки 1928—1932/33, М.—Л., 1929; Б. М а р к у с, Труд в социалистическом обществе, М., 1939 и др.

³ А. А. М а т ю г и н, Рабочий класс СССР в годы восстановления народного хозяйства, М., 1962; Л. С. Р о г а ч е в с к а я, Из истории рабочего класса СССР в первые годы индустриализации, М.—Л., 1959; А. А. Б а й ш и н, Исторические этапы формирования рабочего класса в Советском Казахстане, Алма-Ата, 1958; Б. М. М и т у п о в, Развитие промышленности и формирование рабочего класса в Бурятской АССР (1923—1937 гг.), Улан-Удэ, 1958 и др.

⁴ См. Л. С. Р о г а ч е в с к а я, Ликвидация безработицы в СССР (1917—1930 гг.), Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, М., 1971.

мышленности Абхазской АССР (1921—1941 годы)» (Тб., 1969), где исследован вопрос о безработице и борьбе с ней в Абхазии.

Однако процесс ликвидации безработицы в СССР в целом, и в национальных республиках в частности, все еще недостаточно изучен; не полностью выявлены особенности появления и исчезновения безработицы также в автономных республиках, и в частности в Абхазии.

В первые годы после установления Советской власти в Абхазии, несмотря на подъем экономики и рост благосостояния трудящихся города и деревни, у советского государства трудностей было еще много. Одной из наиболее серьезных среди них была безработица.

Нельзя понять причины безработицы в Грузии, и в частности в Абхазии, не зная и не учитывая основных ее источников в целом по Союзу, среди которых первостепенное значение имели тяжелые последствия царизма и меньшевистского господства.

В первые годы восстановительного периода одним из источников безработицы стала деревня, выбрасывая в город излишнюю в сельском хозяйстве рабочую силу. Несколько миллионов избыточного сельского населения страны каждое лето расходилось по городам в поисках заработка.⁵ Отчасти из этого контингента и пополнялись в Абхазии ряды безработных.

Данные Биржи труда за 1921—1922 годы указывают, что в это время в Абхазии крайне мало было квалифицированных рабочих и одновременно росла безработица. Так, до 1922 года безработных было зарегистрировано 96 человек, а в 1922 году 978 человек. Это увеличение было вызвано проведением в советских учреждениях и на предприятиях сокращения штатов административного аппарата⁶.

Анализируя состояние безработицы в 1921—1922 годах, работники Наркомтруда Абхазии указывали, что безработица в гор. Сухуми поддерживалась главным образом постоянной миграцией в пределы Абхазии граждан соседних республик. Среди безработных, прибывшие из других республик и областей, составляли 67,6% общего числа безработных в Абхазии.

Соотношение безработных из местного населения и прибывших из других областей дается в таблице 1.

В 1924 году в Абхазии наибольшее число безработных было среди работников союза «Пищевкус». Массовое сокращение табачного производства, закрытие предприятий табачной промышленности (были закрыты бывшие частные фабрики Кавтарадзе, Хиониди и Димантиди) явилось причиной роста числа безработных и среди квалифицированных рабочих. Что же касается количества безработных во всех союзах, то на 1 июля 1924 года учтено было 524 безработных, в том числе рабочих — 282 (53%), служащих — 242 (43%)⁷.

Наиболее ясную картину состояния безработицы в Абхазии дает изучение этого вопроса по гор. Сухуми. В нашем распоряжении находятся данные о безработных, зарегистрированных на Сухумской бирже труда за июль—начало сентября 1924 г. На 1 июня здесь числилось 594 безработных, на 1 августа — 1007, а на 10 сентября 1223 чело-

⁵ См. А. А. Матюгин, Рабочий класс СССР в годы восстановления народного хозяйства, М., 1962, стр. 190.

⁶ ЦГА Абхазской АССР, ф. 6, д. 12, л. 2.

⁷ ЦГА Грузинской ССР, ф. 819, оп. 1, д. 73, лл. 1—8.

Таблица 1

ДИНАМИКА
местных и прибывших из других республик и областей безработных⁸

Годы	1922		1924		1925		1926		1927		1928		1929	
	Абс. число	%	Абс. число	%	Абс. число	%	Абс. число	%	Абс. число	%	Абс. число	%	Абс. число	%
Местные безработные	336	34,3	263	21,8	145	17,8	122	27,1	254	15,0	1211	34,0	800	37,0
Прибывшие из других республик и областей	642	65,7	957	78,2	672	82,2	329	72,0	1437	85,0	2372	66,0	1352	63,0
Всего	978	100%	1223	100%	817		451		1691		3583		2152	

века⁹. Так было и в последующие годы. Например, на 1 ноября 1928 года число безработных по гор. Сухуму достигло 4180 человек, то есть за один месяц увеличилось на 1500 человек¹⁰.

Основной контингент безработных составляли приезжие, главным образом из Кубанской области.

Ясную картину о составе пришлых и местных безработных в республике создает изучение их национального состава. Приводимая таблица 2 показывает динамику численности и национального состава безработных Абхазии.

К 1926 году как во всесоюзном масштабе, так и в отдельных республиках среди самых неотложных задач серьезное значение придается борьбе с безработицей. Ликвидация безработицы становится лозунгом дня. Правительство СССР отпустило до 500 тысяч рублей для борьбы с безработицей в ЗСФСР. Экономическая сторона этого вопроса заключалась в том, что для развивающегося народного хозяйства необходимо было сохранение резервной рабочей силы.

Таблица 2

Изменение численности и национального состава безработных Абхазии на 1 октября 1925, 1928 и 1929 гг.¹¹

Годы	Всего безработ. (сот.)	Абхазы		Грузины		Русские		Алтыне		Греки		Прочие	
		количество	%	кол-во	%	кол-во	%	кол-во	%	кол-во	%	кол-во	%
1925	817	—	—	95	11,6	565	70,3	50	6,1	—	—	107	12,0
1928	3583	13	0,4	426	11,7	2618	73,1	215	6,0	137	3,8	180	5,0
1929	2152	25	1,2	400	18,6	1377	64,0	50	2,3	150	7,0	150	6,9

В целях оказания трудовой помощи безработным, правительство организовывало для них отдельные коллективы и артели производст-

⁸ ЦГА Абхазской АССР, ф. 6, д. 12, л. 2—3, д. 841, л. 221, 230.

⁹ Там же, ф. 819, оп. 1, д. 738, дл. 97—98.

¹⁰ Там же, ф. 6, д. 841, л. 169.

¹¹ Там же, ф. 6, д. 851, лл. 129, 221.

венного и торгового характера. Постепенно они расширялись за счет втягивания большого количества безработных, которые использовались для создания новых коллективов и поддержки действующих.

В Абхазии с конца восстановительного периода создавались артели для безработных. На выделенные 45955 рублей, с мая 1925 года был организован ряд коллективов — сапожная мастерская, столовая «Чашка чая», столовые, швейная мастерская, коллективы мороженников и по производству кефира и т. п., в которых были заняты 53 человека¹². На организацию этих коллективов была выдана ссуда в размере 1953 рубля¹³. На заседании коллегии Наркомата труда, проходившем 21—25 апреля 1926 года, было решено приступить к организации новых коллективов и расширению некоторых существовавших мелких предприятий путем вовлечения в них безработных¹⁴.

Для оказания трудовой помощи безработным были проведены общественные работы. В 1927 году на общественные работы было отпущено 11155 рублей и на этих работах было занято до 150 человек.

Безработным выплачивались пособия по линии страхования. Профсоюзами за 1927 год было выдано пособий 293 безработным на общую сумму 17968 рублей¹⁵.

В начале первой пятилетки большое число безработных было вовлечено в производственные и трудовые коллективы. Подобная мера борьбы с безработицей, имела существенное значение с точки зрения подготовки квалифицированной рабочей силы для государственной промышленности. В производственных коллективах безработные приобретали определенную специальность, после чего они использовались в качестве квалифицированных рабочих на промышленных предприятиях.

В связи с началом строительства новых крупных промышленных объектов, в частности освоения Ткварчельского каменноугольного месторождения, а также предприятий других отраслей промышленности появилась возможность для более целенаправленного использования резервов свободной рабочей силы.

Быстрые темпы развития народного хозяйства Грузии, в частности Абхазской АССР, создание новых отраслей промышленности и расширение существующих все более втягивало в производство новые кадры рабочих. Органам труда приходилось проявлять особую гибкость в обеспечении промышленных предприятий рабочей силой, в массовом повышении их квалификации. Работа органов труда перестраивалась соответственно с новыми условиями развития экономики республики. Вводится и все большее значение приобретает практика организованного, планового подбора и подготовки квалифицированных рабочих. Невысок был профессиональный состав безработных. Так, в отчетном докладе Абхазского обкома КП(б) Грузии XII областной партконференции говорится, что на 1 января 1930 года в Сухуми и Очамчире зарегистрировано около 3000 безработных. «Нужно сказать, что эти безработные прибывают из районов Советского Союза в надежде на получение работы... А среди безработных вообще очень мало квалифици-

¹² Архив Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа АН Груз. ССР, ф. 1, д. 276/191.

¹³ Архив Абхазобкома, ф. 1, оп. 1, д. 70, л. 30.

¹⁴ ЦГА Абхазской АССР, ф. 6, д. 88, лл. 81—82.

¹⁵ Там же, ф. 819, оп. 6, д. 1422, лл. 1—35.

рованных рабочих. Можно даже сказать, что их нет. Мы переживаем недостаток в квалифицированной силе»¹⁶.

В борьбе с безработицей важное место занимал вопрос найма рабочей силы. Совет профессиональных союзов Абхазии принял ряд мер по наведению порядка в этом деле. С апреля 1929 года наем производился исключительно через Биржу труда.

Были сняты с учета те безработные, которые не имели права состоять на таковом. Вместе с тем по инициативе Совпрофа Абхазии при Сухумском горсовете была организована секция труда, которая уже занималась (со второго квартала 1929 г.) вопросами борьбы с безработицей.

Важным средством вовлечения свободной рабочей силы (особенно в сельской местности) в производство, а значит и борьбы с безработицей и ее основным источником — аграрным перенаселением, являлось развитие трудоемких сельскохозяйственных культур — интенсификация сельского хозяйства и осуществление переселенческой политики.

К концу первой пятилетки безработица в Абхазии была ликвидирована. Ликвидация безработицы в Абхазии произошла немного позже, чем в других индустриальных районах страны, где промышленное строительство в больших масштабах развернулось с началом индустриализации страны¹⁷.

Уполномоченный Наркомата труда Грузии в Абхазии в отчете о своей деятельности за период с 1 января по октябрь 1933 года сообщает, что в указанный период десятью организациями завербовано в Абхазии 1433 рабочих. Из них лишь около 20% составляли жители Абхазии. Хозорганы Абхазии в 1933 году не занимались вербовкой рабочей силы в сельских местностях в порядке оргнабора, а ограничились в основном наймом приезжей рабсилы из других республик¹⁸, так с 1933 года в Абхазии наблюдается нехватка рабочей силы. Уполнаркомтруда определил потребность хозорганов Абхазии в дополнительной рабочей силе, которая в 1933 году выразилась в следующих данных: а) дополнительная потребность промышленности, лесоплавов и лесозаготовок — 5,367 рабочих; б) дополнительная потребность совхозов и пригородных хозяйств — 3560 человек. Всего в Абхазии на 1933 год учтена потребность в дополнительной рабочей силе 12714 рабочих.

Исходя из дополнительных потребностей в рабсиле, сектор кадров при уполнаркомтруде отводил в Абхазии нуждающимся хозорганам соответствующие районы для проведения в них организованного набора рабсилы, а также просил НКТ СССР о необходимости выделить районы вне Абхазии для проведения в них вербовки рабсилы, так как внутренними свободными ресурсами невозможно было удовлетворить данную потребность.

В связи с большой потребностью в рабсиле Сухумский Учраспредпункт не мог в указанный период (т.е. с 1 января по октябрь 1933 года) полностью удовлетворить требования хозорганов на рабсилу, что можно видеть из следующих сведений (см. таблицу 3).

¹⁶ См. А. А. Абшилава, История промышленности Абхазской АССР (1921—1941 гг.), Тб., 1960, стр. 128.

¹⁷ См. А. А. Абшилава, Указ. работа, стр. 128—129.

¹⁸ ЦГА Абхазской АССР, ф. 101, д. 952, л. 6.

Таблица 3

Данные о регистрации рабочих кадров, поступлении требований и направлений на работу за январь-октябрь 1933 г.¹⁹.

1933 г.	Количество		Из них от- правленных на работу местных	Направлено на работу	
	предложений	спрос		всего	в т. ч. женщин
Январь	129	165	40	120	52
Февраль	283	296	48	283	69
Март	333	517	130	333	84
Апрель	532	706	200	532	87
Май	457	883	139	457	43
Июнь	314	807	123	314	66
Июль	154	909	76	154	37
Август	93	610	40	93	21
Сентябрь	63	856	19	63	22
Всего за первые 3 квартала	2349 чел.	5749	815	2349	481

За указанное время Сухумский учраспредпункт направил на предприятия Абхазии 276 рабочих, на строительство — 724, в МТС, совхозы и в пригородные хозяйства — 459, на лесосплавы и лесозаготовки — 563, в прочие организации — 327 человек²⁰.

Эти данные свидетельствуют о том, что в Абхазии безработица в 1933 году уже была ликвидирована, но органы труда только приступили к организованному набору рабочей силы.

* * *

Таким образом, в период завершения восстановления народного хозяйства и перехода к его реконструкции промышленность была еще не в состоянии охватить всех, нуждающихся в работе.

В условиях новой экономической политики регулятором распределения рабочей силы стал рынок труда. Но это не был рынок, действующий на прежних, капиталистических принципах. Предложение рабочей силы не являлось ее продажей, а спрос — куплей. Советский Кодекс законов о труде 1922 года гарантировал трудящимся минимум заработной платы, строго фиксированный рабочий день (6—8 часов), ежегодные отпуска. Пресекались все попытки произвольно решать вопросы увольнения рабочих. Трудящиеся находились под защитой пролетарского государства, которое взяло в свои руки регулирование рынка труда, была упорядочена система Бирж труда, являющихся государственными органами.

Изучая причины безработицы в Абхазии в первые годы Советской власти, приходим к выводу, что безработица здесь носила в основном не местный характер, не являлась следствием существования больших резервов избыточного аграрного населения края, а была результатом миграционного процесса. Передвижение происходило в основном из РСФСР, из районов Грузии, и других республик Закавказья, являвшихся одновременно одним из источников пополнения рядов рабочего класса Советской Абхазии. Вместе с тем в увеличении резервов безработицы определенное место занимали местные кадры. Однако по Гру-

¹⁹ ЦГА Абхазской АССР, ф. 101, д. 952, л. 6.

²⁰ Там же.

зии в целом безработица носила в основном местный характер, в силу существования больших резервов избыточного аграрного населения²¹.

Ликвидация безработицы была обеспечена в процессе социалистической индустриализации промышленности и коллективизации сельского хозяйства. Исчезновение безработицы оказало существенное влияние на развитие рабочего класса Абхазии. Создались условия для подъема его производственной и политической активности. Ликвидация безработицы сыграла большую роль в становлении рабочего класса Абхазии как класса социалистического общества.

²¹ М. В. Натмеладзе, История рабочего класса Советской Грузии. Тб., 1970, стр. 97 (на грузинском языке).

თინათინ ყაზახიშვილი

ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში

ნაშრომში გაშუქებულია „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ძველი ციკლის შემდეგი თხზულებები: უცნობი ავტორის „ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისი“ (XI—XII სს. ისტორია), უცნობი ავტორის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (XII—XIII სს. ისტორია), ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (XII—XIII სს. ისტორია) და მონღოლთა დროინდელი ისტორია — ე. წ. ჟამთააღმწერლის თხზულება (XIII—XIV სს. ისტორია).

მასალის შერჩევასას ორი პირობა იყო დაცული: ეპოქა, რომელიც ნაწარმოებში არის ასახული და თვით ნაწარმოების დაწერის დრო.

I

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

„ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისი“ (ქ. ც.* ტ. I, გვ. 318—364) გადმოსცემს XI—XII სს-ის საქართველოს ისტორიას. მისი ავტორის ვინაობა დადგენილი არ არის. ივ. ჯავახიშვილი იმ აზრისა იყო, რომ ავტორის სახელი უცნობია, მაგრამ ის არის მეფის მომხრეთა ჯგუფის წარმომადგენელი და ისტორია დაუწერია 1123—1126 წლებში¹.

სხვადასხვა დროს საქართველოს ისტორიის მკვლევართ დავითის ისტორიკოსის და მისი თხზულების შესახებ ასეთი მოსაზრებები გამოუთქვამთ:

თ. ჟორდანიას აზრით, დავითის ისტორიკოსი იყო სამღვდლო პირი — ან იოანე კათალიკოსი, ან სვიმონ ჭყონდიდელი, ან არსენ იყალთოელი (ეს ყველაზე ნაკლებად), ხოლო ნაშრომი დაწერილია 1130-იან წლებში². ს. კაკაბაძე³ და კ. კეკელიძე⁴ დავითის ისტორიკოსად მიიჩნევენ არსენ ბერს, ხოლო თარიღი დაწერისა ს. კაკაბაძის აზრით, 1130-იანი წლებია, კ. კეკელიძის აზრით კი 1123—1126 წწ.

ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ჯ. ოდიშელისა⁵ და ა. ბოგვერაძის⁶ წერილებში ავტორად ისევ არსენ ბერია აღიარებული, ხოლო ნაწარმოების დაწერის თარიღად 1130-იანი წლები.

* შემოკლება ქ. ც. აქაც და ყველა სხვა შემთხვევაში ქვემოთ აღნიშნავს — „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელ გამოცემას: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილი იქს მიერ, ტომი I, 1955; ტომი II, 1959. თბილისი.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 213.

² თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. XLV და შშლ.

³ ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ვინაობა, თბ., 1913.

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1951, გვ. 290.

⁵ ჯ. ოდიშელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის: ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, V, თბ., 1963, გვ. 211—220.

⁶ ა. ბოგვერაძე, დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ, „ქართული ისტორიოგრაფია“, II, 1971, გვ. 70—83.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, რასაც არ შეიძლება რომ არ შევეუერთდეთ, დავითის ისტორიკოსს ახასიათებს შესანიშნავი ენა, ოღნავი გატაცება რიტორიკით და მის ცნობებს კი — სრული ჭეშმარიტება⁷.

ნაწარმოების კითხვისას ყურადღებას იპყრობს დავითის დახასიათება, რომელსაც იძლევა ავტორი ბევრგან და ერთგან, ასე ვთქვათ, უფრო ჩამოყალიბებულად (ქ. ც. I, გვ. 360—361).

ამ დახასიათების მიხედვით, თუ კი რამ ღირსება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს — სულიერი, გონებრივი თუ ფიზიკური, პირადი თუ საზოგადოებრივი ხასიათის — ყველაფრით შემკობილი იყო დავითი.

დავითს, რომელსაც ავტორი ასე ახასიათებს, იგი ხშირად ადარებს ისტორიაში ცნობილ საქებარ პირთ, მაგ., ბიბლიის დავითს (გვ. 329, 335, 363), ბასილი დიდს (გვ. 357), იმპერატორ კონსტანტინეს (გვ. 354), ალექსანდრე მაკედონელს და სხვათ.

როდესაც ისტორიკოსი ლაპარაკობს დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკაზე, მის სამხედრო მოღვაწეობაზე, იგი მას ხშირად ადარებს ალექსანდრე მაკედონელს.

მას მერე, რაც აღწერილია 338 ქორონიკონის (ე. ი. 1118 წლის) ამბები, ნათქვამია, რომ დავითმა „შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე ვითარცა დავით“ (ე. ი. ბიბლიის დავით მეფემ) „და მსგავსად ალექსანდრესსა ქმნა და ამანცა სულთ-ითქუნა, რამეთუ ითქუმისცა ამისთვის, ვითარმედ ფილოსოფოსმან ვინმე რქვა მას: „არიანო მრავალნი და ურიცხუნი სამეფონი, რომელთა არც თუ სახელი გასმიეს შენ“. და მან სულთ ითქუნა და თქვა: „უკეთუ დამიშთეს ესენი, რა იყოს მპყრობელობა ჩემი“. ამისთვისცა ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუებერ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე“... (გვ. 335—336) და შემდეგ მოთხრობილია ყივჩაყთა გადმოყვანის ამბავი.

ისე რომ დავით აღმაშენებელი მეორე ალექსანდრედ არის აღიარებული.

მეორეგან ალექსანდრესთან შედარება და ამ გზით დახასიათება დავითისა, უფრო მნიშვნელოვანია: „(დავითმა დაიწყო სპარსეთის, შარვანისა და დიდი სომხითის რბევა). რამეთუ არა დაშურებოდა, არცა მოეწყინებოდა, არამედ უამიერად და წესიერად აღაშქრებდა მათ, მართებდა და განაგებდა მსგავსად მისსა დიდგონეობითა, და ვინლამცა იყო წინამდგომი მისი, და ანუ მიმმართი ომისა მის წინაშე, რამეთუ დაღათუ წვრილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიაძგავსა მაკედონელი იგი სიფიცხითა მიმმართველობისათვის, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა შინა, და ჭრელად მრავალფერობისათვის ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩუენი ესე გვრგვონსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო უამითა შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმკნითა უმცირე, და თვთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე“... (გვ. 337—338).

ისტორიკოსმა კარგად იცის, თუ რა აქვს გაკეთებული ალექსანდრე მაკედონელს და კვლავ ადარებს მას დავითს, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნების თუ მხარეთა დაპყრობა სურს და ესაჭიროება: „... არცა ალექსანდრე ქმნა ესრეთ.

⁷ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 152—165.

რამეთუ პირველად მამულისა თვისისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლისანი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი, და მათითა წარტანებითა დაიპყრა ეგვიპტე, შესრულმან კარქედონით, და მიერ ეგვიპტით პალესტინე და ფინიკე, და კილიკიასა თვსად შემქმნელი, წინა განეწყო დარიოსს. და რაჟამს სპარსეთი მოირთო მაშინლა სძლო პიროს ჰინდოსა, და ეგრეთ და ამით ყოვლითა მოვლო ყოველი ქუეყანა; და ქმნა, რა იგი ქმნა; თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას აღექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და პრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უალრესნი სხუათა ქებულთანი“ (გვ. 358—359).

ამრიგად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს თავისი წარმოდგენა აქვს ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობასა და პიროვნებაზე და მას არა ერთხელ ადარებს დავითს.

საერთოდ ძველი ქართული მწერლობა და კერძოდ საისტორიო მწერლობა კარგად იცნობს ალექსანდრე მაკედონელს. ერთ-ერთი წყარო ამისათვის იყო ფსევდო-კალისტენეს ალექსანდრეს რომანი, ე. წ. ალექსანდრიანი, რომლის ძველი ქართული თარგმანი არსებობდა, და რასაც სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია (არის შედარებით ახალი თარგმანები არა ბერძნულიდან შესრულებული ლექსად და პროზად, რომლებიც დატულია)⁸; „ალექსანდრეს რომანიდან“ არის აღდილი, რომელიც ისტორიკოსს მოჰყავს: „ვითარცა იტყუს თვთ სადამე ალექსანდრე: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა უმიროსს“⁹. ამას გარდა, ქართველი ისტორიკოსები იცნობდნენ ბერძენი ისტორიკოსების თხზულებებს, მათ შორის, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში „საეპვო არაა, რომ ერთ-ერთი წყარო ძველი ქართველების მიერ ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის ცოდნისა იყო არისტობულეს „ისტორია“ (უშუალოდ ან სხვა წყაროთა მეშვეობით)¹⁰, „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ალექსანდრეს მთავარ ისტორიკოსად თვლის არისტობულეს“¹¹.

ამის შესახებ თვით ნაწარმოებში ვკითხულობთ: „... ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყვ უკუე უმიროსსა და არისტოვლის ელინთა... რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქეველთანი შეამკენა თხრობანი... და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმკნენი და ძლევა-შემოსილობანი“... (გვ. 342)¹².

რაც შეეხება არისტობულეს (375—285 წწ.), ის იყო ალექსანდრეს ყველაზე პოპულარული ისტორიკოსი, ახლდა მას თან ლაშქრობებში, არა როგორც სამხედრო პირი, არამედ როგორც ინჟინერი. მან დასწერა ალექსანდრეს ისტორია (რა სათაურით, არ ვიცით), სადაც იყენებდა ლიტერატურულ წყაროებს (კრიტიკულად) და მათ ურთავდა თავის პირად მოგონებებს. მისი თხზუ-

⁸ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 251—253; 317—319; აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ქართული ალექსანდრიანი, საქ. სსრ მუზეუმის „მოამბე“, 1936, IX, გვ. 41—50. პ. ი ნ ვ ო რ ო ყ ე ა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 58—63.

⁹ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 1949, გვ. 234.

¹⁰ იქვე. გვ. 185.

¹¹ იქვე. გვ. 184.

¹² იქვე.

ლება არაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ მას იყენებდნენ მომდევნო საუკუნეების ისტორიკოსები და მიიჩნევდნენ სანდო წყაროდ¹³.

როდესაც ისტორიკოსი ლაპარაკობს დავითის სხვა ღირსებათა შორის მის საგანგებო ვაჟეცობაზე, რასაც იგი იჩენდა ნადირობის დროს, იგი წერს შემდეგ: „რამეთუ ვინ ჰგავნ კორციელი ანუ ვინ იხილა ესეოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა. მოსიმახოს ვინმე ითქმის ებრაელი მოისრობის და კეთილმმართველობისათჳს ალექსანდრეს სპათა შორის მკობად... (შემდეგ ჩამოთვლის სხვა განთქმულ მოისართ და ასკენის) — გარნა ჭეშმარიტად ვერცა ერთი ამთგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გვხილავს ჩუენ“¹⁴ (გვ. 348—349).

მოსიმახოსი, რომელიც ეროვნებით ებრაელი იყო, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარში განთქმული იყო, როგორც საუკეთესო მთისარი. კ. კეკელიძის ცნობით, მოსიმახოსის სახელი ქართულ მატყანეებში შემოსულია მხოლოდ გიორგი ამარტოლის ზრონოღრაფიდან¹⁵. ზრონოღრაფის ქართულ თარგმანს ეს ადგილი (და საერთოდ მოსიმახოსის ხსენება) აკლია, მაგრამ ეპიზოდი მოსიმახოსთან დაკავშირებით დაცულია დედანში.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ალექსანდრე მაკედონელს იცნობს არისტობულეს ისტორიისა (თავისავე მოწმობის თანახმად) და „ალექსანდრეს რომანის“ მიხედვით. „მხოლოდ „ალექსანდრეს რომანიდან“ შეეძლო დავითის ისტორიკოსს ამოელო ცნობა ალექსანდრეს მარშრუტის შესახებ“ — წერს გ. მამულია¹⁶. ნაწილი ცნობებისა კიდევ აღებულია გიორგი ამარტოლის ზრონოღრაფიდან, როგორც ზემოთაც ითქვა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ალექსანდრე მაკედონელის გარდა იცნობს ანტიკურობის სხვა ისტორიულ პიროვნებებს. მაგ., როდესაც დავითის მწიგნობრობაა შექებული, იგი შედარებულია პტოლემეოსთან. „ხოლო ისმენდი, თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისა, ღმერთთადაც — საღმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შეიკრიბნა, როდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა სხუამან პტოლემეოს, ამას ზედა ოდენ სასოვან ქმნილმან, და ესეოდენ შეიყუარნა და შეითჳსნა. რომელ სთქუამცა, თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძრვის“ (გვ. 347).

პტოლემეოსი (სახელდობრ პტოლემეაოს მეორე ფილადელფოსი [283—246 წწ.]) ისტორიაში კარგად ცნობილი პირია. ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, რომელიც პტოლემეოს I სოტერის დროს დაარსდა ათენელი მოღვაწის, დემეტრიოს ფალერელის თაოსნობით, პტოლემეაოს II ფილადელფოსის დროს 1/2 მილიონზე მეტ გრანგინლს შეიცავდა. იგი ყოველგვარ საშუალებას მიმარ-

¹³ ტექსტში „არისტობულე“ შეტანილია ანასელი ნუსხიდან. ყველა სხვა ხელნაწერში იყო ფორმა „არისტოტელის“. „არისტოტელისა“, რაც ერთგვარად გაუგებარს ხდიდა შინაარსს (არისტოტელე გამოლიოდა ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსი და შემამკობელი). შტრ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. LXX—LXXII, ს. ყაუხჩიშვილის შესავალი ნარკვევი.

¹⁴ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 183—184.

¹⁵ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1955, გვ. 262—263 (ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ზრონოღრაფიისა, გვ. 250—265).

¹⁶ გ. მამულია, ლონტი მროველის და ჭუანჭუჭყის წყაროები, თბ., 1965, ხელნაწერი, გვ. 29.

თავდა, რომ ხელში ჩაეგდო საუკეთესო ხელნაწერები და თავისი ბიბლიოთეკა გაემდიერებინა¹⁷.

პტოლემეოსთა შესახებ მოგვითხრობს გიორგი ამარტოლიც. სახელდობრ: „პტოლემეოს ძმათ-მოყუარე, რომლისა-ზე სამეოცდაათთა ბრძენთა ებრაელთასა თარგმნეს შჯული“ (ხრონოგრაფი, გვ. 225).

შესაძლოა, დავითის ისტორიკოსი ქრონოგრაფების მიხედვით იცნობდა პტოლემეოსთა სახელსა და მოღვაწეობას.

დავით აღმაშენებელი ისტორიკოსს შედარებული ჰყავს კონსტანტინე დიდთან, როდესაც ლაპარაკობს მის მოღვაწეობაზე საეკლესიო საკითხების მოგვარების მიმართ.

„რამეთუ სამეფოსა თვისისა კათალიკოსი, მღვდელთ-მთავარი, მეუღაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა ჟამსა და ადგილსა ჭეროვანსა, და დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთობა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებული განკუთვნეს, და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან, დაღათუ ძნელდა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები; და მათ წილ ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს, და ძეგლი შუენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა, და ესრეთ ყოველნი ნიჭითა სამეფოთა წარგზავნნეს თვითი სახით თვსად. და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კონსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით უწინარეს ყოველთა კეთილთა საქმეთა თვსთა“... (გვ. 327—328). „... ხოლო ამათ თანა რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი კიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა, და დადვა მისთვის უმეტესი მოსწარაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაყუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე“ ((გვ. 353—354).

კონსტანტინე I დიდი (324—337 წწ.) ისტორიაში ბევრი რამით არის სახელგანთქმული, განსაკუთრებით იმით, რომ მის დროს ქრისტიანობა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სარწმუნოებად გამოცხადდა. ამას ყოველმხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მთელი საქრისტიანო სამყარო ჭეროვნად მიუზღავდა ამისთვის კონსტანტინე დიდს და როდესაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს დასჭირდა თავისი მეფის სარწმუნოებრივი თვალსაზრისით დახასიათება და მისი დიდი წვლილის გამოჩენა-შეფასება, იგი შეადარა კიდევ კონსტანტინეს.

არ არის საკითხავი, თუ ჩვენი ისტორიკოსი საიდან იცნობდა კონსტანტინეს. იგი ისე განსწავლული პირია, ხოლო კონსტანტინე ისეთი პოპულარული ფიგურაა (საერო თუ საეკლესიო თვალსაზრისით), რომ ნებისმიერ ქრონოგრაფიაში შეეძლო მის შესახებ წაეკითხა. ხოლო ქრონოგრაფიებს რომ ის იცნობს, საამისო მასალას ქვემოთაც მოვიყვანთ.

¹⁷ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 96, 127.

ისტორიულ პიროვნებათაგან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ახსენებს ვესპასიანეს (რომის კეისარს 69—79 წწ.) და ტიტეს (79—81 წწ.), რომელთა მოღვაწეობაც იცის იოსიპოს ებრაელის (ანუ იოსებ ფლავიუსის) ნაშრომის მიხედვით. იგი წერს: „ვეებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყვ უკუე უმიროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა, რომელთაგან ერთმან ტროადელთა და აქეველთანი შეამკვნა თხრობანი... და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი... ხოლო მესამემან ვესპასიანე ტიტოჲს-მიერნი მეტომეთა თვსთა-ზედანი ჰირნი მისცნა აღწერასა“ (I, 342), ე. ი. იოსებ ფლავიუსმა მოგვითხრო თავისი თანამემამულეების დაწიოკების ამბავი, რაც მოხდა ვესპასიანესა და ტიტეს დროს და მათი თაოსნობით¹⁸. აქ მინიშნებაა იმ ამბავზე, რაც მოთხრობილია იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა ომის ისტორიაში“ — მრავალ ომგადახდილი ვესპასიანე უკვე რომის ტახტზეა, ხოლო მისმა ძემ, ტიტემ საბოლოოდ აიღო იერუსალემი (V—VI წიგნები ისტორიისა), რასაც მოჰყვა ვესპასიანესა და ტიტეს ტრიუმფი რომში და იუდეის დამორჩილება (VII წ.). ამ ადგილის „ვესპასიანე-ტიტოჲს“ მიერ (ხელნაწერთა „ნეტიტოჲს“ და სხვა მსგავსი ვარიანტები, ამ სახით აღდგენილი ბროსეს მიერ) უნდა გავიგოთ, როგორც 2 პირის, ვესპასიანესა და ტიტეს მოხსენიება. ასე ესმის ბროსესაც — *par Vespasian et par Titus*. ეს უფრო გარკვევით არის ეამთაღმწერელთან (II, 176). თუმცა, მეორე მხრივ რაკილა ორივე კეისარს (ვესპასიანეს — 69—79 წწ., ტიტეს — 79—81 წწ.) ჰქვიათ სრულ სახელად *Titus Flavius Vespasianus* — შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ — აქ მოხსენიებულია ერთი პირი — ვესპასიანე-ტიტო. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმაზე, რომ იოსებ ფლავიუსმა აღწერა თავისი თანამემამულეების (ე. ი. ებრაელების) გასაჭირი ზოგადად ვესპასიანეს დროს (და ტიტეს დროც ხომ ეს იყო დაახლოებით).

ივ. ჯავახიშვილს, როდესაც არჩევს დავითის ისტორიკოსის თხზულებას, მოჰყავს ეს ადგილიც, მაგრამ მასთან წერია: „ხოლო მესამემან ტიტოსმიერნი მეტომეთა თვსთა — ზედანი ჰირნი“¹⁹, ჩანს ბროსეს კონიექტურა მან არ გაიზიარა.

აღსანიშნავია ის, რომ ვესპასიანესა და ტიტეს მეფობა დაწვრილებით არის აღწერილი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფშიც (გვ. 193 და შმდ., გვ. 226—230), მაგრამ დავითის ისტორიკოსს, ასე ვთქვათ, პირველი წყარო მოჰყავს საამისოდ (იოსებ ფლავიუსი, ისტორია), ისევე, როგორც ალექსანდრესათვის — არისტობულე (და არა მხოლოდ რომანი ან შემდეგი ხანის კომპილაციები).

ისტორიკოსი აღფრთოვანებულია დიდი მეფის პოლიტიკით, მისი სამხედრო ოპერაციებით, „ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მოთხრობად ზედმიწევნით ყოველსაე“ (I, 341) და ამ კონტექსტში, ზედ იმის წინ, ვიდრე აღწერს დავითის მიერ თბილისის აღებას 1122 წელს, ახსენებს ჰომეროსსა და მის გმირებს. აზრი, რაც ამ ნაწყვეტიდან (აქვე მოვიყვან სრულად) უნდა გამოვიტანოთ ისაა, რომ ჰომეროსის გმირების, ალექსანდრე მაკედონელის, ვესპასიანესა და ტიტეს მოღვაწეობა და სამხედრო უნარი გაცილებით უფრო მდარე იყო, ვიდრე დავითის, მაგრამ მათი საქმეები დიადი გამოჩნდა იმიტომ, რომ მათ ბედმა არგუნა დიდი აღმწერლები, რომლებმაც თავიანთი რიტორიკული ოსტატობით

¹⁸ შდრ. ეამთაღმწერელი, II, გვ. 176.

¹⁹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 159.

შეამკვეს ისინი, და მათ რომ მასალად ხელთ დავითის საქმეები ჰქონოდათ, და თავისი რიტორობით აღეწერათ ისინი, აი, მაშინ იქნებოდნენ ისინი დიდი ქების ღირსნი.

„ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყვ უკუე უმბროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქეველთანი შეამკვნა თხრობანი, თუ ვითარ აღამემნონ და პრიამოს, ანუ აქილევი და ეკტორი, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუთენეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორემან აღექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმკნენი და ძლევა-შემოსილობანი; ხოლო მესამემან ვესპასიანე ტიტოჲს-მიერნი მეტომეთა თვსთა-ზედანი ჰირნი მისცნა აღწერასა და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამის-თვსცა მის კელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყვს თვთ სადამე აღექსანდრე: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა უმბროსს“. რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა. ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენტა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო, და ვერცა პირველსა კუთებასა შეუძლეს წინა დადგომად. ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინლამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა“ (I, 342).

ამ ნაწყვეტში საყურადღებოა ის, რომ ისტორიკოსმა იცის ჰომეროსი, იცის მისი გმირები, რომელთაც წყვილ-წყვილად ახსენებს—ერთმანეთის დართ, (აგამემნონი — პრიამოსი; აქილევისი — ჰექტორი) და ამას გარდა იცის ისეთი ძველი თქმულება, რომელიც თვით ბერძნულ მწერლობაში მაინცადაშინც პოპულარული არ არის. ეს ჩანს 1. ერთ წყვილად ოდისევსისა და ორესტეს მოხსენიებაში და 2. ტროის ომის ხანგრძლივობაში — მისი ვერსიით 28 წელს გრძელდებოდა ეს ომი. როგორც გამოჩვენებულია²⁰, მართალია, ანტიკური ლიტერატურის ძეგლებში არ გვხვდება არცერთი ეს ცნობა (ე. ი. ოდისევსისა და ორესტეს მტრობისა და ტროის ომის 28 წელს გაგრძელებისა), მაგრამ ბიზანტიურ ქრონოგრაფიებში არის ამისი კვალი. მაგ., გიორგი სინგელოზის (VIII ს.) ქრონოგრაფიაში წერია: „დასაბამითგან ქვეყნისა 4331 წელი; ამ დროს მოხდა ოდისევსისა და ორესტეს ამბავი (Ἐπει τῶν αἰσθητῶν καὶ Ὀρέστου)“ — რა ამბავია და მართლაც მტრობაა ეს თუ არა, არ ვიცით, მაგრამ ქართველი ისტორიკოსის ცნობასთან შეჯერების შედეგად ასე უნდა დავასკვნათ.

ამას გარდა, ანტიკურ ტრადიციაზე დაყრდნობით და ჰომეროსის ვერსიით, ტროის ომი გრძელდებოდა 10 წელს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (და ჟამთააღმწერელიც) კი პირდაპირ ამბობს, ტროის ომი 28 წელს გრძელდებოდა. იმავე გიორგი სინგელოზის ქრონოგრაფიაში არის ცნობა იმის შესახებ (რასაც არ იზიარებს გიორგი სინგელოზი), რომ აგამემნონმა იმეფა 35 წელი; თუ აგამემნონმა 35 წელი იმეფა, ხოლო ომი კი მისი მეფობის მერვე წელს დაიწყო, ამ ვერსიის თანახმად ტროის ომი მართლაც 27—28 წელს გაგრძელდებულა. ამ მონაცემების საფუძველზე ს. ყაუხჩიშვილი აკეთებს დასკვნას: „ასეთი შეხვედრა ბიზანტიელი ქრონოგრაფოსისა და ქართველი ისტორიკოსისა ორ საკითხში (1. ორესტე, 2. ოცდარვა წელი) გვაფიქრებინებს, რომ ქარ-

²⁰ ს. ყაუხჩიშვილი, ფირესტე // ორესტე. „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 159—165.

თველი ისტორიკოსი ტროადის ომის ამბებს იცნობდა ბიზანტიური ქრონოგრაფიის ცნობებით“...²¹. ვფიქრობთ, ამ მონაცემების მიხედვით უეჭველია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იცნობს ბიზანტიურ ქრონოგრაფიებს, სადაც ამგვარი ცნობებია, მაგრამ ის არ მიგვაჩნია აუცილებლად, რომ ტროის ომის ამბები მან მხოლოდ ქრონოგრაფიების მიხედვით იცის და რომ ანტიკური მწერლობა მისთვის უცხოა. მან ალბათ ისიც იცოდა და ესეც და თუ მაინცადამაინც ქრონოგრაფიაში დაცული ცნობა მოჰყავს (თვით ქრონოგრაფიაში განა საიდანღა გაჩნდა ეს ცნობა, ისევ ანტიკური მწერლობიდან არა?), უპირატესად იმიტომ, რომ აქ 28 წელზეა ლაპარაკი და არა ტრადიციულ 10-ზე, რაც უფრო მისაღებია ქართველი ისტორიკოსისათვის — რა საქებაჩი არიან ტროის ომის მონაწილენი, ისინი 28 წელს იბრძოდნენ და ბოლოს ძლივს მიიღწიეს საწადელს, ხოლო „მეფისა დავითის ესეოდენა მიმართ წინაგანწყობა სამკამადმე იყო და ვერცა პირველსა კუთებასა შეუძლეს წინადადგომად“ (I, 342). ერთი სიტყვით, ომის ხანგრძლივობა 28 წელი უფრო მისაღები იყო ჩვენი ავტორისათვის (ვიდრე მასზე ნაკლები, 10 წელი) და ამიტომ არჩია ეს ვარიანტი.

აქილევსის სახელს დავით აღმაშენებლის ისტორიაში სხვაგანაც ვხვდებით: როდესაც შექებულია დავითის მონადირეობა და საუკეთესო მოისარობა. იქ ნათქვამია, რომ ის უკეთესი იყო, ვიდრე „აქილევსი, კენტავროსისაგან განსწავლულად მოისრობისა ელენთა შორის“ (I, 348—349).

აქილევსის ბიოგრაფიიდან ცნობილია: თეტიდამ რომ შვა აქილევსი, აღსაზრდელად და მოისრობის სასწავლებლად მისცა კენტავრ ქირონს. ეს ცნობა „ელენთა მეზღაპრეობაშიც“ არის დაცული²². ხოლო „ელენთა მეზღაპრეობა“, ანუ ბერძნული ორიგინალების მიხედვით გაკეთებული კომენტარები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებში მოხსენიებული მითოლოგიური ამბების შესახებ ეკუთვნის ეფრემ მცირეს (XI ს.), რაც უთუოდ კარგად იცოდა ჩვენმა ისტორიკოსმაც (თუ სხვა წყარო არ ჰქონდა მას კიდევ ხელთ). სხვათა შორის „ელენთა მეზღაპრეობაში“ კენტავრის სახელი არის ფორმით „პირონი“ აქილევსისა აპილევსი: ე. ი. ბერძნული χ გადმოცემულია ქართული ჰ-თი.

იმავე ჰომეროსის ეპოსის ხსენებისას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასახელებს „ტროადელებსა“ და „აქიველებს“, რომელთა „თხრობანი შეამკვნა“ ჰომეროსმა (I, 342). ბუნებრივია, ვინც იცნობს ჰომეროსსა და მის გმირებს. მას ისიც ეცოდინება თუ ვის ომს ეხებოდა ნაწარმოები.

დღესდღეობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი აზრია მიღებული: მართალია, ჰომეროსის ეპოსს მკითხველი საზოგადოება ადრიდანვე (VI—VIII სს.) იცნობდა, მაგრამ ძველ საქართველოში ჰომეროსის პოემების თარგმანის არსებობა კი არ არის საგულისხმებელი, არამედ მათი გადმოკეთებული ვერსიისა²³.

ჯერჯერობით ქართულ ხელნაწერთა შორის — არც ჰომეროსის ვერსიის თარგმანია ნაპოვნი და არც მისი გადმოკეთებული ვერსიისა, ისე რომ ძნელია იმაზე ლაპარაკი, რას კითხულობდნენ ჩვენი წინაპრები, რომელ ვერსიას და კიდევ მეტი, დავით აღმაშენებლის ისტორიის მიხედვით იმისი დადგენაც ძნე-

²¹ ს. ყაუხჩიშვილი, ფირესტე // ორესტე, გვ. 164.

²² ელენთა მეზღაპრეობა, გამოაქვეყნა ილ. აბულაძემ, ენიშვის „მოამბე“, X, 1941, გვ. 7.

²³ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, 1950, გვ. 90—91; შტრ. პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეცნიერება, გვ. 56—58.

ლია, ქართულად კითხულობდა მისი ავტორი ბერძნულ წყაროებს, თუ დედანში.

„ისტორიაში“ ორჯერ გვხვდება ქ. ათენის ხსენება. ერთგან ის ავტორისათვის სინონიმი სწავლულების კერისა — დავით აღმაშენებელმა ააშენა გელათი, რომელიც ასეა დახასიათებული: „რომელიცა აწ წინამდებარე არის ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შეუენიერებისად“²⁷ (I, 330—331). მართალია, ამ ნაწყვეტიდან არ ჩანს, თუ რა დროის ათენზეა ლაპარაკი, ისტორიკოსის დროინდელზე, თუ ადრინდელზე. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაინც ადრინდელზე — ათენის დიდება (არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტურული) სწორედ კლასიკურ, ანტიკურ ხანაშია. კლასიკური ხანის მერე ათენის მნიშვნელობა მაინც დიდია, მაგრამ ასეთი ცენტრები სხვაც ჩნდება ელინისტურ სამყაროში (ალექსანდრია, ანტიოქია, პერგამონი...). როგორც იერუსალემს აქვს ქრისტიანობისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც არა აქვს სხვა არცერთ ქალაქს, ასევე კლასიკური ხანის ათენიც ისაა იმ მეცნიერებებისათვის, რომელიც შემდეგი ხანის ცივილიზებულ სამყაროში ისწავლებოდა, ვითარდებოდა, რაც, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისათვის კარგადაა ცნობილი.

მეორეგან ათენი ასეთ კონტექსტში გვხვდება: როდესაც პაექრობაა ქართველთა და სომეხთა შორის (სარწმუნოებრივ საკითხებზე), ამ პაექრობაში მონაწილეობას ღებულობს მეფეც — მან „დაუყო პირი მათი და უბასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა“ (I, 357).

ბასილი დიდი ანუ ბასილი კესარიელი IV ს-ის (329—378 წწ.) გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე იყო. მან, წარმოშობით კაპადოკიელმა, განათლება მიიღო ჯერ კონსტანტინეპოლში, სადაც სწავლობდა ლიბანიოსთან, ხოლო შემდეგ რამდენიმე წელი (352—359 წწ.) დაჰყო ათენში, რომელიც იყო ცენტრი უმაღლესი ფილოსოფიური განათლებისა. აქ ის ჯერ სწავლობდა (352—356 წწ.), ხოლო შემდეგ, 359 წლამდე ვეჭილობდა. ათენში ის დაუმეგობრდა გრიგოლ ნაზიანზელს, მომავალ იმპერატორს, იულიანეს და აქვე მან ბევრჯერ გამოიჩინა თავი, როგორც ბრწყინვალე მოქალაქემ და მოკამათემ.

ქართული ენის ლექსიკაში სხვა უცხო სიტყვებთან ერთად ბევრი ბერძნული სიტყვაა დამკვიდრებული. ისინი შემოსულნი არიან ქართულში, როგორც ზეპირი მეტყველების, ასევე წერილობითი გზით. ხშირ შემთხვევაში ადვილია იმის ღადგენა, ესა თუ ის სიტყვა დაახლოებით როდის და რა გზით შემოვიდა და დამკვიდრდა ენაში, მაგრამ არანაკლებ ხშირია შემთხვევები, როდესაც ამისი გარკვევა ვერ ხერხდება.

არ შევუდგები ყველა იმ შემთხვევის აღრიცხვას, როდესაც ჩვენი ისტორიკოსი ბერძნულ სიტყვებს ხმარობს. სიტყვები: ეკლესია, მონასტერი, ბომონი, ემბაზა, ტრაპეზი, ალაპი, დიაკონი, ეპისკოპოსი, კათალიკოსი, კვირიაკე, კეისარი და სხვ. ისეთი სიტყვებია, რომლებიც ქართულ მწერლობაში თავიდანვე გვხვდება და ისიც ყოველნაირ ლიტერატურულ ძეგლში. შევჩერდებით მხოლოდ ისეთ სიტყვებზე, რომლებსაც მეტად შერჩენიათ ბერძნული იერი და

²⁷ ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ გელათში იყო აკადემია, რომ გელათი იყო სწავლულების კერა, არის სწორედ ეს ადგილი ისტორიისა, სადაც გელათი შედარებულია ათენთან.

რომლებიც ძველ ქართულ მწერლობაში სხვა, საკუთრივ ქართული სიტყვით შეიძლება იქნენ შეცვლილი (თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვები მხოლოდ ამ ძეგლისათვის არ არის დამახასიათებელი). ეს სიტყვებია: პინაკი — ὁ πίναξ — 1,33 — (ჯამი). პორფირი — ἡ πορφύρα I, 362; 363 — (ძოწი). ქარტა — ὁ χάρτης I, 341 (ქალაღი). ქსენონი — ὁ ξένων I, 331 (საავადმყოფო, დავრდომილთა თავშესაფარი). აქვე უნდა იყოს მოსატანი ორღანო — (I, 357 ἡ ἑργασίον (საკრავი), თუმცა მისი ბადალი ქართული სიტყვა არ მახსენდება. ამ სიტყვების ხმარება კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ისტორიკოსისათვის ელინური სამყარო უცხო არაა და აქედან მას სახმარად შეთვისებული აქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართული ენისათვის მის დროს (და არც მერე) საყოველთაო სავალდებულო არ ყოფილან.

ივ. ჯავახიშვილი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შეფასებისას წერდა: „ბერძნელების ისტორია იქნებოდა თუ ქრისტიანობის, ძველი წარმართ ბერძნებისა თუ სპარსელების ისტორია იქნებოდა, ჩვენი ავტორისათვის სულერთია — მას სრულებით თავისუფლად მოჰყავს ყველა ხალხების და მეფეების ცხოვრების მაგალითები და საქართველოს მდგომარეობისა და საქართველოს მეფის მოღვაწეობას იმ მაგალითებს ადარებს“²⁵. უფრო წინ კი აღნიშნავს: „...დავით აღმაშენებლის მემკვიდრე ან ერისკაცია, ან არა და თუ სამღვდელთა პირია — განათლებითა და აზროვნებით სრულიად გაერისკაცებული მწერალი ყოფილა, რომელიც თავისუფლად კითხულობდა და სარგებლობდა საერო, ძველ ბერძნულ წარმართულ მწერლობითაც კი“²⁶.

ზემოთ მოყვანილი მასალა სწორედ იმის საბუთია, რომ ჩვენი ისტორიკოსი „კითხულობდა და სარგებლობდა ...ძველი ბერძნული მწერლობითა“, ძველ ისტორიკოსთა თხზულებებით.

3. ინგოროყვას აზრით, „დავითის მატთანში არსად არ მოიპოვება რაიმე კვალი ბერძნული წყაროებით უშუალო სარგებლობისა, ყველა ცნობები ბერძნული მსოფლიოს შესახებ, რომელიც გვხვდება ამ ძეგლში, ამოღებულია იმ ტექსტიდან, რომელიც ამ დროს ქართული თარგმანების სახით არსებობდა (სახელდობრ, ამარტოლის ზრონორაფი არსენი იყალთოელის თარგმანში, იოსიფოს ფლავიოსი ანონიმი ჰუმანისტის თარგმანში; ეს ორი ძეგლი ჩვენ დრომდისაც შენახულა; ამას გარდა ომიროსისაც... ეს მწერალი მხოლოდ ქართული ვერსიის სახით იცნობდა“²⁷).

ეს დასკვნა ასე უყოყმანოდ მისაღებად არ მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ „ისტორიაში“ სავანებო, უეჭველი ნიშანი ბერძნულს გავლენის, ან ბერძნული წყაროს გამოყენებისა არ გვხვდება. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ დავითის დროს, ათონელების, ეფრემ მცირის, არსენი იყალთოელის, იოანე პეტრიწის გვერდით ისეთი კარის ისტორიკოსი, რომელიც მხოლოდ ქართულად ნაწერ წიგნებს კითხულობდა და ისტორიის წერისას მხოლოდ მათ ეყრდნობოდა?

²⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 163—164.

²⁶ იქვე, გვ. 155.

²⁷ პ. ინგოროყვა, რუსთაელის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, გვ. 60—61.

Н. Е. УРУШАДЗЕ

ЗООМОРФНЫЕ МОТИВЫ РАННЕХРИСТИАНСКИХ ХРАМОВ ГРУЗИИ

(Болнисский Сион, Свети-Цховели (V век))

Строительство и декор культовых сооружений раннего средневековья сохраняют «ряд черт, которые приходится рассматривать как переживавшие предыдущей эпохи»¹. Стремление церкви придерживаться принятых образцов христианской символики разбивалось о народно-национальные тенденции, которые не укладывались в рамки изобразительных норм и проявлялись в самостоятельных решениях.

С такими «отступлениями» духовенство принуждено было считаться, понимая, что путь приобщения народной массы к христианской религии шел через близкие ей символы и сюжеты. Отсюда, проникновение в христианские мотивы зооморфной тематики, которая занимала ведущее место в декоративно-прикладном искусстве дохристианского периода; зооморфные олицетворения выражали функции древних божеств.

Подобное же «проникновение» происходило и с крестом: придя из языческого мира в значении «универсального» оберега, крест продолжают чтить и поклоняться ему, как христианской эмблеме.

Зооморфные сюжеты Болнисского Сиона помещены на капителях, сосредоточенных главным образом в баптистерии храма. Основной и самый интересный сюжет сохранился на южной капители пилястры, близ алтарной абсиды.

Капитель делится круглым валиком по горизонтали, на два почти равных поля. Верхнее поле уводит нас в растительный и животный мир, изображенный по схеме «древа жизни» (рис. 1 а).

Сидящие львы, помещенные с двух сторон композиции остаются безучастными к пробегающей мимо них серне или лани².

Весь облик хищников и игнорирование объекта их охоты создают впечатление условности изображений, заставляя усматривать их присутствие, как неперемнное условие для воспроизведения данной композиции.

Отсюда возникает вопрос: не явилось ли это средством достижения «эффекта присутствия» важных символов, имеющих для народа особый смысл и конкретное значение?

Ответить на этот вопрос можно только после тщательного выяснения сущности самого явления, в котором кроются причины «возникновения» данных образов в связи с их местом и значением занимаемым и в декоре христианского памятника.

¹ Г. Н. Чубинашвили, Болниси, Тб., 1940, стр. 153—154.

² Там же, стр. 155—156.

Данное исследование не может опираться на аналогичные примеры того времени, т. к. подобное строительство в Грузии осуществлялось впервые. Для более верного решения поставленной задачи следует заняться анализом болнисских композиций с соответствующих позиций и направлений.

Реальнее всего исходить из исторической и изобразительной преемственности, как наиболее верного пути исследования зооморфной тематики в христианском искусстве.




Рис. № 1, а — капитель Болнисского Сиона — б — барельеф головы быка в баптистерии. — в, г — барельефы головы быка в Свети-Цховели.

При исследовании верхней композиции рельефа мы нашли отсутствие общности действия, обуславливающее логичность сюжета. В дальнейшем нам станет известно, оправдано или лишено основания подобное суждение.

В начале постараемся наиболее четко определить образы животных составляющие композиции. На верхней и нижней капителях показаны бегущие лани, на западной капители северного проема галереи, раскрытой в 1939 г., несмотря на плохую сохранность, улавливаются изображения самки оленя, кормящей олененка. На капители, в проходе южного портика, среди деревьев также видно изображение оленя. На восточной грани капители снова изображен олень у дерева.

Образ оленя в древних верованиях грузин уходит в глубь древнейших представлений об «умирающем и воскресающем» солнечном боже-

стве, отраженном в искусстве ранних земледельцев³ (рис. 2ж); а также в других многочисленных обрядах, связанных с классом этих животных и приуроченных к важным событиям в жизни многих грузинских племен. В этнографических сведениях сохранились следы верований, обращенных к этим животным приравненных к положению «молочного родства»⁴. Подобная «привилегия» давала им возможность выступать в качестве «покровителей», «патронов», представляемых ими хозяйств, в которых олень «пользовался» одинаковыми с человеком «правами». В сюжете бронзового пояса из Самтаврского некрополя эта тема получила наглядное воплощение в связи с «днем первого плуга и выгона скота», где жрец и олень на равных правах участвуют в обрядовом действии, посвященном этому знаменательному событию⁵ (рис. 2д).

Образ оленя занимает большое место и в фольклоре, ему приписывается способность перевоплощения, что косвенно и прямо указывает на переживание охотничьего времени тогда как в последующей эпохе он целиком уже связывается с земледельческой идеологией.

პროფ. მ. ალექსიშვილი ქართველი ანტიკოსების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, რომელიც თავის სამეცნიერო მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდა ანტიკური ისტორიის სოციალური და ეკონომიური პრობლემების შესწავლას. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ჩვენში საფუძველი ჩაუყარა ანტიკურობის შესწავლას მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის პოზიციებიდან. კერძოდ, ამ კონცეფციით არის დაწერილი მისი მონოგრაფია „ათენის მონათმფლობელური დემოკრატია“ — გამოკვლევა, რომელშიც ათენის დემოკრატიული წყობილების დაწვრილებით ანალიზია მოცემული. აღსანიშნავია მ. ალექსიშვილის წიგნი „აი რას ამბობს ისტორია“; საინტერესოდ დაწერილი და ფართო მკითხველისათვის განკუთვნილი შრომა მიეძღვნა ანტიკური ქვეყნების სოციალ-ეკონომიურ ისტორიას, რომელშიც ავტორმა აჩვენა ანტიკურ ქვეყნებში ძირითადი მწარმოებელი კლასების მდგომარეობა. ამასთან ერთად, კონკრეტულ მასალაზე დამყარებით ავტორმა გააშუქა ანტიკური ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ძმები გრაკხუსების რეფორმები, კატრინას მოძრაობა, მონათა აჯანყებები და სხვა.

ფართო და მრავალმხრივი იყო პროფ. მ. ალექსიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო. დიდი პოპულარობით სარგებლობს ავტორის წიგნები „ალექსანდრე მაკედონელი“ და „გაიუს იულიუს ცეზარი“, რომლებიც ანტიკურობის გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა.

ამასთან ერთად, მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ანტიკური მონობის პრობლემების შესწავლას. ამ თვალსაზრისით, მონოგრაფია „მონობა ანტიკურ ქვეყნებში“ შემაჯამებელი მნიშვნელობის შრომაა, რამდენადაც იგი ავტორის ხანგრძლივი და დაძაბული კვლევებითი მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს.

ამ ნაშრომის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეძღვნება ძველი მსოფლიოს

ისტორიის ერთ-ერთ საყურადღებო პრობლემას. ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში მონობამ, როგორც სოციალური და ეკონომიური ურთიერთობათა გარკვეულმა საფეხურმა, უდიდესი როლი შეასრულა. განსაკუთრებით დიდი იყო ანტიკური მონობის მნიშვნელობა, რომელიც თავისი შინაარსით მონათმფლობელური ფორმაციის დასრულებული, „ეტალონური“ ფორმა იყო. ესლა, როგორც დღის წესრიგში დგას ძველი მსოფლიოს სოციალური ისტორიის ახლებურად გააზრებისა და შესწავლის საკითხი, ანტიკური მონობის განზოგადებული შესწავლა უაღრესად აქტუალური მეცნიერული ამოცანაა.

სწორედ ამიტომ დასახელებული ნაშრომი, რომელიც წარმოადგენდა განსვენებული მკვლევრის სადოქტორო დისერტაციას, ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. დღეისათვის იგი წარმოადგენს საბჭოთა ისტორიოგრაფიის მარქსისტული მეთოდოლოგიის პოზიციებიდან ანტიკური მონობის მონოგრაფიულად შესწავლის ერთადერთ ცდას, რომელიც ითვალისწინებს დასახელებული პრობლემის ყველა ძირითადი საკითხის განხილვას. კერძოდ, ნაშრომში გაშუქებულია ანტიკური მონობის ისტორიის ისეთი საკითხები, როგორცაა მონობის წყაროები, მონობის ტერმინოლოგია, პრობლემის ისტორიოგრაფია, კლასობრივი ბრძოლის ფორმები და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომში გამოყენებულია დიდი ფაქტობრივი მასალა, რომელიც მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის საფუძველზეა გააზრებული. ამიტომ არის, რომ მკვლევრის ძირითადი დებულებები საკმაოდ საკითხების ირგვლივ, მეცნიერულად გამართლებულია და სწორი. ასე მაგ., მართებულია მ. ალექსიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ომები ანტიკურ ქვეყნებში იყო თავისუფალ ადამიანთა მონადქციების ძირითადი ფორმა და ამდენად, მონობის ძირითადი წყარო. საცხებით სწორია ის შეფასება, რომელსაც ავტორი აძლევს მონათვაჭრობას; ის მართებულად აღნიშნავს, რომ მონათვაჭრობის მიჩნევა მონობის წყაროდ, სერიოზული შეცდომაა, რადგან იგი მონების რიცხვს კი არ ზრდიდა, არამედ ხელს უწყობდა მათ გადანაწილებას; ამასთან ერთად, ავტორს კარგად ესმის მონათვაჭრობის მნიშვნელობა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ იგი ხელს უწყობდა მონობის განვითარებას. საერთოდ, ხაზი უნდა გაეუსვათ, რომ მონათვაჭრობის საკითხთან დაკავშირებული ავტორისეული მსჯელობა და დისკუსიები ყურადღებას

* იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა გამოკვლევის მეორე ნაწილი, რომელშიც განხილული იქნება მონათმფლობელური იდეოლოგიის საკითხები.

ოპერებს მეცნიერული სიახლით და ამდიდრებს სპეციალურ ცოდნას.

სწორია, აგრეთვე, მ. ალექსიშვილის მოსაზრებანი, რომლებსაც იგი გამოთქვამს ანტიკურ ქვეყნებში მოსახლეობის დინამიკის საკითხზე, მონათა რაოდენობაზე რომში, მონათმფლობელური ექსპლუატაციის საერთო ხასიათზე და სხვ. მართებულად მივიჩნევთ, აგრეთვე, მსჯელობას მონათა კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმების შეფასებასთან დაკავშირებით. ამასთან, ნაშრომი შეიცავს ავტორის მსჯელობას ზოგიერთ თეორიულ საკითხზე, სადაც მისი ღრვა ცოდნა და ფართო მეცნიერულ განზოგადებათა უნარი მქადავდება. განსაკუთრებით საყურადღებოა შრომის ის ნაწილი, რომელიც პრობლემის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას შეიცავს. აქ მ. ალექსიშვილი სწორად განსაზღვრავს ბურჟუაზიული და საბჭოთა ისტორიოგრაფიის საპირისპირო მიდგომას ანტიკური მონობის შესწავლისადმი. ნაშრომში სწორადაა ხაზგასმული ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც დღემდე განაპირობებენ დასავლეთის ისტორიოგრაფიული აზრის დამოკიდებულებას ანტიკური მონობის კვლევისადმი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ეს ნაწილი შესრულებულია საქმის ცოდნით და იგი დამოუკიდებელი გამოკვლევების ხასიათს ატარებს.

ამასთან გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა:

1. ჩვენი აზრით ბერძნული და რომაული მონობის ერთობლივად განხილვა ყოველთვის ვერ ამართლებს თავის თავს და მკვლევარს, რომელიც ამ ამოცანას მოკიდებს ხელს, უღარესად დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს. მ. ალექსიშვილის მონოგრაფიის კონსტრუქციული თავისებურებები არის გამოწვეული ის გარემოება, რომ მასში მასალა (ბერძნულ-რომაული) არათანაბრადაა განაწილებული და ზოგიერთი საკვანძო პრობლემა, თუ საკითხი ცალმხრივადაა გაშუქებული. ასე მაგ., ნაშრომის მესამე თავში — „მონობისა და მონათმფლობელური სახელმწიფოების საკითხი ადრეულ საბერძნეთში“, აღრიხდელი მონობის პრობლემის განხილვა უმთავრესად მხოლოდ საბერძნეთს ითვალისწინებს. რომაული მონობის განხილვა ანალიზირებული ასპექტში ნაშრომში მოცემული არ არის; მოსალადნელი იყო, რომ აღრიხდელი მონობის საკითხი რომაული მასალის გათვალისწინებით, ასევე ცალკე იქნებოდა გაშუქებული. საერთოდ, ბერძნულთან შედარებით რომაული მასალა ნაშრომში რამდენადმე დაჩრდილული ჩანს.

2. ნაშრომში განხილულია კლასობრივი ბრძოლის საკითხი. როგორც ავტორის მსჯელობიდან ჩანს, იგი კლასობრივი ბრძოლის 12. „მ ა ე ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 4

მაგისტრალურ ხაზს ანტიკურ ქვეყნებში ხედვას თავისუფალთა კლასის შიდაკლასობრივ ბრძოლაში და არა ბრძოლაში ძირითად ანტიგონისტურ კლასებს, ე. ი. მონებსა და მონათმფლობელებს შორის. როგორც მ. ალექსიშვილი აღნიშნავს, ეს ვითარება „...წითელ ზოლად გასდევს ანტიკური ქვეყნების ისტორიას...“ (გვ. 346) ჩვენი აზრით უმართებულაა მტკიცება, რომ კლასობრივი ბრძოლა ანტიკურ ქვეყნებში გარკვეული სქემით მიმდინარეობდა და ძირითადი ფორმაციული კლასების წინააღმდეგობას და ურთიერთბრძოლას ყოველთვის დაქვემდებარებული ხასიათი ჰქონდა. წამოყენებული საკითხი უღარესად რთული პრობლემაა, რომელიც უნდა განიხილებოდეს ანტიკური ისტორიის სხვადასხვა პერიოდების კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით სწორი უნდა იყოს ლიტერატურაში არსებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მაგისტრალურ ხაზად თავისუფალთა შიდაკლასობრივი ბრძოლის აღიარება მართებელია მხოლოდ იქ, სადაც მონათმფლობელურ ურთიერთობათა განვითარება შედარებით დაბალი დონით ხასიათდებოდა, მაგ., ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ასეთ პერიოდად ძველი რომის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ აღრიხდელი მონობის ხანა — ამ დროს პატრიციებისა და პლებების ბრძოლა მართლაც შეადგენდა სოციალური ისტორიის ძირითად შინაარსს.

3. არ არის სწორი მ. ალექსიშვილის მოსაზრება, რომ ანტიკური მონის უფლებრივი სტატუსი ყოველთვის ერთნაირი იყო და მონა აღრიხდელი, ე. წ. პატრიარქალური მონობის დროსაც საგანთან, ნივთთან იყო გატოლებული. ჩვენი შორს ვართ აზრისაგან, რომ ამ დროს მონებს ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, იდეალური პირობები ჰქონდათ. მაგრამ არსებობს დამაჯერებელი ფაქტები (თუნდაც XII ტაბულის კანონთა მუხლები, სადაც მონები უფლების სუბიექტებად ჩანან), რაც იმაზე მეტყველებს, რომ მონობის განვითარების აღრიხდელ ეტაპზე, როდესაც მონობას ყველ კიდევ არ ჰქონდა მასიური ხასიათი, მონა თავისი მდგომარეობით ბევრად განსხვავდებოდა კლასიკური პერიოდის მონისაგან, რომელიც კანონის თვალში განიხილებოდა უფლების ობიექტად, ხოლო წარმოების პროცესში — შრომის იარაღად. მონობა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტი იყო. ძირითადი გარემოება, რომელმაც განაპირობა ძირეული ცვლილებები მონათა მდგომარეობაში, იყო მათი დიდი რიცხობრივი სიჭარბე (ინტენსიური საგარეო ომების პირობებში), რამაც წარმო-

ეზის პროცესში მათ გაბატონებული მდგომარეობა მოუტანა. აღნიშნულ გარემოებათა უფლებელყოფა და მონათა სტატუსის წარმოდგენა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული უცვლელი კატეგორიის სახით, ჩვენ უმართებულად მიგვაჩნია.

4. ცნობილია, რომ ბერძნულ პოლისებში მონათმფლობელური ურთიერთობანი ქთანბაროდ იყო განვითარებული და დაწინაურებული ქალაქ-სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, პერიფერიებში მონობა არ წარმოადგენდა წარმოების საფუძველს. ნაშრომის 236-ე გვ. მ. ალექსიშვილი ცდილობს აჩვენოს, რომ საბერძნეთის ზოგიერთ მეორეხარისხოვან პოლისში მონათა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ბერად სჭარბობდა თავისუფალთა კლასს. კერძოდ, ქ. აპოლონიისა და კუნძულ თერას შესახებ მას მოჰყავს ადგილი არისტოტელეს პოლიტიკიდან, სადაც ნათქვამია, რომ „... თავისუფლად დაბადებულთა უმცირესობა ბატონობს არათავისუფლად დაბადებულთა უმრავლესობაზეო“, და რადგან ავტორი თვლის, რომ ამ უქანასკნელთა ქვეშ მონები იგულისხმებიან, ასკენის, რომ ამ პოლისებში მონათმფლობელთა უმცირესობა ბატონობდა მონებზეო. უნდა ითქვას, რომ დასახელებულ გამოთქმებს ანტიკურ ქვეყნებში გარკვეული სოციალური ტერმინე-

ბის მნიშვნელობა ჰქონდა. „ართავისუფლად დაბადებული“ გამოხატავდა არა იმდენად მონას, რამდენადაც გათავისუფლებულ მონას (Gai, Inst I, 10, 11); ასე, რომ არისტოტელეს ზემოთ მოყვანილ ცნობაზე დამყარებული ავტორისეული მსჯელობა, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, არისტოტელეს ამ მონაცემების მიხედვით მსჯელობას ისეთ პრინციპულ საკითხზე, როგორიცაა საბერძნეთის მეორეხარისხოვანი პოლისების მონათმფლობელური სტატუსი, უმართებულად ვთვლით. ჩვენი შენიშვნები სრულიად არ ამცირებენ სარეცენზიო ნაშრომის ღირსებას.

დასასრულ გვინდა გავიმეოროთ ზემოთ გამოთქმული აზრი მ. ალექსიშვილის ამ ახალი მონოგრაფიის მნიშვნელობისა და მეცნიერული ღირებულების შესახებ. სრულიად უდავოა, რომ წიგნი დიდ სარეგებობას მოუტანს ანტიკური მონობის ისტორიის პრობლემების ზოგად-თეორიული ასპექტების შემდგომი კვლევის საქმეს და თავის წყვილს შეიტანს მეთოდოლოგიისა და მეთოდოლოგიის საკითხების სრულყოფაში. მონოგრაფიის გამოსვლა იმ მხრივაც არის მისასალმებელი, რომ იგი ნამდვილად ამდიდრებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას ძველი ისტორიის შესწავლის დარგში.

რუსუდან გომოლაშვილი

ერთი კრიტიკული წერილის გამო

ქურნალ „მნათობის“ 1971 წლის № 12-ში დაიბეჭდა პროფ. ნ. ნაკაშიძის რეცენზია „მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან“, რომელშიც შეეცადა დაემტკიცებინა ჩვენი ნაშრომის „საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს.“ (გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1969) პრინციპულად მცდარი ხასიათი და ქართული და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხებზე ჩვენი დასკვნების უმართებულობა. აღნიშნული მიზნით მან არსებითი შენიშვნები წამოგვიყენა. ჩვენ იძულებული ვართ გავარჩიოთ რეცენზენტის ძირითადი არგუმენტები, რომელთა საფუძველზე მან ნაშრომი მცდარ მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებულად, ხოლო ჩვენი დასკვნები პრინციპულად მიუღებლად გამოაცხადა.

1. რეცენზენტმა დაიწყო იმით, რომ ვრცლად განმარტა, თუ რას ნიშნავს ორი ქვეყნის ან ხალხის ურთიერთობა. იგი თურმე ნიშნავს „მათ ინტერესთა ურთიერთშეხებას, ე. ი. დაზღვევას ან დაპირისპირებას“, ხოლო მათი ურ-

თიერთობის შესწავლა „ნიშნავს ამ ინტერესთა შესწავლას, რაც ნათესავს გახდის ურთიერთობის არსსა და ხასიათს, ხოლო თუ ეს შესწავლა ორმხრივი გამოვა“ (ხაზი რეცენზენტისაა). ამის შემდეგ იგი მოითხოვს ჩვენგან, რომ „ნაჩვენები უნდა ყოფილიყო ოსეთის ისტორიული ინტერესები, კერძოდ, რა ამოცანები ღვას ოსი ხალხის წინაშე, რა პოლიტიკური ცხოვრება, მისწრაფებები აქვს ოსეთს, რას იგებს ან აგებს ოსეთი გარკვეული პოლიტიკური კავშირებით და საერთოდ აქვს თუ არა ასეთი კავშირები“.

ჩვენ სრულიადაც არ ვთვლით, რომ ნაშრომში უნაყოფა. იგი ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის შესწავლის პირველი ცდაა. ამას დაეუმატოთ საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის ცალმხრივობა (ოსურ ენაზე წერილობითი წყაროების უქონლობა), შეზღუდულობა და ნათელი ვახლდება, რომ იგი უნაყოფოდ, სრულყოფილად გაშუქებული ვერ იქნება. ავიღოთ

თუნდაც ნაშრომის სათაური. უფრო ზუსტი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა „ქართული და ოსი ხალხების ურთიერთობა XV—XVIII სს.“. ჩვენ ნაშრომის მე-8 გვერდზე საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ განსახილველ ხანაში ცნება „ოსეთი“ ეთნიკურ-ტერიტორიული აზრით გვაქვს გამოყენებული და მოკლებულია პოლიტიკურ შინაარსს. ასეთი გაგება წითელ ზოლად გასდევს მთელ ნაშრომს, მაგრამ, ჩანს, ამან ვერ დააკმაყოფილა რეცენზენტი. შემდგომ სამეცნიერო მიმოქცევაში ნაშრომი „ქართული და ოსი ხალხების ურთიერთობის“ სახელწოდებით ფიგურირებს.

ცალკეულ ნაყოვანებათა მიუხედავად ნაშრომმა დადებითი შეფასება დაიმსახურა (იხ. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1970, № 30 და უფრ. „მაცნე“, 1970, № 3). რეცენზენტი კი მასში ფაქტურად დადებითს ვერაფერს ხედავს. დასაწყისშივე იგი მკითხველს ისე აწვდის ყველაფერს, თითქოს ჩვენ არ გვესმოდეს რას ნიშნავს ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თითქოს ეს ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ ქართველი პოლიტიკური წრეების ინტერესების თვალსაზრისით გვაქვს განხილული და ჩრდილო ოსეთის ინტერესები კი არაა ნაჩვენები. ეს შენიშვნა სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენს ნაშრომში არის სპეციალური თავი, სადაც უჩვენებია განსახილველ ხანაში ოსი ხალხის, უპირატესად ჩრდილო ოსეთის, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, როგორც განუპირობებელი მისი ურთიერთობის ხასიათისა და მასშტაბისა გარემომცველ სამყაროსთან (გვ. 53—65). მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულვართ და ნაშრომის მთელი გვერდებზე ვუჩვენეთ ურთიერთობაში მონაწილე ორივე მხარის ინტერესები. აი რამდენიმე ამონაწერი ჩვენი წიგნიდან: „ქართველი პოლიტიკური მესვეურები XVII—XVIII სს. ოსეთის სოციალური ზედაფენების მრავალწარმომადგენელს საჩუქრების, ჯამაგირების მიცემის გზით თავის მოკავშირეებად აქცევდნენ და საგარეო და საშინაო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ. ოსეთის სოციალური ზედაფენები არამარტო მატერიალურ სარგებლობას ღებულოდანდენ, არამედ თავის ძალასა და გავლენას ადგილზე კიდევ უფრო განამტკიცებდნენ“ (65). სხვა ადგილზე ჩვენ გვიწერია, რომ „ოსები მეზობელ ხალხებთან სისტემატური ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობის წინაშე იღვნენ“ (გვ. 73). ეს მოსაზრება სათანადო მასალებით არის ილუსტრირებული 73—96 გვერდებზე. ჩვენ აღნიშნული გვაქვს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან ოსთა აქტიური სამხედრო-

პოლიტიკური თანამშრომლობის ეკონომიური საფუძველი და მასთან დაკავშირებით ოსთა საქართველოში უბაჟოდ ვაჭრობის მნიშვნელობა (გვ. 94). ჩვენი მსჯელობა ამ საკითხებზე შემდეგნაირად გვაქვს შეჯამებული: „საქართველო მთიანეთის მოსახლეობის პოლიტიკურ მხარდაჭერას ყოველთვის საჭიროებდა და გასაკვირი არაა მას თავის ეკონომიური პოლიტიკით მთელი თაღმის ასეთი მხარდაჭერის განადღებობის რეალური პირობები შეექმნა. მთის ბარზე ეკონომიური დამოკიდებულება უკანასკნელს საშუალებას აძლევდა მასზე თავისი პოლიტიკური გავლენა ადვილად გაეცრელებინა... ეს ფაქტები, რომ ოსები ქართველი მეფეების პოლიტიკურ წამოწყებებში მონაწილეობის საშუალებად ქონას ღებულობდნენ, ჯამაგირები ენიშნებოდათ და სხვა უმლადათები ეძლეოდათ, იმის მოწმობას წარმოადგენს, რომ მათ ურთიერთობაში ეკონომიური მომენტი გადაამწყვეტ როლს ასრულებდა. ესეც არ იყოს, ბარის ეკონომიკასაც სჭირდებოდა მთის ეკონომიკასთან თანამშრომლობა“ (გვ. 95—96). ვფიქრობთ, საკმარისია. ამ ამონაწერებში ლაპარაკია ორივე მხარის ინტერესებზე, მათი დამთხვევის წერტილებზე. განა ეკონომიური ფაქტორი ოსთათვის მათი ქართველებთან პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველს არ ქმნიდა? ვინც ნაშრომს წინასწარი განზრახვის გარეშე გაეცნობა, ის მასში ნახავს ორივე მხარის ინტერესებს ურთიერთთან მიმართებაში თუ ჩვენი მსჯელობა სწორი არაა, რეცენზენტს ეს უნდა ეთქვას.

ნ. ნაკაშიძე შეგვიზიანავს, რომ საქართველოს ურთიერთობას ოსეთთან ჩვენ მხოლოდ საქართველოს ინტერესების, მისი ისტორიის თვალსაზრისით და თანმიმდევრობით განვიხილავთ. თუ კი ამ ნაშრომში საქართველოს ინტერესები უფრო გამოკვეთილად ჩანს, ეს, როგორც ნაშრომში აღვნიშნავდით, აიხსნება იმით, რომ „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობაში ტონის მიმცემი და ინიციატორი სწორედ საქართველო იყო. იგი თავის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების შესაფერის ურთიერთობას ამყარებდა მეზობელ ხალხებთან, მათ შორის ოსებთან“ (გვ. 52). აღნიშნული გარემოება განპირობებულია ისტორიული წყაროების ცალმხრივობითაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეცენზენტი არ ითვალისწინებს ჩრდილო ოსეთის შინაპოლიტიკური მდგომარეობის სპეციფიკას. ეს ამჟღავნად ჩანს იმ ანალოგიიდან, რომელსაც ის ჩრდი-

ლო ოსეთსა და დაღესტანს შორის ავლებს. მაშინ, როდესაც ჩრდილო ოსეთში იმ დროს თითოეული თემი თუ ხეობა წარმოადგენდა კარჩაეტილ პოლიტიკურ ერთეულს, დაღესტანში იყო მსხვილი ტერიტორიულ-პოლიტიკური გაერთიანებები (ავარიის სახანო, სამაშლო და სხვ.), რომლებიც თავისი პოლიტიკური წონით არა მხოლოდ ქართულ სამთავროებს, არამედ ზოგ შემთხვევაში სამეფოებსაც უტოლდებოდნენ. გასაგებია, აღნიშნულს გამო, ჩრდილო ოსეთის ქართულ სამეფოებთან რეგულარული პოლიტიკური ურთიერთობა რამდენადმე უფრო ღამნელებული იყო და განსხვავებულ ხასიათსაც ატარებდა.

2. მთელი მსჯელობა, თუ როგორ უნდა გვესმოდეს სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობა ნ. ნაკაშიძეს იმიტომ დასჭირდა, რომ დამატაციოს ქართველებსა და სამხრეთ ოსების შორის რაიმე რანგის ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობის არ არსებობა. რადგან ყველა ესენი მის მიერ მოხაზულ სქემაში ვერ თავსდება, იგი მათ ხელოვნურად შექმნილ პრობლემებად მიიჩნევს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ქართველ ხალხთან ურთიერთობაში სამხრეთისა და ჩრდილოეთის ოსები სხვადასხვა როლს ასრულებდნენ. ნაშრომში არაერთხელაა ზაზგასმული ის გარემოება, რომ სამხრეთ ოსები საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე დამკვიდრების შემდეგ ქართული სამყაროს განუყოფელ, ორგანულ ნაწილად იქცნენ და მისი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების სიუკავარგის თანამონაწილენი შეიქნენ. რაც შეეხება ჩრდილო ოსებს, ისინი საქართველოს მოკავშირეებად გამოდიოდნენ (გვ. 6, 7, 8, 11, 14, 67, 68, 130, 147, 160 და სხვ.). ასე რომ, ქართული პოლიტიკური წრეებისათვის სამხრეთ ოსებთან ურთიერთობა საშინაო პოლიტიკაა, ჩრდილო ოსებთან ურთიერთობა კი — საგარეო პოლიტიკა. მაგრამ ორივე შემთხვევაში რომ პოლიტიკურ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, ამაზე კამათი ზედმეტია.

სამხრეთ ოსების მიმართ ქართული სამყაროს პოლიტიკური ურთიერთობის უარყოფას რეცენზენტი იმით ასახულებს, რომ მასში არავითარი სპეციფიკური ნიშანი არ იყო. ეს არ შეიძლება არგუმენტად გამოდგეს. ის ფაქტი, რომ ოსები სხვა ეთნიკურ სამყაროს ეკუთვნოდნენ, თავისთავად უკვე სპეციფიკურ ნიშანს ქმნიდა. სამხრეთ ოსები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში. ისინი ხშირად მწვავე სოციალურ ბრძოლას ეწეოდნენ ცალკეული ქართველი ფეოდალებისა და, ზოგ შემთხვევაში, სამეფო ხელისუფლების წინა-

აღმდეგ. თითოეული ეს მომენტი განსაზღვრულ სპეციფიკას ქმნიდა ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობაში. ამიტომ ამ სპეციფიკის საჩვენებლად რაიმე დამატებითი ნიშნების ძიების საჭიროება არ არსებობს.

3. რეცენზენტმა ხელზე დაიხვია ჩვენი დასკვნა, რომლთაც სამხრეთ ოსების ქართველ ხალხთან ეკონომიური ურთიერთობა ეკალიფიცირებულია როგორც მთისა და ბარის ეკონომიკათა ურთიერთობა, რომლის ხასიათსა და ფორმებზე ეთნიკური მოპენტის გაუღება ანგარიშგასაწყებად არ მივიჩნევთ (გვ. 68). ასეთად მივიჩნევთ ჩრდილო ოსების ურთიერთობაც საქართველოს ბართან. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა საკითხის ირგვლივ არსებული ფაქტიური მასალის ანალიზმა და ეს ნაშრომის ერთ-ერთ დამსახურებად მიგვაჩნია. პროფ. ნ. ნაკაშიძემ დასკვნა კი სამართლიანად მიიჩნია, მაგრამ აქედან მოულოდნელი ბრალდება წამოგვიყვანა — თუკი სამხრეთელ ოსთა ეკონომიური კავშირებს ქართველებთან არავითარი ეთნიკური და ტერიტორიული (ეს უკანასკნელი რეცენზენტის შენატანია და მდებარე, რადგან ტერიტორიული განსხვავება საგრძობი იყო) სპეციფიკა არ გააჩნდა, ქართული მთისა და ბარის ურთიერთობისაგან არ განსხვავდებოდა, მაშინ „რა შუაშუა სამხრეთ ოსების ეკონომიური ურთიერთობა საქართველოსთან“-ო.

ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიური ურთიერთობის მთისა და ბარის ურთიერთობად აღიარება სრულიად არ ნიშნავს, რომ მას თავის სპეციფიკა არ ჰქონდა. ამ ხალხთა ეთნიკური განსხვავება მათ ეკონომიურ, თავის ხასიათით მთისა და ბარის, ურთიერთობას პოლიტიკურ ასპექტსაც ანიჭებს. ამის გამო მისი გაიგივება ქართველი ათიულების ბართან ურთიერთობასთან დაუშვებელია.

4. პროფ. ნ. ნაკაშიძე უსაფუძვლოდ ეჭვქვეშ აყენებს საკითხს იმის შესახებ — შედის თუ არა სოციალური სფერო ორი ხალხის ურთიერთობის ცნებაში. იგი სერიოზულად გესაყვედურობს ქართულ ფეოდალურ წრეებთან სამხრეთ ოსთა სოციალური დამოკიდებულების ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ცნებაში შემოტანას. ამ შემთხვევაში იგი ცდილობს წინააღმდეგობაში დაგვიჭიროს. ჩვენ ვთვლით, რომ სამხრეთელ ოს გლეხთა სოციალური მდგომარეობა არსებითად ქართველი გლეხის მდგომარეობას ჰგავდა, რომ მათ შორის გლეხთა იგივე სოციალური კატეგორიები გვხვდება, რომლებიც გავრცელებული იყო ქართლის სამეფოში. რეცენზენტი ამ საფუძველზე უმართებულად მიიჩნევს ჩვენს ცდას — ქართულ სინაღდელში ოსი ყმა-გლეხობის აღ-

გცლის ჩვენებას რაიმე სპეციფიკური ნიშნის უქონლობის მოტივით.

ზედმეტად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ერთი ეროვნების ხალხის სხვა ეროვნების ფეოდალებზე დამოკიდებულება ურთიერთობის გარკვეული ფორმაა. ოს ყმა-გლეხთა ეთნიკური განსხვავება ქართველ ყმა-გლეხთაგან განათვისთავად უკვე არ ჰქმნიდა სპეციფიკურ ნიშანს? როგორ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მას შესწავლა არ სჭირდება. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ის პირობები, რომლებშიც ეს დამოკიდებულება წარმოიქმნა.

5. რეცენზენტი გვსაყვედურობს, რომ ჩვენ ვჩქმალავთ სამხრეთ ოსური საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციას და მას სოციალურად ერთფეროვნად წარმოვიდგენთ. რეცენზენტს მოაქვს ადგილები ჩვენი ნაშრომიდან, რათა დაასაბუთოს ოსთა შორის კლასობრივი დიფერენციაციის არსებობა, მაგრამ ძირითადი საბუთი მისი არის ვახუშტის ცნობა, რომლის თანახმადაც „თავნი და წარჩინებულნი მათნი (ე. ო. ოსთა — გ. თ.) არიან მაჰმადიანნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტიანნი“. მაგრამ რეცენზიაში მოყვანილი ამონაწერები ჩვენი შრომიდან, განსაკუთრებით კი ვახუშტის ცნობა ეხება ჩრდილო ოსეთს და არავითარი კავშირი არა აქვთ სამხრეთ ოსებთან. სამხრეთ ოსთა შორის მაჰმადიანობა არ ყოფილა არც ვახუშტის, არც სხვა დროს. სამხრეთ ოსთა შორის ჩვენ ვერ ვხედავთ ოსთავადს თუ აზნაურს და ეს საეცებით გასაგებია. ფეოდალური საქართველოს პირობებში აქ გადმოსახლებული ოსები სამეფო ხელი-სუფლების ან ფეოდალთა დამოკიდებულებაში ექცეოდნენ, ე. ო. სოციალურად ერთიან, დაყმევებულ ფენად წარმოვიდგებოდნენ. საქართველოში გადმოსახლების დროისათვის ოსური საზოგადოება სოციალურად ერთგვაროვანი არ იყო და პრივილეგიებული წრეებიდან ზოგიერთი ახერხებდა გზის გააფხვას ფეოდალური კლასისაკენ. მაგრამ ასეთები მალე კარგავდნენ თავის ეროვნულ სახეს და ქართველ ფეოდალებად იქცეოდნენ. ჩვენ ამ გარემოებას ხაზს ვუსვამთ ნაშრომის სათანადო ადგილებზე (გვ. 203—204) და რეცენზენტის ეს შინაშენა უმართებულოდ მიგვაჩნია.

მაგრამ წარმოვადგენთ რა სამხრეთ ოსური მოსახლეობას ქართლის მეფის თუ ფეოდალების სოციალურ დამოკიდებულებაში, ჩვენ ერთი წუთითაც არ ვიფიქრებთ მათ შორის ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის არსებობას. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ქართველი ფეოდალები ცალკეულ ოს ყმა-გლეხებს თარხნობას, თანამდებობებს უწყალობებდნენ, ადგილებზე მათი სახით დასა-

ყრდენს იქმნიდნენ. ეს უკანასკნელი დიდად დასებდნენ ასეთ წყალობას და ერთგული სამსახურით შემწყვალბებისადმი განამტკიცებდნენ თავის მდგომარეობას (გვ. 170—171, 180—181, 185—186). მაგრამ ასეთი დიფერენციაცია, ვიმეორებთ, კლასობრივში არ გადაზრდილა და არსებულ პირობებში ვერც გადაზრდებოდა.

6. ნ. ნაკაშიძე სადავოდ ხდის საქართველოს ტერიტორიაზე ანუ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე ოსთა გადმოსახლების საწყისი ეტაპის XIII ს. მიერ ჩახევირით დათარიღების ჩვენ მიერ გაზიარებულ აზრს და საეცებით უმართებულოდ მას „თოგოშვილის კონცეფციას“ ეწოდებს. ამასთან მას უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ ეს თვალსაზრისი თავის დროზე წამოაყენეს აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა და პროფ. დ. გვრიტიშვილმა. ეს თვალსაზრისი გატარებული იყო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებშიც. ჩვენ ეს თვალსაზრისი გავიზიარეთ და მასზე დაწერილებით ეხერხებით შრომაში: „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე)“, ცხინვალი, 1958. სხვა საკითხია, რომ ნ. ნაკაშიძე იზიარებს ვ. გამრეკელის აზრს, რომლის მიხედვით ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლება XV საუკუნიდან იწყება.

7. რეცენზენტის თვალსაზრისზე დვალების შესახებ, დაწერილებით უნდა შეგჩერდეთ...

პირველ რიგში, იგი გვსაყვედურობს, რომ ნაშრომში არ მოგვეყვას დვალთა ეთნიკური ვინაობის შესახებ არსებული სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები. რეცენზენტს „ავიწყდება“, რომ ეს საკითხი ჩვენ დაწერილებით გვაქვს განხილული სხვა ნაშრომში („საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან“ (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), ცხინვალი, 1958), რომელსაც ჩვენ ვუთითებთ ნ. ნაკაშიძის მიერ რეცენზირებული ნაშრომის მე-11 ვერსიულზე და ამ პირობების ირგვლივ სხვადასხვა ავტორთა შრომებსაც ჩამოვთვლით.

ახლა შევეხოთ იმას, არსებობდნენ თუ არა ვახუშტის დროისათვის, ე. ო. XVIII ს. პირველი ნახევრისათვის დვალები როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეული. ჩვენ, როგორც სხვა მკვლევართა უმრავლესობა, ვთვლით, რომ ამ დროისათვის ადგილზე დარჩენილი დვალური მოსახლეობა (დიდი ნაწილი ბარში ჩამოვიდა და გაქართველდა) ასიმილირებულ იქნა ოსთა მიერ. ნ. ნაკაშიძეს მიაჩნია, რომ ოსთა მიერ დვალების ასიმილიაცია ვახუშტის დროს დაწყებული იყო, მაგრამ „არა-

ვითარ შემთხვევაში დასრულებული“. რა საფუძველს ემყარება ჩვენი (და სხვა მკვლევართა) მოსაზრება? პირველ რიგში იმას, რომ ვახუშტი დეალთა ენას „ძველს“ (მკვდარს), ე. ი. ხმარებიდან გამოსულ ენას უწოდებს: „ენა აქუსთ ძველი, დეალური და აწუბნობენ ოსურსა საკუთრად“ (ხაზი ჩვენია — გ. თ.), ე. ი. დეალები მხოლოდ ოსურ ენაზე ლაპარაკობენ. ვახუშტი ამა თუ იმ ხალხის აღწერისას ყოველთვის ასახელებს მათ მშობლიურ ენას და ავრთვე იმასაც, თუ რომელი ენის ცოდნაა გავრცელებული მათში. მაგ., ვახუშტი სვანებზე წერს, რომ „ენა თვისი აქუსთ, საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა“ (აღწერა, გვ. 173). ასევე აფხაზებთან დაკავშირებით წერს: „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (აღწერა, გვ. 172). არაფერ ამის მსგავსს არ შეიცავს ვახუშტის თხზულება დეალებთან დაკავშირებით. დეალებმა ოსური ენა კი არ იციან თავის მშობლიურ „ძველ დეალურთან“ ერთად, არამედ „უბნობენ ოსურსა საკუთრად“, ე. ი. ოსური ენა მათთვის ერთადერთ ენად არის ქცეული. რომ დეალთა ეთნიკური ინდიკატორება ვახუშტის დროისათვის საკვებით გამჭრალია, ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი ისიც არის, რომ ვახუშტის რუკებზე ისტორიულ დეალურთა მხოლოდ ოსური სამოსახლოებია აღნიშნული. არც ერთი სოფელი, დეალებით დასახლებული, ვახუშტის თავის რუკაზე აღნიშნული არა აქვს.

რაც შეეხება ნ. ნაკაშიძის მტკიცებას, რომ დეალები, ენის გარდა, ოსებისაგან სარწმუნოებით, ზნით, ჩვეულებებით განსხვავდებოდნენ, აგებულია ვახუშტის სათანადო ცნობების არასწორ ინტერპრეტაციაზე. ვახუშტი არსად დეალეთს ოსეთისაგან არ გამოყოფს. „ოსეთს“ კი, რომელიც ვრცელდება „ქართლის კავკასილამ ჩერქეზის კავკასამდე“ (ე. ი. მოიცავს ისტორიულ დეალეთს მთლიანად), ასე აღწერს: „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზისანი, და უფროს დეალნი. არამედ აწინდელთ ეამთა დეალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი... არა უვისთ მღვდელი და უნათლისღებონი არიან, თვნიერ რომელი ქართლსა და რაჟას მონათულან“ (აღწერა, გვ. 110). ვახუშტიმ კარგად იცოდა, რომ ჩრდილო და სამხრეთ ოსები (ანუ დეალეთის ოსები) სარწმუნოებრივად ერთი და იგივე არ იყვნენ, რომ ჩრდილო ოსეთის საზოგადოებათა „თავნი და წარჩინებულნი... არიან შამხადიანნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, ვარნა უმეტარნი ორივეს რაქულისანი“ (იქვე). ეს სავსებით გასაგებია ჩრდი-

ლო ოსეთში, ყაბარდოს გავლენით, წარჩინებულებმა შამხადიანობა მიიღეს. დეალეთში ეს არ მომხდარა, იგი ნიქოზის კათედრალის სამწყსოდ რჩებოდა, ქართლის სამეფოში შედიოდა და ქრისტიანული რელიგიის ბაზა აქ რამდენადმე უფრო ძლიერი იყო, იმის მიუხედავად, რომ ისინიც არსებითად ისეთივე „უმეტარნი“ და „უნათლისღებონი“ იყვნენ, როგორც ჩრდილო ოსეთის „დაბალნი გლეხნი“.

ვახუშტის „აღწერაში“ ქართლის მთელ რიგ მთიან ხეობებში აღნიშნულია ოსური მოსახლეობის არსებობა. მაგ., ეამურს „მსახლობელნი არიან ოცსნი“ (გვ. 69). „ენათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს ქევი გერისა. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი“ (გვ. 70); „აწერის — ქვეს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად“ (გვ. 71); მღრან-დეალეთშიც „მსახლობელნი არიან ოსნი“ (გვ. 71); „სვერს ზეით რომელი ლიახვის ხეობა აღესწერეთ, არს უვენახო, უხილო; მსახლობელნი არიან ოსნი, დეალნი“ (გვ. 78). თრუსოში (აღწერილია ზეთან ერთად) „მოსახლენი არიან ოსნი, დეალნი“ (გვ. 66). იმერეთის რაიონ კუდაროშიც „მოსახლენი ოსნი“ არიან (გვ. 160).

რა მიმართებაა დეალეთის მოსახლეობასა და ქართლის ხეობათა მოსახლეობას შორის? ვახუშტი წერს: „არამედ ქეობანი ესენი (კასრის ხევი, ჟღელისხევი, ზარამაგა, ნარა, ზროგო, ზახა, თრუსო — გ. თ.) რომელი აღესწერეთ მღრანდეალეთითურთ, არიან დეალეთი. და კვალად დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, ქსნის-ქვეისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დეალნივე, ამ დეალეთიდან გარდასულნი, რაქულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“ (გვ. 115). უფრო ადრე, როცა ქართლის მთიანეთის რაიონებში მცხოვრებ ოსებს ასახელებდა, ვახუშტიმ საგანგებოდ გააფრთხილა მკითხველი, რომ „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებოლან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბარს შინა ჩამოსულან, ვინაიდგან ბეტრთაგან ბარს შინა კაცნი შემციკრებულან. არამედ ჩვეულებასა ამ ოსთასა დავსწერთ მის ადგილს, ოსეთის აღწერასა შინა“ (გვ. 71).

ვახუშტის ამ ნათელი ცნობების შემდეგ ოსთაგან განსხვავებული დეალების ძიება უკვე სავსებით ზედმეტია. ვანა შემთხვევითია, რომ ვ. გამრეკელს, დეალებისა და დეალეთის შესახებ ერთადერთი მონოგრაფიის ავტორს, XV საუკუნე მიაჩნია მათი როგორც განსაკუთრებული ეთნიკური ერთობის გაქრობის დრო (Двалы и Двалетия в I—XV вв., თბ., 1961, გვ. 139). XVI ს-ში მიმდინარეობს დეალთა დე-

ნაციონალიზაცია, ხოლო XVII ს. დამდეგისათვის „двады как особая этническая общность перестают существовать“ (იქვე, გვ. 143).

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ XVII—XVIII სს. ქართულ წყაროებში (იხსენებთბლელი, არჩილ მეფე, პაპუნა ორბელიანი, ვახუშტის ისტორია) „ღვალეთი“ და „ოსეთი“, „ღვალი“ და „ოსი“ სინონიმებს წარმოადგენენ.

როგორც ვხედავთ, კონკრეტული ისტორიული მასალა უარყოფს ნ. ნაკაშიძის მტკიცებას ღვალეების რეალურ არსებობაზე XVIII საუკუნეში.

8. სადავოა ნ. ნაკაშიძის მსჯელობა დარიალის გზის ისტორიულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ეს გზა XVIII ს. შუა ხანებიდან საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელი ძირითადი არტერია გახდა. რეცენზენტი ამკარად აყენებს რა ამ გზის მნიშვნელობას, ამასთან ერთად უარყოფს იმ როლს, რასაც ამ გზის კონტროლის საქმეში თავაურელი ოსები ასრულებდნენ. ნაშრომში ჩვენ საკმაოდ ვრცლად ვუჩვენეთ ის მძაფრი ბრძოლა, რომელიც XVI—XVII სს. მიჯნაზე, განსაკუთრებით XVII ს. დამდეგს გაიშალა დარიალის გზის კონტროლთან დაკავშირებით ყაზარდოელ თავადებს, თავაურელ ოსებს, არაგვის ერისთავსა და ქართლ-კახეთის სამეფოთა შორის. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ ბრძოლაში თავაურელ ოსებს გზის გარკვეულ მონაკვეთზე თავისი უფლებები განუმტკიცებიათ. ამის შესახებ რეცენზენტი შეეახსენებთ ნაშრომში მოყვანილ ფაქტებს: 1. გიორგი ქართლის მეფე 1604 წელს რუს ელჩებს მ. ტატიშჩევს და ა. ივანოვს სთხოვდა მეთოფეთა რაზმს თავაურელი ოსების მორჩილებაში მოსაყვანად; 2. ყაზარდოელი თავადი აიტეკა-მურზა დაბეჭითებთან სთხოვდა ქარს თერგის ვოევოდის ოსთა დაამორჩილებდნენ, რათა ამ გზით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა არ შეფერხებულყო (გვ. 18, 23) სამწუხაროდ, რეცენზენტმა ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები ჩვენს ნაშრომში რატომღაც „ვერ შეამჩნია“.

განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ ერეკლე II და გიორგი XII ყოველთვის ცდილობდნენ თავაურელ ოსთა კეთილგანწყობილების მოპოვებას, გულგონიან პირობს წამაგირს უნიშნავდნენ და აზნაურობის პატივს ანიჭებდნენ? რეცენზენტმა გვერდი აუარა ამ ფაქტებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოსები ამ გზაზე მხოლოდ ყაჩაღობას ეწეოდნენ. ასეთი მსჯელობა საკითხის გაუბრალოების ამკარა ნიშნულია.

ასევე მიუღებელია მისი მსჯელობა ოსეთის სამხედრო გზის შესახებ. იგი შეგვნიშნავს, რომ „ნ. ბერძენიშვილი ამ გზას რატომღაც ღვალეთის გზას უწოდებს“ (მან კვლავ „ვერ

შეამჩნია“ ნაშრომის მე-40 გვერდზე ჩვენს სიტყვები, რომ ეს გზა ძველ ქართულ წყაროებში „ღვალეთის გზის“ სახელწოდებით არის ცნობილი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი უარყოფს ამ გზის გასწვრივ მცხოვრებ ოსთა როლს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საქმეში, რადგან მისი აზრით, თურმე „რაქასა და ყაზარდოს შუა მდებარე ტერიტორია ქართლის მეფის ყმა იყო... ხოლო რუსეთში წასვლის 1400-კაციანი ამალით ვახტანგი, დარწმუნებული იქნა ვიყოთ, დიგორელ ოსებს არ კითხავდაო“. რეცენზენტის ამ სიტყვებს დაზუსტება სჭირდება. ცნობილია, რომ ღვალეთსა და ყაზარდოს შუა ჩრდილო ოსეთის ტერიტორია იყო, რომელიც „ქართლის მეფის ყმა“ არ იყო და მათი თანხმობის გარეშე ამ გზაზე ვერც რუსი და ვერც ქართველი ელჩები ვერ დადიოდნენ. ვახტანგ VI კარგად ვერკვედა ჩრდილო კავკასიაში არსებულ ვითარებაში. ამიტომ ვიდრე რუსეთში წაეიღოდა, დიგორელ და ყაზარდოელ ფეოდალებს წინასწარ დაუტყავიროდა და შეუთანხმდა მათი ტერიტორიების გაყლის თაობაზე.

მაგრამ გზებთან დაკავშირებით რეცენზენტი უფრო შორს წაეიდა. მან წარმოიდგინა, რომ ჩვენს ნაშრომსა და ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევებს“ (I, 1969) შორის საქართველოს ჩრდილო კავკასიისთან დამაკავშირებელ გზებზე, მათ განლაგებაზე შეუსაბამობა არსებობს. „ნარკვევებში“ სავსებით სავარაუდოდ არის აღნიშნული, რომ ეს გზები გადიოდა ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზეც, ოსეთზეც, მცირე ყაზარდოზეც და ამ გზებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (ელჩობათა გაცვლაში და სხვ.) დასახელებული ხალხები გარკვეულ ხელშემწყობ როლს ასრულებდნენ. ნარკვევებსა და ჩვენს ნაშრომს შორის გზების საკითხზე წინააღმდეგობა კი არაა, უბრალოდ მათში სხვადასხვა გზებზეა, ან ერთი გზის სხვადასხვა მონაკვეთზეა საუბარი.

9. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეცენზენტის ბრალდება, თითქოს ჩვენ ისტორიას „დაუბათობის თეორიით“ ვწერთ. ამის „საფუძვლი“ მას იქნა ნაშრომში ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ამა თუ იმ საკითხზე ჩვენ მიერ გამოთქმულმა ზოგიერთმა ვარაუდმა, რომლებიც მან მთელი შრომიდან გულმოდგინედ ამოკრიფა და დანომრა. ეს ვარაუდები ეხება XV ს. კონსტანტინე მეფის დამხმარე „მთიულ-კავკასიათა“ ლაშქარში ოსთა მონაწილეობას, ქსნისა და არაგვის საერისთავოთა ტერიტორიაზე XVI დამდეგისათვის ოსური მონაწილეობის არსე-

ბოდან, გ. სააკაძის და თეიმურაზის მეთაურობით ქართველი ხალხის ანტიირანულ ბრძოლაში, ბახტრიონის ეპოქაში, აგრეთვე აღა-შაჰ-მად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში სამხრეთ ოსთა შესაძლო მონაწილეობის საკითხს. მაგრამ განა მართო დასახლებული შვიდი ვარაუდისაგან (რეცენზენტს არც ერთი ვარაუდი არ გამოჩნდა) შედგება ნაშრომი და მასში ასეულობით უეჭველი ფაქტი არაა მოყვანილი? განა ჩვენი ვარაუდები უსაფუძვლოა? რეცენზიდან ჩანს, რომ ნ. ნაკაშიძე იზიარებს ვ. გამრეკელის აზრს XV ს-ში საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი დამკვიდრდნენ ქართლის მთიანეთის ჩრდილო ნაწილში. ამ მთიანეთს კი ქსნისა და არაგვის ერისთავები ფლობდნენ. მაშ რატომ არ შეგვეძლო ჩვენ გვეთქვა, რომ XVI ს. დამდეგს ამ საერისთავოებში ოსური მოსახლეობაც იყო, რომელიც ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდა? შეიძლება დავა იმაზე, ეს მოსახლეობა ცოცხალი იყო თუ ბევრი, მაგრამ ჩვენი ეს ვარაუდი სავესებით კანონზომიერია.

ჩვენ აგრეთვე დავუშვით, რომ სამხრეთელ ოსებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ მარტყოფმარაბდის, ბახტრიონის თუ კრწანისის ბრძოლებში. ეს ვარაუდი ემყარება ისტორიული ვითარების სრულ გათვალისწინებას. დვალეთის ოსები სააკაძის გამგებლობაში იმყოფებოდნენ და როგორ შეიძლება გამოერიცხთ ისინი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის მონაწილეთა რიგებიდან? ამ ბრძოლებში ხომ ქსნისა და არაგვის საერისთავოთა მოსახლეობაც ძალზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა? ეს მოსახლეობა კი განსაზღვრული ისტორიული პროცესების შედეგად შერეული, ქართულ-ოსური იყო. იგივე ითქმის ოსთა მონაწილეობაზე კახეთის 1659 წლის აჯანყებაში. ის ფაქტი, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში ყოველთვის სათანადო ცნობები არა გვაქვს, არ ნიშნავს, რომ ოსები არ მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ ბრძოლებში. რუსეთ-თურქეთის 1769—1774 წწ. ომში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიულ წყაროებში არც ერთი სიტყვა არ გვხვდება ოსთა მონაწილეობაზე, მაგრამ ჩვენ მოგვეყავს უცილობელი დოკუმენტური მასალა, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ერეკლე II ამ კამპანიაში თურქთა წინააღმდეგ 1000-მდე ოსი მონაწილეობდა (გვ. 147—149). ასპინძის ბრძოლაში „შენდ გარჯილ“ და დაღუპულ ბოლათიყო ზეთაგურის ოჯახს ერეკლემ ცხინვალში სახასო მამული უბოძა. აღა-შაჰ-მად-ხანთან ბრძოლის მონაწილეებადაც ჩანან ოსები. იოანე ბატონიშვილ-

მა თუაურ ხოსროს აღა-შაჰ-მად-ხანთან ბრძოლის დროს გამოჩენილი ერთგულებისათვის მამული და თარხნობა უბოძა. აღა-შაჰ-მად-ხანის თბილისზე ლაშქრობის აქტიური მონაწილის, განჯის ხან ჭავჭავაძის წინააღმდეგ 1796 წელს დავით ბატონიშვილის სარდლობით მოწყობილ ლაშქრობის დროს განჯის კედლებთან მოკლულ იქნა ჭავჭავაძის ერთგული მხედართმთავარი არზუშანი. იგი მოკლა დავითის მედროშემ („ბავრავის მტკირთველმა“) ოსმა მეომარმა გივიმ¹. აქამდე ცნობილ წყაროებში არაფერია ნათქვამი კრწანისის ომში ყაზარდელთა მონაწილეობაზე, მაგრამ უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი მასალებით დასტურდება 400-კაციანი ყაზარდელი რაზმის მონაწილეობა ქართველთა მხარეზე, რომელთაც კინაღამ ტყვედ ჩაიგდეს აღა-შაჰ-მად-ხანი².

ასე რომ, ჩვენს ვარაუდებს საკმაო საფუძველი აქვთ.

10. რეცენზია კიდევ მრავალ უსაფუძვლო ბრალდებას თუ მოსაზრებას შეიცავს. ნ. ნაკაშიძე ბრალს გვდებას, თითქოს ჩვენ XVII ს. ცხინვალში ოსური მოსახლეობის არსებობას ვამტკიცებდეთ. ეს სრული გაუგებრობაა. ჩვენ აღნიშნული გვექონდა, რომ გ. სააკაძე ცხინვალისა და დვალეთის მოურავი იყო. დვალეთი ამ დროისათვის ოსური რაიონი იყო და ჩვენც ამას გავუვსოდ ხართ. ცხინვალი ოსებით დასახლებულად არათუ XVII ს-ში, არამედ XVIII—XIX სს. არ მიგვაჩნია და ეს აზრი გატარებულია არა მარტო სარეცენზიო ნაშრომში, არამედ ჩვენს სხვა ნაშრომშიც („ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801—1921 წწ.“, თბ., 1969, გვ. 24, 48—49), რომელსაც ნ. ნაკაშიძე მხოლოდ თავის მიზნისათვის იმორწმუნა.

მედარია რეცენზენტის განცხადება, თითქოს შაჰ აბასის ქართლ-კახეთში პირველი შემოსევის დროს ნიქოზიდან მას ყაზარდოში ელაშქროს და ერთი ყაზარდელი ფეოდალიც დაემორჩილებინოს. აქ საქმე ეხება მხოლოდ დიდი ლიახვის სათავისა და დვალეთის ოსების დარბევას, რაც ცხადად ჩანს ფ. გორგიჯანიძისა და ისკანდერ მუნშის სათანადო ცნობებიდან. ამასთან დაკავშირებით არასწორადაა გავებული ნ. ვეველიოვის მიერ მოყვანილი ცნობა. ყაზარდელიც თავიდან (და არა მთავარი, როგორც ნ. ნაკაშიძე წერს) მუდარ ალქასოვი შაჰმა კი არ დაიმორჩილა ყაზარდოზე ლაშქრობის შე-

¹ თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბატონიშვილის ისტორია, თ. ენუქიძის გამოც., თბ., 1972, გვ. 55.

² ზ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970, გვ. 166.

დეგად (რომლის დროსაც რატომღაც ქართლ-კახეთი და ოსები ააოხრა და იმერეთიდან თეიმურაზ და ლუარსაბ მეფეების ხელში ჩაგდება სურდა), არამედ იგი სხვა თავადებთან წაჩხუბების ნიადაგზე თითონ ეწვია მას და ამით თანამოძმეთა უქმაცოფლება გამოიწვია.

11. პროფ. ნ. ნაკაშიძემ არარეალური მოსაზრება წამოაყენა თეიმურაზ I 1662 წ. სიგელთან დაკავშირებით. ამ სიგელის მიხედვით თეიმურაზმა თავის ერთგულ ქვეშევრდომს, ჩერქეზ ალადაღის ძე გიორგის „უბოძა გარდიშვილის საგანაყოფო და აწ ვინცაინ ჩერქეზი და ოსი აზნაურიშვილი იყო, მათი მამულითა ხელშეუღლად სრულობით ჩერქეზი და ნაოხარი ნასოფლარები მათი საზღვრითა“. ნ. ნაკაშიძემ თავისებურად განმარტა ეს საბუთი, წინ წამოსწია მისი ის ადგილი, სადაც წერია: „და გიბოძეთ ჩერქეზში რაც ჩვენი სახასო იყო უქლებლივ“ და დაასკვნა, რომ სიგელში ლაპარაკია არა კახეთში მდებარე რომელიმე მამულზე, არამედ „ჩერქეზზე“. „ჩერქეზს“ XVII—XVIII სს. ქართული წყაროები ყაბარდოს უწოდებენ. რეცენზენტს სწორედ იქ ეგულება თეიმურაზის სახასო მამული „სრულობით ჩერქეზი“. მაგრამ ასეთი მტკიცების უნიადაგობა იმდენად აშკარაა, რომ მასზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. მამული „ჩერქეზი“ („საჩერქეზო“), რომელიც კარგადაა ცნობილი XVII—XVIII სს. ქართული დოკუმენტური მასალებით, მდებარეობდა კახეთში, ს. მანავთან. თეიმურაზმა ეს მამული, ჩერქეზი-შვილთა სამფლობელო, ქართული ფეოდალური სამართლის ნორმების შესაბამისად, უბოძა თავის „გაკეთებულ“ (დაწინაურებულ) და ერთგულად ნამსახურ გიორგის, ალადაღის ძეს. ასე ესმის ეს საბუთი თ. ბოცეაქესაც (იხ. მისი „საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობა XV—XVIII სს.“, თბილისი, 1963, გვ. 85).

ასეთია პროფ. ნ. ნაკაშიძის რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნების ნამდვილი ფასი. ჩვენ ძალიან გესურდა რეცენზიაში ჩვენი ნაშრომის გაუმჯობესებისაკენ მიმართული რაიმე შენიშვნა ან თუნდაც მინიშნება გვეპოვა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. და ეს შემთხვევითი არაა. მსგავსი მიზანი რეცენზიას არ ჰქონია.

გიორგი თოგოშვილი

М. Я. КАНТЕРЕ, ИСТОРИЯ РАЗВИТИЯ КУЛЬТУРНО-ТЕХНИЧЕСКОГО УРОВНЯ РАБОЧЕГО КЛАССА ГРУЗИИ В ПЕРИОД ПОСТРОЕНИЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА (1921—1937 гг.)

К 50-летию образования СССР вышла в свет интересная научная монография доктора исторических наук М. Кантере, посвященная исследованию сугубо актуальной научной проблемы — истории развития культурно-технического уровня рабочего класса¹, имеющей важное теоретическое и возрастающее практическое значение в решении важнейших задач социалистического и коммунистического строительства: развитие производительных сил, рост производительности общественного труда, ускорение технического прогресса, преодоление существенных различий между умственным и физическим трудом. Значение этой проблемы особенно возрастает на современном этапе — этапе ускорения

научно-технической революции в условиях дальнейшего продвижения советского общества по пути к коммунизму.

Достоинством монографии прежде всего является творческий подход автора в решении ключевых вопросов этой сложной комплексной проблемы, стоящей на грани нескольких общественных наук. К тому же известно, что по данной проблеме нет пока единого мнения у исследователей. Нет еще научно обоснованного, с достаточной полнотой и ясностью, ответа на вопросы: что такое «культурно-технический уровень»? Является ли это общественное явление общесоциологической категорией, закономерностью, присущей всем обществам, или только социалистическому? Какова связь этого общественного явления с материальной и духовной культурой общества? Сохранится ли эта проблема в условиях коммунизма или исчерпывается с преодолением существенных различий между умственным и физическим

¹ М. Я. Кантере, История развития культурно-технического уровня рабочего класса Грузии в период построения социалистического общества (1921—1937 гг.), Тбилиси, «Мецниереба», 1972.

трудом? В чем специфика этой закономерности в условиях социалистического общества в отличие от капиталистического и других обществ? Чем конкретно следует определить степень развития культурно-технического уровня общества? и т. д.

Естественно, что без ответа на эти вопросы, без строго научного определения содержания понятия изучаемой проблемы невозможно было бы вести серьезное научное исследование. Ибо отсутствие четкости и ясности в понимании проблемы отрицательно сказывается на состоянии работ, не только в смысле определения конкретных задач, поднимаемых в исследованиях, но и в недостаточно обоснованных выводах в решении задач, вытекающих для социалистического и коммунистического строительства. И, как нам кажется, автор вполне справился с поставленной перед собой задачей. На наш взгляд, он дал глубоко аргументированные, научно обоснованные ответы на все проблемные вопросы, возникшие в процессе всестороннего исторического исследования проблемы и критического анализа существующей литературы по данной теме.

Важно и то, что, не соглашаясь с мнением ряда ученых и полемизируя с ними, автор четко обосновывает свою позицию, свое понимание предмета исследования и, опираясь на основополагающие идеи классиков марксизма-ленинизма и их методологию, он выдвигает ряд новых, важных положений и интересных мыслей, творчески раскрывает и развивает сущность самой проблемы, определяя ее в новое понятие, сформулированное им как «совокупный культурно-технический уровень общественного производительного труда», приобретающее весьма важное научное значение, особенно для современных условий развернутого строительства коммунистического общества и ускорения научно-технической революции в СССР. Вообще следует отметить, что работа обогащена многими интересными теоретическими положениями и выводами, научно обоснованными и сформулированными автором, представляющими значительный научный интерес и для некоторых других общественных наук: социологии, научного коммунизма, политэкономии и др., а так-

же истории развития человеческой производительной силы и технического прогресса.

По нашему мнению, автор совершенно правильно поступил, предпослав исторической части исследования самостоятельную и обстоятельную главу «К истории и теории проблемы», в которой в порядке постановки вопроса впервые в научной литературе концептуально сконцентрирована всесторонняя разработка проблемы. Особенно ценным следует признать и то, что автор не ограничивается хронологическими рамками исторического исследования и рассматривает проблему в целом — в движении, развитии, раскрывает ее закономерность. Определяя генезис данного общественного явления и процесс его дальнейшего развития в различные общественно-экономические эпохи, автор выясняет его ведущую тенденцию в условиях перехода к коммунизму, когда исчезнут существенные различия между умственным и физическим трудом и общество перейдет к полной социальной однородности и, как обосновывает автор, к «относительной культурно-технической общности труженников коммунистического общества». Следовательно, с переходом к коммунизму проблема культурно-технического развития людей получает свое новое содержание и смысл для дальнейшего развития коммунистического производства в соответствии с полным удовлетворением постоянно растущих материальных и культурных потребностей труженников коммунистического общества, — пишет автор (стр. 31).

Рассматривая данное общественное явление в историческом плане развития как общесоциологическую категорию, автор, в отличие от других исследователей, как нам кажется, удачно раскрывает наиболее устойчивые признаки, характеризующие сущность рассматриваемого явления. В одном из двух вариантов определения содержания понятия, опираясь на высказывания К. Маркса, он пишет: культурно-технический уровень производителей материальных благ — это всеобщее, вечно естественное специфически характерное человеческому производительному труду общественное явление, которое выражает достигнутую людьми степень технического прогресса, отражаю-

щегося в уровне производительности общественного труда, достижимого каждым этапом общественно-экономического развития человеческого общества (стр. 53). При этом отмечается, что предложенные им формулировки он не считает исчерпывающими, однако подчеркивает, что дальнейшие поиски научной формулировки должны идти именно в этом направлении (стр. 54).

Показывая, что категория «культурно-технический уровень производителей материальных благ» обладает своей относительной самостоятельностью, имеет свою историю, свои специфические особенности развития в каждую социально-экономическую эпоху, автор совершенно правильно обосновывает специфику развития культурно-технического уровня рабочего класса и других трудящихся физического и умственного производительного труда в условиях социализма в отличие от капитализма и других обществ. Он пишет, что при социализме рабочий класс впервые в истории выступает не только как основная производительная сила общества, но и как ведущая, политически руководящая сила во всех сферах общественной жизни, а потому культурно-технический уровень советского рабочего класса (в отличие от всех других обществ, где производители материальных благ выступают лишь в качестве основной производительной силы) органически сочетается с высокой политической сознательностью, марксистско-ленинским мировоззрением, социалистическим интернационализмом, высоким моральным и культурно-образовательным развитием (стр. 54).

В этой связи нельзя не согласиться с сугубо важным выводом автора о том, что постоянно растущий совокупный культурно-технический уровень общественного производительного труда в органическом сочетании со всеми преимуществами социалистического общественного строя ведет к дальнейшим высотам научно-технического прогресса и на этой основе к наивысшей производительности труда, необходимой для перехода к коммунизму (стр. 55).

Таким образом, в рецензируемой монографии дается глубокий исторический анализ сущности и основных тенденций развития, сформулированного автором по-

нятия «совокупный культурно-технический уровень общественного производительного труда». От совокупного культурно-технического уровня работников производительного физического и умственного труда объективно зависит технический прогресс, рост производительности общественного труда, а значит технический и экономический эффект в развитии материального производства (стр. 26—27), заключает автор.

Вообще с большим научным интересом читаются интересные размышления автора, разбор и анализ узловых вопросов рассматриваемой проблемы, теоретические выводы и обобщения, вытекающие из материалов исторического исследования в различных аспектах рассмотрения проблемы: материальной и духовной культурой общества, производственными отношениями, наукой, особенно в современных условиях научно-технической революции, производительностью общественного производительного труда, социалистическим соревнованием, преодолением существенных различий между умственным и физическим трудом, социальным изменением структуры общества, обобществлением науки и научной организации труда, созданием материально-технической базы социализма и коммунизма, быстрых темпов научно-технического прогресса, органического соединения науки с производством и т. д.

II.

Большое место в рецензируемом труде уделено исторической части исследования проблемы на материалах Грузии (II, III, IV и частью V главы). Исследуя историю развития культурно-технического уровня рабочего класса Грузии в эпоху построения социалистического общества в плане осуществления ленинской национальной политики, в труде глубоко и убедительно обобщается богатый исторический опыт коренного подъема культурно-технического уровня рабочего класса в сложных специфических условиях социалистического строительства в Грузии. Ценность труда заключается еще в том, что в нем не просто излагается историческое прошлое в решении данной проблемы, но и рассматривается оно как обобщение советского опыта в конкретных условиях

Грузинской республики, опыта, пригодного в принципе для многих стран, вступающих или вступивших на путь социалистического развития.

Вполне справедливо отмечает автор, что социалистическая революция в Грузии в корне изменила положение рабочего класса в системе общественного производства, она изменила и его социальную природу — из класса эксплуатируемого и поработанного при капитализме он превратился в вершителя судеб социализма, в руководящую силу строительства нового, социалистического общества. Именно в этих новых условиях вопрос о культурно-техническом уровне рабочего класса, как отмечает автор, приобрел качественно новое содержание и смысл. Смена капиталистических производственных отношений социалистическими производственными отношениями открыла широкий простор для коренного подъема культурно-технического уровня рабочего класса и других трудящихся в соответствии с требованиями социалистического строительства. Непрерывное повышение культурно-технического уровня трудящихся производительного труда становится закономерным процессом социалистического строительства, приобретая свою специфику и особенности, присущие новому общественному строю. Разработанная В. И. Лениным система мероприятий, направленных на сравнительно быстрый подъем и развитие культурно-технического уровня рабочего класса и других трудящихся становится одной из коренных проблем Коммунистической партии и Советского государства.

В работе М. Кантере впервые в грузинской историографии на большом фактическом материале шаг за шагом специально исследуется история развития культурно-технического уровня в переходный период от капитализма к социализму. И в соответствии с этим разработана периодизация, установлены основные пути, средства и методы, которые применяла партия на каждом этапе подъема культурно-технического уровня рабочего класса, совокупного производительного труда.

В первые годы Советской власти сразу дал о себе знать острое противоречие, пишет автор, заключающееся в том, что значительные массы рабочего класса, осо-

бенно трудовые массы крестьянства, не имели нужного образования для строительства социалистического общества, для должного использования достижений науки и техники. Необходима была культурная революция для устранения этого противоречия, среди главных задач которой, наиболее важной, чрезвычайной задачей, по определению В. И. Ленина, являлась тогда необходимость ликвидации массовой неграмотности и малограмотности — решающего условия для ускоренного подъема культурно-технического уровня рабочего класса и других трудящихся.

При анализе проблемы уделяется большое внимание вопросам содержания и формам организации повышения культурно-технического уровня рабочего класса, которые менялись на различных этапах социалистического строительства в зависимости от экономического и культурного развития страны, от степени возрастания уровня развития науки и техники, социалистического производства.

Опираясь на большой исторический материал, автор убедительно показывает, как партия последовательно и настойчиво вводила в действие различные мероприятия культурной революции, направленные на поднятие общей культуры и образования трудящихся масс и прежде всего рабочего класса, осуществляющего диктатуру пролетариата. При этом каждой нации или народности предоставлялось право обучения и преподавания на родном языке. На интересном материале показано осуществление этих мероприятий партии и государства в весьма сложных и трудных многонациональных условиях грузинской действительности. Несомненно, что обобщение советского опыта в проведении этих мероприятий на материалах Грузии заслуживает должного внимания многих стран, идущих по пути социалистических преобразований.

Исследование одного из важнейших достижений ленинской национальной политики — роста численности и удельного веса национальных кадров в составе рабочего класса Грузии — является важной частью исторического исследования автора. Рост промышленных кадров рабочего класса из коренного населения и их культурно-техническая подготовка в уровень требова-

ний индустриального развития способствовал упрочению диктатуры пролетариата в республике.

Нельзя не согласиться с выводом автора, что задачи социалистического строительства требовали не просто подготовки квалифицированных кадров рабочих. Такая подготовка возможна и при капитализме, где господствующий эксплуататорский класс ограничивает образование рабочих узкими техническими требованиями, превращая их в колесики производственного механизма. Социалистическое общество готовит людей нового типа — рабочих и других трудящихся — с широким политическим кругозором, общеобразовательными и техническими знаниями, способных осознанно, активно строить новую общественную жизнь. Новый тип рабочего ковался Советской властью под руководством Коммунистической партии в острой борьбе с врагами социализма, при сопротивлении капиталистических элементов внутри и вне страны и их агентуры в лице троцкистско-зиновьевских и правых оппортунистов.

Исследуется также значительный материал, свидетельствующий, что наряду с культурно-технической подготовкой кадров рабочих широко осуществлялась культурно-техническая подготовка национальных кадров инженерно-технической интеллигенции. При этом автор отличает культурно-техническую подготовку от культурно-технического уровня производительного труда людей. Культурно-техническую подготовку он определяет образовательным уровнем, а культурно-технический уровень — уровнем производительности труда. Ведь научные знания, техническое образование, культурно-техническая подготовка кадров — это лишь потенциальная, еще не реализованная возможность, которой предстоит превратиться в действительность, а культурно-технический уровень людей — это уже реализованная возможность, резуль-

татом которой является овеществленный социальный производственный труд, это уже проверенные производственным опытом и реализованные научные знания, достигнутые человеком в сфере материального производства, заключает автор (стр. 51).

В работе обосновывается вывод о том, что рост культурно-технического уровня рабочего класса и технической интеллигенции обуславливает высокий экономический эффект в социалистическом соревновании. Показана диалектическая взаимосвязь социалистического соревнования и культурно-технического развития рабочего класса.

На большом фактическом материале рассматриваются развитие материальной и духовной культуры в процессе строительства социалистического общества в республике, массовый рост и деятельность культурно-просветительных учреждений, расцвет грузинской национальной культуры (национальной по форме, социалистической по содержанию) и их влияние на повышение культурно-технического уровня, производственную и политическую активность рабочего класса. Автор обосновывает тезис о том, что человек, вооружающий себя знаниями и обогащающийся социалистической культурой, естественно воплощает их во все сферы деятельности общества, особенно в область материального производства, оплодотворяя и повышая свой культурно-технический уровень.

Рабочий класс Грузии, как подчеркивается в труде, за годы построения социалистического общества сложился в мощную, постоянно растущую индустриальную производительную силу, обладающую достаточно высоким для того времени культурно-техническим уровнем, в класс, руководящий всей общественной жизнью. Осуществилась социалистическая консолидация рабочего класса Грузии, результатом которой явилось упрочение диктатуры пролетариата в республике, превращение национального ядра рабочего класса в веду-

щую силу грузинской социалистической нации, создание идейно-политического единства грузинского народа и его сплочение вокруг Коммунистической партии.

В работе успешно разрешены и многие другие важные вопросы в историческом изучении проблемы.

В целом следует признать, что автор рецензируемого труда успешно справился с поставленной перед собой сложной и трудной научной задачей. Монография М. Кантере безусловно вносит весомый вклад в науку, в разработку сугубо важной и сложной комплексной проблемы, особенно актуальной в современных условиях ускорения научно-технической революции, в условиях продвижения советского общества по пути

к коммунизму. В этой связи исследование тесно переплетается с решениями XXIV съезда КПСС и вообще выполнено на высоком идейно-политическом и научном уровне. Являясь ценным научным исследованием, имеющим важное теоретическое и практическое значение, оно безусловно будет встречено читателем с большим научным интересом.

Желательно, чтобы автор продолжил работу над этой темой, хронологически охватывая исследованием период зрелого социалистического общества.

С. Д. ЧХАРТИШВИЛИ
И. Л. ЧИКАВА

ქ რ ო ნ ი კ ა ლ ა ი ნ ფ ო რ მ ა ხ ი ა

ნიკოლოზ სტურუას დაბადების 60 წლისთავი

საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიისა და საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ცნობილ გეგლეარს ნიკოლოზ სტურუას 60 წელი შეუსრულდა. აგი დაიბადა 1913 წლის 14 დეკემბერს სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშში, ცნობილი პროფესიონალი რევოლუციონერის ვანო სტურუას ოჯახში.

1939 წ. ნ. სტურუას ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — იგი მიიღეს ლენინურ პარტიაში, რომლის ძველი გვარდიის წევრი 1896 წლიდან ვანო სტურუა იყო. იმავე 1939 წელს ნ. სტურუა პარტიულ სამუშაოზე დააწინაურეს. 1939—1940 წწ. იგი იყო საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, შემდეგ კი კადრების განყოფილების სექტორის გამგე. 1940 წ. ნ. სტურუა სასწავლებლად გააგზავნეს საკ. კ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც 1942 წ. დაამთავრა.

1942 წლიდან ნ. სტურუა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობდა სწავლასზეა ხელმძღვანელ თანაღლებიბაზე. 1942—1950 და 1953 წლებში ის იყო საკ. კ(ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი, თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი და საკ. ცკ-ს ბიუროს წევრობის კანდიდატი.

1950—53 წწ. ნ. სტურუა სკ კპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს უილიანის უფროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა, 1954 წლიდან კი იგი მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში — ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1961 წლიდან ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. ამ წლებში მან ბევრი კარგი გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა საზოგადოების ისტორიის, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის. ნ. სტურუას მეცნიერული კვლევის თემატიკა ყოველთვის აქტუალურია, ისტორიული ფაქტებისადმი, მოვლენებისადმი მიდგომა კი პარტიული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის სპეციალისტების ყურადღება მიიქცია მისმა პირველმა მონოგრაფიამ — „ბრძოლა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცებისათვის (1893—1904 წწ)“, რომელიც 1956 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე. ამ ნაშრომში საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის მრავალი საკითხი ახლებურად არის გაშუქებული. ნ. სტურუას თანაავტორობითა და თანარედაქტორობითაა გამოცემული „საქართველოს კომუნისტური პარტიის ნარკვევები“ (1971 წ.).

ნ. სტურუამ თავის მეცნიერულ მუშაობაში დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა მუშათა კლასის ისტორიის შესწავლას. ამ საკითხზე მის მიერ დაწერილი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ნათელაძესთან ერთად რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფია „საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან (1921—1957 წწ)“. საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე მისი თანარედაქტორობითა და თანაავტორობით დაწერილი სქელტანიანი წიგნი „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში“ (1971 წ.), რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის“ საპრობლემო სამეცნიერო საბჭომ მოამზადა.

ნ. სტურუა თავის მეცნიერულ მუშაობაში დად ყურადღებას მიაქცევს საბჭოთა საზოგადოების ისტორიის შესწავლას. მისი თანაავტორობით რუსულ და ქართულ ენებზე გამოვიდა ამ ეპოქისადმი მიძღვნილი საქართველოს ისტორიის დამხმარე საბელმძღვანელოს III ტომი. მას მრავალი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული სამამულო ომის შემდგომი ხანის საქართველოს ისტორიაზე.

ნ. სტურუა ცნობილია როგორც მეცნიერების კარგი ორგანიზატორი, შესანიშნავი მეცნიერ-რედაქტორი. გარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის

ინსტიტუტში ნაყოფიერი საქმიანობისა, იგი არის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „დრ-დი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის“ საპრობლემო სამეცნიერო საბჭოს წევრი; წლების მანძილზე იყო ამ საბჭოს საქართველოს სექციის თავჯდომარე; არის სსრ კავშირის ისტორიის მრავალტომეულის საბჭოთა სერიის სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ.

ინიციატივიანი, ენერგიული, მუდამ გულისხმიერი და დაუზარებელი ნიკოლოზ სტურუა ბევრს შრომობს ისტორიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის. მისი ხელმძღვანელობით 6 საკანდიდატო დისერტაციაა მომზადებული; ის მრავალ საჯარო პაექრობაზე გამოსულა როგორც ოფიციალური ოპონენტი. ინსტიტუტში იგი ეწევა დიდ საზოგადოებრივ და პარტიულ მუშაობას—არის ინსტიტუტის პარტიურის წევრი, მრავალი სამეცნიერო სესიის ორგანიზატორი, უკრაინელი და ქართველი ისტორიკოსების რეგულარული გაერთიანებული სესიების ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ნ. სტურუასათვის, როგორც ისტორიკოსისათვის და მოქალაქისათვის დამახასიათებელია ვაჟაკური შემართება, მოქალაქეობრივი გამბედაობა, პარტიულობა ყველგან და ყვილაფერში.

მეცნიერისათვის 60 წელი მოწიფულობის ასაკია. წინ კვლავ დიდი შემოქმედებითი გზაა. ვუსურვებთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ სტურუას შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზატორულ მუშაობაში, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სესია

მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სესია. სესიაზე მოსმენილი იქნა 15 მოხსენება საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე.

ს. ჩხარტიანი მოხსენება ეხებოდა საბჭოების საკითხს საქართველოში 1917 წელს. მოხსენებელმა დაახასიათა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოში შექმნილი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეუტატების საბჭოები; აღნიშნა, რომ საქართველოში არ მომხდარა საბჭოების ბოლშევიზაცია და ამდენად ისინი არ გადაქცეულან აჯანყებისა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებად, როგორც ეს ცენტრში მოხდა; რომ საბჭოები საქართველოში 1917 წელს ბურჟუაზიული ხელისუფლების პროგრამის განხორციელებას იწყებენ. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში საბჭოების გადაგვარების პროცესი დაჩქარდა, ისინი გადაიქცნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრებად. 1921 წელს არსებული საბჭოები არ გამოდგებოდნენ გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებად.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. ზ. ანჩაბაძე დაეთანხმა მოხსენებელს, რომ ორხელისუფლებიანობა იყო არა ლოკალური, არამედ სრულიად რუსეთის მოვლენა. მაგრამ მას არ მიაჩნია სწორად მოსაზრება, რომ ორხელისუფლებიანობა, როგორც სრულიად რუსეთის მოვლენა, გრძელდება 1918 წლის მისამდე. ზ. ანჩაბაძის აზრით, მაშინვე, როცა ლიკვიდირებული იყო ორხელისუფლებიანობა ცენტრში, ე. ი. ივლისის დღეების შემდეგ, იგი ლიკვიდირებული იყო ყველგან. მან ეკვი გამოთქვა, თუ რამდენად სწორი იყო ივლისის დემონსტრაციის დახვერტის შემდეგ საქართველოში ლოზუნგის — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ — დატოვება, რომ ამ საკითხს კიდევ სჭირდება შესწავლა-დაზუსტე-

ბა და რომ მასთან მჭიდროდა დაკავშირებული რევოლუციის საკითხი.

ა. კოკლაეაშვილის აზრითაც უფრო ღრმად არის შესასწავლი საქართველოში იმ ცნობილი ლოზუნგის („მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“) დატოვების საკითხი, აგრეთვე საინტერესოა ისიც, რომ საბჭოები, რომელშიც უშრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, რატომ იცადნენ მუშათა ინტეგრაცებს; მისი აზრით, აქ არის უფრო დათმობითი პოლიტიკის გამოვლინება.

ნ. მახარაძემ აღნიშნა, რომ საბჭოების როლის პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი აზრით, საქართველოში საბჭოების განვითარება სხვაგვარად წავიდა. ბოლშევიკების გაელენა საბჭოებში გაბატონებული ვერ გახდა და ესაა ძირითადი თავისებურება საბჭოების განვითარებისა 1917 წლის საქართველოში.

ი. კაკარავამ არ გაიზიარა თვისებებში მოტანილი ერთი დებულება: „არ არის სწორი ისტორიულ ლიტერატურაში... თითქმის გაბატონებული შეხედულება, რომ მენშევიკები და ესერები საბჭოების შექმნის წინააღმდეგი იყვნენ“. ი. კაკარავამ აღნიშნა, რომ მენშევიკები და ესერები წინააღმდეგი იყვნენ გადასცემოდა ძალაუფლება საბჭოებს ან საბჭოების აღიარებისა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებად. მოკამათემ აღნიშნა მოხსენების დადებითი მომენტები: დამაფიქრებელია რიგი ახალი დებულება, კერძოდ, საბჭოების ევოლუციის საკითხი ჩვენში და რუსეთში და სხვ.; კარგადაა გაშუქებული ივლისის ამბები. უდავოდ აქტუალურია აღნიშნული საკითხის და მუშაობა, რამდენადღაც საბჭოების როლის შესწავლის გარეშე შეუძლებელია 1921 წლის მდგომარეობის სწორად შეფასება.

ე. ორჯონიკიძის მოხსენების თემა იყო — „ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში“. მოხსენებელმა დაახასიათა რეფორმამდელი ხანის საქართველოში გლე-

ხოზის მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესის გაძლიერება, საგლეხო მიწათმფლობელობაში საკუთარი „ნასყიდი“ მიწების ხვედრითი წონის ზრდა, რაც ბატონყმური ურთიერთობის რღვევის მომასწავებელი იყო. ფეოდალური ურთიერთობის რღვევის მანოშნებელი იყო აგრეთვე XIX ს-ის პირველ ნახევარში გლეხობის გაძლიერებული სწრაფვა პირადი თავისუფლების მოპოვებისაკენ. მომხსენებელმა ახალი მასალები მოიტანა თავგამოსყიდული გლეხების რაოდენობის დასადგენად. მან აღნიშნა, რომ მიწიანად თავდახსნილი გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის ბურჟუაზიულ ელემენტს ქმნიდა.

მომხსენების შესახებ აზრი გამოთქვა ზ. ანჩაბაძემ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული კუთხით საქართველოს რეფორმამდელი ხანის შესწავლა უთუოდ საყურადღებოა. საჭიროა უფრო ნათელი სურათის ჩვენება, კერძოდ, რეფორმის წინ საერთოდ მიწის რა ფონდი იყო გლეხების ხელში, რა ჰქონდათ მემამულეებს.

ა. ლ. ბენდიანი ი. შვილის აზრით მოხსენება აქტუალურ საკითხს ეხება, იგი ნაწილია საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების პრობლემისა. მომხსენებლის მიერ მოტანილი ცნობები მრავალმხრივ არის საყურადღებო; ცხადი ხდება, რომ XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში ვითარდება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა.

ზ. ანჩაბაძის მოხსენება ეხებოდა შამილის ხელმძღვანელობით ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა მოძრაობის ხასიათისა და პერიოდიზაციის საკითხს. მოხსენებაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არაა ერთიანი აზრი აღნიშნული მოძრაობის ხასიათის, მამოძრავებელი ძალებისა და პერიოდიზაციის შესახებ. მომხსენებელი გამოყოფს მოძრაობის სახალხო, პროგრესულ შინაარსს და მის რეაქციულ, საბრძოლო-რელიგიურ ფორმას. შამილისა და მის წინამორბედთა მოძრაობას მომხსენებელი ყოფს 5 ეტაპად. მოძრაობის დამარცხების ძირითად მიზეზად მიჩნეულია შამილის კლასობრივი პოლიტიკა, „პაზაეატის“ უარყოფითი მხარეები, მთიელი მასების ჩამოშორება მოძრაობისაკენ.

ზ. ანჩაბაძის მოხსენებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ი. კაჭარავამ აღნიშნა, რომ ზ. ანჩაბაძის გამოსვლებში ხშირად ჩანს ახალი, გაბედული დებულებები. იგი დაეთანხმა მომხსენებელს მთიელთა მოძრაობის შეფასებაში; დადებითად დაახასიათა მოძრაობის შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის განსხვავებულად წარმოდგენის ცდა. ი. კაჭარავას აზ-

რით სასურველი იქნებოდა მთიელთა მოძრაობის საკითხზე ვრცელი ნაშრომის გამოცემა.

მომხსენება დადებითად შეაფასეს ნ. ნიკოლაიშვილმა, ი. ტაბაღულამ, რომელმაც მიუთითა პარიზში აღმოჩენილ საარქივო კატალოგებზე, სადაც არის უამრავი მოხსენებითი ბარათები მთიელთა მოძრაობის შესახებ. ი. უთურაშვილის აზრით, მოძრაობის დამარცხების მიზეზად უნდა გავთვალისწინებულ იქნეს გარეშე ძალა.

ი. კოჭლავაშვილი შეეხო შამილთან პოლონელების ორგანიზებულად მისვლის ცდას.

ი. უთურაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე — „მიწის რენტის ფორმები საქართველოს სოფელში (XIX ს. 70-იანი წლები — 1917 წ.)“. მან დაახასიათა აღნიშნული პერიოდის საქართველოს სოფელში მიწის რენტის მითვისების ოთხი ძირითადი ფორმა; აღნიშნა, რომ XIX ს-ის 70-იან წლებში მიწის რენტის გაბატონებული ფორმა პროდუქტადი რენტა, აგრეთვე მნიშვნელოვანია ფულადი რენტა; ხოლო 900-იან წლებში კაპიტალისტური რენტა, ფეოდალურ რენტასთან შედარებით, მიწების მეტ ფართობს მოიცავს, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალისტური რენტული ურთიერთობების უპირატესი ხვედრითი წონის მანიშნებელი უნდა იყოს.

მ. ბეჭეძისა და მოხსენების თემა იყო „ოჯახის სოციალური ფუნქციები და დღევანდლობა“. მან დაახასიათა ოჯახი, როგორც საზოგადოების ცხოვრების მრავალმხრივი და რთული ერთეული, რომელიც თავის თავში აერთიანებს სოციალურ, ინდივიდუალურ და ბიოლოგიურ საწყისებს. აქედან გამომდინარეობს ოჯახის კვლევისადმი სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ინტერესი, მათ შორის კონკრეტული სოციოლოგიის ინტერესი.

დ. ხახუტაიშვილის მოხსენება ეხებოდა საკითხს — „ადრერკინის ხანის კოლხური რკინის მეტალურგიის ქრონოლოგიისათვის“. მომხსენებელმა აღნიშნა ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი რკინის მოპოვებელი ცენტრების განთხაზვარებისათვის აბსოლუტური და შედარებითი ქრონოლოგიის დაზუსტების აუცილებლობა. მისი აზრით შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ძეგლების შედარებითი ქრონოლოგიის დადგენა ე. წ. არქეომაგნიტური დათარიღების მეთოდით.

მომხსენებელმა უპასუხა შეკითხვებზე. შემდეგ გაიმართა კამათი. ა. აფაქიძემ აღნიშნა, რომ მომხსენებლის მიერ ჩატარებული მუშაობა ახალ საფეხურს ჰქმნის რკინის მეტალურგიის ისტორიის კვლევის საქმეში, სასი-

მოვნა რომ ი. გრძელიშვილის მიერ დაწყებული სამუშაო წარმატებით გრძელდება. ა. აფაქიძის აზრით, მომხსენებლის მიერ არჩეული კვლევის მეთოდი სწორია, და მოხსენებაში მოტანილი მასალა დამაჯერებლად გამოიყურება დათარიღებისათვის.

ა. კოკლავაშვილმა გამოთქვა მოსაზრება — ხომ არ ჰქონდათ პრაქტიკაში ძველი კოლხეთის მეტალურგების დნობის შემდეგ ლუმების დანგრევა და შემდგომი დნობისათვის ახლის აშენება?

ა. ჯალანდაძემ ცნობა მიაწოდა მომხსენებელს იმის შესახებ, რომ სოფ. ხიდისთავის მახლობლად გაშლილი პლატო ადგილი მოფენილია წილებით და რომ ეს ადგილი პერსპექტიული ჩანს არქეოლოგიური შესწავლისათვის.

მ. გეგეშიძემ აღნიშნა, რომ სოფ. ოკრიბაში დადასტურებულია გამოთქმის „მთელი ოკრიბა რკინის ნაღობა“ არსებობა, რომ ამ ადგილას მრავლად მოპოვება წიდა; მისივე ცნობით აღნიშნულ ადგილას საწვავის არსებობაც არის საგარაუდებელი და ხომ არ არის შესაძლებელი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე კორექტივი იქნეს შეტანილი იმ მოსაზრებაში, რომ საქართველოში მხოლოდ XIX ს-ში იქნა დაწყებული ქვანახშირის საწვავად გამოყენება?

რ. აბრამიშვილის აზრით საინტერესოა, რომ მომხსენებელი ტექნიკის თვალსაზრისითაც აწარმოებს მუშაობას. ოღონდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოსათვის ჭერ არაა დადგენილი მტკიცე ქრონოლოგიური სკალა. ეს სამუშაო უნდა ჩატარდეს სხვა ძეგლებზე — ნასახლარებსა და სამაროვანზე — დაყრდნობით; ქურების მიხედვით ქრონოლოგიური სკალის დადგენა არ მოხერხდება.

გ. გრიგოლიას მოხსენება ეხებოდა „ნამარნუსა“ და „ბარბაროსების დიდი ქალაქის“ იდენტიფიკაციის საკითხს. მომხსენებელმა დაახასიათა უკანასკნელ ხანებში კოლხეთში აღმოჩენილი დიდი ქალაქური ტიპის სამოსახლო (30 ჰა ფართობის) — „ნამარნუ“, რომელიც V—IV საუკუნეებით თარიღდება და მისი შესაძლო იდენტიფიკაცია ფსევდო-სკოლაქს კარიანდელის „პერიპლუსში“ მოხსენიებულ „ბარბაროსების დიდ ქალაქთან“.

თ. ყაუხჩიშვილის აზრით „ნამარნუ“ უდავოდ მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი არ იზიარებს თეზისების მეხუთე პუნქტში მოტანილ დებულებას „პერიპლუსის“ ტექსტში ბარბაროსების ქალაქთან კავშირში მყოფი „გაუგებარი“ ადგილის „მალუნის“ თუ „მელუნის“ გეოგრაფიულ ტერმინად აღიარებას, მით უმე-

ტეს, რომ ტექსტის არც ერთი გამომცემელი მას არ თვლის გეოგრაფიულ ტერმინად.

გ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა კოლხეთის დასახლებული პუნქტების ლოკალიზაციის სირთულე და ამდენად შესრულებული სამუშაოს აქტუალობა. მან მოსაზრება გამოთქვა, რომ ასეთი მსხვილი დასახლების შესწავლის ერთ-ერთ ამოსავალ დებულებად უნდა გამხდარიყო ნაქალაქარის სტრატეგიული ნაწილი.

ა. ზოხოჩაძის მოხსენებაში განხილული იყო კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში მოხსენიებული ძველი იბერიის ქალაქის — ძალი-სას ლოკალიზაციის საკითხი. მომხსენებელმა უარყო ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმული ზოგი მოსაზრება ძალისას ლოკალიზაციის შესახებ. მისი აზრით ბერძენი გეოგრაფოსის მიერ მოხსენიებული „ძალისა“ საგარაუდებელია მუხრანის ველზე, დღევანდელი სოფ. ძალისის მდამოებში, სადაც 1971—1972 წლებში საეული-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ იქნა მნიშვნელოვანი ნამოსახლარი კარგად განვითარებული საქალაქო ცხოვრების ნიშნებით. მომხსენებელი აიგივებს „ძალისას“ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ „მუხნარით კერძ ქალაქთან“.

მომხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათი დაიწყო ა. აფაქიძის გამოსვლით. მან აღნიშნა, რომ მომხსენებლის მიერ მოტანილი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა მხარს უჭერს ძირითად დებულებებს „ძალისას“ ლოკალიზაციის საკითხში. მისი აზრით ზოგი რამ სათანადოდ არაა არგუმენტირებული, არ ჩანს რომელი თვალსაზრისია უფრო სწორი — მცხეთის ადრინდელი ინტერპრეტაცია თუ მომხსენებლის მიერ შემოთავაზებული თვალსაზრისი.

დ. ხახუტაიშვილმა არ გაიზიარა ანტიკური მცხეთის უბნების ცალკე ქალაქებად აღიარება.

რ. რამიშვილის აზრით უდავოდ საინტერესოა ძალისას ლოკალიზაციის საკითხი, ოღონდ ძნელი დასაჯერებელია, რომ ძველი მცხეთა არაა დღევანდელი მცხეთის ადგილას საგარაუდებელი.

„არაგვის კარი“ — ასეთი იყო გ. გვასალიას მოხსენების თემა. მოხსენებაში აღნიშნულ იქნა, რომ ამიერ და იმიერკავკასიაში მოსახლე ტომებს შორის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობისათვის ყველაზე ხელსაყრელი და უმოკლესი გზა მიემართებოდა არაგვის ხეობასა, ჭერის უღელტეხილსა და დარიალის ხეობაზე. „დარიალის კარი“, რომელსაც ისტორიული წყაროები „არაგვის კარსაც“ უწოდებენ, როგორც ადრეულ პერიოდ-

ში, ისე აღრეფეოდალურ ხანაში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს ხეობების საფორტიფიკაციო ნაგებობებში აუცილებელ ელემენტს შეადგენდა ზურგიანი კოშკი, რომელსაც პირობითად შეიძლება „წანარული“ ეწოდოს. მომხსენებელს შესაძლებლად მიაჩნია კახეთის სამთავროს აღმავლობას დაუკავშირდეს ქართული კულტურის გავლენის გაძლიერება ინგუშეთში (ქართული ტაძრების — თხაბა-ერდის, ალბი-ერდის და სხვ. მშენებლობა).

გ. ლ ა მ ძ ე შ ი ძ ე მ ი ს ა უ ბ ა თ ხ ა ბ ა - ე რ დ ის არქეოლოგიური შესწავლის საკითხზე. აღნიშვნა, რომ სამშენებლო ქვების ქართულ წარწერებს პალეოგრაფები IX საუკუნით ათარიღებენ.

ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა ზ რ ი თ ვ ა ს ა თ ვ ა ლ ის წინებელია ის ტოპონიმური მონაცემები, რომლებიც წანარებს წოვასთან, წოროსთან და სხვ. აღარებენ.

ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ე ხ ე ბ ო ლ ა ს ა კ ი თ ხ ს „თუშეთ-ჩენეთ-ინგუშეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XIX სს. პირველი ნახევარი)“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ XVI—XIX სს. პირველ ნახევარში თუშეთის თემებსა და ჩენეთ-ინგუშეთს შორის გარკვეული ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა არსებობდა, ხოლო კავკასიის ომების დამთავრების შემდეგ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდა.

მომხსენებაში „წარმართული ხანის ქართული კალენდარი“ რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე მ აღნიშნა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია წელიწადისა და დროის აღრიცხვის ორი კალენდარული სისტემა — მზისა და მთეარისა. მან გონებამახვილურად, ლოგიკური მსჯელობის შედეგად დაასაბუთა წარმართული ხანის ქართული კალენდარის რაობა და მისი შედგენის თარიღად ძვ. წ. 432—400 წწ. მიიჩნია.

მომხსენებელმა უპასუხა შეკითხვებზე.

გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ მ ა აღნიშნა, რომ მომხსენებლის მიერ შესრულებულია მეტად საინტერესო სამუშაო და დასძინა: დასაზუსტებელია, თუ რა გზით მოიყარეს თავი ქართულ ანბანში სხვადასხვა წყაროდან მომდინარე მოკლევნობა.

ი. ტ ა ბ ა ლ უ ა ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა შ ი — „იოსებ ქართველის მოღვაწეობა ირანსა და თურქეთში (1717—1726 წწ.)“ აღნიშნულ იქნა მომხსენებლის მიერ საფრანგეთის საგარეო საქმეთა

სამინისტროს არქივში მოპოვებული რიგი ახალი დოკუმენტი, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება 1717—1726 წლებში ირანსა და თურქეთში იოსებ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტის დაზუსტება. ეს დოკუმენტები ძირითადად მოხსენებითი ბარათებია, რომლებშიც აღწერილია XVII ს. ბოლოსა და XVIII ს-ის I მეოთხედის ირანის ამბები.

თ. ტ ი ვ ა ძ ე მ წ ა ი კ ი თ ხ ა მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა თ ე მ ა - ზ ე — „იმერეთის სამეფოსა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 50—60-იანი წლები)“.

მომხსენებელმა დაახასიათა XVII ს-ის 50—60-იან წლებში იმერეთის სამეფოს მდგომარეობა და რუსეთზე ორიენტირების მომხრე პოლიტიკური ჯგუფის გაძლიერება. მან დაასაბუთა, რომ იმერეთის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკური ხაზის ძირითადი მიზანი იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, აღნიშნა იმერეთის სამეფო კარის ღონისძიებები ქვეყნის საშინაო მდგომარეობის განმტკიცებისათვის და რუსეთში ელჩების გაგზავნა რუსეთ-იმერეთის ურთიერთშეთანხმების მისაღწევად.

ნ. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ა ზ რ ი თ მ ო მ ხ ს ე ნ ე ბ ე ლ მ ა კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ უ რ საქმეს მოჰკიდა ხელი, მან ბევრი საგულისხმო ფაქტი დაადგინა, ამასთან სასურველია წყაროების გაფართოება. ზოგიერთ ცნობას ახსნა სჭირდება, მაგალითად, როდესაც ერთსა და იმავე პიროვნებას (ვთქვათ, თეიმურაზს) სხვადასხვანაირად აფასებენ ერთი და იგივე პირები სხვადასხვა დროს.

გ. მ ა მ უ ლ ი ა მ ვ რ ც ე ლ ი მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა წ ა რ - მ ო ა დ გ ი ნ ა ს ა კ ი თ ხ ე — „იმერეთის სტრაბონიკული პირველი გენოსი და მისი გენეზისი“.

მომხსენებაში აღნიშნა, რომ სტრაბონის ცნობა იმერეთის პირველი გენოსის შესახებ „ქართლოსიან“ სახლთა იერარქიასა და ამ სახლთა შორის მიმდინარე ბრძოლას ასახავს ქართლის სამეფოში ძვ. წ. II—I საუკუნეებში. აქემენილური ხანის მიწურულისათვის ქართლის სამეფოს წარმოქმნის პროცესი უკანასკნელ სტადიაში გადავიდა. მომხსენებლის აზრით, სტრაბონის ცნობის ანალიზი პირველი გენოსის გენეზისის შესახებ მიუთითებს, რომ სტრაბონის ცნობაში ასახული ქართლის სამეფო ტიპოლოგიურად არასინთეზირებული გზით წარმოქმნილ ევროპის აღრეფეოდალურ სამეფოებს ემთხვევა, რასაც კლასობრივი საზოგადოების გენეზისის ტიპოლოგიური მსგავსება უძევს საფუძვლად, ეს კი ნიშნავს, რომ II—I სს. ქართლის სამეფო აღრეფეოდალური სამეფოა.

ნ. ხაზარაძემ მოხსენებაში „თბალის ისტორიიდან“ აღნიშნა: თბალები პუნქტებში (დღევ. სულთან-ხანი, კულულუ, კაისერი, ტოპადა და სხვ.) იეროგლიფურ-ლუვიური (ხეთური) წარწერების აღმოჩენა-შესწავლა იმის მანიშნებელია, რომ თბალები იეროგლიფურ-ლუვიური ენისა და კულტურის გავრცელების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, სავარაუდებელია თბალების მოსახლეობის ერთი ნაწილის ეთნოგენეტიკური კავშირი ლუვიურ სამყაროს-

თან. უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ თბალები იყო ე. წ. „ფრიგიული“ კერამიკის წარმოების მძლავრი ცენტრი. თბალების ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები დიდ მსგავსებას ავლენს ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში აღმოსავლეთ მცირე აზიის სხვა ცენტრებში უკვე გამოვლენილ მატერიალურ კულტურასთან.

ქაიხაბან თოფურიძე

ერწო-თიანეთის ეთნოგრაფიული ამსაქადიცია 1972 წელს

ერწო-თიანეთი, როგორც მისი სახელწოდებაც გვიჩვენებს, წარმოადგენს ორი მიმდებარე აუზის — ერწოსა და თიანეთის გავრთიანებას, რომელიც თანამედროვე აღმინისტრაციული დაყოფით მოქცეულია თიანეთის რაიონის ფარგლებში და მოიცავს ივრის ხეობის დიდ ნაწილს. ვახუშტი ბაგრატიონი ერწოს და თიანეთს ცალ-ცალკე აღწერს, როგორც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ, მაგრამ ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებულ ლოკალურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებს. მისი დაკვირვებით, ერწოში შედიოდა არა მარტო ის ტაფობი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ერწოდ თვლის, არამედ ივრის ხეობის ის ნაწილიც, რომელიც მდებარეობს ქალეთიდან ბოქორამდის¹. რაც შეეხება თიანეთს, ვახუშტისეული ლოკალიზაციით, იგი მოიცავს ივრის ხეობის სათავეებს ქალეთის ზემოთ².

ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, „ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეები, კახეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქვეყანაა“³, ხოლო „ისტორიული კახეთის წარმოქმნის პროცესში“ მას „ერწო-თიანეთი განსაკუთრებული მნიშვნელობისად მიაჩნდა“⁴. მისივე თვალსაზრისით, „საქართველოში თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია“ აქვს. ზოგადისა და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენთაგან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებანიც გააჩნია. მათი შესწავლა-წარმოჩენა

აუცილებელია... საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ცოცხლად, ხორც-შესხმულად წარმოდგენისათვის, ამ განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის“⁵. „თავისი ისტორიის“ მქონე კუთხედ ნ. ბერძენიშვილს ამ შემთხვევაში პირველ რიგში ესახებოდა ერწო-თიანეთი, რომელიც მან აირჩია კვლევა-ძიების პირველ ობიექტად კახეთის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის და თავის საანგარიშო მოხსენებაში ამ კუთხის ყოველმხრივი შესწავლის ფართო პერსპექტივა დასახა. მისივე ინიციატივით 1950 წლიდან დაიწყო ივრის ხეობის შესწავლა არქეოლოგიური და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, ხოლო საკუთრივ ერწო-თიანეთის არქეოლოგიური კვლევის ძირითად ობიექტად შერჩეულ იქნა სიონი⁶. რაც შეეხება ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას, ჭერ-ჭერობით მხოლოდ თიანეთში 1939 წელს მასალას აგროვებდა ენიშკის ექსპედიცია, რომლის მიზანს შეადგენდა: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების და სარწმუნოებრივი გადმონაშთების შესწავლა. გზადაგზა ექსპედიცია ჰკრებდა მასალებს მიწისმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ“⁷. აღნიშნული ექსპედიციის მუშაობის შედეგების შესახებ გ. ჩიტაიას ანგარიშთან ერთად გამოქვეყნდა ვ. ბარდავე-

⁵ იქვე, გვ. 175.

⁶ რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი, თბილისი, 1970 (აქვე იხ. ლიტერატურა ივრის ხეობის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების შესახებ).

⁷ გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიშკის მოამბე, XI, თბილისი, 1941, გვ. 57.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 90—91.

² იქვე, გვ. 91—92.

³ ნ. ბერძენიშვილი, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წელს (საანგარიშო მოხსენება), საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1964, გვ. 175.

⁴ იქვე, გვ. 176.

ლიძის ვრცელი დღიური⁸, რომელიც ძვირფას მასალას შეიცავს რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალის შესწავლისათვის.

1939 წლიდან საკმაოდ დიდი დრო გაეიდა. ამასობაში ერწო-თიანეთის მოსახლეობის ცხოვრებაში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ძველი ყოფა ახლით შეიცვალა და ამის შესაბამისად სიძველეთა ამსახველი მასალის შეგროვების შესაძლებლობაც შემცირდა. იმის მოპოვება დღეს უკვე შეუძლებელია, რაც თანმიმდევრული, გეგმავლობითი საველე მუშაობით აქამდე უნდა გაეთხულებოდა, მაგრამ საციხეებში ჯერ კიდევ ბევრია. ამ მხრივ ერწო-თიანეთი პერსპექტიულ რეგიონად გვესახება, სადაც 1971 წლიდან საველე მუშაობას შეუდგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული სტაციონარი, რომელიც არსებობს თიანეთის რაიონის დაბა სიონში. სტაციონარის ეთნოგრაფიული ექსპედიცია მიზნად ისახავს შეისწავლოს ერწო-თიანეთის მოსახლეობის ყოფა და კულტურა ძირითად ეთნოგრაფიულ პრობლემათა თითქმის ყველა ასპექტში, რაც მოითხოვს ხანგრძლივ საველე და კვლევით მუშაობას.

ექსპედიციამ მასალის შეგროვება დაიწყო ერწოს სოფლებში და საველე მუშაობა იქვე განაგრძო 1972 წელსაც. მის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ: ჯ. სონულაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), თ. ოჩიაური (მოადგილე), ვ. თორნიშვილი (უფროსი მ/თ), მ. ქანთარია (უფროსი მ/თ), ნ. მაჩაბელი (უმცროსი მ/თ), ლ. ბერიაშვილი (უმცროსი მ/თ), ნ. შინდაძე (უმცროსი მ/თ), ნ. ნიბლოშვილი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უმცროსი მ/თ), მ. ფაველნიშვილი (აწარმოებდა ფოტოგადაღებას), ლ. აბულაძე (უმცროსი მ/თ მოწვევით), ლ. ერისთავი (ლაბორანტი მოწვევით).

ექსპედიცია სწავლობდა ერწოს მოსახლეობის შემადგენლობას და ეთნიკურ პროცესებს, მატერიალურ კულტურას, მეურნეობის განვითარების ისტორიას, სოციალური ურთიერთობის ფორმებს და სულიერი კულტურის საკითხებს

ვინიდან სამუშაოდ შერჩეული რეგიონის ეთნოგრაფიული კვლევა ჯერ-ჯერობით მხოლოდ საწყის სტადიაშია, საველე მუშაობის შედეგებზე მსჯელობაც ნაადრევია. შედეგებს გვიჩვენებს ცალკეული საკითხების მონოგრა-

ფიული შესწავლა, მაგრამ ერწოს დაზვერვისა და რამდენიმე სოფელში მოპოვებული მასალების მიხედვით შეიძლება შევჩერდეთ ზოგიერთ მომენტზე.

ეთნოგრაფიული მონაცემები ერწოს მოსახლეობის შესახებ გვიჩვენებს, რომ ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ კახელები, ქართლელები, ფშაელები, ხევსურები, გუდამაყრელები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოხრობეები ერთმანეთისაგან განასხვავებენ ერწოს მოსახლეობის ძველსა და ახალ ფენას. მათი ინფორმაციის მიხედვით, ძველ ფენას განეკუთვნებიან „კახეები“, რომლებშიც ივლისხმებიან კახელები და ქართლელები, ე. ი. ბარელები, ხოლო შედარებით გვიან მოსულეზად მიიჩნევენ მთიელებს. გვარების შესახებ არსებული გადმოცემების მიხედვით მთიელთა უმრავლესობის დასახლების პროცესი ერწოში მიმდინარეობდა XIX—XX საუკუნეებში. მაგრამ აღნიშნული ვითარება სრულებითაც არ არის იმის მაჩვენებელი, რომ ეს პროცესი XIX საუკუნეში დაიწყო. რომ აღარაფერი ითქვას ზოგიერთი გვარის უფრო ადრე დასახლების შესახებ შემონახულ ზეპირ გადმოცემაზე, XIX საუკუნის წინა პერიოდში ერწოში მთიელების ცხოვრება დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დათვრების მონაცემებით. ერწოს მოსახლეობის აღწერაში⁹ სხენებული არაერთი ქისტაური, ქავასური, ჭილაური, ნური (ნიაური?) ფშაეული გაშახარე, დვლილი ბოვანო და სხვა XVIII საუკუნეში ერწოს ტერიტორიაზე მთიელთა კომპაქტური განსახლების დამამტკიცებელია, რაც გვაფიქრებინებს, რომ წინა საუკუნეებშიც ხდებოდა მთის ნამატი მოსახლეობის აქ დამკვიდრება.

ერწოს ტერიტორიაზე, რომლის ირგვლივ ემორტყმული ქედების სახელებია საბადური, სათიბი, იკვლივი, ვანათი, გორშავარდენი, ყვათთსაყდარა, კუნტასყელი, არჯეკლისგორი, ხარისისგორი, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შედგება ჩამოსახლებული მთიელებისაგან. მათ განსახლებაში შეიმჩნევა ერწოსშიდა ლოკალიზაცია, რაც გამოხატულებას პოულობს შემდეგში: ერთიმეორის ახლო მდებარე სოფლების ერთ ჯგუფში (სიონგორი, ნალოკრა, ბაღებისხევი ანუ როშკონთ სოფელი, ციათსოფელი, კვირიასხევი ანუ დამწვარსოფელი, ახალსოფელი, კაღუელთ სოფელი, თო-

⁸ ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაელებში (დღიური), ენიშის მთაზე, XI, თბილისი, 1941.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბილისი, 1967, გვ. 48—49.

ლოხჩასოფელი, თრანი) უმთავრესად ცხოვრობენ ხეესურები, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობით გუდამაყრელები და სხვები. ამის გამო, დასახლების ამ მიკროგეოგრაფიულ უწოდებენ ქვესურობას. სოფლების ჯგუფს (მაგრანეთი, ზემო ნაქალაქარი, ქვემო ნაქალაქარი, დორეულები, ვეძათქვეა), სადაც მოსახლეობის ცენტრალურობას შეადგენენ ფშავლები, შეარქვეს ფშავლობა. ერწოს ამ ნაწილში ცხოვრობენ აგრეთვე გუდამაყრელები, „კახები“ და სხვები. ერწოს დანარჩენ სოფლებში (საყდრონი, ქვესოფელი ანუ ტეესოსთოფელი, ცალუღელანთ სოფელი, თოლუნჯი, მელიასქევი, დევენანთქევი, სვიმანიანთქევი, გორანა) ძირითადად მოსახლეობენ „კახები“, მთიდან ჩამოსახლებულთაგან უფრო მეტია გუდამაყრელები, ხოლო ქვესუროფლის მოსახლეობის ერთ ნაწილს შეადგენენ ხეესურები.

მთიელები და „კახები“ კომპაქტურადაა დასახლებული აგრეთვე მდ. იორის დაყოფებით დაბა სიონიდან სოფ. ბოქორამდე (სიონი, ორხევი, საჩინბო, ყუდრო, ფიქვიანი, ომარაულა, ბოქორმა), რაც ვახუშტისეული ლოკალიზაციით ერწოში შედიოდა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის გაგებით ეს ტერიტორია ერწოს არ ეკუთვნოდა. მთხრობლები ერწოსაგან გამოყოფენ ხეობის იმ ნაწილსაც, რომელიც სიონის წყალსაცვის აწენების შემდეგ წყალმა დაფარა. მანამდე აქ არსებული ცხრა სოფლიდან რვა სოფელში (სასახლე, ჭოტანთქარი, კუპრიანთქარი, დიდმელაურა, სიონი, უკუღმართი, ჯიჭო, საყარაულო) უცხოვრიათ ფშავლებს, ხოლო ერთში (გონდაურა) — 1920-იან წლებში დასახლებულ ხეესურებს.

თვისთავად ცხადია, რომ მთიელთა ჩამოსახლება და ერწოელებთან მათი დამეზობლება არ ნიშნავდა მოსახლეობის შექანიკურ ადგილმონაცვლობას. ამგვარი გადაადგილება წარმოადგენდა მნიშვნელოვან სოციალ-ეკონომიურ პროცესს. ჩამოსახლების დღიდან მთიელთა ყოფა-ცხოვრება ძალაუფლებურად იცვლებოდა, ვინაიდან ისინი ემეზობლდნენ მთისაგან განსხვავებულ სამეურნეო და სოციალური ცხოვრების ფერხულში. ამგვარი ხასიათის ცვლილებებს არც რაიმე უშლიდა ხელს, რამდენადაც მთიელები სწორედ იმიტომ მოისწრაფოდნენ ერწოსაკენ, რომ სამეურნეო პირობების შეცვლით თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. ასეთი მიზანდასახულობით მოსულმა მთიელებმა დიდი მონაწილეობით მოჰქიდას ხელი ბარისათვის დამახასიათებელ სამეურნეო საქმიანობას. მკვიდრი მოსახლეობის ზეგავლენით ისინი დაეუფლნენ მიწის დამუშავების აქ არსებულ სისტემას. მა-

თი მეურნეობის მასშტაბი გაფართოვდა არა მარტო მარცვლეული კულტურების სათვის ფართობის გაზრდით, არამედ აქ დასახლებამდე მათთვის უცნობი სამეურნეო დარგების (მებოსტნეობა, მებაღეობა) ათვისება-გამოყენებით. ამის შესაბამისად მთიელებმა შეისწავლეს შრომის იარაღების დამზადების ტექნიკა და გამოყენების წესი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერწოში ჩამოსახლების დღიდან მათ აამუშავეს დიდი ქართული გუთანი და ხენა-თესვის პრაქტიკაში დანერგეს გუთნულის გამართვის, მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის და სამუშაო დღეებით სარგებლობის ის პრინციპები, რაც დამახასიათებელი იყო „კახების“ ერთობლივი შრომა-საქმიანობისათვის.

ადგილობრივი სამეურნეო პირობების შესაბამისად ერწოში ჩამოსახლებული მთიელები ავითარებდნენ აგრეთვე მესაქონლეობას, რასაც მთაში ცხოვრების დროს წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ერწოში დასახლების შემდეგ მთიელის ეკონომიკაში შეიქცა საქონლის სახეობათა რიცხობრივი შეფარდება. საქონლის პრაქტიკული გამოყენების საქირობამ მესაქონლეობის სფეროში შემოიყვანა მთისთვის უცნობი პირუტყვი (კამჩი) და გაზარდა გამწევი ძალის რაოდენობა. მსგავს ცვლილებათა შესაბამისად იცვლებოდა საქონლის მოვლა-პატრონობის ხასიათი, ინერგებოდა მწყემსობის ორგანიზაციის ადგილობრივი წესი და ა. შ.

მკვიდრი მოსახლეობის მიმბაძველობის შედეგად სათანადო ცვლილებები მოხდა მთიელთა მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის სფეროში, რასაც ნათლად გვიჩვენებს ეთნოგრაფიული მასალები საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, საოჯახო ყოფისა და ქორწინების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და დღესასწაულების შესახებ. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ერწოში დასახლებული მთიელები რაც შემთხვევაში კვლავ იყენებდნენ შამა-ბაპურ საოჯახო ნივთებს და სამეურნეო იარაღებს, თავდაპირველ პრაქტიკულ მნიშვნელობას უნარჩუნებდნენ ნაგებობის ამათუ იმ ელემენტს და განსაკუთრებით დიდხანს ინახავდნენ ნათესაური და მეზობლური ურთიერთობის ფორმებს, საქორწინო წეს-ჩვეულებებს, ძველი საოჯახო ყოფის გადმონაშთებს, ხალხური სამართლის ნორმებს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს და მასთან დაკავშირებულ რიტუალს და ა. შ. აღნიშნულ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერწოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის თავისებურებათა შესწავლისათვის, ვინ-

ნაიდან აქ დამკვიდრებული მთიელების ვინაობა და ეთნოგრაფიული ინდივიდუალობის შენარჩუნება სწორედ ძველ წეს-ჩვეულებათა შემონახულობამ განაპირობა.

კუთხური თავისებურებების შენარჩუნებას ურთიერთობის სხვა საშუალებებთან (ქორწინება, ნათესაური კავშირი, მეზობლური ურთიერთობა...) ერთად ხელს უწყობდა ახალ სამოსახლოში მოწყობილ მამა-პაპურ სალოცავში შეკრება და ტრადიციული წესების შესრულება. როგორც წესი, ხევსურის, ფშაველის თუ გულდამაყრელის სალოცავს შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახელწოდება და ნაწილობრივად ფუნქციაც. იახსარი, კოპალა, კვირია, მთავარ-ანგელოზი, პეტრე მოციქული, ლომისა და მრავალი სხვა ის სალოცავებია, რომლებიც ჩამოსახლებულმა მთიელებმა ამავე სახელწოდებით მთაში არსებული ჭარ-ხატების მიტოვების შემდეგ ერწოში ნიშების სახით მოაწყვეს და იმ წეს-ჩვეულებათა შესრულება განაგრძეს, რომელსაც მისდევდნენ მათი წინაპრები. ამ სალოცავებში ინახებოდა დღეობებში ხმარებული ჭურჭელი (ქვაბები, სასმისები, ქვევრები...), რომელთა დიდი ნაწილი დაკარგულია, მაგრამ ზოგიერთ მათგანში დღემდე ინახება არაერთი მნიშვნელოვანი ნივთი. ექსპედიციას საშუალება ჰქონდა დეკანოზად ნამყოფი მთხრობლების დანახარებით ზოგიერთ მათგანს ვაცნობოდა. მგალითად, სოფ. ტლანანთსოფელში ვნახეთ ბურღულაძის სალოცავი იახსარი, ხოლო სოფ. კვირიახევში ანუ დამწვარსოფელში წიკლაურებისა და მათგან გამოყოფილი ბასილაურების ხატი პეტრე-მოციქული. ბურღულაძის სალოცავში აღრე მდიდარი განძი ყოფილა დაკული, მაგრამ გაუძარცვათ და ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ნივთი, რომელიც გვაჩვენა აღნიშნული სალოცავის დეკანოზმა ილიკო ბურღულაძემ. ექსპედიციის მიერ აღწერილი ნივთებიდან ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს

სპილენძის სასმისს მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით (იხ. ტაბულა 1)¹⁰. შედარებით ბევრი ნივთებია დაკული სალოცავ პეტრე მოციქულის ნანგრევში, რომლის აღწერის საშუალება მოგვცა ამ ხატის დეკანოზმა, სიძველეთა დაცვის ენთუზიასტმა და შესანიშნავმა მთხრობელმა შალვა ბასილაურმა. მისი ცნობით, ამ სალოცავის განძთსაცავიდანაც არაერთი ნივთი დაკარგულა. ასეთებდა დაგვისახელა „შავკაბა“, რომელიც ერთ ხელადა სასმელს იტევდა და მისი გამოცლა „სულმოუქცევრად“ ხდებოდა, „სადიდებელი“ თასები, რომელთა შორის ერთს რქმევია „ჩანახი“ და სხვ. ადგილზე აღწერილი თასებიდან, რომელთაგან აქ ვიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს (იხ. ტაბულა 2, 3, 4, 5, 6), ამშვენებს შემკულობა ორნამენტის (გეომეტრიული, მცენარეული, ასტრალური) და წარწერების (ქართულ და არაბულ ენებზე) სახით. სალოცავებში დაკული ნივთების შესწავლა შემდგომშიც საშუარსაქმედ გვესახება და ეს ექსპედიციის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს.

სალოცავებთან და მის საგანძურთან ერთად ექსპედიცია აწარმოებდა ერწოს ტერიტორიაზე არსებული ძველი ნამოსახლარების, ციხე-კოშკებისა და საკულტო ნაგებობების აღრიცხვასა და ფოტოგადაღებას, ხოლო ისტორიულ ძეგლებს ათვალიერებდა როგორც საკუთრივ ერწო-თანეთის ტერიტორიაზე, ისე მის მეზობლად მდებარე ხეობებში. ჩვენი ექსპედიციის დაზვერვითი ხასიათის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აკად. გ. მელიქიშვილმა, რომელიც უშუალოდ გაეცნო როგორც ეთნოგრაფიული კვლევის რეგიონს, ისე მის ფარგლებს გარეთ მდებარე ძეგლებს.

¹⁰ ილუსტრაციები დამზადა მხატვარმა ნ. ველიაშვილმა.

ვალერიან ითონიშვილი
ჟუანშერ სონღულაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1972 წლის სამელე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი

საანგარიშო სისია

1973 წლის 26 მარტიდან — 30 მარტის ჩათვლით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მიმდინარეობდა 1972 წლის საეულე — არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელშიც, ზემოხსენებული ინსტიტუ-

ტის გარდა მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ს. ჭანაშვიის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა. სესია გახსნა სხდომის თავმჯდომარემ ო. ლორთქიფანიძემ, რომელმაც დამსწრეთ მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა.

მოხსენებით „საქართველოს ზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის შედეგები“ გამოვიდა ნ. ბერაქენიშვილი. მან აღნიშნა, რომ ექსპედიციამ დაასრულა ოქუმი ! და ხერგულის — კლდის ნაბინარების თხრა და რომ მათი შემდგომი შესწავლა, უთუოდ, საფუძვლად დაედება საქართველოს ზედაპოლიოლოგიური კულტურის ისტორიის არა მხოლოდ კერძო საკითხების გარკვევას, არამედ ამ კულტურის განვითარების გზებისა და მისი ცალკეული პერიოდების თავისებურებათა დადგენას.

„ოქუმის მღვიმე 1-ში ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში“ გააკეთა გ. ხუბუტიაშვილი. მან აღნიშნა, რომ გალის რაიონში სოფლების ოქუმისა და ღუმურეთის მიდამოებიდან ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის ნაშთები (ქვედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი) მხოლოდ ამ ათიოდე წლის წინათ გახუა ცნობილი. დიდხანს არ ჩანდა უძრავი კულტურული ფენიდან მომდინარე მასალა. ეს ხარვეზი შეავსო ოქუმის მღვიმეში.

კ. კალანდაძემ წაიკითხა მოხსენება „ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარი“. მისი აზრით, ამ ძეგლის სახით დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებს შეემატა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ნამოსახლარი, რომლის არსებობით მნიშვნელოვანი იმპული მდგომარეობს, რომ მისი ტერიტორიის გარკვეულ ფართობზე კულტურული ფენა უძრავ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც კერძო ვიტყვით დასავლეთ საქართველოში დღემდე ცნობილ ნეოლითურ ღია სადგომებზე.

საუურადღებო მასალა იყო მოყვანილი ასევე ტ. ჩუბინიშვილისა და ლ. ჰელიძის მოხსენებაში „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“.

მოხსენებლებმა დახასიათეს ადრე სამიწადამოქმედო კულტურის გორა-ნამოსახლარი არხულა 1. ნამოსახლარზე წარმოადგენილია შვიდი სამშენებლო პორიზონტი. გორის ძირებზე გამოვლინდა სხვადასხვა დროის უძველესი თხრილები და არხები, რომლებიც ბორცვის სამი მხრიდან უვლიან. მათ შორის ყველაზე საინტერესოა უადრესი არხები. ძეგლის კომპლექსური წინასწარი შესწავლის შედეგად, — კერამიკა, ობსიდიანის იარაღ-ანატეკები, მისი ფაუნა, ფლორა — ავტორებმა მას ენეოლითის პირველი ნახევრით ათარიღებენ. ავტორების აზრით, ამ ნამოსახლოს მასალა გვიჩვენებს, რომ ქვის ინდუსტრია იმ ადგილობრივი მეზოლითური კულტურის საწყისებზეა დამყარებული, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზეა დამოწმებული.

„კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში“ წაიკითხა კ. ფიცხელაურმა (თანავტორები — შ. დედაბერიშვილი, ნ. მამაიაშვილი, მ. უზუნაშვილი, კ. ნუცუბიძე, ბ. მაისურაძე).

ექსპედიცია საანგარიშო წელს მუშაობდა შიდა და გარე კახეთის ცხრა პუნქტში: თერთულეში, გულგულაში, ვანთაში, ზემო ბოდბის მახლობლად, კაქრეთის სამხრეთით „ბრიშა წყალთან“, სოფ. ყარაღაჯის ჩრდილოეთით ალაზნის ველზე მდებარე ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვზე, სადღესა ნემოსახლარზე, სოფ. დარჩეთში, პანკისის ხეობაში. აქ ძირითადად გათხრილი იყო შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები, მათ შორის იყო ერთი მდიდარი სამარხიც (ვანთაში). „ტყის ბოლოს გორაზე (თაფაზე)“ გამოვლინდა განუწყვეტელი სამშენებლო პორიზონტები ადრებრინჯაოს ხანის დასასრულიდან მოკიდებული ძე. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე. აქვე გამოვლინდა ქრისტოწინული ხანის ჩამუშავებული სამარხები და გვიანანტიკური ხანის სამი სამარხი.

სოფ. არჩეთის (გურჯაანის რაიონი) დასავლეთით, ადგილ საბერეში გაიწმინდა ადრე-ლეოდალური ხანის ეკლესიის მცირე ნაშთი.

რ. აბრამიშვილის, ე. გოგამის, ნ. თუშიშვილის, კ. კალანდაძის, დ. მუსხელიშვილის, ე. ნიკოლაიშვილის, ალ. რამიშვილის საინტერესო მოხსენებაში „დღი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები“ შეჯამებული იყო იმ ფართო ხასიათის სამუშაოები, რომლებსაც ექსპედიცია აწარმოებდა დიღმის ტეობასა და დიდი თბილისის ტერიტორიაზე.

საანგარიშო წელს ექსპედიცია არქეოლოგიურ გათხრებს ძირითადად აწარმოებდა დიღმის ველზე, სადაც ითხრებოდა მტკვარ-არაქსის კულტურისა და ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარის ნაშთები და ბრინჯაოსა და ადრეკინის ხანის სამარხები.

თრელის სამარხანის გარკვეულ ფართობზე 1972 წელს გაითხრა ბრინჯაო-რკინის ხანის 21 სამარხი.

ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა დიღმის ველის ჩრდილოეთ ნაწილშიც, ე. წ. ნამგალა მწვანე. აქ გაითხრა ქვაყრილიანი და ქვებისაგან შემდგარი წრეებით შემოვლებული ორი ყორღანი. № 1 ყორღანი გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით უნდა დათარიღდეს, ხოლო № 2 ყორღანი — შუა ბრინჯაოს ბოლო პერიოდით ან შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანით.

გათხრები ჩატარდა აგრეთვე თრელიგორა 1 ბორცვის გამოქვაბულში, სადაც აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის, გვიანბრინჯაო-ადრეკინი-

ნის ხანის და ადრეფეოდალური ხანის მასალა.

დიდმისწყლის მარჯვენა სანაპიროზე ვაშლაჯვარას სამაროვანზე გაითხარა 24 სამარხი — 16 ადრეფეოდალური ხანის ქვაყუთი და 6 ახ. წ. IV საუკუნის ორმოსამარხი.

საანგარიშო წელს სტაციონალური ვათხრების გარდა ექსპედიცია აწარმოებდა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოებს, რის შედეგადაც გაიჩქვა, რომ თბილისის თითქმის ყველა რაიონი საქმოდ აღრიხული ღრომიდან არის დასახლებული — უძველესი ნასახლარი (დაახლოებით ძვ. წ. V—IV ათასწლეულით თარიღდება) აღმოჩნდა ეაეა-ფშაეელას პროსპექტთან; ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარები აღმოჩნდა დიდუბეში, საბურთალოში, დიდმის მასივში, ვაშლაჯვარში და ზემოაქალაში; შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებია გამოვლენილი ღრმაღელეში და დიდმის მასივში.

დიდი თბილისის ტერიტორია განსაკუთრებით მჭიდროდ ჩანს დასახლებული გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანაში. ამ პერიოდის ძეგლები მოპოვებულია: ავლაბარში, ორთაქალაში, ნარიყალაზე, ნავთლელში, მთაწმინდის ფერდობზე, ვაკეში, საბურთალოზე, ვაშლაჯვარში, დიდმის ველზე, ღრმაღელეში, ნაძალადეგში, თბილისის ზღვასთან, ავქალაში, ზემოაქალაში. დიდუბეში, გლდანში, ვარკეთილში, ფონიქალაში, შვენაბდას მახლობლად და სხვ.

საქმოდ აღმოჩენილი ანტიკური ხანის ძეგლები: ლენინის მოედნის მახლობლად, ორთაქალაში, ავლაბარში, მთაწმინდის ფერდობზე, ვაკეში, დიდუბეში, ნაძალადეგში, ღრმაღელეში. პლენხანოვის პროსპექტზე, დიდმის მასივში. ვაშლაჯვარში, გლდანში, ავქალაში და სხვ.

მესხეთ-გაეახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შესახებ მოგვახსენა ო. ლაშაშვიციანი (თანაავტორი ვ. ართილაყვა).

ექსპედიციამ საანგარიშო წელს ვათხრები ჩაატარა ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრისა და ჩიხტახეის წყლის შესართავთან. აქ აღმოჩენილი ძველი მრავალფენოვანია. I ფენაში გამოვლინდა შუაფეოდალური ხანის ნაგებობის ნაშთი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. II ფენა შეიცავს წინაქრისტიანული ხანის ძეგლებს (სამაროვანს, ნასახლარს), სადაც საქმოდ აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა — ბრინჯაოს და რკინის ელემენტები, რკინის სატყეურები, მახვილები, მოხბილი დანები, შუბისპირები, ბრინჯაოსა და რკინის მშვილდური საკინებები, თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს მასიური რგოლები, მძივები და სხვ. (სამაროვანზე), რაც ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს.

ექსპედიცია მუშაობდა ასევე სილის ხევის ადგილ დვირში, სადაც საეარაულა მრავალფენიანი ძეგლის არსებობდა.

საყურადღებო შემთხვევით აღმოჩენებს მიეკუთვნება ადგილ „ბორნიღელეს“ სათავეებში ე. წ. „სარაიებში“ მოპოვებული მასალა, რომელიც უმთავრესად ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანით თარიღდება.

„მუხნარის ლელეში“ (დვირთან) ექსპედიციამ გამოავლინა ნასოფლარი, რომელიც ადრეფეოდალური ხანისა ჩანს.

გ. მიქელაძემ (თანაავტორები — მ. ბარამიძე, დ. მუსხელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, გ. ფხაკაძე) გააყენო კოლხეთის მრავალრანხიანი არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები.

ექსპედიციის პირველი რაზმი სამუშაოებს აწარმოებდა გალის რაიონის სოფ. ლუმბურიშში, რომლის შესახებ უკვე ცალკე იქნა მოხსენილი მოხსენებაში.

მეორე რაზმი მუშაობდა ჩხოროწყუს რაიონის სოფ. კოლაში, სადაც მიკვლევულია რკინის სადნობი ქურა-სახელსონობი და მათი სინქრონული ნამოსახლარი.

გვიანბრინჯაოს და ადრეკინის ხანის სტრატეგრაფიული ჰორიზონების შემოწმების მიზნით ექსპედიციის მესამე რაზმმა აწარმოვა სადაზვერვო სამუშაოები სოფ. ანაკლიაში, დიხაგუძება II, სადაც დადასტურდა ადრეანტიკური და გვიანბრინჯაოს ხანის ფენები.

საინტერესო მასალები იქნა მოპოვებული ექსპედიციის მეოთხე რაზმის მიერ, რომელმაც გეგეჰკორის რაიონის სოფ. საელიაოში, ადგ. „კურშიაზე“ დადასტურა სამი კულტურული ფენის არსებობა: I ფენა ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების, II — გვიანბრინჯაოს ხანის, III ფენა კი — ადრებრინჯაოსი.

ძირითადი სამუშაოები წარმოებდა სოფ. საქორქოს ტერიტორიაზე. ადგ. „სიმაგარზე“, სადაც ითხრებოდა ძვ. წ. V ს. საწყისის I კულტურული ფენა და ნაწილობრივ ძვ. წ. VI ს. უკანასკნელი მესამედის კუთვნილი II ფენა. „სიმაგარის“ შემოგარენში ექსპედიციამ დაიწყო ბათქაშოვანი მოედნების შესწავლა, რომლებიც ძვ. წ. IV—III სს. ნამოსახლართა ნაშთებს უნდა წარმოადგენდნენ. ამავე ტერიტორიაზე ექსპედიციამ შესწავლა შუაფეოდალური ხანის ნაგებობის ნაშთები.

სადაზვერვო სამუშაოები წარმოებდა აბაშის რაიონის სოფ. კოდო 1, ადგ. „ობირგულეზე“, რომელზეც დადასტურდა შუაბრინჯაოს დასასრულისა და გვიანბრინჯაოს დასაწყისის მძლავრი კულტურული ფენა.

„ნასტაქისის არქეოლოგიური ექსპედიცია და დაზვერვები მცხეთის რაიონში“. ამ ექსპედი-

ციის მუშაობის შედეგები შეაჯამა ალ. ბოხო-
ჩაძემ (თანაავტორები — ჟ. ამირანაშვილი,
გ. მიორცხულავა, ც. ჩიკოძე, ი. ტუხიშვილი).
ექსპერიმენტალურად გამოვლინდა ფარ-
მაცულის ეფექტური ნაწარმები. აქ გა-
იქნა რვა თხრილი, სადაც დიდი როლს
გამოთავსებდა ნაგებობათა ნაშთები,
ქვეყნები, თიხის ქუთუბლის ნატეხები,
ალიზის აგურით ნაგები მცირე
ეკლესია და სხვ.

მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე მიკვლეულ იქნა
შუაბრინჯაოს ხანის დანგრეული ყორღანული
სამარხი.

ქართლ-იმერეთის გზისა და ქსანში მიმავალი
გზის გადაკეთებაზე ექსპერიმენტალურად
გვიანბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორას —
„ქანდის გორა“, რომლის ზედაპირზე შეგრო-
ვილ იქნა მდიდარი მასალა.

ექსპერიმენტალურად მოიხილა ჩარდახის ტერიტო-
რიაზე მდებარე გორა — „დიდი გორა“. მუ-
შაობა წარმოებდა ასევე საკინეთის ქედზე,
სადაც 1971 წელს აღმოჩნდა თიხის ნიღბები
და დამატებითი მასალა, რომელიც ელინისტუ-
რი ხანით თარიღდება.

საქდელი თხრილები იქნა გავლებული სოფ.
ქალისაშიც, სადაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი
მასალები, რომლებიც ამ ადგილას ახალი
წ. ა. 1—III საუკუნეების მალაგანეთარბული
და არქიტექტურულად გაფორმებული ქა-
ლაის არსებობას მოწმობენ.

მოხსენებით „არქეოლოგიური გათხრები ვან-
ში“ გამოვიდა ო. ლორთქიფანიძე (თანაავტო-
რები რ. ფუთურიძე, ნ. მათიაშვილი, ა. ქუ-
ნია).

საანგარიშო წელს გათხრები წარმოებდა ნა-
ქალაქარის ცენტრალურ და ქვედა ტერა-
სებზე.

ცენტრალურ ტერასაზე გამოვლინდა ოთხ-
ჯუთხა ნაგებობის საძირკვლის ნაშთები და
გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა. ეს
უკანასკნელი ძლიერ დაზიანებული იყო მიწის
სამუშაოების შედეგად. იგი იდო კლდოვან დე-
დაქანზე, რომელშიც ხელოვნურადაა ამოკვეთი-
ლი არხები, ორმოები, ნახევრადწრიული მოე-
დანი სადინაროებია.

თხრილის დასავლეთ ნაწილში ფიქსირებუ-
ლია კირქვის ანატაკებიანი ფენა, რომელიც
გვიანბრინჯაოს ხანის თარიღდება. ამ უკა-
ნასკნელის ქვეშ აღმოჩნდა ძვ. წ. IV საუკუნის
ფენა, სადაც მოპოვებულია კოლხური კერამი-
კისათვის დამახასიათებელი ნიმუშები, ძვ. წ.
IV საუკუნის იმპორტული კერამიკა, ოქროს
შეწყვილებული მძივი, გაუმჭვირვალე მინის
ფრინველის გამოსახულებიანი საყიდი, ვერცხ-
ლის მილაკი, ქარვის მძივი, ბრინჯაოს სამაჯუ-
რი, სასაფეთქლე რგოლი და სხვ.

შესწავლილია აგრეთვე ადრეანტიკური ხანის
(ძვ. წ. V—IV სს.) ფენა, სადაც გვხვდება ადგი-
ლობრივი კერამიკის დამახასიათებელი სახეო-
ბები.

ქვედა ტერასაზე გაითხარა დაახლოებით
250 მ² ფართობი. გამოვლინდა რუსტირებული
ქვით ნაგები სწორკუთხა ნაგებობის სამხრეთი
ფასადი და გვიანბრინჯაოს კულტურული
ფენა. ამ ფენაში დამოწმებული მასალიდან
განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სილენის
გამოსახულებიანი თიხის ყალიბი.

ვანის არქეოლოგიური ექსპერიმენტის ერთ-
ერთი რაზმი გათხრებს აწარმოებდა სოფ. დაბ-
ლაგომში და მის მიდამოებში — ნაციხვარასა
და ნასაკირევის ბორცვზე. ამ გათხრების ანგა-
რში წიყითხა ვ. თოლორდავაძე. აქ შესწავლილ
იქნა კულტურული ფენები, რომლებიც ცხოვ-
რების ორ პერიოდს ასახავენ: ძვ. წ. VI—IV სს.
და ძვ. წ. IV—III სს.

ნასაკირევის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე
გათხარა რამდენიმე ქვესამარხი — ძვ. წ.
IV—III სს.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ნა-
ციხვარას ბორცვის დასავლეთ ფერდზე გათხ-
რილი მდიდარი სამარხი.

სამარხში აღმოჩნდა ნივთიერი მასალა, წარ-
მოღვნილი ოქროს სამაჯულებით, ბრინჯაოს
და ვერცხლის ქურკლებით, რკინის იარაღე-
ბით, მინის და ქვის მძივებით და საყიდებით,
შემოტანილი და ადგილობრივი თიხის ქურკ-
ლით და სხვ.

სამარხეული ინვენტარის წინასწარ შესწავ-
ლის საფუძველზე, სამარხი ძვ. წ. III საუკუ-
ნის დასაწყისის უნდა იქნებოდეს.

ბიკვინტის არქეოლოგიური ექსპერიმენტის
წესსაზე მოგვახსენა ა. აფაქიძე (თანაავტო-
რები გ. აგრაბა, გ. აფაქიძე, ლ. ასათიანი, გ. გა-
ფრინდაშვილი, გ. დუნდუა, ნ. მათიაშვილი,
დ. დავლენიშვილი, მ. ყარაშვილი, ი. ტუხი-
შვილი).

საანგარიშო წელს სამუშაოები ჩატარდა
ბიკვინტის ნაქალაქარზე — ციხე-ქალაქის შიგ-
ნითა ტერიტორიაზე და სოფ. ალაჰაძის ახაშ-
ნის ბორცვზე. აქ ჩატარებულ იქნა საკონტრო-
ლო-დამაზუსტებელი გათხრითი სამუშაოები,
რომელთა შედეგად მოპოვებულ იქნა დამატე-
ბითი მასალები ნაქალაქარის ნაგებობათა ქრო-
ნოლოგიური თანმიმდევრობის დასადგენად,
გაიწმინდა კერამიკული ქუჩა (ნაქალაქარის და-
სავლეთ ნაწილში) და სხვა.

სოფ. ალაჰაძეში გაიხსნა რამდენიმე კვანძი,
გეგმისა და კრილების დაზუსტების მიზნით. გა-
იხსნა მშენებლობის ტექნიკის დამახასიათებე-
ლი დეტალები.

არქეოლოგიური ობიექტების არქეომაგნიტური მეთოდით გამოკვლევის შედეგების შესახებ გვესაუბრა ზ. ქელიძე.

მან, 9 რკინის სადნობი ღუმელიდან აღებული 50 ნიმუშის არქეომაგნიტური მეთოდით გამოკვლევის შედეგად, განსაზღვრა საკვლევი რკინის ნახევარად სადნობი სახელოსნოების შეფარდებითი თარიღი.

ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში გააკეთა ე. ჭაფარიძემ (თანაავტორები კ. მელითაური, ჯ. ჭღამია, ზ. კალანაძე).

სენეზული ექსპედიციის შესასწავლი რაონი უმეტესად მოიცავდა მიაკოვსკისა და წყალტუბოს რაიონების რიონისპირა ვაკე ზოლს და ვარდციხის ადრეშუასუქუნეების ნაქალაქარსა და მასთან მდებარე უძველეს სამოსახლოს. აქ მრავალ უბანზე ჩატარებულმა სამუშაოებმა მოგვეცა საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიური მასალა, რომელიც ძირითადად განეკუთვნება ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანას და შუაფეოდალურ ხანას.

შ. ჩართლანმა წაიკითხა მოხსენება „სენეზის არქეოლოგიური კვლევის შესახებ“.

მოხსენებაში ძირითადად წარმოდგენილი იყო უშგულისა და კალის ეკლესიებში საუკუნეების განმავლობაში თავმოყრილი მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც სენეზის სხვა შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვების მსგავსად მომდინარეობს ადგილობრივი ძეგლებიდან და ასახავს კავკასიის მაღალმთიან ზოლში მოსახლე ქართველი ტომების სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას საზოგადოებრივი განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ძვ. წ. II ათასწლეულიდან დაწყებული გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით.

სესიაზე მოსმენილ იქნა გ. ცეტიშიელისა და ზ. შატერაშვილის მოხსენება — „კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგების შესახებ“.

ეს ექსპედიცია უფრო დაზვერვითი ხასიათის იყო, მან მოიხილა 34 ძეგლი, მათგან 16 ძველი ნამოსახლარი გორა და 3 სამაროვანი, დანარჩენი — ფეოდალური ხანის ნასოფლარ-ნაეკლესიარები.

მოხილული ძეგლებიდან სრულიად უცნობია 8 გორა და 3 სამაროვანი. აქ, ძირითადად, ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენებია დადასტურებული.

ექსპედიცია აგრძელებდა გათხრებს, „ციხეაგორაზე“ (სოფ. კავთისხევის უბნის ჩოჩეთის ბოლოზე). ჩატარებულმა გათხრებმა საშუალება მისცეს ავტორს შემდეგი დასკვნა გამოეტანა: „ციხეაგორა“ დასახლებულა ძვ. წ.

III ათასწლეულის პირველ საუკუნეებში და აქ ცხოვრება, გარკვეული შუალედებით, წელთაღრიცხვათა მიჯნამდე, ან ახ. წ. I საუკუნემდე გრძელდებოდა.

„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“ წაიკითხა ა. ინაიშვილმა (თანაავტორები ა. კახიძე, გ. გრიგოლია, ო. გოგიტიძე, ნ. ვაშაქიძე). ექსპედიციამ გაანახორციელა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები აჭარის წყლის ხეობის სათავეებში (გორდების უღელტეხილის შემოგარენი), სადაც ზედაპირულად დადასტურდა ქვის (ძირითადად კაჟის და ობსიდიანის) იარაღები: ნუკლეუსები, ანამტკრევეები, ანატკეცები, ლამელები, საფხეკები, სასოკები, დანისებური იარაღები და სხვა.

ასევე დაზვერვები მიმდინარეობდა ქოროხის შესართავის გვიანბრინჯაოს ხანის გორა-სამოსახლოებსა (ომბოლო, მახო, ზემო კოკო და ა. შ.) და მდ. მდ. გოროხისა და სუფსას შორის არსებულ ზღვისპირა ზოლში (ჩაქვი, ბუენარი, ციხისძირი, ურეკი, გრიგოლეთი).

განახლდა არქეოლოგიური გათხრები ფიქვენარის ანტიკური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე. გაითხარა რამდენიმე სამარხი, სადაც მოპოვებულ იქნა ქიოსური ამფორა, იონური იონოხოია, შველაკიანი ლეკითოსი და ამფორისკები, ბრინჯაოს სარკე და ვერცხლის სამკაულები, წელშუნევილი სამაჭურები, ფარაიანი ბეჭდები და ა. შ. — თარიღდება ძვ. წ. V ს. 30-იანი წლებით. IV ს. სამაროვნის ტერიტორიაზე ჰუმუსოვან ფენაში შეგროვილ იქნა ატიკური შველაკიანი შტამპირებულ ორნამენტის კილიკის ნატეხები, სამარხში — ლეკითოსისებრი ქურჭელი.

მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო გორდრძის უღელტეხილის მიდამოებში ნამოსახლარების გავრცელებისა და მათი ხასიათის გარკვევის ცდა. აქ მოპოვებულია მცირე კერამიკული მასალა, რომლის მიხედვით ამ ნამოსახლარების ქრონოლოგიური ჩარჩოების მონახვა ჩერაჭრობით ძნელია.

ჯ. ნადირაძემ წაიკითხა მოხსენება „გათხრები მოდინახეზე და მცხეთიჭვარში“.

საჩხერის რაიონის ციხე მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე გრძელდებოდა საცხოვრისისა და სამაროვნის შესწავლა. აქ ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოს და ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარ ფენებში ჩაშვებულა გვიანანტიკური, ელინისტური, ადრეანტიკური და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები, გაითხარა ადრეფეოდალური ხანის ორი სამარხი, გვიანბრინჯაოს ხანის ოთხი სამარხი. მოხსენებულმა დაახასიათა ეს სამარხები — მათში დაკრძალვის წესი და მოპოვებული ინვენტარი.

გარდა ამისა ექსპედიციამ დაზვერვითი სამუშაოები აწარმოვა ხაშურის რაიონის სოფ. მცხეთიჯვარში. სადაზვერვო თხრილები გაიჭრა მცხეთიჯვრის ციხის სამხრეთით მდებარე ადგილ „პლენის ნასახლარზე“, „ნაურიებზე“ და „გასასყიდლიანთ ვენახში“, ამ უქანასკნელში აღმოჩნდა ნამოსახლარი, რომელიც შეიცავდა ფეოდალური, ადრეანტიკური და წინაანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ნაშთებს.

ადგილ „ნაურიებზე“ და „გასასყიდლიანთ ვენახში“ მსგავსი და სინქრონული ძეგლებია, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები.

„ნაურიებზე“ გაითხარა ოთხი სამარხი. სამარხეული ინვენტარი მხოლოდ სამკაულების სახითაა წარმოდგენილი, მიცვალებულთა არაქრისტიანული დამარხვის წესი აფიქრებინებს ავტორს, რომ აქ არის ებრაელთა უძველესი ნეკროპოლისი. ყველა ეს ძეგლი მდებარეობს მცხეთიჯვრის ციხის გარშემო, რომელიც ქართულ საისტორიო მწერლობაში ალის ციხის სახელითაა ცნობილი. „ფეოდალური ქალაქი ალი, რომლის მოსახლენი იყვნენ სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი“ და მისგან ჩრდილოეთით აღმართული ციხე, მდებარეობდა სამეფო გზაზე, რომლითაც ფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველო უკავშირდებოდა დასავლეთ საქართველოს. ამ უძველესი ნამოსახლარების აღმოჩენის ფაქტი თითქმის იძლევა შესაძლებლობას ვიფიქროთ, რომ უკვე ანტიკური ხანიდან ამ ადგილზე არსებობდა საფორტიფიკაციო ნაგებობა.

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში გააკეთა ვ. ჯაფარიძემ. დმანისის ნაქალაქარი დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელიც უკვე მრავალი წლის მანძილზე ითხრება, საანგარიშო წელს დასრულდა III უბნის XII შენობის თხრა, სადაც აღმოჩნდა უბედურად საინტერესო და მდიდარი მასალა — კერამიკა, მოჭიქული ჭურჭელი, მინის სამაჯურებისა და ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა XII შენობის იატაკის დონეზე აღმოჩენილი სამი მონეტა, რომელთაგან ერთი თამარისა და დავითის სახელითაა მოჭრილი, მეორე — რუსუდანის, ხოლო მესამე — ბიზანტიური მონეტა.

III უბნის XIII შენობის გათხრა ექსპედიციამ დაიწყო საანგარიშო წელს. ამ შენობამ უხვი მასალა მოგვცა — მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა, ფიანისი, მინის, რქის და ძელის ნივთები, ლითონის ნივთები და მონეტები.

დაიწყო მუშაობა IV უბანზე, ჯერჯერობით აღმოჩნდა კერამიკული ფრაგმენტების საინტერესო კოლექცია.

მ. მიწიშვილმა (თანაავტორები — ე. ჯანდიერი, მ. ჩხატარაშვილი, ლ. ბასიაშვილი) მოგვახსენა „რუსთავეის ციხეზე წარმოებულ თხრის შესახებ“.

რუსთავეის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აწარმოვა მუშაობა რუსთავეის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა გარე და შიდა გალავანი, შესასვლელი კარი, შიდა გალავანთან განლაგებული სათავსები, რიყის ქვის დიდი კედელი და სხვ. სამხრეთ სექტორში კი გამოვლინდა შიდა გალავანი კოშკით, პილონებითა და ბურჯით. დასახლებული ობიექტები, როგორც ჩანს, ორჯერ (X და XIII ს.) დანგრეულა, რასაც მოწმობს ნგრევის და ხანძრის კვალი.

ციხეზე წარმოებულ თხრის შედეგად აღმოჩნდა საინტერესო მასალა: ადრე და შუა-ფეოდალური ხანის კერამიკა (მოჭიქული და მოუჭიქავი) აფური, კრამიტი, მინის ნაწარმი, სამი მონეტა (1187, 1226, 1227 წწ.).

შემდეგი მოხსენება წარმოადგენდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშს. მომხსენებელი რ. რამიშვილი, თანაავტორები — ბ. ჯორბენაძე, ლ. წითლანაძე, ი. ჭალანია, ლ. წერეთელი, თ. არჩვაძე, ჯ. გვასალია, გ. ლამბაშიძე, ნ. კალანდაძე, რ. ჭატივეი. ექსპედიციის ხელმძღვანელმა რ. რამიშვილმა შეძლებისდაგვარად დაწვრილებით მოგვახსენა თავისი მუშაობის შესახებ. ექსპედიციის სხვადასხვა რაზმები ერთდროულად მუშაობდნენ მრავალ უბანზე.

ქვის ხანის რაზმმა ნაყოფიერი კვლევა-ძიება ჩაატარა დუშეთ-ბაზალეთის პლატოზე, სადაც ქვის ხანის ნაშთების შემკველ შვიდ ადვილსამყოფელს მიაკვლია. აქ მოპოვებული კაჟისა და ობილიანის მასალა სხვადასხვა დროისაა.

ბრინჯაოს და რკინის ხანის ძეგლების შემსწავლელი რაზმი სამუშაოებს აწარმოებდა სოფ. ვარსიმძანთკარში, სადაც აღმოჩნდა სამაროვანი. ამ სამაროვანზე გათხრილ 14 სამარხში დამოწმებული დაკრძალვის წესი და სამარხეული ინვენტარი საშუალებას აძლევს მკვლევარს ვარსიმძანთკარის სამაროვანი ადრეანტიკური ხანით დაათარილოს.

ასევე აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი სოფ. მაღაროსკარში.

გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები ითხრებოდა ახალ ჟინვალში.

აქვე იქნა გათხრილი 17 ორმოსამარხი, რომლებმაც საყურადღებო მასალა მოგვცეს.

გვიანანტიკური ხანის მეორე სამაროვანი აღმოჩნდა ახალი ჟინვალის დასავლეთ ნაწილში.

ახალ ჟინვალში გაითხარა ორი სამშენებლო დონის შემკველი ნამოსახლარი. ზედა საამშენ-

ნებლო დონე აღრეფეოდალური ხანის პირველი საუკუნით თარიღდება, ხოლო ქვედა სამშენებლო დონე გვიანანტიკური ხანით.

საკუთრივე ეინვალში წარმოებდა რუსთაველის ეპოქის ძეგლების შესწავლა. აქ ითხრობოდა „ნაქალაქარის“ უბნის სამაროვანი. ამ სამაროვანზე გაითხარა ასამდე კოლექტიური სამარხი, რომელთა შორის ბევრია აკლამა. აქედან მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა მთლიანად სამაროვანი ზოგადად XI—XIII საუკუნეებით დათარიღდეს.

„ნაქალაქარის“ სამაროვნის ძირითად უბანზე აღმოჩნდა მრავალსათვისიანი ხუროთმოძღვრული ნაგებობის ნაშთები და სხვ.

შუა და გვიანფეოდალური ხანის ფენები გამოვლინდა ხერთვისის კოშკზე, გვიანფეოდალური ხანის ფენები — ეინვალში ზურგიან კოშკზე — „დედაციხეზე“.

ექსპედიციის ერთმა რაზმმა ჩატარა სამუშაოები ყაზბეგის რაიონში. აქ დარიალის ხეობაში გაითხარა აღრე მოპოვებული სამაროვანი, რომელიც სამარხეული ინვენტარის მიხედვით აღრეფეოდალური ხანით ექნა დათარიღებული.

დაზვერვები მიმდინარეობდა ლალურისა და გუდრუხის ხეობებში, სადაც მიკვლეულია დიდი ნასოფლარები.

ამ ექსპედიციასთან კავშირში მუშაობდა ეინვალის ეთნოგრაფიული ექსპედიციაც (ხელმძღვანელი ი. ჭყონია), რომელიც სწავლობდა ეინვალელთა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთა ყოფას.

მოისმინეს ლ. შერვაშიძის მოხსენება გუმისთის ციხის შესახებ. მომხსენებელმა დაახასიათა ჩატარებული სამუშაოები. გუმისთის ციხე, მისი წყობის და იქ მოპოვებული მასალის საფუძველზე დაათარიღა XIV ს. და XV ს. დასაწყისით.

სესიის ყველა მოხსენება ფართოდ იყო ილუსტრირებული დიაპოზიტელებით.

სესიის ბოლო სხდომაზე ო. ლორთქიფანიძემ შეაჯამა სესიის მუშაობის შედეგები. მან აღ-

ნიშნა, რომ 1972 წ. მეცნიერული და ზოგადკულტურული თვალსაზრისით ღიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი. ამიტომ სესიაც ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ო. ლორთქიფანიძემ განსაკუთრებით შეაჩერა ყურადღება იმ ხარეებზე, რომლებიც გასული წლის მუშაობაში შეინიშნებოდა და იმ აშოცანებზე, რომლებიც ჩვენმა სესიამ დასახა. მან აღნიშნა, რომ მომხსენებლები არ იყენენ შეზღუდულნი რეკლამენით, რამაც მისცა მათ საშუალება უფრო ვრცელი ინფორმაცია მოეწოდებინათ ჩვენთვის, მაგრამ მსხვილ მრავალრაზმიან ექსპედიციებს შედეგების შეჯამებისათვის დრო მაინც არ აღმოაჩნდათ საკმარისი — მომხსენებლები იძულებული იყენენ მხოლოდ ძირითადი და უმთავრესი შედეგები გადმოეცათ. მისი აზრით, არ იქნებოდა ურიგო, რომ მომავალში ამ ანგარიშების სრულყოფისათვის ღიდმა, მრავალრაზმიანმა ექსპედიციებმა საკუთარი საანგარიშო სესიები მოაწყონ.

ო. ლორთქიფანიძემ გამოთქვა თავისი მოსაზრება გათხრის მეთოდის შესახებ. მან აღნიშნა, რომ უნდა მკაცრად შეიზღუდოს თითქოსდა სტრატეგრაფიის დადგენის მიზნით წარმოებული მცირე გათხრები, რადგან ამგვარი გათხრის შედეგად წარმომდგარი სურათი უმეტეს შემთხევაში არ იძლევა ძეგლის ხასიათის გარკვევის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ამ მცირე თხრით გამოვლენილი მასალის საფუძველზე ისმება დიდი პრობლემები და მათი გადაჭრის ცდასაც აქვს ადგილი.

შემდეგ მან აღნიშნა, თუ როდღან აუცილებელია დღევანდელ ეტაპზე გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯი არქეოლოგიური წყაროების ფორმალისაბიისაკენ, რაც ერთგვარად დაგვიცავს არქეოლოგიური მასალების ინტერპრეტაციისას გარკვეული სუბიექტურობისაგან.

დაბოლოს, ო. ლორთქიფანიძემ კვლავ გაუსვა ხაზი ანგარიშების წარდგენისას სრული ინფორმაციის აუცილებლობას.

ბანანა ბაბუნია

სამეცნიერო სესია მესტიაში

1973 წლის 28 აგვისტოს დაბა მესტიაში ჩატარდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საანგარიშო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი სვანეთის 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ი. ვეკუაშვილმა. მან გააცნო დამსწრეებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის დადგენილებანი სვანეთის ისტორიულ-ეთ-

ნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადასვლის შესახებ. აკად. ი. ვეკუამ ისაუბრა იმ პერსპექტივებზე, რომლებიც ისახება ამ ღონისძიების შედეგად. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მომავალში უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა სვანეთის ისტორიის და კულტურის შესწავლას, რამდენადაც მას ხელმძღვანელობას გაუწევს ისეთი ავტორიტეტული სამეცნიერო ცენტრი, როგორცაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ს. ჩანაშაის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, რომლის ფილიალადაც ცხადდება სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დასჭირდება დიდი სამუშაოების ჩატარება სვანეთის ისტორიის კვლევისა და სიძველეთა ძეგლების შესწავლის სწორი დაგეგმვისა და სამუშაოთა მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმართვისათვის.

„სვანეთის ისევე, როგორც საქართველოს სხვა მთიან რაიონებს — აღნიშნა აკად. ი. ვეკუამ, — თავისებური მიდგომა ესაჭიროება; მომავალში, საჭირო იქნება ყურადღება გამახვილდეს არა მარტო სიძველის ძეგლებზე, არამედ კვლევის საგნად უნდა გავხადოთ სხვა აქტუალური საკითხებიც. ჩვენი აზრით, მეცნიერულად უნდა იქნას შესწავლილი სვანეთის და საერთოდ მთიანი რაიონების ეკონომიური პირობები და შემუშავდეს მთიანი მხარის ეკონომიური დარაიონების პრინციპები, რომ შეიქმნას მყარი ეკონომიური საფუძვლები მთიან რაიონებში მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, რათა მოსახლეობის ბარის რაიონებში გადასახლების ბუნებრივმა პროცესმა არ გამოიწვიოს მთის მცხოვრებთა რიცხვის გვეთრი შემცირება, რაც, ცხადია, სასურველი არ არის.

ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში სვანეთში დაფუძნებული სამეცნიერო ცენტრის — საქართველოს მუზეუმის ფილიალის ამოცანები განსაკუთრებულია და საპატიო“.

სვანეთის 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნ. კანდიდატი მ. ჩართოლანი სესიაზე გამოვიდა მოხსენებით: „სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები“. მოხსენებელმა ილაპარაკა უშგულსა და კალაში დაცული ისტორიული ძეგლების შესახებ, აღნიშნა, რომ ექსპედიციამ ჩაატარა ამ სოფლების ეკლესიებში დაცული ნივთების აღრიცხვა, აღწერა, დასუფთავება, დანომრვა და ფოტოფიქსაცია. სულ აღმოჩნდა 230 ხატი და ჭვარი, სხვადასხვა პირების მიერ შეწერილი, 1313 დასახელების საეკლესიო ინვენტარი — ქვაბები, სკივრები, ყუთები და სხვა, სულ 4214 ერთეული. უშგულსა და კალის ეკლესიებში დაცული 235 ხატი-

დან და ჭვარიდან ამოწერილია 400-ზე მეტი ჰელური წარწერა. ექსპედიციის მიერ პირველად იქნა მიკვლეული მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი ნივთიერი მასალა. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლაგურკის ეკლესიის წახანაგოვან ჭოხებზე მოთავსებული ოცი ქართული წარწერა.

ახლად აღრიცხულ ნივთებს შორის ყურადღებას იპყრობს მლოცველების მიერ საუკუნეების მანძილზე შეწირული ნივთიერი მასალა, რომელთა რაოდენობა 4000 ერთეულს აღემატება, მათ შორის არის: ბრინჯაოს ნაჭახები, სატეხები, ნამგლები, ისრისპირები, მარგალიტის, მინის, ლითონის, ქვისა და ქარვის მძივები, მინისა და ვერცხლის სამაჭურები, სხვადასხვა პერიოდის ნუმიზმატიკური მასალა, ვერცხლის და სპილენძის ჭურჭელი, სამკაულები.

„ლაგურკის და უშგულის ეკლესიებში დაცული საკურთხელის წინამდებარე ჭვრები“ — ასეთი იყო ხელოვნებათმცოდნეობის, კანდიდატის, რ. ყენიას მოხსენების თემა. ავტორმა შეისწავლა უშგულის, ლაგურკის, წვირმის, აღიშისა და სვანეთის სხვა ეკლესიებში დაცული საკურთხელის წინამდებარე ჭვრები და მათი როლი სვანეთის ეკლესიებში შიდა სივრცეში.

მოხსენებაში განხილული ლაგურკის და ჩაჯაშის ეკლესიებში დაცული ჭვრები კომპოზიციურ-მხატვრული გადაწყვეტილებისა და გამოსახულების შერჩევის მხრივ განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის სვანური ქელური ხელოვნების დამახასიათებელი ნიმუშებია.

ისტორიის მეცნ. კანდიდატმა ვ. სილოგაძემ წაიკითხა მოხსენება „ისტორიული საბუთები წმ. კვირიკისა და ივლიტას ეკლესიიდან“. ავტორი იხილავს კალის წმ. კვირიკის და ივლიტას ეკლესიებში აღმოჩენილ ქართული დიპლომატიკის უნიკალურ ძეგლებს — საგანგებოდ გათლილ ხის ნაჭრებზე დაწერილ სიგელებს. რომლებსაც XIV—XV საუკუნეებით ათარიღებს. საბუთები ეხება კალის, უშგულის, ხალდეს და წვირმის ხეების მცხოვრებლებს. კერძო პირებს შორის დადებულ აქტებთან ერთად მრავლად არის ისეთი საბუთი, რომლებშიც ერთ-ერთ იურიდიულ მხარეს მთელი თემი წარმოადგენს. დოკუმენტებს ერთმანეთთან ადგენენ კერძო პირები, ორი ან რამდენიმე ხევი, კერძო პირი და ხევი. აღნიშნული საბუთები შუა საუკუნეების სვანეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის თვალსაჩინო სურათს გვიხატავენ და მათ ამ საკითხების კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვა

კუთხეებში ხის ნაპერზე დაწერილი საბუთები არსად გვხვდება.

მოსხენება „უშგულისა და კალის ეკლესიებში“ დაცული არქეოლოგიური მასალა — წაიკითხა უმცრ. მეცნ. თანამშრომელმა შ. ჩართოლანმა. მომხსენებელმა წინასწარ ანგარიშის სახით წარმოადგინა უშგულისა და კალის ეკლესიებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ელასიფიკაციის ზოგადი სურათი.

ისტ. მეცნ. კანდიდატმა ლ. ბედუქიძემ წაიკითხა მოხსენება — „ხეზე კვეთილობის ზოგიერთი ნიმუში სვანეთიდან“. მოხსენებაში განხილულია უშგულისა და კალის ეკლესიებში დაცული ჩუქურთმიანი ავეჯი და დეკორის ხასიათის მიხედვით გამოყოფილია ერთი ჯგუფი, სადაც გეომეტრიული სახეების გვერდით გვხვდება სიუჟეტური კვეთილობა, რომლის ახსნა სვანების მიერ შემუშავებული საკულტოსარიტუალო ჩვეულებათა მიხედვით ხერხდება, ხოლო ზოგიერთ სახეობაზე მოცემული გამოსახულებანი — ცხენები, ხელი, ადამიანები, ხაზოვანი ნახატების სერიას მიეკუთვნება და თავის ახსნას ლიფანდის მხატვრობაში პოულობს.

უმცრ. მეცნ. თანამშრომელმა მ. მაკალათიამ წაიკითხა მოხსენება „წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში“. მომხსენებელმა განიხილა უშგულისა და კალის ეკლესიებში დაცული მასალა, რომელსაც ეკლესიის დოგმატიკით არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ სარწმუნოებასთან — ჭიხვის, არჩვის და ირმის რქები, ჭიხვის გამოსახულება საეკლესიო ინვენტარზე. ქრისტიანულ ტაძარში გარეული ნაღირის რქების შეწირვა წარმართული ხანიდან მომდინარეობს და გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა შ. ძიძიგურმა და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა ლ. ქილაშვილმა.

სესიის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

ბიორბი ჩიკოძე

საზოგადოებრივ მდინეობათა დარგში ახალგაზრდა მდინეირ მუშაკთა ნაშრომების III რესპუბლიკური კონკურსი

საქართველოს ალკ-ის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების და განათლების სამინისტროების კოლეგიებმა მიიღეს დადგენილება საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომების III რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ 1973—1974 წწ.-ში. დამტკიცდა ამ კონკურსის დებულება და კონკურსის ჩასატარებლად შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეიცე-პრეზიდენტი აკად. ი. აბაშიძე, ხოლო მოადგილეები საქართველოს ალკ ც. კ-ის მდივანი ნ. ფოფხაძე, მინისტრის მოადგილეები უ. ობოლაძე და ზ. ფორაქი-შვილი. დადგენილია, რომ კონკურსში გამარჯვებული მეცნიერი მუშაკები დაჯილდოვდებიან ლაურეატის დიპლომითა და პრემიით 200 მანეთის ოდენობით (3 პრემია), ხოლო სხვა გამორჩეული ნაშრომების ავტორები — წამახალისებელი პრემიებით 100 მანეთის რაოდენობით (4 პრემია). გათვალისწინებულია ლაურეატების ნაშრომების გამოქვეყნება ჟურნალ „მაცნეში“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატებებში.

საკონკურსო ნაშრომები წარმოდგენილ უნდა იქნას 1974 წლის 1 აპრილისათვის.

კონკურსზე დაიშვებიან, როგორც გამოქვეყნებული წიგნების, ბროშურების, წერილების, ნარკვევების, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის, ასევე, ხელნაწერის სახით წარმოდგენილი ნაშრომების ავტორები. კონკურსი იწარმოებს შემდეგ სამეცნიერო დისციპლინებში: მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, მეცნიერული კომუნისზმი, პოლიტიკური ეკონომია, კონკრეტული ეკონომიკა, სკკპ ისტორია, ალკ-ის ისტორია, ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობა, სამართალი, ფსიქოლოგია, პედაგოგია და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემები. საკონკურსო ნაშრომები უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებლად შესრულებულ გამოკვლევებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც განსაზღვრულია სკკპ ცკ-ის 1967 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ და სკკპ XXIV ყრილობის დოკუმენტებით.

კონკურსზე ნაშრომების წარმოდგენის უფლება აქვთ დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოებს, მათ განყოფილებებს, ლაბორატორიებსა და სექტორებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს, ალკ-ის კომიტეტებს, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა საბჭოებს.

საკონკურსო ნაშრომთან ერთად ავტორმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: რეცენზია-რეკომენდაცია, ნაშრომის დახასიათება, ნაშრომის მოკლე ანოტაცია (2—3 გვერდის ოდენობით) და დახასიათება ავტორის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

წარმოდგენილ დოკუმენტებში, გარდა ნაშრომისა და მისი ავტორის საქმიანობის შეფასება-დახასიათებისა, აუცილებლად უნდა აისახოს შემდეგი მონაცემები: სად შესრულდა ნაშრომი, შესრულების წელი, მოცულობა, ილუსტრაციებისა და რუკების რაოდენობა, ბიბლიოგრაფიის მოცულობა, ავტორის ვეარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი (ავტორის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 33 წელს), პარტიულობა, ეროვნება, თანამდებობა, განათლება, გამოქვეყნებული ნაშრომების სია, დახასიათებას ამოწმებენ დაწესებულების ხელმძღვანელი, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები.

კონკურსის შეჯამება მოხდება 1974 წლის აპრილ-მაისში ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკებისა და ლექტორების რესპუბლიკურ კონფერენციაზე. ამის შემდეგ, საუკეთესოდ მიჩნეული ნაშრომები წარდგება საკავშირო კონკურსზე, რომლის შეჯამება 1974 წლის დეკემბერში მოხდება.

ნაშრომები უნდა წარდგეს საორგანიზაციო კომიტეტში ორ ვეჯემპლარად (ხელნაწერი ნაშრომების წარდგენისას აუცილებელია ხელნაბეჭდის პირველი ვეჯემპლარის წარდგენა). საორგანიზაციო-კომიტეტის მისამართია: თბილისი, 380007, მაჩაბლის ქუჩა 11, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტი, მეცნიერი ახალგაზრდობის სექტორი.

გერმანე გობეჯიშვილი

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული კულტურის ისტორიის მკვლევარი, ცნობილი არქეოლოგი, სკკპ წევრი 1945 წლიდან გერმანე გობეჯიშვილი.

გ. გობეჯიშვილი დაიბადა 1911 წელს ონის რაიონის სოფ. ღებში, გლეხის ოჯახში. 1932 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1937 წელს.

სტუდენტობის წლებში წარჩინებული სწავლისა და არქეოლოგიისადმი სიკანაყებო ინტერესის გამო, პ. რ. თორაძემ, 1936 წ. ჯერ კიდევ სტუდენტი გ. გობეჯიშვილი დანიშნა საქართველოს არქეოლოგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1938 წ. ჩარიცხულ იქნა ახლადშექმნილი ენიმეს ასპირანტად, რომელიც დაამთავრა 1941 წ., ხოლო 1943 წ. წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტში.

1943—50 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტში არქეოლოგიის განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებლად, 1950—1959 წწ. იმავე განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1960 წლიდან ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგედ.

ქართული ისტორიოგრაფია იცნობს გერმანე გობეჯიშვილის ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენებითა და განსაზოგადებელი გამოკვლევებით.

უღრესად საინტერესოა გ. გობეჯიშვილის გამოკვლევები „ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები“, და „უახლესი ქართული ოქ-

როს ფული“. პირველი ნაშრომი შეიცავს ძველი ქართული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშების — ბრინჯაოს ჭვირული ბალთების მხატვრული-ისტორიულ ანალიზს, მეორეში კი ავ-

ტორი იხილავს მანამდე სპეციალურ ლიტერატურაში ალ. მაკედონელისა და ლი. ზიმაქეს მიბაძულობათა სახელით ცნობილ მონეტას. მონეტის ამ ტიპის წარმოქმნის, იკონოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლისა და მიმოქცევის არეალის გათვალისწინებით მან იგი, უძველეს კოლხურ ოქროს მონეტად მიიჩნია. განსაკუთრებით საგრძობია გ. გობეჯიშვილის დამსახურება ქართულ-კავკასიური მეტალურგიული კულტურის საწყისი საფეხურების გავლენა-შესწავლის საქმეში. პრობლემას აშუქებს მი-



სი ნაშრომები „ძველი ქართული სამთამდნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან“, „ძველი კულტურის კერა რიონის სათავეებში“, აგრეთვე „საქართველოს არქეოლოგიის“ საუნივერსიტეტო კურსში შესული ნარკვევები: „შუა ბრინჯაოს ხანი“, „ევიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში“ და „ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის საწყისი საფეხური“.

მნიშვნელოვანია გ. გობეჯიშვილის მიერ 1952 წ. გამოქვეყნებული სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელოს მადეირობას უწევდა სტუდენტებს, ასპირანტებსა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს.

გ. გობეჯიშვილის კვლევა-ძიებას საქართველო-კავკასიის ადრეული ლითონის ხანის კულ-

ტურის ისტორიის დარგში უფრო ღრმა შინა-არსი მიეცა ქვემო ქართლის ნასოფლარებისა თუ ეორასამარხების შესწავლასთან დაკავშირებით. აქ დადასტურებული ნაგებობის ფორმების, დაკრძალვის წესისა და მრავლისმეტყველი არქეოლოგიური მასალის შესწავლამ ავტორს საშუალება მისცა ახალი შუქი მოეფინა ჩვენი შორეული წინაპრების სამეურნეო-კულტურული, საყოფაცხოვრებო ვითარებისა და სარწმუნოების საკითხებისათვის.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი გ. გობეჯიშვილს აგრეთვე მცხეთის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში. საამისოდ საკმარისია აღინიშნოს მცხეთაში შესწავლილ ძეგლთა კარგა მოზრდილი ჯგუფის კაპიტალური პუბლიკაცია, რაც მან თავისი კოლეგების თანაუბტორობით შეასრულა ქართულ (1955 წ.) და რუსულ (1958 წ.) ენებზე: ნაშრომში „მცხეთა, I“ (არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937—1946 წწ. განათხარის მიხედვით). ამ ნაშრომში მოცემულია არქეოლოგიური ძეგლების ზუსტი და თვალსაჩინო აღწერილობა, ამასთანავე მიღებულია არაერთი ღიღინიშვნელოვანი დასკვნა.

გ. გობეჯიშვილი გამოირჩეოდა როგორც უკულისხმიერი პედაგოგი-აღმზრდელი თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისა და მზრუნელი ხელმძღვანელი მათი შემდგომი მეცნიერული წრთობისას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. მისაბაძ მონდომებასა და საგანგებო ინტერესს იჩენდა განსვენებული მეცნიერი კავკასიის მთიანეთის მოძმე ხალხების წარმოვზავნილთა გამოზრდის საქმეში. აფხაზი, ოსი, ჩერქეზი თუ სხვა ყოველთვის პოულობდა საჭირო მხარდაჭერას, რჩევასა და დახმარებას გულისხმიერი მასწავლებლისაგან.

მეცნიერული სიმწიფისა და შემოქმედებითი ენერჯის *ფართოდ გაშლის პერიოდში შეწყდა გ. გობეჯიშვილის ცხოვრება. მისი მოწაფეებისა და კოლეგების საპატიო მოვალეობას წარმოადგენს გამოსაქვეყნებლად მოამზადონ მისი ხელნაწერის სახით დატოვებული ნაშრომები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობით წარმოებული გათხრების დროს მოპოვებული შესანიშნავი არქეოლოგიური მასალა, რომლის გამოსაცემად მომზადება განსვენებულ მკვლევარს არ დასცალდა.

გ. გობეჯიშვილის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი კოლეგებისა და მოწაფეების მეხსიერებაში.

ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, სკკპ წევრი 1941 წლიდან ნიკოლოზ გიორგის ძე ნიკოლაიშვილი. იგი დაიბადა 1908 წ. მახარაძის რაიონის სოფელ ბახეში გლეხის ოჯახში.

შრომით საქმიანობას ნ. ნიკოლაიშვილი იწყებს 1926 წლიდან, ჯერ ჩაქვის ჩაის ქარხანაში, შემდეგ კი ბათუმის ნავსადგურში მუშად. იმავე დროს სწავლობდა მუშფაკში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ამიერკავკასიის 26 კომისრების სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1932 წ. 1938—1941 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში.



ამს. ნ. ნიკოლაიშვილი 1932—1941 წწ. მუშაობდა სხვადასხვა საბასუსისმებლო თანამდებობებზე: საქართველოს სსრ ცაკ-ის თავმჯდომარის რეფერენტად, საქართველოს კვ-თან არსებული პარტიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად, აჭარის ასსრ რევოლუციური მუზეუმის დირექტორის მოადგილედ, საქართველოს სსრ რადიოკომიტეტის პროპაგანდის განყოფილების კორესპონდენტად.

ნ. ნიკოლაიშვილი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში; იბრძოდა ჩრდილოეთის ფრონტზე, იყო მებრძოლმატეთა ასეულის მეთაური. მას მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები — ორდენები და მედლები.

ომის შემდგომ პერიოდში ნ. ნიკოლაიშვილი მოღვაწეობდა სხვადასხვა დაწესებულებებში. საქართველოს კვ-თბილისის კომიტეტში ლექტორ-კონსულტანტად, უფროს მასწავლებლად პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, აგრეთვე სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში ისტორიის კათედრაზე. საქართველოს კვ-თან არსებული ლენინის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად; 1960 წლიდან კი მუშაობას იწყებს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ნ. ნიკოლაიშვილმა 1954 წ. წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პარიზის კომუნა და XIX ს. 70-იანი წლების ქართული საზოგადოებრიობა“. მან გამოაქვეყნა მრავალი მეცნიერული სტატია, რომლებშიც გაშუქებულია

XIX და XX სს. დამდეგის საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და მოძმე ხალხებთან (რუს, უკრაინელ, სომეხ და პოლონელ ხალხებთან) ქართველი ხალხის ისტორიული თანამეგობრობის საკითხები. უკანასკნელ წლებში იგი მუშაობდა ქართველი და პოლონელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის საკითხებზე XIX—XX საუკუნეებში.

ნ. ნიკოლაიშვილი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას კალინინის რაიონის ალკ რაიკომთან არსებულ კომკავშირის გუბერანოა საბჭოში. იგი იყო უაღრესად გულმოსხმიერი, სპეტაკი, გულთბილი ადამიანი, პრინციპული კომუნისტი. მისი გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ჩვენი ისტორიკოსების კოლექტივისათვის.